



მართლმსაჯულება და კანონი

Justice and Law

4

მართლმსაჯულება და კანონი
N 4 '14

მართლმსაჯულების
სასახლი



120 წლისა!

Justice and Law Legal Journal
#4(43)'14

რედაქტორი
ნინო ძიდიგური

რედაქტორის თანაშემწე
ირმა ბეჰაური
ნომერზე მუშაობდნენ:
ინგა ალავიძე, მარინე ვასაძე
თარგმანი:
თამარ ნეფარიძე
დიზაინი:
ბესიკ დანელია
ფოტოგრაფიკული დახმარება:
იური ლობოდინი

სარედაქციო საბჭო:
დიანა ბერეკაშვილი
თამარ ზამბახიძე
ინგა კვაჩანთირაძე
კონსტანტინე კუბლავილი
ზაზა მეიშვილი
ვალერი ტსერცვაძე

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
TAMAR ZAMBAKHIDZE
INGA KVACHANTIRADZE
KONSTANTINE KUBLASHVILI
ZAZA MEISHVILI
VALERI TSERTSVADZE

Editor:
NINO DZIDZIGURI

Assistant to Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
INGA ALAVIDZE, MARINE VASADZE

Translated by
TAMAR NEPHARIDZE

Designed by
BESIK DANELIA

Photo support by
YURI LOBODIN



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს
უზენაესი სასამართლოს წერილობითი
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University

უპკ (UDC) 340.11+340.130.5
გ-306

ISSN 1512-259X

5	კონსტანტინე კუბლაშვილი: „სასამართლოს დამოუკიდებლობას ალტერნატივა არ აქვს, ის ქვეყნის განვითარების საფუძველია“
	KONSTANTIN KUBLASHVILI: “THERE IS NO ALTERNATIVE TO THE JUDICIAL INDEPENDENCE, IT IS THE BASIS FOR A COUNTRY’S DEVELOPMENT”

18	მზია ლეკვეიშვილი სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები
	GOALS OF PUNISHMENT AND CRIMINAL AND CRIMINOLOGICAL ASPECTS OF SENTENCING MZIA LEKVEISHVILI

36	ევა გოცირიძე ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცებისათვის
	FOR REINFORCING THE PROTECTION OF HUMAN RIGHTS EVA GOTSIRIDZE

42	მიხეილ ბიჩია ღირსების საჯარო-სამართლებრივი ცნების მოცულობა
	SCOPE OF THE CONCEPT OF DIGNITY IN PUBLIC LAW MIKHEIL BICHIA

66	გოგა კიკილაშვილი იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობიდან წარმოშობილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის და პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრის პრობლემა
	PROBLEM OF DETERMINING THE COMPENSATION AMOUNT AND THE RESPONSIBLE SUBJECT WHEN COMPENSATING FOR NON-MONETARY LOSSES EMERGED FROM THE RELATIONS BETWEEN LEGAL ENTITIES GOGA KIKILASHVILI

84	ეკატერინე ქეტსაია დაზღვევის სამართალურ-ურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი
	SUBJECTS AND OBJECT OF INSURANCE LEGAL RELATIONS EKATERINE KETSBAIA

95	თემურ ცქიტიშვილი ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის
	FOR THE ISSUE OF EVENTUAL INTENT TEMUR TSKITISHVILI

111 მარინა მარინაშვილი
ადმინისტრაციულ დავებში სახელშეკრულებო მოთხოვნათა
ხანდაზმულობის ვადების გამოყენება

APPLYING THE STATUTE OF LIMITATIONS OF CONTRACTUAL CLAIMS IN
ADMINISTRATIVE DISPUTES
MARINA MARINASHVILI

119 დავით ათაბეგაშვილი
სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობა და მისი ადგილი
სასამართლო პრაქტიკაში

STATUTE OF LIMITATIONS OF A CONTRACT CLAIM AND ITS PLACE IN
JUDICIAL PRACTICE
DAVIT ATABEGASHVILI

130 ნატა ცომაია
სასამართლო პრაქტიკის ტენდენციები საკუთარი პიროვნების
თავისუფალი განვითარებისა და პირადი და ოჯახური
ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებით

TRENDS OF JUDICIAL PRACTICE REGARDING THE FREE DEVELOPMENT OF
ONE'S OWN PERSONALITY AND RIGHT TO RESPECT ONE'S PRIVACY AND
FAMILY LIFE
NATA TSOMAIA

152 ომარ მინდაძე, ბადრი ფორჩხიძე
ფსიქოანალიზის როლი სისხლის სამართალწარმოების პროცესში
ROLE OF PSYCHOANALYSIS IN CRIMINAL PROCEEDINGS

OMAR MINDADZE, BADRI PORCHKHIDZE

160 თამარ ხუბაშვილი
საფირმო სახელწოდების დაცვის მატერიალური და საპროცესო
სამართლებრივი საშუალებები

MATERIAL AND PROCEDURAL LEGAL MEANS FOR PROTECTING
THE TRADE NAME
TAMAR KHUBASHVILI

„სასამართლოს დამოუკიდებლობას აღმერთნაძივა არ აქვს, ის ქვეყნის განვითარების საფუძველია“

აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
კონსტანტინე კუბლაშვილი, რომელსაც 2015 წლის
25 თებერვალს საქმიანობის 10-წლიანი ვადა ეწურება.

„ამ თანამდებობაზე ჩემი 10-წლიანი მუშაობის პირველი სამი და ბოლო ორი წელი აღმოჩნდა ძალზე რთული. პირველი ორი-სამი წელი ურთულესი იყო იმიტომ, რომ ფაქტობრივად, არ არსებობდა ინსტიტუციურად განვითარებული სისტემა, აღარაფერს ვამბობ, ტექნიკურ ბაზაზე, რომელიც საერთოდ განადგურებული იყო... ყველაფერი თავიდან იყო ასაშენებელი. ჩვენ სერიოზულად ვიმუშავეთ გეგმაზე, თუ როგორი სისტემა უნდა გაგვეკეთებინა. ეს უნდა ყოფილიყო – გამჭვირვალე, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი, სწრაფი, ხარისხიანი და ობიექტური... მართალია, გვექონდა შეცდომებიც, იყო პრობლემებიც, მაგრამ საბოლოო შედეგმა დაგვანახა, რომ სწორი გზით ვიარეთ. ახლა თამამად შემიძლია თქმა, რომ ჩვენ შევქმენით სწრაფი, ხარისხიანი და გამჭვირვალე მართლმსაჯულება,“ – აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, რომელთან ინტერვიუსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

– მინდა ჟურნალს „მართლმსაჯულება და კანონს“ მივულოცო 10 წლის იუბილე. ჩვენ საზეიმო ღონისძიება გვექონდა უზენაეს სასამართლოში და სიმართლე გითხრათ, სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი, რადგან ნამდვილად არ ველოდი, იმდენი სტუმარი მოვიდა იუბილეს აღსანიშნავ ღონისძიებაზე. ამან უფრო დამარწმუნა, რომ იურიდიულ ჟურნალს საქართველოში ბევრი მომხმარებელი ჰყავს და, რომ იგი ძალიან საინტერესოა. აღსანიშნავია, რომ საქართ-

ველოში ასეთი ტიპის გამოცემა, რომელიც ჩვენი ჟურნალის მსგავსად გადაბმულად 10 წელი გამოდიოდეს, თითზე ჩამოსათვლელია. ვუსურვებ ჟურნალს, რომ მრავალი ათეული წლის გასვლის შემდეგაც აღენიშნოს იუბილე. ის, რომ ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ არსებობს და ასეთ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს უზენაესი სასამართლოსა და მოსამართლეთა ასოციაციის ერთ-ერთ წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ბატონო კოტე, ჟურნალი ვიწრო წრეში ვრცელდება, არადა, მისი ხარისხიდან გამომდინარე, იმსახურებს, რომ ფართო წრისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

— მიხვედით იმ საკითხთან, რაზეც დღეს ვესაუბრე ამერიკელ პარტნიორებს. ჟურნალის გამოსაცემად მხოლოდ ინტელექტუალური რესურსი არ არის საკმარისი, ტექნიკური მხარის მოგვარებას სჭირდება ფინანსები. ტირაჟი, რომლითაც გამოდის დღეს ჟურნალი, ის ტირაჟია, რისი ბეჭდვაც ჩვენ შეგვიძლია. ამიტომ, მე და მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბატონი ზაზა მეიშვილი ვფიქრობთ, რომ ძალიან კარგი იქნება თუ ჩვენი პარტნიორები გაითვალისწინებენ რა გავლენა აქვს ამ ჟურნალს, რატომღა აუცილებელია, რომ ამ დონის იურიდიული ჟურნალი გამოიცემოდეს საქართველოში და თანადაფინანსებას გაგვიწვევენ, რათა ტირაჟი გაიზარდოს და ჟურნალი ფართო საზოგადოებისთვის გახდეს ხელმისაწვდომი.

ბატონო კოტე, 2014 წელი მთავრდება და საინტერესოა, თქვენი შეფასება — რითი იყო გამორჩეული 2014 წელი სასამართლო სისტემისთვის?

— ორი სიტყვით ასე შეიძლება თქმა: 2013 წელთან შედარებით, 2014 წელი სასამართლო სისტემისთვის გაცილებით მშვიდი იყო. ყველას ახსოვს, 2013 წელი როგორი დატვირთული იყო პოლიტიკური თვალსაზრისით, მიმდინარე პროცესები

შეეხო სასამართლო სისტემასაც. გარემო იყო ძალზე სერიოზულად შეპყრობილი იმ მიზნით, რომ სასამართლო სისტემა უნდა შეცვლილიყო თავიდან ბოლომდე. ასეთი მიდგომა, სასამართლო ხელისუფლებას ძალზე შეარყევდა. თუმცა, შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა დააწყნარა სიტუაცია და მინდა აღვნიშნო, რომ ამ სიტუაციაში ყველაზე დიდი როლი მოსამართლეებმა შეასრულეს. ყველაზე მეტად ხაზი მინდა გავუსვა, მოსამართლეთა პრინციპულობას. მათ რომ არ გამოეჩინათ განსაკუთრებული პრინციპულობა ვერავინ გვიშველიდა, რადგან ყველა ხედავდა, რომ სასამართლო სისტემა ძალიან მყარად იცავდა დამოუკიდებლობის პრინციპებს და დასავლეთის მხარდაჭერაც ამიტომ მოვიპოვეთ.

გასული წლის მოვლენებს, რომელიც სასამართლოს შეეხო, იმ მიმართულებითაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ ყველამ დაინახა თუ რა მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი სასამართლო, რომლის გარეშეც ევროპისკენ სვლა ძალიან რთული იქნება. აქვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ევროპელ კოლეგებს და პარტნიორებს, რომლებიც ძალიან გვცხმარებოდნენ რთულ პერიოდში, რადგან მათ ძალიან კარგად ესმით, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელ სასამართლოს ქვეყნის განვითარებისათვის. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო სისტემამ შემართებით და პრინციპულობით გააგრძელოს საქმიანობა. ვისურვებდი, რომ ბოლო პერიოდში, სასამართლო სისტემამ იმაზე ბევრად მეტი პრინციპულობა გამოიჩინოს, ვიდრე წინა წლებში გააკეთა ეს.

2014 წელი სასამართლო ხელისუფლებაში შეიძლება ასე შევაფასოთ: გამოვიარეთ პოლიტიკური ქარტეხილები და უფრო მეტად სტაბილური და უფრო მეტად თავდაჯერებული გახდა სისტემა. ეს ეტყობოდა სასამართლოს თავის საქმიანობაში და უცხოელი პარტნიორების შეფასებებიც ძალიან მაღალი იყო. მათ თქვეს, რომ 2005 წელში დაწ-

ყებულმა რეფორმამ ნაყოფი ახლა გამოიღო. და ეს შეფასება ნამდვილად სწორია. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ეს ყველაფერი გააკეთეს იმ მოსამართლეებმა, რომლებიც მაშინ დაინიშნენ.

2015 წლის 25 თებერვალს 10-წლიანი ვადა გაგდით, როგორ შეაფასებდით ამ 10 წელს, როგორი სასამართლო ჩაიბარეთ და როგორს უტოვებთ თქვენს შემცვლელს?

– რაც შეეხება 10 წელს. ამ თანამდებობაზე ჩემი 10-წლიანი მუშაობის პირველი სამი და ბოლო ორი წელი აღმოჩნდა ძალზე რთული. პირველი ორი-სამი წელი ურთულესი იყო იმიტომ, რომ ფაქტობრივად, არ არსებობდა ინსტიტუციურად განვითარებული სისტემა, აღარაფერს ვამბობ ტექნიკურ ბაზაზე, რომელიც საერთოდ განადგურებული იყო. მაშინ სისტემას მცირე საძირკველი ჰქონდა, ამაში გვეულისხმობ მოსამართლეთა ნაწილს, რომლებიც ახლაც მუშაობენ სასამართლოში. ეს საძირკველი, ობიექტური, პროფესიონალი, კვალიფიციური კადრი უნდა გამოგვეყენებინა და ასეც მოხდა. დანარჩენი ყველაფერი თავიდან იყო ასაშენებელი. ჩვენ სერიოზულად ვიმუშავეთ გეგმაზე, თუ როგორი სისტემა უნდა გაგვეკეთებინა. ეს უნდა ყოფილიყო სისტემა – გამჭვირვალე, საზოგადოებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი, სწრაფი, ობიექტური... როცა ძირითადი პრინციპები დადგინდა და პირადად ჩემთვის ცხადი გახდა თუ საით უნდა წავსულიყავით, სირთულის ხარისხმა იკლო, რადგან განსაზღვრული გვექონდა, როგორი სასამართლო უნდა აგვეშენებინა და ამ გზას მივუყვებოდით ძალიან მიზანდასახულად. შესაძლოა, ამ პერიოდში ძალიან ბევრი, ზოგ შემთხვევაში, სამართლიანი კრიტიკა დავიმსახურეთ, მაგრამ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ტენდენცია, რომელსაც მივყვებოდით იყო სწორი და შედეგსაც სასურველს მივიღებდით. ახლა თამამად შემიძლია თქმა, რომ ჩვენ შევქმენით სწრაფი, ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე მართლმსაჯულება. ეს ვინმესთვის შესაძლოა მხოლოდ



სიტყვებია, მაგრამ ამ სიტყვების უკან განვლილი ურთულესი გზა და დაუღალავი შრომა დგას, რომელმაც აქამდე მოგვიყვანა.

2009 წელს ჩავატარეთ სასამართლოს მომხმარებელთა პირველი კვლევა. კვლევა გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა და იმ ადამიანებმა, რომლებსაც შეეხება ჰქონდა სასამართლოსთან, გამოკითხულთა 60-მა პროცენტმა განაცხადა, რომ ენდობა სასამართლოს. ამ კვლევის შედეგებმა მეტი სტიმული მოგვცა.

მართალია, გვექონდა შეცდომებიც, იყო პრობლემებიც, მაგრამ საბოლოო შედეგმა დაგვანახა, რომ სწორი გზით ვიარეთ.

დამეთანხმებით, სასამართლოში სერიოზული პრობლემა იყო კადრები. თავის დროზე სასამართლო მოსამართლეების დიდმა ნაწილმა დატოვა, რის გამოც, სერიოზული კრიტიკა დაიმსახურეთ. მოსამართლეთა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის დაბალი ხარისხი წლების მანძილზე სერიოზული კრიტიკის ობიექტი იყო.

– შესაძლოა, მაშინდელი საკადრო ცვლილებები, რომელსაც დიდი კრიტიკა მოჰყვა, მაშინ ყველაზე

არაპოპულარულ ნაბიჯად ჩაითვალა, მაგრამ ახლა ნათელია, რომ ჩვენ სწორი მიმართულებით მივდიოდით.

2003-2004 წლების სასამართლო თითქმის მთლიანად კორუმპირებული იყო, ეს შედეგებმაც დაგვანახა, როცა 15 მოსამართლე ქრთამის ალბისთვის დააკავეს, სამჯერ 15-მა თავად დაწერა სამსახურიდან წასვლაზე განცხადება, როცა დაინახა რა ბედი ელოდა. ის სისტემა იდგა კორუფციაზე და ამიტომაც დაიშალა.

აქედან გამომდინარე, საკადრო ცვლილებები გარდაუვალი იყო. თუმცა, სისტემაში დარჩა ათეულობით მოსამართლე, რომელთა კვალიფიკაცია, პატიოსნება და პროფესიონალიზმი საჭირო იყო სასამართლოსთვის, ისინი ახლაც აგრძელებენ საქმიანობას და ზოგი მათგანი მეორე ვადითაც დაინიშნა.

ასე რომ, იმ პერიოდში სასამართლო უნდა გაგვესუფთავებინა მანკიერებისგან, და იმავდროულად მიგვეღო მოსამართლეთა ახალი ნაკადი – პატიოსანი, კვალიფიციური, მოტივირებული მოსამართლეები, რომლებსაც უნდა აეშენებინათ ძლიერი და გამართული სასამართლო. ახლა თამამად შემიძლია თქმა, რომ 10-წლიანი შრომის შედეგად ჩვენ მივალწიეთ, ჩამოგვეყალიბებინა მყარი სისტემა, რომელსაც საფუძვლად პროფესიონალიზმი, ობიექტურობა და პრინციპულობა უდევს.

ეს პრინციპულობა კი, იმ მოსამართლეებმა აჩვენეს, რომლებიც 2005 წლის შემდეგ დაინიშნენ. რა თქმა უნდა, ამას წლები დასჭირდა, რათა ამ დონისთვის მიეღწიათ, მაგრამ იმ ფაქტს, რომ ისინი ყოველგვარი ჩარევის გარეშე იყვნენ დანიშნული და მათთვის საქმიანობისას დამოუკიდებლობა არის ყველაზე მთავარი, ყველა კარგად ხედავს. როგორც გითხარით, 2013 წელს, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, დიდი საფრთხე არსებობდა და ის მოსამართლეებმა აიცილეს თავიდან. მოსამართლეს იცავს მის მიერ გამოტა-

ნილი ობიექტური და პრინციპული გადაწყვეტილება. ამას აკეთებენ საკუთარი თავის, ღირსების დასაცავად და მთელი სისტემის დასაცავადაც. 2005 წლის შემდეგ, დაინიშნეთ 180-მდე ახალი მოსამართლე, რომლებსაც მანამდე დანიშნული გამოცდილი მოსამართლეებიც დაემატა და სწორედ ისინი გვაძლევენ იმ შედეგს, რაც გვაქვს.

მართალია, სასამართლო სისტემაშიც იყო ხარვეზები, რაც ყველა ქვეყანაშია, მაგრამ მათი გამოსწორება, სასამართლოზე და მოსამართლეებზე შეტევით არ ხდება. სხვათა შორის ის, რომ მოსამართლეთა ხელფასები გაიზარდა, სწორედ ჩვენი სწორი საქმიანობის შედეგი იყო. სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი მოსამართლეთა ფინანსური გარანტიებია. ეს სწორად გაიზარა ახალმა ხელისუფლებამაც, მან აჩვენა, რომ სურს სასამართლოს ფინანსურად ხელი შეუწყოს, რათა დამოუკიდებლობა გააძლიეროს.

აქვე ვიტყვი, რომ სხვა სისტემებში უფრო ადვილი და შედარებით სწრაფად ხდება კადრების შერჩევა, ვიდრე სასამართლოში. მხოლოდ პატიოსნება არ არის საკმარისი, მოსამართლეს სხვა უნარ-ჩვევები სჭირდება. სწორედ ამისთვის შევქმენით იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რომელიც მუდმივად მუშაობს მოსამართლეთა კვალიფიკაციის ზრდაზე.

ყოველთვის ვამბობდი, რომ მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუშაობა ჩვენი პრიორიტეტი არის და იქნება. რაც უფრო მაღალი კვალიფიკაციისაა მოსამართლე, მით უფრო მეტად თავდაჯერებულია, ეს კი პირდაპირ კავშირშია მისი დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდასთან.

გარდა საკადრო საკითხებისა, მოსაგვარებელი იყო ტექნიკური სამუშაო პირობები. გახსოვთ ალბათ, როგორ პირობებში უწევდათ მოსამართლეებს საქმიანობა. ამ მიმართულებით ვფიქრობ,

რომ უზარმაზარი სამუშაოები ჩავატარეთ და ფაქტი სახეზეა – დღევანდელი სასამართლო სისტემა თავის ტექნიკური საშუალებებით არ ჩამოუვარდება განვითარებული ქვეყნებისას, და ზოგ შემთხვევაში, გაცილებით კეთილმოწყობილიცაა. ამ წლების მანძილზე უამრავი რამ გაკეთდა, ტექნიკური ბაზის, საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ მოსამართლეთა სოციალური გარანტიების გამყარების ჩათვლით, მათი ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანს, მთავარია, რომ საბოლოოდ, მივიღეთ შედეგი, რაც გვინდოდა – სწრაფი, ხარისხიანი და გამჭვირვალე მართლმსაჯულება. ამის დასტურია, ევროპის საბჭოს ანგარიშიც, რომლის მიხედვითაც, საქმეთა განხილვის სისწრაფის მაჩვენებლით ყველაზე კარგი შედეგი ევროპის ქვეყნებს შორის აქვს საქართველოს. აი, ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა.

სწრაფი მართლმსაჯულების გარანტი გახდა ელექტრონული საქმისწარმოებაც, რომელიც ჩვენ შემოვიტანეთ სასამართლოში. როცა ამ პროექტს ვიწყებდით, ძალიან ბევრი სკეპტიკურად იყო განწყობილი, მათ შორის, ჩვენი უცხოელი პარტნიორებიც და გვეუბნებოდნენ, რომ შეუძლებელს ვეჭიდებოდით. ეს პროგრამა სამ წელიწადში ავამუშავეთ და ის ქალაქის ბიუროკრატია, რაც აფერხებდა სასამართლოს საქმიანობას წარსულს ჩაბარდა. მსგავსი პროგრამა ძალიან ბევრი ევროპული ქვეყნის სასამართლოს არ აქვს და ჩვენ შეგვიძლია თავი მოვიწონოთ. სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიღწევაში ამ პროგრამამ უდიდესი წვლილი შეიტანა.

შემოვიტანეთ აუდიოჩაწერის ინსტიტუტი. გახსოვთ, ალბათ, პროცესის მიმდინარეობას სხდომის მდივანი ხელით იწერდა, ეს აფერხებდა, როგორც პროცესის მიმდინარეობას და ძალზე დიდი დრო მიჰქონდა, ასევე, სხდომის ოქმებში მრავლად იყო უზუსტობები, 100-დან 80 საქმეზე საჩივარი შემოდიოდა ამ უზუსტობების გამო. ახლა მიმდინარეობს პროცესის აუდიოჩაწერა და

მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ელექტრონული სხდომის ოქმის მიღება. აღსანიშნავია, რომ აუდიოჩაწერის შემოღების შემდეგ, სასამართლოში არ შემოსულა არც ერთი საჩივარი ოქმთან დაკავშირებით. მართლმსაჯულების ხარისხი და სისწრაფე ამ პროცესმაც გამოიწვია და სწორედ ამიტომაც, რომ ქართული მართლმსაჯულება ევროპის 47 ქვეყანას შორის ლიდერია.

ბატონო კოტე, შეგიძლიათ თქმა, რომ თქვენი 10-წლიანი საქმიანობის, 10-წლიანი რეფორმის შემდეგ, საქართველოში სასამართლო სისტემა დამოუკიდებელია?

– ალბათ გახსოვთ, რომ არც ერთ ჩემს ინტერვიუში თუ განცხადებაში არასდროს მითქვამს, რომ ამ მხრივ, პრობლემა არ არსებობს. ასევე, არასდროს მითქვამს, რომ სასამართლო სრულიად დამოუკიდებელია. ყოველთვის ვამბობდი, რომ სასამართლო რეფორმა არ არის ერთჯერადი აქტი და სრულყოფილი შედეგის მისაღწევად წლებია საჭირო.

ძნელია პროგნოზირება იმისა, როდის მიაღწევს სასამართლო ხელისუფლება სრულ დამოუკიდებლობას, მართალია, აქეთკენ მივდივართ ახლა და დღეს დამოუკიდებლობის ძალიან მაღალ დონეს მივაღწიეთ, თუმცა, სრულყოფილი შედეგის მიღებას კიდევ სჭირდება დრო.

მართლმსაჯულების სრული დამოუკიდებლობის გარანტი მოსამართლეთა უვადო დანიშვნა იქნებოდა, როცა მოსამართლე უვადოდაა დანიშნული, ის მაღალი ხარისხის პროფესიონალია, რომლის გამოტანილი გადაწყვეტილებაც კვალიფიციურადაა დასაბუთებული და უკვე ძნელია საუბარი მიკერძოებასა და დამოუკიდებლობის პრობლემაზე. თუმცა, მოგეხსენებათ, მოსამართლეთა უპირობოდ უვადოდ დანიშვნა არ მოხერხდა. მოსამართლეები უვადოდ სამწლიანი საგამოცდო ვადის გასვლის შემდეგ დაინიშნებიან.

ჩვენთვის ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხი. ეს ნორმა სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპებს ეწინააღმდეგება და მოსამართლეთა საქმიანობას დიდ საფრთხეს უქმნის. არსებობს საშიშროება, რომ მოსამართლე იმუშავებს მხოლოდ თავის თავზე, რათა არ გაანაწყენოს ვინმე, თავი მოაწონოს შემფასებლებს და მხარეების ინტერესი აღარ იქნება გათვალისწინებული. სამწლიანი გამოსაცდელი ვადის დაწესება არ იყო კარგი ნაბიჯი, რადგანაც გვაქვს უკვე კარგად ჩამოყალიბებული შერჩევისა და დანიშვნის სისტემა, რომელიც კიდევ შეიძლება დაიხვეწოს, მაგალითად, სამოსამართლო გამოცდისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის როლის გაძლიერებით და მოსამართლეებზე ზედმეტი დაკვირვება არ არის საჭირო. თანაც, თუ ეს დაკვირვება დამოუკიდებლობას უქმნის საფრთხეს.

ჯერ კიდევ, წინა ხელისუფლების დროს ვიყავით ამ ნორმის წინააღმდეგი, როცა ჩაწერეს კონსტიტუციაში, რომ შესაძლებელია ამოქმედდეს სამწლიანი საგამოცდო ვადა. ამ ხელისუფლებამ კი, ეს ნორმა ვალდებულებად გადააქცია და დააკანონა. თანაც, ძალიან აბსურდული ფორმით. მაგალითად, მოსამართლეები, რომლებიც 10-წლიანი ვადით არიან დანიშნული, ვადის გასვლის შემდეგ 3-წლიანი საგამოცდო ვადით კიდევ უნდა დაინიშნონ. ვენეციის კომისია, საერთოდ, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიც ამ ნორმის წინააღმდეგ არიან, თვლიან, რომ არ შეიძლება მისი ასეთი ფორმით ამოქმედება, რადგან ის სასამართლოს დამოუკიდებლობის უდიდესი საფრთხის შემცველია.

ბატონო კოტე, ამ ათი წლის მანძილზე ორი ხელისუფლების პირობებში მოგიწიათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ საქმიანობა, განიცდიდა სასამართლო სისტემა ზეწოლას?

— ვერ ვიტყვი, რომ წინა ხელისუფლების დროს, პირადად მე განვიცდიდი რაიმე სახის ზეწოლას, მაგრამ სასამართლო სისტემა ნამდვილად იყო ხელისუფლების ინტერესის ობიექტი, განიცდიდა გარკვეულ ზეწოლას. ამის გამო, არა ერთი კრიტიკა გამოითქმოდა, და ზოგ შემთხვევაში — სამართლიანიც. მაგრამ დღეს, როცა ვაანალიზებ, მაშინ სასამართლოში ისეთი მძიმე სიტუაცია იყო, ხელისუფლების გარედან ჩარევა კორუფციის დამარცხების მიზნით, თუ ამას ჩარევას დავარქმევთ, აუცილებელი იყო, სხვანაირად ამ შედეგს ვერ მივიღებდით.

სხვა მხრივ კი, მიუხედავად ზეწოლის მცდელობისა, როგორც უკვე გითხარით, სასამართლო მაინც გამარჯვებული გამოვიდა.

და რა შეიცვალა რეალურად ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სასამართლო სისტემაში? ეს ხელისუფლებაც ცდილობს გავლენის ქვეშ ჰყავდეს სასამართლო?

— როგორც გითხარით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, დიდი საფრთხე არსებობდა და ის მოსამართლეებმა აიცილეს თავიდან. საერთოდ, ჩარევისა და ზეწოლის ისეთი აშკარა და უხეში მცდელობები, როგორიც ახალ ხელისუფლებას ჰქონდა მათი მოსვლიდან რამდენიმე თვის განმავლობაში, ადრე არასოდეს მომხდარა.

თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ დღეს ახალი ხელისუფლება ცდილობს არ ჩაერიოს მათ საქმიანობაში. გეტყვით იმასაც, რომ შესაძლოა, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, თავისი პირადი ინიციატივით ცდილობს მოსამართლეთა საქმიანობაში ჩარევას, თუმცა, უშედეგოდ. საერთოდ, მსგავს ფაქტებს ხელისუფლების მხრიდან არა აქვს სისტემური და კომპლექსური ხასიათი.

ბატონო კოტე, ბოლო პერიოდში ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად

რად აკრიტიკებენ სასამართლო სისტემას, აცხადებენ, რომ ის ხელისუფლების შეკვეთებს ასრულებს და პირიქით, ახალი ხელისუფლება სასამართლოს ნაციონალური ხელისუფლების შეკვეთაში ადანაშაულებს. ხშირად გაიგებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლოში მოსამართლეების ორი გუნდია – ყოფილი და ამჟამინდელი ხელისუფლების მოსამართლეები.

– მოსამართლე ადამიანია და რა თქმა უნდა, შესაძლოა, რომელიმე მოსამართლეს გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გააჩნია, მაგრამ თამამად ვაცხადებ, რომ არც ერთი მოსამართლე კონკრეტული საქმის განხილვისას არანაირი პირადი მოსაზრებებით არ ხელმძღვანელობს. სასამართლოს გადაწყვეტილებით ორივე მხარე ვერ იქნება კმაყოფილი. ამიტომაც, არის უკმაყოფილო მხარე, რომელიც ცდილობს თავისი უდანაშაულობა საზოგადოების თვალში სასამართლოს არაობიექტურობას დააბრალოს.

არის მეორე ვარიანტიც. როდესაც სასამართლო რომელიმე მხარის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, აცხადებენ, სასამართლომ ობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანა და არავის აქვს უფლება სასამართლოს დამოუკიდებლობაში ჩაერიოსო. ასეთი განცხადებებიც ხშირად კეთდება.

ჩემი აზრით, ამ სიტუაციაში მთავარია, რომ სასამართლო იყოს თანმიმდევრული და გადაწყვეტილებები სახელებისა და გვარების მიხედვით კი არ გამოიტანოს, საქმის მასალებიდან გამომდინარე დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით მიიღოს ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილება. შედეგად კი, მივიღებთ, რომ საზოგადოება საბოლოოდ დარწმუნდება სასამართლოს დამოუკიდებლობაში და მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, თუნდაც მიუღებელი იყოს რომელიმე მხარისათვის, ასეთ უსაფუძვლო ბრალდებას აღარ დაიმსახურებს. ჩვენი მიზანია სწორედ

ესაა – სასამართლომ, მოსამართლეებმა თავის საქმიანობით უნდა დაადასტურონ, რომ სასამართლო დამოუკიდებელია და მისი ერთადერთი საყრდენი კანონი და ობიექტურობაა.

ბატონო კოტე, რა იყო ეს 10 წელი თქვენთვის? როგორ შეაფასებდით თავად თქვენს საქმიანობას?

– როცა აქ მოვდიოდი, ძალიან დიდხანს ვიფიქრე და შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, მაგრამ აქ გაცილებით რთული სიტუაცია დამხდვა, ვიდრე წარმომედგინა. როცა ვაფასებ ამ ურთულეს პერიოდს, რა თქმა უნდა, იყო სერიოზული შეცდომებიც, მაგრამ იყო დიდი წარმატებებიც. თუმცა, თავიდან რომ ვიწყებდე, გარკვეულ შეცდომებს რა თქმა უნდა, არ გავიმეორებდი. სასამართლო სისტემაში 10 წელია რეფორმა მიმდინარეობს და თამამად გეტყვით, რომ ბევრი ქვეყნისათვის მისაბადი სისტემა ჩამოვყალიბეთ, თუმცა, ეს დრო მაინც არ არის საკმარისი იმ მიზნის საბოლოოდ მისაღწევად, რისკენაც ვისწრაფით. ხარვეზები, პრობლემები არსებობს და ეს ჩემზე კარგად არავინ იცის.

და როგორ ფიქრობთ, რა იყო ეს შეცდომები, რისი გაკეთება ვერ შეძელით?

– ახლანდელი პოლიტიკური ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები ძალიან ხშირად ამბობენ, რომ ახლა საქართველოში არის დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა. ამას ვეთანხმები, მაგრამ არა 100 პროცენტით. ეს მოსაზრება 90-95 პროცენტით სრული სიმართლეა. და ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი, ის ხარვეზები, რაც სისტემაში არსებობს, მაქვს დეტალური ინფორმაცია აქ არსებულ სიტუაციაზე და ეს 5-10 პროცენტი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ამიტომ გეტყვით, რომ ეს ის ნაწილია, რისი გაკეთებაც ვერ მოვახერხე.

“THERE IS NO ALTERNATIVE TO THE JUDICIAL INDEPENDENCE, IT IS THE BASIS FOR A COUNTRY’S DEVELOPMENT”

SAYS KONSTANTIN KUBLASHVILI, CHIEF JUSTICE OF THE SUPREME COURT OF GEORGIA, WHOSE 10-YEAR TERM OF OFFICE EXPIRES ON FEBRUARY 25, 2015.

“The first three and the last two years of working on this position have been the hardest times during my 10-year tenure”. The first two-three years were the most difficult because in fact there was no institutionally developed system, not even mentioning the technical basis which had been destroyed completely... Everything needed to be built from scratch. We did a significant job and worked out a plan about what kind of a system we needed to establish. This was supposed to be – transparent, accessible for public, quick, quality and objective... Although there were mistakes and problems as well, the final outcome has shown us that we have been going the right way. Now I can say with much confidence that we have created a speedy, quality and transparent justice,” – says Konstantin Kublashvili, Chief Justice of the Supreme Court of Georgia, interviewed below.

– I would like to congratulate the Legal Journal “Justice and Law” on its 10th anniversary. We had a celebration at the Supreme Court and to tell you the truth I was pleasantly surprised, as I did not expect to see so many guests who joined us for celebrating this anniversary. It made me even more confident that the legal journal has many readers in Georgia and that it is very interesting. It is worth noting that there are only a few publications of this type that have been published in Georgia continuously for 10 years. I would like to wish the journal to celebrate similar anniversaries after many more decades. Existence of the legal journal “Justice and Law” and its effective performance can be considered one of the success stories of the Supreme Court and the Judges Association.

Mr Kublashvili, the journal is disseminated among a small group of individuals; however, judging from its quality, it really deserves to be accessible to broader community.

– We have come to the point about which I have talked to our American partners today. The intellectual resource taken alone is not sufficient for publishing the journal, and finances are needed for meeting the technical needs. The current circulation of the journal is what we could afford. Consequently, Mr Zaza Meishvili, Chairperson of the Judges Association and I think that it will be very good if our partners consider the big impact of this journal and why it is necessary to have a legal journal of this level published in Georgia, and provide co-funding for increasing the circulation and making the journal accessible for the broader community.

Mr Kublashvili, the year 2014 is coming to an end and it is interesting to have your evaluation – what has made the year 2014 special for the judiciary?

– It is possible to say this in two words: compared to 2013, the year 2014 was much calmer for the judiciary. Everybody remembers how loaded the year 2013 was from the political standpoint, as the ongoing processes also affected the judiciary as well. The environment was very deeply obsessed with the goal of changing the judiciary completely. Such attitude would have shaken the judiciary power very much. However, the subsequent events eased off the situation and I would like to point out that the judges were the ones who played the biggest role in this respect. Most of all, let me underscore the judges' adherence to principles. Without them being so committed to their principles, nobody would have been able to help us, as everybody could see that the judiciary was very firmly maintaining the principles of independence and this is why we gained support of the West.

The events taken place last year, which affected the court, were very important in another respect as well, because everybody saw how important the independent judiciary was, without which it would be too difficult to pursue our European aspiration. Let me also extend our gratitude to the European colleagues and partners who have been very supportive during hard times, as they do understand very well how important the independent judiciary is for the country's development. It is of vital significance for the court to proceed with its commitment and adherence to principles. I would like to wish the judiciary to be even more committed to its principles than it was during previous years.

The year 2014 can be evaluated the following way for the judiciary power: we have been through political predicaments and the system became much more stable and self-confident. This was visible by observing the performance of courts, and the evaluations of foreign partners were also very positive. They said that the reform that started in 2005 has yielded its output now, and this is a correct evaluation indeed. I would like to say once more that all this was done by the judges that had been appointed that time.

Your 10-year term of office is expiring on February 25, 2015. How would you evaluate these 10 years, what kind of judiciary was handed over to you and what will you leave to your replacement?

– As for these 10 years, the first three and the last two years of this 10-year tenure turned out to be the most difficult ones. The first two or three years were the most difficult because in fact there was no institutionally developed system, not even mentioning the technical basis, which had been destroyed completely. The system had a little foundation that time and here I mean some part of judges who are still working within the judiciary. We had to use this foundation – the objective, professional and

qualified human resources, and this is exactly what happened. We had to build everything from the very beginning. We did a significant job to work out a plan about what system to build. This was going to be a system – transparent, easily accessible by the public, speedy and objective... When the key principles were determined and it became clear to me personally what way we wanted to pursue, then the things did no longer look that complicated, as far as we had decided what kind of a judiciary to form and we pursued that goal in a very focused way. Perhaps we deserved very much criticism during this period, though in some cases this criticism was fair enough, but I was confident that it was the right trend we were following and that we would get a desirable result. Now I can say with confidence that we have created a speedy, accessible and transparent justice. This may be just words for some people, but there is a very difficult road we have been through and indefatigable work behind these words, which has led us to this point.

There was a survey of court users carried out for the first time in 2009 within the frameworks of the United Nations Development Program. The survey was held among the people who had to deal with a court, and 60 percent of the interviewees stated that they trusted in the court. Findings of this research served as an additional incentive for us.

Obviously, we had mistakes as well and there were problems too, but the final result has proved that we have been following the right way.

You would agree with me that the human resources were a serious problem within the judiciary. A big number of judges left the judiciary at some point of time resulting in much criticism addressed to you. Underqualification and low level of professionalism of judges has been an object of serious criticism for years.

–Perhaps the changes in personnel that time, which became a subject of much criticism, was considered to be the least popular step, but now it is clear that we were heading to the right direction.

The judiciary of 2003–2004 used to be completely corrupt and this was proved by the consequences, as there were 15 judges arrested for taking bribes. Three times 15 applied for resignation themselves when they saw what they could have faced. That system was based on corruption and this is why it collapsed.

Hence abovementioned, the changes in personnel were inevitable. However, the system still had tens of judges remaining, whose qualification, honesty and professionalism were needed for the judiciary. They are still working there and some of them have been appointed for the second term.

So, we had to weed out the evils from the system and at the same time to open the door to a new intake of judges – honest, qualified and motivated judges who were to build a strong and tuned up judiciary. Now I can say with confidence that after working tirelessly for 10 years we achieved our goal and established a sustainable system, which is based on professionalism, impartiality and commitment to principles.

However, this commitment was demonstrated by the judges appointed after 2005. Of course it took them years to reach this level, but now it is clear to everyone that they had been appointed without any interference and that the independence is of paramount importance for them while carrying out their duties. As I have told you, since the new government came into power in 2013, there was a big threat and the judges were able to prevent it. A judge is protected by the objective judgment s/he has passed based on principles. This is what they do for protecting themselves, their dignity and the whole system as well. We have appointed about 180 new judges since 2005, and together with oth-

er experienced judges, who had been appointed before, they produce the result that we have now.

It is true that there were some drawbacks in the system, which is the case in all the countries, but they cannot be rectified by attacking the courts and judges. By the way, the salaries of judges increased, which was the result of our relevant activities. Financial security of judges represents one of the most important safeguards for judicial independence. This is what the new authorities have realized correctly. They showed that they wanted to provide financial support to the judiciary for strengthening its independence.

Let me also add hereby that human resources are more easily and quickly selected in other systems than within the judiciary. The honesty only is not enough, as the judge needs some other skills as well. This is why we have established the High School of Justice, which continuously works for enchaining the qualification of judges.

I was always saying that it is and will be our priority to work for enhancing the qualification of judges. The more qualified a judge, the more self-confident s/he is, which is directly linked to the growth of its independence.

Other than personnel issues, technical working conditions needed some solution too. You may remember the working conditions of judges. I think that we have carried out huge amount of works in this respect and here is the fact – with its technical facilities our judiciary system is none the worse than other courts in developed countries and in some cases is even better equipped.

Many things were done during these years, including the improved technical resources, legislative amendments or strengthened social guarantees of judges, and it will take us long to list all of them. The most important thing is that eventually we have got a desired

result – speedy, quality and transparent justice. This is proved by the report of the Council of Europe, according to which Georgia has the best results regarding the speed of case hearing among other European countries. This is one of the key achievements.

We have introduced an electronic case management system in the judiciary, which also became a precondition for speedy justice. There were very many people who were skeptical to us when we started this project, including our foreign partners and they would tell us that it was impossible what we were trying to do. We launched this program in three years and the paper-based red tape, which used to impede the court performance, is now bygone. Quite many courts in the European countries do not have a similar program and we can really be proud of it. This program has made an enormous contribution to achieving the speedy and effective justice.

We have introduced an institute of audio recordings. You may remember that a court reporter would write down everything manually during the trial. This was a hindrance for the trial and was also very time-consuming. Besides, there were many inaccuracies in court reports, and 80 out of 100 claims would be filed because of such inaccuracies. Now the trials are audio-recorded and the parties can get electronic court reports any time. It is noteworthy that after introducing the audio recordings the court has not received even a single complaint regarding the report. This processes resulted in the quality and speed of justice and this is why the Georgian justice is a leader among 47 countries of Europe.

Mr Kublashvili, can you say that the judiciary is independent in Georgia after you 10-year performance, after implementing the reforms for the 10-years?

– You may remember that I have never said in any of my interviews or statements that there is

no problem in this respect. Besides, neither have I said ever that the court is completely independent. I always used to say that the judiciary reform is not a single activity, and that it takes years to get a perfect result.

It is hard to predict when the judiciary power can achieve full independence. However, it has been our destination and as of today we have reached quite high degree of independence, but it takes more time to get a perfect result.

Appointment of judges for life would have been a safeguard of total independence of justice, as far as when the judge is appointed for life, s/he is a high-level professional, whose judgment is based on a qualified reasoning and it is difficult to speak about any bias and the problem of independence. However, as you know we could not make it happen and there is no unconditional appointment of judges for life. The judges will be appointed for life after a three-year probation period.

This is one of the most problematic issues for us. This norm is against the principles of judicial independence and it poses a big threat to the performance of judges. There is a threat that the judge will be working only for his/her own benefit so that not to make anyone angry, to make himself/herself agreeable to the evaluators, and the interests of the parties will not be taken into account. It was not a good step to introduce a three-year probation period, as far as we already have a well-developed system of selection and appointment that can be refined even more, for example, by the exams for judges and by strengthening the role of the High School of Justice, and it is not necessary to have the judges under an excessive oversight, especially if this oversight jeopardizes the independence.

I was against this norm even during the rule of previous authorities, when they amended the Constitution by adding the possibility of activating

the three-year probation period, and the current authorities made this norm an obligation and made it a law, though in a very absurd form. For example, those judges, who have already been appointed for the term of 10 years, after the expiration of their tenure they will be appointed again for a 3-year probation period. The Venice Commission, and in general, all the international organizations and local NGOs are against this norm and they consider that it cannot be put into effect like this, as far as it bears a tremendous threat to the judicial independence.

Mr Kublashvili, during these ten years you happened to be the Chief Justice of the Supreme Court in the environment of two powers. Was the judiciary under any pressure?

– I cannot say that I personally felt any pressure during the rule of previous authorities, but the judiciary system was indeed an object of interest of authorities and it was under pressure at some extent. This is why there were cases of criticism and in some cases – fair ones. However, analyzing this situation from today's standpoint, there was such a hard situation within the judiciary that it was necessary to have the authorities involved from outside with the purpose of defeating the corruption, if we call it an intervention, because otherwise we would not have been able to get this result.

Otherwise, despite the attempted pressure, as I have already told you, the judiciary has been in a winning position.

And what has changed in fact within the judiciary after the new authorities came into power? Does this power also try to have the judiciary under its influence?

– As I have mentioned above, there was a big threat and the judges managed to avoid it. Basically, the evident and gross attempts of interference and

pressure, which the new authorities demonstrated during several months after coming into power, had never happened before.

However, in addition to this I need to say that today the new authorities try not to interfere in their activities. Even more, some officials may be trying to interfere in the activities of judges under their own initiatives, but in vain. In general, these facts from the side of the authorities are not systemic and do not have a complex nature.

Mr Kublashvili, recently the representatives of former authorities have often been criticizing the judiciary system, stating that it fulfills the orders of the authorities and vice versa, the new authorities blame the judiciary of fulfilling the orders of the former authorities led by the National Movement Party. You can often hear opinions that there are two teams of judges within the judiciary – judges of the former and current authorities.

– A judge is a human being and of course, it is possible for a certain judge to have his/her own opinion regarding a particular issue, but I can say with confidence that none of the judges is guided by any personal opinions while hearing a particular case. Obviously, both of the parties will not be happy with the court decision. This is why there is a dissatisfied party that tries to prove to the public that it is innocent and blames the court of being biased.

There is also another option: when the court passes a judgment that favors one of the parties, they say that the court has passed an objective judgment and that nobody has the right to interfere in the court's independence. Such statements are often made too.

I think that in this situation the important thing for the court is to be consistent and instead of passing judgments based on the names and surnames, they should make objective and lawful decisions based

on case materials, according to the established practice. Consequently, it will finally help the public to be sure that the court is independent and that the judgment passed by the court, even if it is unacceptable for any of the parties, will no longer deserve such an ungrounded allegation. This is our goal too – to enable the court and the judges to prove with their performance that the judiciary is independent and it only relies upon the law and impartiality.

Mr Kublashvili, what does these 10 years mean for you? How would you evaluate your own performance?

– I was thinking about it a lot on my way here, and then I made a decision, but here I faced much more difficult situation than I imagined. When I evaluate this very difficult period, of course, there were serious mistakes, but there were also big success stories as well. However, if I were to start everything all over again, obviously I would not make the same mistakes. The judiciary has been being reformed for 10 years and I can openly say that we have established a system that is a role model for many countries. Nevertheless, this time still is not enough for reaching the final goal that we have been aspiring for. There are drawbacks and problems and nobody knows it better than I do.

And what do you think what were these mistakes, what you did not manage to accomplish?

– Officials of current political authorities say very often that there is an independent judiciary in Georgia now. I do agree with that, but not completely with 100 percent. This is a pure truth with 90-95 percent and I am saying this because I know what gaps there are in the system. I have detailed information about the situation and this 5-10 percent is something very important to me. This is why I am telling you that this is the part that I was not able to accomplish.

სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

მზია ლეკვიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი

სისხლის სამართალში სასჯელის მიზნები განისაზღვრება სახელმწიფოს ფუნქციებითა და იმ ამოცანებით, რომელიც დგას მის წინაშე დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში.

სასჯელის მიზნის ცნება შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ: სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევისაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით.

რაც შეეხება სასჯელის მიზნებს, იგი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ლეგალურად არის დაკონკრეტებული, რასაც ვერ ვიტყვით ბევრ სხვა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაზე.

აქედან გამომდინარე, მსოფლიო იურიდიულ ლიტერატურაში ისმება კითხვა, რამდენად აუცილებელია კანონმდებლობაში სასჯელის მიზნების ასახვა?

მეცნიერებაში ეს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას იწვევს. პროფ. გ. ტყეშელიაძის აზრით, სასჯელის მიზნების თაობაზე ერთმანეთის გამომრიცხავ მოსაზრებათა არსებობა განაპირობებს საკანონმდებლო წესით მისი დადგენის სირთულეს. თუმცა, იგი თვლის, რომ ჩვენ პირობებში სასჯელის მიზნების დადგენა საკანონმდებლო წესით მიზანშეუწონელია. იგი ამის დასასაბუთებლად იხსენებს წარსულის გამოცდილებას, როდესაც „პენალოზაციისა და სასჯელის შეფარდებისას ესოდენ საბედისწერო შეცდომები იყო დაშვებული.“⁴¹

შეიძლება დავეთანხმოთ გ. ტყეშელიაძეს, რომ სასჯელის განსაზღვრით ერთგვარად იზღუდება კანონმდებელი, რომელსაც აღარ ექნება შესაძლებლობა ისეთი სასჯელის დადგენისა, რომელიც ერთი მხრივ, შეუსაბამო იქნება დადგენილი სასჯელის მიზნებისა და, მეორე მხრივ, დაარღვევს ზოგადი და სპეციალური პრევენციის მიზნის მნიშვნელობას, თანაზომიერებას.

სახელმწიფოში სასჯელის როლისა და შესაძლებლობის გადაფასება, ისევე როგორც მისი უგულებელყოფა ხელს არ უწყობს არც დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობას და არც იმ მიზნების მიღწევას, რომელიც კანონმდებლობით, მეცნიერებითა და პრაქტიკით აკისრია მას. სისხლის სამართალში სასჯელის მიზნებისა და მისი დანიშვნის პრობლემა დღესაც ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ მასზე არსებობს უამრავი მეცნიერული ნაშრომი, დოქტრინალურ განმარტებათა ნაირსახეობა – არ არის შემუშავებული ერთიანი თეორია სასჯელის მიზნების შესახებ.

უნდა ვაღიაროთ, რომ რეალურად შეუძლებელია სასჯელის ყველა მიზნის დაკონკრეტება, ვინაიდან ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ზოგჯერ მათი გამიჯვნა და ცალკე ჩამოყალიბება თითქმის შეუძლებელია. ამერიკული დოქტრინა დღესაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასჯელი კვლავ რჩება ასთავიან არსებად თავისი მრავალფეროვანი სახითა და შედარებით მცირე მუდმივი სახეებით. ამისდა მიუხედავად, ჩვენი აზრით, მაინც გამართლებულია სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის მიზნების დადგენა როგორც მნიშვნელოვანი ორიენტირისა, თუნდაც სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობაში კანონიერების განმტკიცების თვალსაზრისით.

სასჯელის მიზნისა და მისი დანიშვნის პრობლემით ოდითგანვე დაინტერესებული იყვნენ როგორც თეოლოგები და ფილოსოფოსები ასევე, სოციოლოგები, ფსიქოლოგები და სამართალმცოდნეები.

ისტორიულად, უძველეს დროში სასჯელის უმთავრესი მიზანი იყო დანაშაულის ჩამდენისათვის სამაგიეროს მიზღვა. ცნობილია გამოთქმა, რომ დამნაშავეს უნდა მიზლოდა „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ.“ ამრიგად, პირველი თეოლოგიური თეორიები, რომლებიც ფაქტობრივად სასჯელის მიზანზე საუბრობდნენ, ეფუძნებოდნენ ძველი აღქმის პოსტულატს და მიიჩნევდნენ, რომ სასჯელი ეს ბოროტებისათვის სამაგიეროს მიზღვაა. სასჯელის ეს მიზანი დამახასიათებელი იყო სამართლის განვითარების ყველა ეტაპისათვის. მას სხვადასხვა ვარიაციით დღესაც კი ვხვდებით.

სასჯელის თაობაზე არსებული აბსოლუტური თეორიები მას ასაბუთებდნენ მეტაფიზიკური პოსტულატებით, მნებობრივი კანონის, მარადიული სამართლიანობის მოთხოვნით და სხვ.²

სასჯელის მიზნად „სამაგიეროს მიზღვის“ თეორიის საწინააღმდეგოდ და სასჯელისათვის უტილიტარული მიზნის დაკისრებამ ყველაზე უფრო თანმიმდევრული დამუშავება ჰპოვა მე-18 საუკუნეში, „განმანათლებელთა“ მიერ. სასჯელის პრაქტიკული დანიშნულების იდეას აღიარებდნენ ფრანგები – მონტესკიე, ვოლტერი, იტალიელი ბეკარია და სხვები. ყველაზე თანმიმდევრულად ეს მიზანი გატარებულია ჩეზარე ბეკარიას მიერ თავის ტრაქტატში „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ.“ ჩ. ბეკარიამ სასჯელის მიზანი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: სასჯელის მიზანი არ არის წამება და ტანჯვა და არა ის, რომ ჩადენილი დანაშაული არაარსებითად გავხადოთ, არამედ მხოლოდ ის, რომ დამნაშავეს ხელი შეეშალოს კვლავ მიაყენოს ზიანი საზოგადოებას და სხვებიც შეაკავოს ასეთი ქმედების ჩადენისაგან. ამიტომ, საჭიროა მხოლოდ ისეთი სასჯელის გამოყენება, რომელიც დანაშაულთან თანაფარდობის გამო, ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენს სულზე და ნაკლებად მტანჯავი იქნება ადამიანის სხეულისათვის.³

დღესდღეობით, სასჯელით სამაგიეროს მიზღვის მიზანი ფაქტობრივად უარყოფილია; თუმცა, ჯერ კიდევ არსებობენ მეცნიერები, რომლებიც ამ მიზანს ნაწილობრივ მაინც აღიარებენ.

ახალ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც სასჯელსა და მის მიზნებს შეისწავლის, გვხვდება სხვა თეორიებიც, რომლებიც ჩვენი აზრით, ძირითადად, ძველი თეორიების ნაირსახეობაა. არსებობს დამნაშავის გაუვნებელყოფის თეორია, დანაშაულის პოტენციურ ჩამდენთა დაშინების თეორია, მართლწესრიგის დადგენისა და განმტკიცების, ასევე, სამართლის ავტორიტეტის აღდგენის თეორია და სხვა ეკლექტიკური თეორიებიც.

რაოდენ სხვადასხვაგვარი არ უნდა იყოს სასჯელის მიზნებისადმი მიძღვნილი თეორიები, ისინი საბოლოოდ მაინც სამაგიეროს მიზლვას, გამოსწორებას, ზოგადსა და კერძო პრევენციას გულისხმობენ.

ამჟამად კვლავ გრძელდება დისკუსია სასჯელის მიზნების შესახებ. სასჯელის მიზნები ტრადიციულად, ორ ჯგუფად იყოფა: უტილიტარულ და არაუტილიტარულ მიზნებად. მეცნიერულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ე. წ. უტილიტარულ თეორიებს.

სასჯელის მიზნის უტილიტარული გაგება გულისხმობს სასარგებლო ეფექტის (ან სუფთა სარგებლის) მიღებას, კერძოდ, დამნაშავის ან სხვათა მხრიდან მომავალში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შეზღუდვასა და შემცირებას. ხოლო სასჯელის არაუტილიტარული მიზანი კი, მოიცავს მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის პრინციპის აღიარებას, რაც ამერიკელი მეცნიერის რ. ფრეისის აზრით, თვით სასჯელის მიზანია და არ ექცევა ყურადღება შეუძლიათ თუ არა მათ კონკრეტული სოციალური თუ ინდივიდუალური სარგებლის მოტანა.⁴ სასჯელის მიზნებისა და შეზღუდვის ეს ორი ძირითადი კატეგორია კონცეპტუალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ პრაქტიკაში ისინი მჭიდრო კავშირში არიან. სასამართლო განაჩენით დადგენილი სასჯელი თანაზომიერად და ერთნაირად უნდა იყოს გამოყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება მომავალში დანაშაულის თავიდან აცილება.

რ. ფრეისი თვლის, რომ ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა დანაშაულის ჩადენის წახალისებაც კი მოახდინოს და შემცირდეს პატივისცემა სისხლის სამართლისა და სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულებისადმი.⁵

მკვლევართა უმრავლესობა სასჯელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად ზოგად და სპეციალურ პრევენციას ასახელებს. სასჯელის ზოგადი და სპეციალური პრევენციული მიზნები გულისხმობს მათ შეგნებულ, გონივრულ და რაციონალურ გამოყენებას დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად. ამიტომ ის თეორიები, რომელთაც სასჯელის მიზანი მხოლოდ ზოგად გაფრთხილებამდე დაჰყავთ, გამართლებული არ უნდა იყოს. პრევენციის ორივე სახე ერთიანობაში უნდა განვიხილოთ.

ევროპული კონტინენტის ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურაში „ზოგადი გაფრთხილება“ გამოიყენება როგორც სასჯელის მუქარის მოტივირებული ზეგავლენის ტექნიკური ტერმინი; ხოლო „სპეციალური გაფრთხილება“ (ან „ინდივიდუალური გაფრთხილება“) კი – დამნაშავის მიმართ განხორციელებული სასჯელის გამოყენების ზემოქმედება. ზოგადგაფრთხილებელი ზემოქმედება გულისხმობს არა მარტო სასჯელის შიშით მოტივირებულ ზეგავლენას, არამედ ასევე, მორალურ ან აღმზრდელობით დადებით ჩვევათა გამომუშავებას. ინგლისურენოვან ლიტერატურაში „ზოგადი გაფრთხილების“ ნაცვლად უფრო ხშირად ვხვდებით ტერმინს „ზოგადი შეკავება“ (იგულისხმება დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავება). ლიტერატურაში ასევე, გვხვდება ტერმინი „გენერალური პრევენცია“, რაც ასევე, ზოგად პრევენციას გულისხმობს.

პროფ. ი. ანდენესი თვლის, რომ როგორც რეგისტრირებული, ისე ლატენტური დანაშაულის შესწავლამ იგი დაარწმუნა, რომ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში ზოგადი გაფრთხილება არაეფექტიანია. ი. ანდენესი ამ დებულებას იმით ადასტურებს, რომ შეუძლებლად თვლის იმ

ადამიანთა რაოდენობის განსაზღვრას, რომელთაც სასჯელის მუქარით არ ჩაიდინეს დანაშაული. იგი ზოგად პრევენციას დასჯის შიშს უკავშირებს და დაასკვნის, რომ სასჯელის მიზნებში ცალკე აღებული რომელიმე ფაქტორის გადამწყვეტი გავლენის გამოვლენა მეტად რთულია.

ი. ანდენესს მოჰყავს საყოველთაოდ ცნობილი მაგალითი, თუ როგორ გამოიწვია სახელმწიფო სტრუქტურის მოქმედების დროებითმა შეფერხებამ ანონიმური დამნაშავეობის ათჯერადი ზრდა, განსაკუთრებით ისეთი დანაშაულისა, როგორიცაა ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და სხვ.

1977 წლის 13 ივლისს, მთელ ნიუ-იორკში მაღალი ძაბვის მავთულზე მეხის დაცემის შედეგად, ქალაქის ელექტროდენით მომარაგება შეწყდა 25 საათის განმავლობაში. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკა იმდენად არ შეაძრწუნა ამ სავალალო ფაქტმა, რამდენადაც იმან, რომ ამით ისარგებლა ათასზე მეტმა ადამიანმა და ქალაქში ძარცვის ორგანო განხორციელდა. ხალხი არბევდა ყველაფერს, ამტვრევდა კარს, ფანჯრებს და გაჭეონდათ ყველაფერი, რისი გატანაც კი, შეიძლებოდა.⁶

საკმაოდ საინტერესოა, ჩიკაგოში ილინოისის უნივერსიტეტის პროფესორ მეთიუ ლიპპმენის მიდგომა ამ საკითხისადმი. იგი აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივ სასჯელთან მიმართებით გამოყენებული იყო სხვადასხვაგვარი მიდგომა. დღესაც გრძელდება დებატები, დაეხმარება თუ არა დამნაშავეებს სასჯელის უმთავრესი მიზანი (ნაგულისხმევია კერძო და ზოგადი პრევენცია – მ. ლ.), დადებითად შეცვალონ თავიანთი ცხოვრების წესი ან რეალურად დაიცავს კი, იგი საზოგადოებას დამნაშავეთა აგრესიისაგან.⁷ რაც შეეხება სასჯელის შეფარდებით სპეციალური მიზნის მიღწევას, ვფიქრობთ, რომ იგი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით. თუ სასჯელის სახედ შერჩეულია თავისუფლების აღკვეთა, მსჯავრდებულს რეალურად აღეკვეთება ახალი დანაშაულის ჩადენის ფიზიკური შესაძლებლობა (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დამნაშავე სასჯელალსრულებით დაწესებულებაში ჩაიდენს ახალ დანაშაულს). ამას გარდა, მსჯავრდებულზე ფსიქიკურ ზემოქმედებას ახდენს უკვე შეფარდებული სასჯელი. პირმა თავის თავზე იწვნია დანაშაულის ჩადენის სავალალო შედეგი და ეს გარემოება გამაფრთხილებელ ზეგავლენას მოახდენს მის მომავალ ქცევაზე. თუმცა, აქაც უნდა ითქვას, რომ სპეციალური პრევენცია ყოველთვის არ არის დანაშაულის რეციდივის პანაცეა.

სპეციალური პრევენციის მიზანი მიღწეული იქნება, თუ დასჯილი პირი აღარ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. შესაძლოა, რომ მისი ქცევა არ შეესაბამებოდეს საზოგადოებაში გაბატონებულ თანაცხოვრების წესს, მან ჩაიდინოს სხვა სახის სამართალდარღვევა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, აღარ აღიქმება როგორც სასჯელის მიზნის მიუღწევლობა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სპეციალური პრევენციით სასჯელის მიზნის მიღწევის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ რეციდიული დამნაშავეობის მაჩვენებელი მიუკერძოებლად მიუთითებს, რომ კერძო პრევენციის განხორციელება იშვიათად ამცირებს დანაშაულის შემთხვევებს.

რაც შეეხება მკაცრ სასჯელებს, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სასჯელის ეკონომიის პრინციპის თანახმად, ისინი ძვირად ღირებულია, ხშირად დამნაშავეის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობისათვის მავნეა, ხოლო მისი გამოყენების შედეგი (სარგებელი) საკმაოდ საეჭვო. ამ თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, მკაცრი სასჯელი უფრო იშვიათად უნდა იყოს შეფარდებული.

სავსებით სამართლიანად გვეჩვენება სასჯელის მიმართ იმ მეცნიერთა მიდგომა, რომლებიც სასჯელში გულისხმობენ დამნაშავეობის კონტროლირების ოპტიმალური დონის მიღწევას. სასჯელმა უნდა შეაკავოს ზიანის მომტანი ქმედება იმაზე მეტი ზიანის გამოწვევის გარეშე, რის პრევენციასაც ის თავად ახდენს. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმ-

დეგო მოსაზრება. მისი ავტორები თვლიან, რომ სასჯელის გამკაცრება რიგ შემთხვევაში, იწვევს მძიმე დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირებას და ამიტომ ეფექტიანი და მიზანშეწონილია. ამგვარი შედეგი პრაქტიკით თითქოს ვერ საბუთდება, საჭიროა ამა თუ იმ სისხლის სამართლის კანონისა და მისი შეფარდების პრაქტიკის სისტემური შესწავლა, რაც საკმაოდ რთულია. ამიტომაც, ბოლომდე მართებულად ვერ ჩავთვლით ამ ავტორთა პოზიციას, სასჯელის გამკაცრებით პრევენციის ეფექტიანობის მიღწევის შესახებ.

მაგრამ ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ სასჯელის გამკაცრებამ შესაძლოა დადებითი გამაფრთხილებელი ზეგავლენა მოახდინოს დამნაშავეობის შემცირებაზე, თუ სასჯელის მეშვეობით ხდება საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობათა დაცვა. ამ დებულების დასადასტურებლად შეიძლება მოვიტანოთ საქართველოში საკმაოდ გახმაურებული მაგალითი (კაკაბეთი).

ნიშანდობლივია, რომ ამგვარი ქმედების კრიმინალიზაციამ და სასჯელის გამკაცრებამ დადებითი შედეგი გამოიღო. ადამიანის გატაცების ფაქტები მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც იმას მოწმობს, რომ საზოგადოებაში მიღებულმა და გაბატონებულმა საერთო თანაცხოვრების წესების დანაშაულებრივმა ხელყოფამ თვით საზოგადოების წევრების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ამ შემთხვევაში დანაშაულის შემცირება გამოიწვია არა სასჯელის შიშმა, არამედ საზოგადოების უმრავლესობის მიერ ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩამდენთა საყოველთაო გაკიცხვამ.

ახალმა კოდექსმა უარი თქვა სასჯელის მიზნად მსჯავრდებულის დასჯის მიჩნევაზე და სასჯელის ერთ-ერთ მიზნად სამართლიანობის აღდგენა დაადგინა. სამართლიანობის აღდგენა თავის თავში გულისხმობს დამნაშავისათვის სამართლიანი სასჯელის შეფარდებას, რაც თავის მხრივ, საზოგადოებაში გაბატონებული მორალის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. სასჯელის შეფარდება არ შეიძლება ეფუძნებოდეს სამართლიანობის აბსტრაქტულ იდეას და ტალიონის პრინციპის განხორციელებას. სამართლიანი განაჩენი უნდა იყოს დამნაშავის რაციონალური, მიზანშეწონილი დასჯა, რაც ხელს შეუწყობს დამნაშავეობასთან წარმატებულ ბრძოლას, კანონების, ასევე, საერთო თანაცხოვრების წესების სათანადო დაცვას, მომავალში დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.

როგორც ჩანს, სამართლიანობის ცნება ფაქტობრივად, სასჯელის სხვა მიზნებისაგან განყენებული არ არის. იგი თავისი არსით სასჯელის სხვა მიზნების განხორციელებასაც ემსახურება; თუმცა, სამართლიანობის ცნება უფრო ფართოა და მასში ბევრი სხვა რამ არის ჩადებული. სასჯელის სამართლიანობაში უნდა ვიგულისხმოთ სასჯელის შეფარდების სამართლებრივი გადაწყვეტა, საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მოტანა და შესაძლებლობის ფარგლებში, სადამსჯელო ღონისძიებათა ეკონომიური გამოყენება.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში სამართლიანი სასჯელის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის სწორად შერჩევის პრინციპს, რაც სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. სამწუხაროდ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ გზას ბოლომდე არ ადგას. არც თუ ისე იშვიათად გვხვდებოდა შემთხვევები დამნაშავეთა მიმართ (განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მიმართ) ისეთი სადამსჯელო ღონისძიებათა გამოყენებისა, რომლებიც არ შეესატყვისება ჩვენს მიერვე საკანონმდებლო წესით დადგენილ სასჯელის მიზნებს.

ცხადია, რომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მხილებული პირები სათანადოდ უნდა იყვნენ დასჯილნი. მაგრამ მათ მიმართ სასჯელის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მთელი რიგი ისეთი გარემოებებისა, რომლებიც პირდაპირ სისხლის სამართლის კოდექსით,

კერძოდ, სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისებით არის გათვალისწინებული (მუხ. 53).

დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებით სამართლიანობის აღდგენის მიზანი რომ განხორციელდეს, მისი გამოყენება დეტერმინირებული უნდა იქნას. ეს კი, შეუძლებელია სასამართლო საქმიანობის სფეროში იმ საშუალებათა ღრმა ანალიზის გარეშე, რომელიც სისხლის სამართალს აქვს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომით შესაძლებლობა გვეძლევა აღმოვაჩინოთ არსებული ნორმატიული მასალისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების როგორც ძლიერი, ისე ჩრდილოვანი მხარეები.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, სასჯელის ერთ-ერთ და უდავოდ, უმთავრეს მიზნად აღიარებულია დამნაშავის რესოციალიზაცია. პროფ. გურამ ნაჭყებია სასჯელის მიზნად რესოციალიზაციის საკითხის განხილვისას, კვლავ ხაზს უსვამს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარების რეალურ მნიშვნელობას. იგი თვლის, რომ დამნაშავის აღზრდის პრობლემის გადაწყვეტისას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, ვინაიდან მის გარეშე ვერ განხორციელდება ბრალეულთა პიროვნულ თავისებურებათა გათვალისწინება.⁸ ამ მიზნის მიღწევის გარეშე სისხლის სამართლის სასჯელს აზრი ეკარგება და იგი სამაგიეროს მიზლის სახესხვაობად გადაიქცევა.

მეცნიერებს შორის დღესაც სხვადასხვა პოზიციას დაფიქსირებული ე. წ. თანდაყოლილ და გამოსწორებელ დამნაშავეთა შესახებ, რომელთა რესოციალიზაცია, ანუ მათი საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ თანაცხოვრების წესებისადმი შეგუება მეტად საეჭვოა. არსებობს ე. წ. დამნაშავეობის ბიოკრიმინოლოგიური თეორია, რომელიც იქამდე მიდის, რომ ადამიანში „დანაშაულის გენის“ არსებობასაც კი აღიარებს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის გარკვეული რისკი არსებობს. ამ რისკის დადგენა ხშირად შესაძლებელია. ამიტომ რეაბილიტაციის მეთოდის დროული და სათანადო გამოყენებით ეს რისკი მინიმუმამდე შეიძლება იყოს დაყვანილი. რისკის დონის შემცირება შესაძლებელია საპატიმრო ან არასაპატიმრო პროგრამის ფარგლებში, კერძოდ, საგანმანათლებლო, შრომითი ჩვევის გამომუშავების, სხვა გამასწორებელი ზემოქმედების გამოყენების მეშვეობით.

რისკის მაღალი დისკრეციულობის განსაზღვრა მეტად რთულია. უცხოეთში განხორციელებულმა მთელმა რიგმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ იმ დამნაშავეებს, რომელთაც ერთი და იგივე დანაშაული თითქმის ერთნაირ პირობებში ჩაიდინეს, სხვადასხვა მოსამართლემ საკმაოდ განსხვავებული სასჯელი დაუნიშნა, იგივე ტენდენცია აისახა პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა მიმართ. დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასების სირთულის გამო, ის დამნაშავე, რომელიც კონტროლირებად საპატიმრო გარემოში დადებით შეფასებას იმსახურებდა, თითქმის გამოსწორებული იყო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნებული კი, მრავალ პრობლემას ქმნიდა, მაშინ, როდესაც სხვა მსჯავრდებულმა, რომელიც ნაკლებად ეგუებოდა პატიმრობის რეჟიმს, ზოგჯერ არღვევდა კიდევ მას, გათავისუფლების შემდეგ აშკარად უფრო ადვილად მოახდინა ადაპტაცია და უკეთ შეეგუა საზოგადოებაში დადგენილ საერთო ცხოვრების წესს.

ამგვარი პარადოქსული დასკვნა სახელმწიფოს, სამართალდამცავ ორგანოებსა და მეცნიერებს უყენებს ამოცანას, უფრო ღრმად ჩაწვდნენ დამნაშავის რესოციალიზაციის პრობლემის არსს, ერთობლივად შეიმუშაონ და ცხოვრებაში გაატარონ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებელს გახდის სასჯელის უმთავრესი მიზნის – რესოციალიზაციის მიღწევას.

ბევრჯერ თქმულა, რომ სასჯელის გამკაცრება, როგორც წესი, დადებით შედეგს იწვევს; პირიქით, ადამიანი ეჩვევა სისასტიკეს, რაც დამლუპველად მოქმედებს საზოგადოების

წევრებისა და მათ შორის, არასრულწლოვანის ფსიქიკაზე. მთავარია, რომ სასჯელალსრულების სისტემაში, კერძოდ კი, თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილებში, ყველა პირობა იყოს შექმნილი, რათა არასრულწლოვან დამნაშავეზე სამართლიანი მიდგომით და პიროვნებისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავებით მის ფსიქიკაში გარდატეხა მოხდეს, რაც მისი რესოცი-ალიზაციის რეალური საფუძველი იქნება.

აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი მართლმსაჯულების ორგანოები თითქმის (ან საერთოდ) არ იყენებენ არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე მუხლით გათვა-ლისწინებულ აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებით ღონისძიებებს. კოდექსის 90-ე მუხლში პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ „არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუ-ხისმგებლობისაგან, თუ მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორება მიზანშეწონილია აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით.“ 91-ე მუხლით კი, დაკონკრეტებულია ამ ღონისძიებათა სახეები. სასამართლო პრაქტიკა მის გამოყენებას გვერდს უვლის, რაც სასა-მართლო საქმიანობის ნაკლოვან მხარედ უნდა ჩაითვალოს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართვე-ლოს მთავრობის ერთობლივი პროგრამის ქვაკუთხედი. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა რეფორმის მიზნით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის კანონის დამრღვევ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციასა და მათ საზოგადოებაში რეინტეგრაციას, რაც სასჯელის უმნიშვნელოვანეს მიზნად გვევლინება.

სასჯელის მიზნებისა და არასრულწლოვანთათვის მისი შეფარდების მეტად რთული პრობლემის განხილვამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საშური საქმეა ამ საკით-ხებზე კვლევის გაგრძელება და მიღებული შედეგის ცხოვრებაში გატარება. მთავარია, რომ ყველა ის თეორიული დებულება, რომელიც მეცნიერულ კვლევაზე იქნება დაფუძნებული, მისაღები იყოს ჩვენი საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოებისათვის. აუცილებლად გასათვალისწინე-ბელია სასჯელის მიზნების პრობლემაზე განვითარებული ქვეყნების მეცნიერთა ახლებური ხედვა და ის ტენდენცია, რომელიც აღდგენითი მართლმსაჯულების სახელით არის ცნობილი.

სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე, მოსამართლემ სასჯელის შეფარდების სახისა და ზომის განსაზღვრისათვის, უპირველესად, უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სისხლის სამართ-ლის კოდექსის 53-ე მუხლში მითითებული სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისებით. ამ მუხლში, მართალია, ზოგადად, მაგრამ მაინც განსაზღვრულია ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს მოსამართლე დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდების დროს. რაც შეეხება მოსამართლის მიერ სასჯელის შეფარდების საკითხთან დაკავშირებულ ტერმინს, ქართველი კანონმდებელი მას „სასჯელის დანიშვნას“ უწოდებს. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექს-ში აღნიშნულია, რომ სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ზოგადი ნაწილის დებულებების გათვალისწინებით.

ვერ დავეთანხმებით პროფ. ი. დვალიძის პოზიციას, რომელსაც მიაჩნია, რომ სასჯელის და-ნიშვნაში „იგულისხმება არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებული საქმიანობა, არამედ დანაშაულისათვის სხვა სისხლისსამართლებრივი შედე-გების განსაზღვრული პროცესიც.“⁴⁹ ავტორი ძალიან აფართოვებს სასჯელის დანიშვნის ცნების განმარტებას, რამდენადაც მასში გულისხმობს პირობითი მსჯავრის დანიშვნას, არასრულწლო-ვანისათვის აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებას და სხვ. მის მიერ ნაგულისხმევი დანაშაულისათვის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგის განსაზღვრის პროცესი,

კერძოდ, ზემოაღნიშნული მაგალითები ვერ მოთავსდება არა მარტო „სასჯელის შეფარდების“, არამედ „სასჯელის დანიშვნის“ ცნებაშიც კი (თუნდაც, პირობითი მსჯავრი, რომელიც არ წარმოადგენს სასჯელის სახეს). ეს ნათლად არის ჩამოყალიბებული სსკ-ის მე-11 თავში, რომლის სათაურია „სასჯელის დანიშვნა“. ცხადია, რომ სავესებით მართებულად, მასში არ იგულისხმება ისეთი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი, როგორიცაა პირობითი მსჯავრი ან აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებები.

საქართველოს სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ თანაბარი სოციალური საშიშროების ხასიათის დანაშაული და დამნაშავის პიროვნების ერთნაირი მახასიათებლებისა და საქმის გარემოებათა არსებობისას, სასამართლოები არცთუ იშვიათად ადგენენ ერთმანეთისაგან განსხვავებული სახისა და ზომის სასჯელს. ზოგიერთი ეს პრობლემა საკითხის სირთულითა და მოსამართლის მიხედულებით ხსნის. მოსამართლის მიხედულება სასჯელის დანიშვნისას უნდა წარმოადგენდეს სამართლიანი სასჯელის რეალიზაციის გარანტს. ამ პრობლემის არსებობა ბევრი ფაქტორით არის განპირობებული, რომელთა შორის ერთ-ერთი ფაქტორია რამდენიმე შესაძლებელი და კანონიერი გადაწყვეტილების არჩევა.

მოსამართლის მიხედულების აქტუალობის პრობლემა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას, მათ შორის, მოსამართლის პოზიცია შეიძლება ეფუძნებოდეს იმ სამართლის ნორმას, რომელიც სასამართლო პრაქტიკის მიერ არჩეულია და გამოიყენება სადავო სიტუაციაში; მას შეუძლია გააკეთოს არჩევანი სამართლებრივი პოზიციის სასარგებლოდ ან არსებული სასამართლო პრაქტიკის არგუმენტაციის გასამყარებლად. ყველა შემთხვევაში, სასჯელის შეფარდების ფარგლები განსაზღვრულია კანონით. ამიტომაცაა, რომ მატერიალური სისხლის სამართალი და საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს ანიჭებს უფლებას კანონზე დაყრდნობით განსაზღვროს სასჯელის სახე და ზომა თავისი შინაგანი რწმენისა და სამართლებრივი შეგნების ფარგლებში.

სასჯელის დანიშვნისას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები ვერ წყვეტენ პრობლემას. სასამართლოს უხდება მოქმედებდეს და ეყრდნობოდეს არსებულ სასამართლო პრაქტიკას, პირად გამოცდილებას. ამიტომაც, ამ ამოცანის გადაწყვეტა ხშირად დაკავშირებულია მოსამართლის შემოქმედებით და პროფესიულ პოტენციალზე.

სასჯელის დასაბუთებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქმეზე არსებულ მტკიცებულებათა ანალიზს, ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის განხილვის შედეგად, უტყუარად დადასტურებულ მტკიცებულებათა სანდოობასა და მათ ჯეროვან შეფასებას, ასევე დანაშაულებრივი ქმედების ზუსტ კვალიფიკაციას.

სასჯელის ზომის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის პერსონალურ ბრალს, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ხარისხს, პირის გამოსწორების შესაძლებლობას და ამავე დროს, საზოგადოების სოციალური დაცვის აუცილებლობას.

სასჯელის დანიშვნის სისწორე, უპირველესად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დანაშაულის კვალიფიკაციის სიზუსტით. თუმცა, სამართლიანი განაჩენის დასადგენად, დანაშაულებრივი ქმედების სწორი კვალიფიკაცია საკმარისი არ არის. აქ მოსამართლეს ევალება შედარებით განსაზღვრულ სანქციებსა და ალტერნატიულ სასჯელს შორის შეარჩიოს სწორედ კონკრეტული პირისათვის სანქციის ის სახე და ფარგლები, რაც მისი ღრმა რწმენითა და კანონზე დაყრდნობით უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ხარვეზი, რაც სსკ-ში გვხვდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის არსებობას საქართველოს სსკ სავესებით სამართლიანად დაუშვებლად მიიჩნევს. მით უმეტეს, რომ მისი არსებობა რეალურად გულისხმობს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის უგულებელყოფას.

ამისდა მიუხედავად, დღესდღეობით, სსკ-ში არსებობს რამდენიმე მუხლი, რომელიც თუმცა, სასჯელის ალტერნატიულ სახესაც ითვალისწინებს, მაგრამ თავისუფლების აღკვეთის დადგენისას, მას აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის სახეს აძლევს: მაგალითად, არცთუ დიდი ხნის წინათ, სსკ-ის დამატა 238¹-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცივი იარაღის ტარებისათვის. ამ მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ექვსი თვის ვადით.

უფრო შთამბეჭდავია მე-200² მუხლი, რომელიც აქციზური მარკების გამოყენებას ეხება: პირველი ნაწილით, სასჯელის ზომად განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ნ თვემდე, მაშინ როდესაც თავისუფლების აღკვეთის ვადის ათვლა იწყება ექვსი თვიდან.

სამართალშემფარდებლის მართლშეგნება, როგორც სამართლებრივი იდეოლოგიისა და სამართლებრივი ფსიქოლოგიის ურთიერთგანმსაზღვრელი ერთიანობა გადაწყვეტილების მიღების სუბიექტურ საფუძველს წარმოადგენს. იგი მოსამართლისათვის მინიჭებული უფლების რეალიზების არსებითი ელემენტია, მაგრამ უნდა ეყრდნობოდეს სისხლის სამართლის ნორმების გამოყენების ობიექტურ საფუძველს.

სასჯელის დანიშვნის დისკრეცია არსებობს მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიმღებს შეუძლია არჩევანი გააკეთოს ორ ან მეტ სამართლებრივად დასაშვებ ვარიანტს შორის იმგვარად, რომ იგი გავლენას ახდენდეს სისხლის სამართლებრივ სანქციაზე, რაც მოსამართლის რწმენით შეიძლება დაენიშნოს დამნაშავეს. ამიტომაც არის, რომ კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრისას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის მართლშეგნებას – გამოიყენოს დიფერენცირებული სასჯელისა და მისი ზომიდან ყველაზე შესაფერისი.

სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ მოსამართლეთა გარკვეული ნაწილი ამა თუ იმ სასჯელის სახისა და ზომის შეფარდების დასასაბუთებლად შემოიფარგლება ხოლმე სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალით და სათანადოდ არ იხილავს ამ გარემოებებს. ცხადია, გვხვდება კარგად დასაბუთებული განაჩენებიც, სადაც დაწვრილებით და სიღრმისეულად არის აღწერილი დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები. პირველ ყოვლისა, სასჯელის შეფარდებისას მოსამართლე უნდა ეფუძნებოდეს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ცხოვრებაში გატარებას. ფაქტობრივად, ეს პრინციპი სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში გათვალისწინებულ მოთხოვნებს უდევს საფუძვლად.

კანონმდებელი სსკ-ის 53-ე მუხლის ჩამოყალიბებით, ხაზს უსვამს სამართლიანი სასჯელის შეფარდების სავალდებულო ხასიათს. მოსამართლეს უნდა ახსოვდეს, რომ უფრო მკაცრი სასჯელი მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამრიგად, ჩვენი კანონმდებელი გვთავაზობს ისეთ კონცეფციას, რომელიც აწესებს სასჯელის შეფარდების შეზღუდვას მინიმალური ინტერვენციის პრინციპის სასარგებლოდ. ამიტომ მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასჯელთა უფრო ხშირად გამოყენება, რომლებიც არ არიან დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

მართალია, ეს ნორმა არ იძლევა ერთხელ და საბოლოოდ დადგენილ ყველა იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას, კონკრეტული დანაშაულისა და მისი ჩამდენის ყველა პირობისა და გარემოების გათვალისწინებით, მაგრამ იგი იძლევა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის იმ ზოგად კრიტერიუმს, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლოს შეუძლია სამართლიანი სასჯელის დანიშვნა.

სასჯელის ინდივიდუალიზაცია გულისხმობს სასამართლოს მიერ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლის სამართლის კანონის, საქმეზე არსებული ყველა გარემოების ზედმიწევნით შესწავლისა და თავისი შინაგანი რწმენით განმტკიცებული კონკრეტული სასჯელის ღონისძიების განსაზღვრას.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობა სისხლის სამართლის პოლიტიკაში მისი გამოყენების თვალსაზრისით, განხილულ უნდა იქნას მატერიალური სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისა და ევროკავშირის ქვეყნების სისტემებთან ჰარმონიზაციის კუთხით.

სისხლის სამართლის პოლიტიკა პრაქტიკულად, მიზნად ისახავს საზოგადოებაში დანაშაულის ფენომენის შემცირებას. ამ მიზანს ემსახურება პრევენციის ზომები, როგორც რეაქცია ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ. მასში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის ადეკვატურობას, ანუ სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი რეაქცია დანაშაულზე ინდივიდუალიზებული უნდა იქნას. სასჯელის ინდივიდუალიზაცია არა მხოლოდ სამართლიანი სასჯელის დადგენის პრინციპია, არამედ კანონისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნის შესრულების ეფექტიანობის აუცილებელი პირობა. ამიტომაც, სისხლის სამართლის პოლიტიკასა და სისხლის სამართლის სისტემაში სასჯელის ინდივიდუალიზაცია ზოგადი პრინციპის სტატუსის დონემდეა აყვანილი. ფაქტობრივად, იგი ასეა ასახული ევროპული ქვეყნების მატერიალურ სისხლის სამართალში.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი 132-24-ე მუხლში ადგენს ინდივიდუალიზაციის ზოგად კრიტერიუმს, მიუთითებს რა, რომ სასამართლოს კანონით დადგენილ ფარგლებში გამოაქვს სასჯელი, რომელიც ეფუძნება და ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის გარემოებებსა და დამნაშავეს პიროვნებას.

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მითითებული სასჯელის ინდივიდუალიზაციის ზოგად კრიტერიუმებზე, თუმცა, მასში სასჯელების სამართლებრივი ჩარჩო ძალიან ფართოა, რაც ხელს უწყობს სასჯელის დანიშვნისას მის ინდივიდუალიზაციას ქმედებისა და დამნაშავე პიროვნების მახასიათებლებიდან გამომდინარე.¹⁰

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაცია მუშაობს სისხლის სამართლის სისტემაში და იგი სრულ ჰარმონიაშია სისხლის სამართლის პოლიტიკასა და სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებთან.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის გათვალისწინებული ნორმის სავალდებულო დისპოზიციის ფარგლებში. თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დღეს არსებული 55-ე მუხლი იძლევა შესაძლებლობას, რომ სასამართლომ დანიშნოს შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებთან დაკავშირებით შექმნილმა კომისიამ წამოაყენა წინადადება ამ მუხლის მოქმედების სფეროს გაფართოების შესახებ, რაც უთუოდ მისასაღებელია.

უნდა შევნიშნოთ, რომ მოსამართლეთათვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება როდია მხოლოდ რეკომენდაცია, რასაც კანონმდებელი სთავაზობს სასამართლოს, არამედ მისი ვალდებულებაა, რისგანაც მას თავის არიდება არ შეუძლია. მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას უნდა გაითვალისწინოს პიროვნების სუბიექტური მახასიათებლები. სასამართლომ არ უნდა განიხილოს დამნაშავე როგორც აბსტრაქტული დანაშაულის სუბიექტი, რომელიც ყველა ფორმალური პირობების გათვალისწინებით პასუხს აგებს სისხლის სამართ-

ლის წესით; არამედ როგორც ცოცხალი ადამიანი თავისი ინდივიდუალური ნიშნებით; ადამიანი, რომელიც მოქმედებს განსაზღვრულ საზოგადოებრივ გარემოში, აქვს წარსული ცხოვრება და ა. შ. შესაძლოა, რომ სხვადასხვა პირს ერთი და იგივე ხასიათის დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, მაგრამ ეს განპირობებული იყოს კონკრეტული პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. ამიტომ საქმის გარემოებათა ღრმა ანალიზის საფუძველზე, ჯეროვნად უნდა დასაბუთდეს, თუ რამ განაპირობა ამ დანაშაულისათვის პრიორიტეტის მინიჭება, მის მიმართ დასჯისადმი დიფერენცირებული მიდგომა, რეპრესიული ხასიათისა და ხარისხიდან გამომდინარე, სასჯელის ზომის გაძლიერება თუ შემცირება.

სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას სავალდებულოა დადგინდეს ჩადენილი დანაშაულის სოციალური საშიშროება, რაოდენ საფრთხის შემქმნელი იყო იგი საზოგადოებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია, დანაშაულით განხორციელებული ქმედების შედეგი.

მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის წარსული ცხოვრება. მასში უნდა ვიგულისხმოთ ყოველივე ის, რაც დანაშაულის პიროვნებისათვის იყო დამახასიათებელი, როგორც საჯარო ურთიერთობებში, ისე პირად ცხოვრებაში: მისი ზნეობრივი სახე, მისი მიდრეკილება ამორალური ქცევის განხორციელებაზე, ურთიერთკავშირები საზოგადოების წარმომადგენლებთან. ყურადღება უნდა მიექცეს პიროვნების ეკონომიკურ მდგომარეობას (განსაკუთრებით, თუ ჩადენილია ეკონომიკური დანაშაული). პიროვნების მახასიათებლის განსაზღვრავად მნიშვნელობა ენიჭება ოჯახურ ურთიერთობებსაც. მის სურვილს საზოგადოებაში დაბრუნების თაობაზე.

დანაშაულის პიროვნების შესაფასებლად მნიშვნელოვანია დადგინდეს მისი ქცევა დანაშაულის ჩადენისას (ნაგულისხმევია, დანაშაულის ჩადენის ხერხი, საშუალება), ასევე, ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ. აქ მოსამართლის განსასჯელია, რა მოიმოქმედა დანაშაულმა მას შემდეგ, რაც განახორციელა დანაშაული (ამჯერად, მნიშვნელობა არა აქვს, დანაშაული განზრახ არის ჩადენილი, თუ გაუფრთხილებლობით). შესაძლოა, რომ დანაშაულის ქმედება დანაშაულის ჩადენის მცდელობისა თუ დანაშაულის დამთავრების შემდეგ იყოს არაადეკვატურიც (რაც განპირობებულია მძიმე შედეგით). მთავარია, რომ სასამართლომ ნათლად დაინახოს, რომ დანაშაულმა ცდილობდა თავიდან აეცილებინა შედეგი, დახმარებოდა დაზარალებულს, გამოიძახა სასწრაფო დახმარების მანქანა, შევლა სთხოვა სხვა პირებს და ა. შ. ყოველივე ეს მიუთითებს დანაშაულზე პიროვნების დადებით მხარეებზე და გასათვალისწინებელია სასჯელის შეფარდების დროს.

სასჯელის დაკისრებისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო ხელყოფის ობიექტს, არამედ ასევე, იმ ხერხსა და საშუალებას, რომელიც გამოიყენა დანაშაულმა დანაშაულის განხორციელებისას. ქმედების შემადგენლობიდან მხოლოდ ობიექტი წარმოადგენს გამონაკლისს, ვინაიდან დანაშაულის ამ ნიშანს ყოველთვის კანონმდებელი განსაზღვრავს და მიაკუთვნებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეულ ჯგუფს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია ხელყოფა. ქმედების განხორციელების ხერხის ზუსტ განსაზღვრას რიგ დანაშაულებში კვალიფიკაციისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (მაგალითად, სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და სხვა მრავალი), ამიტომ მოსამართლის ვალია სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღოს ეს გარემოება.

რაც შეეხება დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას, აქ მართალია პირი ქმნის რეალურ საფრთხეს კანონით დაცული ობიექტისათვის, მაგრამ დანაშაულებრივი შედეგი სახეზე არ არის. ამიტომ, ჩვენი კანონმდებლობით (მუხ. 56) დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, ცალკეული სტადიის განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასამართლომ გულდასმით უნდა შეისწავლოს ის გარემოებები, რომელთა გამოც დანაშაული ბოლომდე არ

იქნა მიყვანილი. თუ დადგინდება, რომ დამნაშავემ მხოლოდ პირობები მოამზადა დანაშაულის ჩასადენად და აღარ განაგრძო დანაშაულებრივი ქმედება, როცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა და ამით სამართლებრივ სიკეთეს ზიანი არ მიაყენა, სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას ინდივიდუალიზაციის ზოგადი კრიტერიუმებიდან გამომდინარე, უნდა დაასაბუთოს სასჯელის გარკვეული სახისა თუ ზომის შეფარდების მიზანშეწონილობა და შედარებით ღმობიერი სასჯელის განსაზღვრა. მაგრამ თუ საქმე ეხება ისეთი დანაშაულის მომზადებას, რომელიც თავისთავად უკვე დასჯადია, ვინაიდან ამგვარი ქმედება უკვე მომზადების სტადიაზე მომეტებული საფრთხის შემცველია, ცხადია, კანონმდებელი მას დამთავრებულ დანაშაულად აცხადებს (მაგალითად, საქართველოს სსკ-ის მუხ. 404, რომლითაც დასჯადია აგრესიული ომის მომზადება). მოსამართლემ სასჯელის ზომის განსაზღვრისას კონკრეტული დანაშაულის არსიდან გამომდინარე, უნდა გაითვალისწინოს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საშიშროება და მთელ რიგ სხვა არსებულ გარემოებათა საფუძველზე შეურჩიოს დამნაშავეს სასჯელის ზომა. შესაძლოა სასჯელის ზომის შემცირება მიზანშეწონილიც არ იყოს.

სსკ-ის 53-ე მუხლში პირდაპირი მითითებაა, რომ სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. ეს მოთხოვნა სავალდებულოა მოსამართლისათვის. ასეთი ზოგადი დებულების შემდეგ, კანონში კონკრეტულად ჩამოთვლილია რიგი გარემოებებისა, რაც გასათვალისწინებელია მის მიერ.

როდესაც კანონში პირდაპირ არის მითითებული ესა თუ ის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოება, სასამართლოს უკვე აღარ აქვს უფლება სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღოს იგივე გარემოება. ასეთ პირობებში სასჯელის ინდივიდუალიზაცია უკვე სხვა კრიტერიუმების მეშვეობით უნდა იყოს განსაზღვრული, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებს წარმოადგენენ. მაგალითად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ხშირად ვხვდებით ისეთ დამამძიმებელ გარემოებებს, როგორიცაა მაგალითად, ძარცვის ან კიდეც, მითვისება-გაფლანგვის დროს „რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია“ მის სავალდებულო ნიშნად შედეგის გამოცხადებას. კანონმდებლობით ძარცვა მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევია მაშინაც კი, თუ ნაძარცვის ღირებულება ორასი ლარი ან კიდეც ცხრა ათასი ლარია. ცხადია, რომ სასამართლო ვალდებულია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, გაითვალისწინოს დამამძიმებელი გარემოების ფარგლებში სასჯელის კონკრეტული სახე და ზომა. სასამართლომ ასევე, სხვა არსებულ გარემოებებთან ერთად (მაგალითად, დამნაშავეს ინვალიდობა, ოჯახის მარჩენლობა და სხვა) დამნაშავეს თავისუფლების აღკვეთა შეუფარდოს ან მის მიმართ გამოიყენოს სასჯელის სხვა, უფრო მსუბუქი სახე.

კანონმდებელს არ შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს ყველა შესაძლო გარემოებანი და ნიშნები, რომელიც შეიძლება წარმოშვას პრაქტიკამ. სასამართლოს ფუნქციას წარმოადგენს სწორედ ის, რომ ამა თუ იმ დანაშაულისათვის დამახასიათებელი თავისებურება არსებულ კანონზე დაყრდნობით გამოიძიოს და კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით შეაფასოს ისინი. მოსამართლე სასჯელის შეფარდებისას არ უნდა შემოიფარგლოს ზოგადი ფრამით მიზანშეწონილობის შესახებ, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაასაბუთოს მის მიერ არჩეული სასჯელის ზომის გამოყენების მოტივაცია და საფუძველი.

სასჯელის დანიშვნა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას, გათვალისწინებულია სსკ-ის 54-ე მუხლში. იგი არეგულირებს შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას, კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის

მაქსიმალური ვადის ან ზომის სამი მეოთხედის დანიშვნის წესს. ამ მუხლში ჩამოთვლილია ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებანი, რომლებიც სასამართლოს აძლევენ შესაძლებლობას გამოიყენოს ის შეღავათი, რაც ამავე მუხლშია მითითებული. კონკრეტულად მასში ნათქვამია, რომ დამნაშავეს უმსუბუქებს პასუხისმგებლობას, თუ იგი გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას. ამავე დროს ხაზგასმულია, რომ არ უნდა არსებობდეს დამამძიმებელი გარემოებები. სსკ-ის 54-ე მუხლიც საკმაოდ ზოგადია, მასში არ არის ასახული მრავალი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც შეიძლება ახლდეს დანაშაულის ჩადენას. აქ არ იგულისხმება ის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც სპეციალურად არის მითითებული რიგ დანაშაულთა მოდელირებასას, ეს თავისთავად, ცხადია. ასეთებია მაგალითად, დამნაშავეს ჯანმრთელობის მდგომარეობა, ორსულობა, მცირეწლოვან ბავშვთა ან ღრმად მოხუც მშობელთა არსებობა, სამხედრო ვალდებულების უმწიკვლოდ შესრულება, ნებაყოფლობითი დახმარება სათანადო ორგანოებისათვის დანაშაულის იარაღისა და შესაბამისი მტკიცებულების ამოღებაში და სხვა მრავალი. ამ პირველი-ორი შემთხვევისათვის ვერ გამოგვადგება კოდექსის 74-ე მუხლი, რომელიც აწესრიგებს სასჯელისაგან გათავისუფლებას ავადმყოფობისა ან ხანდაზმული ასაკის გამო ან 75-ე მუხლი, რომელიც ორსული ქალისათვის სასჯელის მოხდის გადავადებას გულისხმობს. ამ შემთხვევებში საუბარია უკვე დანიშნული სასჯელისაგან გათავისუფლებას ან გადავადებაზე. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული გარემოებანი არ თავსდებათ სსკ-ის 54-ე მუხლის შინაარსში, ასევე, სახელდებით არ არიან მინიშნებული 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში, მათ შესაძლოა უშუალო გავლენა მოახდინონ სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის (პროექტის მიხედვით) ან სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელის შეფარდებაზე. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და არც ყველა მათგანის არსებობა არის აუცილებელი იმისათვის, რომ სასამართლომ იმსჯელოს დამნაშავე-სათვის შეღავათის მიცემის შესახებ.

მოსამართლემ შესაძლოა რაიმე სხვა დამამძიმებელი გარემოების არსებობისასაც კი, მიაკვლიოს ისეთ გარემოებას, რომელიც ნაწილობრივ მაინც ანეიტრალედეს დამამძიმებელ გარემოებას. მაგალითად, მიყენებული ქონებრივი ზიანის ნებაყოფლობით და უფრო მეტადაც ანაზღაურება; მიწოდებული ინფორმაციის ან ჩვენების უტყუარობა და სისრულე; დროული დახმარება, დახმარების მასშტაბი; ოჯახის წევრებისათვის შექმნილი საფრთხის რისკი და სხვა.

პირის ნასამართლობა, როგორც დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსით რიგ დანაშაულებშია გათვალისწინებული. ეს გასაგებიც არის, როდესაც დამნაშავეს მიერ ჩადენილი დანაშაული სერიოზულია. მაგრამ თუ პირის მიერ ადრე ჩადენილი დანაშაული ნაკლებად მძიმე ან საერთოდ, გაუფრთხილებლობით არის ჩადენილი, სასამართლოს, საქმის გარემოებიდან გამომდინარე, უნდა შეეძლოს შედარებით ნაკლები სიმძიმის სასჯელის დანიშვნა.

დანაშაულის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენის შემთხვევაშიც კი, ამა თუ იმ დამნაშავეს როლი უნდა გამოიკვეთოს. თუ დადგინდება, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის ესა თუ ის წევრი აღიარებს დანაშაულს, თანამშრომლობს გამოძიებასთან და დადგინდება თანამშრომლობის დადებითი შედეგი, სასამართლომ ეს უნდა გაითვალისწინოს და ასახოს მის მიერ გამოტანილ განაჩენში.

კანონმდებლის ნებით, მოსამართლე შეზღუდულია დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, ვინაიდან სსკ-ის 58-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას, მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ამ დანაშაულისათვის დადგენილ მინიმალურ სასჯელს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის გარკვეული რისკი არსებობს. ამ

რისკის დადგენა ხშირად შეუძლებელია. ამავ დროს სასჯელის დანიშვნისას რისკის მაღალი დისკრეციულობის განსაზღვრა მეტად რთულია.

უცხოეთში განხორციელებულმა მთელმა რიგმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ იმ დამნაშავეებს, რომელთაც ერთი და იგივე დანაშაული თითქმის ერთნაირ პირობებში ჩაიდინეს, სხვადასხვა მოსამართლემ საკმაოდ განსხვავებული სასჯელი დაუნიშნა. იგივე ტენდენცია აისახა პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა მიმართ.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ მოსამართლემ გაიზიაროს ქართულ სისტემაში „მინიმალური ჩარევის“ ინტეგრირების პრინციპი და მასზე დაყრდნობით არსებული კანონმდებლობის საფუძველზე დანაშაულის რეციდივისათვის სასჯელის შეფარდებისას, გაითვალისწინოს პირის მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის ყველა გარემოება და თუ ესა თუ ის ინდივიდუალური გარემოება შესაძლებლობას იძლევა, არ გადაუხვიოს კანონს, მაგრამ გამოიყენოს ნაკლებად სასტიკი და არა უფრო სასტიკი სასჯელის ზომა. ფორმალიზებული ზღვარის არსებობამ აუცილებლობის გარეშე მოსამართლე არ უნდა მიიყვანოს სასჯელის გამკაცრებამდე.

სპეციალურად არ ვჩერდებით დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის შეფარდების პრობლემაზე, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის სრული შეკრების წესი შეიცვალა და ამჯერად პარლამენტში კვლავაც დგას საკითხი ამ ნორმის შეცვლის თაობაზე.

მოსამართლისათვის განსაკუთრებით ყურადსაღებია არასრულწლოვან დამნაშავეისათვის სასჯელის შეფარდებისას, მის ასაკთან დაკავშირებული სპეციფიკის გათვალისწინება. არასრულწლოვნების მიმართ ოპტიმიზებული უნდა იქნას სამართალშეფარდებითი პრაქტიკა. ზოგიერთი სასამართლოს მიერ ამ შემთხვევაშიც სრულად არ გამოიყენება სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნა სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესახებ, რაც დაუშვებელია.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, სასამართლო ორ კრიტერიუმს უნდა დაეყრდნოს. ერთი მხრივ, ცხადია, რომ სახელმწიფო კიცხავს დანაშაულის ჩადენის ყველა ფაქტს მისი ჩამდენი სუბიექტის მიუხედავად, მეორე მხრივ კი, სახელმწიფო ჰუმანურ დამოკიდებულებას ავლენს არასრულწლოვანთა მიმართ, ითვალისწინებს რა, მათი სოციალიზაციის დონესა და პიროვნულ მახასიათებლებს.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმისა და დამნაშავე პიროვნების თანაფარდობა დიფერენცირებული უნდა იქნას ასაკობრივ კატეგორიასთან დაკავშირებით. მოზარდთა პიროვნული თავისებურებანი უფრო მეტად უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, ვიდრე ყმაწვილთა ასაკისა, ხოლო ამ უკანასკნელთა თავისებურებანი უფრო მეტად, ვიდრე ზრდასრული დამნაშავეებისა. არასრულწლოვანია როგორც 17, ისე 14 წლის ადამიანი, მაგრამ მათ ფსიქიკურ განვითარებასა და პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი ზღვარია. სწორედ ამიტომაც, სასამართლო უნდა შეეცადოს, ისევ და ისევ ყველა გარემოებათა გათვალისწინებით გამოიჩინოს ლიბერალიზმი და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიუსაჯოს მათ თავისუფლების აღკვეთა.

კანონმდებელი სსკ-ის 53-ე მუხლში მიუთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველს იძლევიან ჩავთვალოთ ისინი ან შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებად. მაგალითად, დამნაშავე ჩადის ისეთ ქმედებას, რომელიც თუმცა კანონსაწინააღმდეგოა, მაგრამ არსებითად ამცირებს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. მაგალითად, დამნაშავეს მიერ დაზარალებულისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა უმაღლეს დანაშაულის ჩადენის შემდეგ ან იგი მოქმედებს ისეთი პირადული მოტივით, რაც დაკავშირებულია მისი ახლობლის ჯანმრთელობის გადასარჩენად; სახელდობრ, მძიმე ცხოვრებისეულ გარემოებათა დამთხვევისას, იძულებულია ხელყოს სხვისი საკუთრების უფლება; სამსახურებრივი დამოკიდებულების გამო

იძულების ზეგავლენით ჩაიდინოს დანაშაული; მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევის საპასუხოდ დაარღვიოს სისხლის სამართლის კანონი და სხვა.

საპირისპიროდ, ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის მოტივი ქვენაგრძნობაა. მაგალითად, ანგარება, შურისძიება და სხვა. ამიტომაც ხშირად, დანაშაულის ჩადენის მოტივის განსაზღვრას და მის დასაბუთებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქმედების სწორი კვალიფიკაციის განსაზღვრისას, ისე სამართლიანი სასჯელის შეფარდებისას.

სასამართლომ ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის დადგენისას სათანადოდ უნდა დაასაბუთოს ჯგუფურ დანაშაულში ყველა მონაწილის როლი. სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკაში ერთგვაროვნად არ არის გაგებული თანაამსრულებლის ცნება და შინაარსი, თუმცა, მოსამართლეთა მიერ გამოტანილ განაჩენებში უმეტესწილად კვალიფიკაცია სწორია. სსკ-ის 22-ე მუხლი განმარტავს, რომ ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობს არა მარტო ის, ვინც ფიზიკურად უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში, ასევე ის პირი, რომელიც ქმედების ჩადენის უშუალო პროცესში ხელს უწყობს ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში (მაგალითად, პიროვნება, რომელიც კარს დარაჯობს, რათა არავინ შევიდეს სადარბაზოში, როდესაც იქ ადამიანს კლავენ, თანაამსრულებელია და არა დამხმარე).

საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გასათარებლად მიზანშეწონილია, რომ მოსამართლემ სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთის არჩევისას გაითვალისწინოს დამნაშავის რესოციალიზაციის ეფექტიანობა.

კაცობრიობას ჯერ არ ძალუძს უარი თქვას თავისუფლების აღკვეთაზე როგორც სასჯელის ღონისძიებაზე, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შესუსტდეს სასჯელის ნეგატიური თვისებები. განსაზღვრული ვადით თავისუფლების აღკვეთის ზოგადპრევენციული როლი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალასპექტიანი მოვლენაა. ჩვენს სინამდვილეში სასჯელის ინსტიტუტში რეალიზებულია ისეთი იდეები, რომლებიც საშუალებას იძლევიან შევამციროთ მკაცრი სასჯელების გამოყენება. სასამართლომ უნდა გამოიყენოს გონივრული ალტერნატივა და შესაძლებლობის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა შეცვალოს სხვა არასაპატიმრო სასჯელით.

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენის ენას, მასში გამოყენებულ ტერმინოლოგიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი უნდა იყოს დაწერილი მარტივი, გასაგები და კარგი ქართული ენით; არ უნდა იყოს გადატვირთული ისეთი უცხოური ტერმინებით, რომლებიც ქართული სამართლისათვის დამახასიათებელი არ არის.

შენიშვნები:

- ¹ ამ საკითხზე იხ.: Г. Ткешелиадзе, Судебная практика и уголовный закон, Тб., 1975, стр. 96–114; გ. ტყეშელიაძე, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრის შესახებ; სერგი ჯორბენაძე – 70, საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ. 405.
- ² ალ. ვაჩიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი, 1960, გვ. 7.
- ³ ამ საკითხზე იხ.: А. А. Пионтковский, Курс советского уголовного права, т. III, стр. 243–244.
- ⁴ Richard S. Frase, Punishment purposes, Stanford Law Review, Vol. 58:67, October, 2005, p. 72.
- ⁵ Richard S. Frase, Punishment purposes, Stanford Law Review, Vol. 58:67, October, 2005, p. 72.
- ⁶ И. Анденес, Наказание и предупреждение преступлений (перевод с английского), М., 1979, стр. 77.
- ⁷ Matthew Lippman, Contemporary Criminal Law: Concepts, Cases and Controversies, 2004, p. 55–60.
- ⁸ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 100.
- ⁹ ი. დვალაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 68.
- ¹⁰ იხ.: Jon Ifrim, Various Techniques of Individualising Punishments in the New Criminal Law, Proceedings of the Challenges of the Knowledge Society Conference, Volume 2011, p. 101.

GOALS OF PUNISHMENT AND CRIMINAL AND CRIMINOLOGICAL ASPECTS OF SENTENCING

MZIA LEKVEISHVILI

Emeritus of the Tbilisi Ivane Javakhishvili State University

The article discusses the concept and goals of punishment, and the significance of its proper imposition for meeting its goals. Goals of punishment are defined by the functions of the state and objectives of combating the crime faced by the state.

The author tries to substantiate the reasonability of legitimacy of definitions of goals of punishment as stipulated in the Criminal Code of Georgia.

Based on the opinions of Georgian and foreign researchers, the article provides a brief overview and evaluation of theories related to this issue; and studies the importance of the restoration of justice, general and private prevention, re-socialization of criminals and the goal of punishment. Special emphasis is laid on the ineffectiveness of applying strict punishments, and grounds of this opinion based on the judicial practice.

Besides, the author briefly discusses the theory on inherent and incorrigible criminals. There is a certain risk of reoffending by the convict, but this risk can often be minimized by the proper application of a rehabilitation method. Discussion of very complicated problems of reaching the goals of punishment applied to the juveniles proves once again how important and necessary it is to continue researching these issues.



Due to the goals of punishment, the article lays a special emphasis on the type and size of sentence imposed by a judge. There is a special chapter in the Criminal Code dedicated to the sentencing rule, but sometimes its reasoning is not perfect in practice. The judgment does not duly reflect the obligation of applying the principle of individualized punishment while imposing a sentence of a certain type or size to a person.

And last but not least, we should conclude that negative features of a sentence should be reduced within the limits of evaluation of actions of all the individuals. In accordance with our legislation, there are some ideas realized in the institute of punishment, which provides possibility to reduce the application of strict punishments. The court should use a reasonable alternative and substitute the deprivation of liberty by other non-custodial sentence; to whatever extent it is possible.

ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცებისათვის

მზა გოცირიძე

სამართლის დოქტორი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი,
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
პროფესორი

საქართველოს კონსტიტუცია და სხვა მოქმედი კანონმდებლობა სამუშაოდ, არ ქმნის საკმარის წინაპირობებს იმისათვის, რომ ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაგულისხმევი ხარისხით განხორციელდეს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, **კონსტიტუციის შესაბამის მუხლში გაჩნდეს ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი კონსტიტუციური დებულებები უნდა განიმარტებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე.** კარგი იქნება, თუ საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში, განხილული იქნება ეს წინადადება.

გემოაღნიშნული წინადადება ემყარება შემდეგ მოსაზრებებს:

საქართველოს კონსტიტუციის მე-1 მუხლის მე-2 ნაწილით უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობა ყველა სხვა ნორმატიულ აქტთან, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებასთან თუ შეთანხმებასთან მიმართებაში. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას მხოლოდ მაშინ აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაც, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, მხოლოდ ამ პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში იძენს უპირატეს იურიდიულ ძალას შიდა აქტებთან

მიმართებაში. შესაბამისად, ასეთ პირობებში, ცხადი ხდება, რომ იურიდიული თვალსაზრისით, ევროპული კონვენცია მხოლოდ მაშინ ასრულებს საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დაცვის სისტემის ეფექტიანი მექანიზმის როლს, როდესაც უზრუნველყოფილია მასთან ადამიანის უფლებათა სფეროში საქართველოს კონსტიტუციური დებულებების სრული შესაბამისობა.

ცხადია, ადამიანის უფლებათა სფეროში საქართველოს კონსტიტუციური დებულებები *prima facie*, შეესაბამება ევროპულ კონვენციას, მაგრამ რთული იქნებოდა იმის დაბეჯითებით მტკიცება, რომ კონსტიტუციურ უფლებათა შინაარსი და მათი ფარგლები, როგორადაც ისინი არის (ან მომავალში იქნება) განმარტებული ქართული სასამართლოების მიერ და მით უფრო, მათი გამოყენების პრაქტიკა, ყოველთვის შეესაბამება კონსტიტუციით ნაგულისხმევ შინაარსს და მით უფრო – ევროპულ მიდგომებსა და სტანდარტებს.

იმავდროულად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ მაშინაც კი, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა და მათი გამოყენების პრაქტიკა სრულად შეესაბამება კონსტიტუციას, გამორიცხული არ არის კონვენციის დარღვევა, თუ თავად კონსტიტუცია აღმოჩნდება კონვენციასთან შეუსაბამო. ევროპული კონვენციის ზედამხედველობა ხომ მთელ შიდა კანონმდებლობაზე ვრცელდება, კონსტიტუციის ჩათვლით.

თავისთავად, შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების „კონსტიტუციურობა“, ცალკე აღებული, არ წარმოადგენს კონვენციის დარღვევის აღიარებისაგან რაიმე იმუნიტეტს და საქართველო ვერ გაიმართლებს თავს კონვენციის ორგანოების წინაშე გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის არგუმენტით, თუ თავად კონსტიტუციის შესაბამისი დებულება ან მისი განმარტება არ შეესაბამება კონვენციის სულისკვეთებას, სტანდარტებსა და მიდგომებს, ანდა პრაქტიკაში იწვევს კონვენციასთან შეუთავსებელ შედეგებს. **საერთაშორისო სამართალი ადგენს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს მიუხედავად იმისა, თუ რა იერარქიული ადგილი ენიჭება მას შიდასახელმწიფოებრივ დონეზე; რომ სახელმწიფო ვერ დაეყრდნობა თავის შიდა სამართალს, მათ შორის, იმ ნორმატიულ აქტს, რომელსაც შიდასახელმწიფოებრივ დონეზე აქვს უფრო მაღალი იერარქიული ადგილი, ვიდრე საერთაშორისო ხელშეკრულებას, რათა არ შეასრულოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები.** საერთაშორისო სამართლის ეს წესი ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზეც. ამგვარად, სახელმწიფო ვერ დაეყრდნობა თავის შიდა სამართალს, კონსტიტუციის ჩათვლით, რათა თავი აარიდოს კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას.

კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს უფლებათა დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი დაადგინოს, ვიდრე ამას კონვენცია ითვალისწინებს, მაგრამ უფრო დაბალი სტანდარტის დაწესება უთუოდ გამოიწვევს კონვენციის დარღვევის აღიარებას. არადა, ვინაიდან საქართველოში კონსტიტუციას უფრო მაღალი რანგი აქვს, ვიდრე კონვენციას, შიდა სასამართლოებს, კონვენციასთან კონსტიტუციის შეუსაბამობის შემთხვევაში, სრული უფლება აქვთ დაეყრდნონ კონსტიტუციას და არა კონვენციას. ასეთი გადაწყვეტილებები იქნება კონსტიტუციური, მაგრამ კონვენციის საწინააღმდეგო. შესაბამისად, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებით, საქართველო მაინც დაარღვევს კონვენციის 1-ლი მუხლით ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებას, რისთვისაც შესაბამისად, დაეკისრება საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნას კონსტიტუციის დებულებების იმგვარი განმარტება, რომელიც საქართველოს აარიდებს კონვენციით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არაერთია ისეთი შემთხვევა, როდესაც დადგინდა წინააღმდეგობა ევროპულ კონვენციასა და ქვეყნის კონსტიტუციას შორის, რასაც შედეგად მოჰყვა ამ ქვეყნის კონსტიტუციებში ცვლილებების შეტანა კონვენციასთან მისი ჰარმონიზაციის მიზნით.

სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია გონივრულად და მიზანშეწონილად, საკუთრივ კონსტიტუციამ მიუთითოს, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში კონსტიტუციურ დებულებათა განმარტება და მათი შინაარსის დაზუსტება უნდა ხდებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართლის საფუძველზე. ეს დაავალდებულებდა საქართველოს სასამართლოებსა და სხვა უწყებებს, კონსტიტუციურ დებულებათა განმარტებისას, პირდაპირ დაყრდნობოდნენ ევროპულ კონვენციას და ეხელმძღვანელათ მისი სტანდარტებით. ცხადია, ასეთი რამ ახლაც არ არის აკრძალული, უფრო მეტიც: ეს სავალდებულოც კი არის გამოდინარე იქიდან, რომ კონვენცია, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილს,¹ უშუალოდ მოქმედ სამართალს, რომელიც პირდაპირ წარმოშობს უფლებებსა და მოვალეობებს ეროვნულ დონეზე, ხოლო ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აძლევს უფლებას, დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები კონვენციის საფუძველზე, მათ შორის, სასამართლოში.

ამის მიუხედავად, ცნობილია ისიც, რომ საქართველოს სასამართლოებში კონვენციის გამოყენება ეგზომ მწირი, არასაკმარისი და არაადეკვატურია შესაბამისი სამართლებრივი კულტურისა და ტრადიციების ნაკლებობისა თუ სხვა მიზეზთა გამო, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადამიანის უფლებათა გაგებასა და გააზრებას ევროპული კონვენციის ტრილში. ეს კი, საბოლოოდ, აბრკოლებს თანამედროვე ევროპული მიდგომების დამკვიდრებას ქართულ სამართალში, მათ შორის, შეფასების თავისუფლების იმ ფარგლებშიც კი, რომელსაც საკუთრივ კონვენცია ანიჭებს ეროვნულ სახელმწიფოებს მათი სუვერენიტეტის, ინდივიდუალური სპეციფიკის, სამართლებრივი კულტურისა და ტრადიციების შიდა სამართალში გათვალისწინების მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

მხედველობაში ისიც მისაღებია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით უზრუნველყოფილი დაცვა სუბსიდიურია, ანუ დამატებითი, რაც ნიშნავს, რომ **უპირველესად, სწორედ ეროვნული სახელმწიფოები არიან ვალდებული, უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა დაცვა იმ სტანდარტით, რასაც კონვენცია გულისხმობს.** ეს არის ის საერთაშორისო ვალდებულება, რომელიც კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს და მათ შორის, საქართველოსაც აქვთ ნაკისრი კონვენციის 1-ლი მუხლით.

ამ ვალდებულების შესრულების ქმედითობისათვის კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ ქვეყნის კონსტიტუციის კონვენციასთან სრული შესაბამისობა. არაერთმა ქვეყანამ დიდი ხანია გადადგა ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით. ზოგიერთმა ქვეყანამ ევროპულ კონვენციას მიანიჭა ქვეყნის კონსტიტუციაზე უფრო მაღალი ან კონსტიტუციის თანაბარი იერარქიული ადგილი,² ხოლო იმ ქვეყნებში კი, სადაც კონსტიტუციის უზენაესობა იქნა შენარჩუნებული, გადაიდგა სხვა ქმედითი ნაბიჯები კონვენციის ეფექტიანი აღსრულებისათვის,

კერძოდ, თავად უზენაესმა ან საკონსტიტუციო სასამართლოებმა დაადგინეს, რომ შიდა ნორმების განმარტება უნდა მომხდარიყო კონვენციისა და მისი პრეცედენტული სამართლის საფუძველზე.³

ცხადია, ეს უკანასკნელი გზაც არ არის ურიგო, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საქართველოში, სადაც პოზიტიური სამართლის დომინანტური პოზიცია ძლიერად არის დამკვიდრებული და ქართველ იურისტთა შორის შიდა პოზიტიური სამართლის ნორმებისადმი მიჯაჭვულობა უფრო ძლიერია, ვიდრე სასამართლო განმარტებების (მით უფრო, საერთაშორისო სასამართლოს განმარტებების) გავლენა, უფრო მიზანშეწონილად გვესახება, თავად კონსტიტუციამ დაადგინოს კონვენციის საფუძველზე ადამიანის ძირითად უფლებათა განმარტების სავალდებულოობა, ვიდრე საკუთრივ სასამართლოებმა, რომლებიც სარგებლობენ მიხედულების დიდი თავისუფლებით, რაც სამწუხაროდ და არცთუ იშვიათად, არაკომპეტენტური ან თვითნებური მიდგომების გამოყენებაში გადაიზრდება ხოლმე.

ამგვარად, მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციაში იმ დებულების ჩადებით, რომ ადამიანის უფლებათა განმარტება კონვენციის საფუძველზე უნდა განხორციელდეს (რაც იმავდროულად, მოსამართლეთა შესაბამის ვალდებულებებს წარმოშობს), მინიმუმამდე შემცირდება შიდა სასამართლოების მიერ კონსტიტუციისა და შესაბამისად, სხვა შიდა კანონმდებლობის განმარტება კონვენციის საწინააღმდეგოდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **უზრუნველყოფილი იქნება კონსტიტუციის განმარტება კონვენციის შესაბამისად, და ამ გზით შიდა ნორმების განმარტება კონვენციასთან შესაბამისი კონსტიტუციის საფუძველზე.**

აღსანიშნავია, რომ ეს ნაბიჯი აგვაცილებს ერთ უხერხულობასაც. ცნობილია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა, რომ საერთო სასამართლოს აქვს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის უფლება⁴. ცხადია, ასეთი წარდგინების შეტანა ევროპული კონვენციის მიმართ მიუღებელი და არაგონივრული იქნებოდა იმ შედეგების თვალსაზრისით, რაც ამ საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დადგენას შეიძლებოდა მოჰყოლოდა, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ვენის კონვენცია პირდაპირ კრძალავს იმ ხელშეკრულებათა მოქმედების შეწყვეტას, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას ისახავენ მიზნად. საქართველოს აქვს მხოლოდ კონვენციის დენონსირების უფლება, რომელიც პოლიტიკური ხელისუფლების პრეროგატივაა და არა სასამართლოსი. დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არასოდეს მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს კონსტიტუციასთან ევროპული კონვენციის შეუსაბამობის თაობაზე და ასეთ წარდგინებას არც კი მიიღებს განსახილველად. მაგრამ, ამ იმედის საფუძვლიანობის მიუხედავად, შემოთავაზებული კონსტიტუციური დამატება ამ მიმართებითაც, სერიოზულ როლს შეასრულებდა – იგი თეორიულადაც გამოირიცხავდა საქართველოს კონსტიტუციასთან ევროპული კონვენციის შეუსაბამობის საკითხის წამოჭრას, რაკი საერთო სასამართლოები, თავად გახდებოდნენ ვალდებულნი, კონსტიტუციური დებულებები სწორედ კონვენციის შესაბამისად განემარტათ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ თუ საქართველო არ წავა ევროპული კონვენციისათვის კონსტიტუციასთან შედარებით უპირატესი იურიდიული ძალის აღიარების მიმართულებით (სხვათა შორის, ასეთი ძალა მას პრაქტიკულად, ისედაც აქვს, „კონსტიტუციის უპირატესი იურიდიული ძალა“ ერთგვარად პირობითია, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღვნიშ-

ნეთ, შიდა გადაწყვეტილებების „კონსტიტუციურობა“ ვერ დაიხსნის ქვეყანას საერთაშორისო-სა-მართლებრივი პასუხისმგებლობისაგან), საუკეთესო გზად რჩება საკუთრივ კონსტიტუციაში იმის მითითება, რომ ადამიანის უფლებების თაობაზე კონსტიტუციური დებულებები უნდა განიმარტოს ევროპული კონვენციის საფუძველზე.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით უზრუნველყოფილი ადამიანის ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების შინაარსი განიმარტება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის (ევროპული) კონვენციის, მისი ოქმებისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე.

სხვა გამოსავალი იქნებოდა, თავად კონსტიტუციის მე-2 თავში მითითებული ადამიანის ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესაბამისი მუხლების ტექსტის რევიზია და მათი იმგვარი რედაქციის მიღება, რომელიც გამორიცხავდა კონვენციისაგან განსვლებსა თუ სხვადასხვაგვარი, მათ შორის, კონვენციის საპირისპირო ან ადამიანის უფლებათა უფრო დაბალი სტანდარტების დამამკვიდრებელი ინტერპრეტაციების შესაძლებლობას. მაგრამ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ ეტაპზე ადამიანის უფლებათა კონსტიტუციურ დებულებათა რევიზია არ იგეგმება და იქნებ არც იყოს საჭირო, ვინაიდან კონვენციასთან მათი სრული ჰარმონიზაცია (აშკარა წინააღმდეგობის არარსებობისას) შემოთავაზებული დამატებითაც შეიძლება იოლად მოგვარდეს.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: „საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.
- ² მაგალითად, ჰოლანდიაში კონვენციას ენიჭება ქვეყნის კონსტიტუციაზე მაღალი რანგი, ავსტრიაში – კონსტიტუციის თანაბარი რანგი.
- ³ მაგალითად, გერმანიის, ინგლისის, შვეიცარიის, კვიპროსის, პოლონეთისა და ნორვეგიის საკონსტიტუციო ან უზენაესმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ შიდა ნორმების განმარტება უნდა მომხდარიყო კონვენციისა და მისი პრეცედენტული სამართლის საფუძველზე.
- ⁴ იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება N 8/177/2, 2002 წლის 21 მაისი. ამ გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ადგილმდებარეობის შესახებ საქართველოსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის დადებული შეთანხმების სადავო დებულებები მიიჩნია კონსტიტუციასთან შესაბამისად.

FOR REINFORCING THE PROTECTION OF HUMAN RIGHTS

EVA GOTSIRIDZE

*Doctor of Law, Member of the High Council of Justice,
Professor at the Saint Andrew the First-Called Georgian
University of Patriarchate of Georgia*

This article presents an opinion that the Constitution of Georgia should create more safeguards for reinforcing the protection of fundamental human rights and for ensuring their protection with the standard approved under the European Convention of Human Rights. The author considers that there should be a proposal on making respective amendment in the Article 39 of the Constitution during the process of constitutional reform. She considers that this Article should contain a wording that the contents of basic civil and political rights and freedoms of an individual, which are secured under the Chapter Two of the Constitution, should be defined on the ground of the (European) Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, its protocols and the case law of the Strasburg Court. It is clarified that on one hand, given the supremacy of the Constitution over all the other normative acts, including the international treaties, and on the other hand, attachment of Georgian judges to the internal positive norms and in the absence of the tradition of applying the international case law, Georgia will be able to meet its international obligations under the Article 1 of the European Convention on Human Rights only this way, after imposing the obligation to define the constitutional provisions in the field of basic rights on the grounds of the European Convention.

ღირსების საჯაროსამართლებრივი ცნების მოცულობა

მიხეილ ბიჭია

სამართლის დოქტორი, თსუ-ის მოწვეული ლექტორი,
სდასუ-ისა და თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

1. შესავალი

ღირსების საჯაროსამართლებრივი ცნების მოცულობის დადგენას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული დატვირთვა აქვს. კვლევა აქტუალურია თეორიული თვალსაზრისით, ვინაიდან საკითხი ძირითადად, განიხილება სხვადასხვა თეორიული პრობლემისაგან დამოუკიდებლად მაშინ, როცა აღნიშნული მჭიდროდ უკავშირდება ადამიანურ ღირსებას. ამასთან, ადამიანის ღირსება ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სათანადოდ შესწავლილი არ არის, რის გამოც რთულია ადამიანური ღირსების საჯაროსამართლებრივი ცნების განსაზღვრა, თუმცა, სხვადასხვა თეორიის კრიტიკული ანალიზი იძლევა საფუძველს, გამოიკვეთოს ღირსებაში ასახული სფეროები.

შესაბამისად, კვლევის მიზანია, დადგინდეს ადამიანური ღირსების ცნების მოცულობა, ღირსების დაცვის უფლებასა და სხვა პიროვნულ უფლებებს შორის მიმართება. მოცემული დეტალის შესწავლით გაირკვევა, არის თუ არა ღირსებასთან დაკავშირებული სოციალური ასპექტები სამართლის ნორმებში ასახული და ღირსების რომელი სფეროებია აღნიშნული ნორმებით უზრუნველყოფილი. მაშასადამე, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, უნდა წარმოჩინდეს ღირსების სოციალურ და იურიდიულ საფუძვლებს შორის მიმართება. აქვე უმნიშვნელოვანესია, პირველ ყოვლისა, ღირსების კონსტიტუციურსამართლებრივი

ცნების განსაზღვრა, შემდეგ კი, მისი როლის გამოკვეთა ზოგადად, ღირსების დაცვის სფეროში. მოცემული ასპექტი ხელს შეუწყობს საჯარო სამართლით დაცული ღირსების სფეროების დადგენას, რის შემდეგაც შესაძლებელია ღირსების საჯარო და კერძოსამართლებრივი დაცვის სპეციფიკის გამოჩენა. ეს ეხება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შერჩევასა და მისთვის დამახასიათებელი წინაპირობების ჩვენებას, რაც მის პრაქტიკულ მნიშვნელობას ადასტურებს.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომი არის მცდელობა, სოციოლოგიური, შედარებითსამართლებრივი, ნორმატიულ-დოგმატური, ლოგიკური მეთოდებისა და სხვადასხვა თეორიის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, განისაზღვროს ღირსების საჯაროსამართლებრივი ცნების მოცულობა.

2. ტერმინის „ღირსების“ ეტიმოლოგია

ტერმინი „ღირსება“ თავისი არსით, უკავშირდება ზედსართავ სახელს „ღირებული“, რომელსაც ფესვები ინდოევროპულ ენათა ჯგუფში მოეძებნება. ამ გაგებით, „ღირსება“ ზოგიერთ ენაში (მაგალითად, დანიურ ან შვედურ ენებში) განიხილება, როგორც „ღირსეულობა“ ან „ღირებულება“. თუმცა, ღირსება და ღირებულება არ შეიძლება სინონიმებად განიხილებოდეს, ვინაიდან ღირსება ღირებულების სპეციფიკური სახეა, ღირებულება კი, გვარეობითი ცნებაა.¹

რაც შეეხება ტერმინის – „ღირსების“ წარმოშობას, ის წარმოდგება ლათინური სიტყვისგან „decus“ და ნიშნავს განსაკუთრებულობას, პატივისცემას, ბრწყინვალეობას. ზოგადად, ღირსება პირის ინდივიდუალობის პატივისცემის მზაობაა, ანუ უნარისა თუ ღირებულების შეუდარებლობა. ამ გაგებით, ადამიანურ ღირსებაში იგულისხმება პიროვნების მდგომარეობის პატივისცემა, რომელიც ადამიანის უფლებათა საფუძველი და ღვთისაგან ბოძებული რაობაა.² „ღირსებაში“ მოიაზრებდნენ უპირატესობას, აღმატებულობას, მკობნელობას მის გვარში ან იმ მოვლენათა შორის, რომლებიც იმავე დანიშნულებას ემსახურება. ადამიანური ღირსება ეხება არსებით ნიშან-თვისებას, რითაც ადამიანი განსხვავდება სხვისაგან და გაიგება, როგორც უპირატესობა ღირებულებისა და პროგრესის გარკვეული სკალისა და კრიტერიუმის მიხედვით. ღირსებაში ასევე, მოიაზრება სინდისისადმი შესატყვისობა, რომლის შეფასების ობიექტური კრიტერიუმი სამართლიანობაა. სინდისი და ღირსება თვითშეფასების ფენომენებია. ადამიანის სინდისის დაკნინება შეიძლება თვით ამ ადამიანის მიერ მოვალეობის უხეშად დარღვევით, ასევე, განიხილება ღირსება. პიროვნების შელახვის ნებისმიერი მცდელობა მაშინვე ქრება, როგორც კი, პიროვნება იწყებს თავდაცვისათვის ბრძოლას.³ ამდენად, გამოიყოფა ღირსების ორი სახე – „ადამიანური ღირსება“ და „პირადი ღირსება“. ადამიანური ღირსების გრძნობა თვით ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს და ერთნაირად აქვს ყველა ადამიანს, განურჩევლად ნებისმიერი ნიშნისა.⁴ ადამიანის უფლებათა კონცეფციისათვის ამოსავალია ბუნებითი, განუყოფელი ადამიანური ღირსების ცნება. პირადი ღირსება მიიღწევა კეთილშობილური საქციელით, კეთილი საქმეებით და ილახება უღირსი, სულმდაბალი ქცევით.⁵

ამდენად, ადამიანს შეიძლება ბევრი პირადი ღირსება ჰქონდეს, თუმცა, ადამიანური ღირსება მხოლოდ ერთია – ის, პირადი ღირსებისაგან განსხვავებით, გვარეობითი ხასიათისაა და აუცილებლად უკავშირდება ადამიანის ღირსეულობას. იდეალისაკენ მიმართული პიროვნების ღირსებაა, რომ ადამიანური ღირსების არსია არა უბრალოდ ადამიანის თავისუფლება, არამედ

ადამიანის თავისუფალი ღირსეულობა — საზოგადოებაში დადგენილი ნორმებისა და იდეალების დაცვა-ხელშეწყობა.⁶ ცხადია, რომ ღირსების დასახელებული ორივე შემთხვევა საინტერესოა, თუმცა, ამ ნაშრომის ფარგლებში ძირითადად, აქცენტი ადამიანურ ღირსებაზე გაკეთდება.

3. მოძღვრება ღირსების შესახებ

3.1. პოლისცენტრული თეორია ღირსების შესახებ

ღირსება სხვადასხვა თეორიით განსხვავებულადაა ახსნილი. ერთ-ერთი კონცეფციის თანახმად, ღირსება უკავშირდება პოლის-სახელმწიფოს არსს. როგორც ცნობილია, ანტიკურ საბერძნეთში პოლის-სახელმწიფოს ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ მამაკაცები. ამასთან, აქ საუბარი ეხებოდა მამაკაცის ღირსებას. ასევე განისაზღვრა, რომ ქალებსა და მონებს არ ჰქონდათ მართვის უფლება, ანალოგიური პოზიცია იყო გაზიარებული რომშიც. ამ გაგებით, ღირსება ახსნილია სქეს-თა შორის განსხვავების პრინციპის მიხედვით.⁷ მოცემულ თეორიაში ღირსება განსაზღვრულია მოქალაქეობის ცნების დახმარებით, რაც ეფუძნება იმ სამყაროს უტოპიურ ხედვას, რომელშიც ყველა ადამიანი იქნებოდა ბედნიერი.⁸ მოქალაქეობა არის პირის პოლიტიკურსამართლებრივი კავშირი სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების ერთიანობით, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას.⁹ ამ გაგებით, ყველა ადამიანის (მოქალაქის) ბედნიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სახელმწიფოებრივად უყურებენ ისინი გარეშე მოვლენებს. აღნიშნული გარემოებების გამო, მოცემულ კონცეფციას ჰქვია პოლისცენტრული თეორია. ამასთან, საგულისხმოა, რომ ეს თეორია შეზღუდულია ქვეყანაში არსებული სოციალური რეალობით, რასაც ნათლად ადასტურებს ამ კონცეფციაში განვითარებულ ორ არგუმენტაციას — კაცთა უფლებების დაცვასა (1790) და ქალთა უფლებების უზრუნველყოფას შორის წინააღმდეგობა (1792). აქ ხაზგასასმელია, რომ კაცთა უფლებების საფუძველია საფრანგეთის რევოლუციით გაცხადებულ უფლებათა დაცვა; ქალთა უფლებები დაეფუძნა დებულებას, რომ იმავე პერიოდში ქალები უუფლებონი იყვნენ და საჭიროებდნენ უფლებების აღიარებას. თუმცა, წარმოდგენილი ორივე არგუმენტაცია ადამიანის უფლებათა დაცვის გამოძახილია და გაუგებარია მათი ამგვარი დიფერენციაცია. მოცემულ თეორიაში ტერმინი „ადამიანური ღირსება“ ითვლება ლინგვისტურ იარაღად, რომლითაც პირი იძენს საკუთარი თავის პატივისცემას და აქვს პოლიტიკური გავლენა. აქ, კანტის მსგავსად, ადამიანის ღირსება განიხილება გონებასთან კავშირში; სწორედ გონების წყალობით კაცსაც და ქალსაც აქვს ღირსება.¹⁰ შესაბამისად, ყველა ადამიანს თანაბარი ღირსება აქვს, მიუხედავად მათი სათნოებისა, აქტუალური სოციალური და პოლიტიკური სტატუსისა ან სხვა ნებისმიერი ნიშნისა.¹¹ ამდენად, პოლისცენტრული მიდგომით სათანადოდ არ არის ახსნილი როგორც ჯერარსსა და არსს შორის ურთიერთმიმართება, ისე ღირსების არსი.

3.2. კოსმოცენტრული თეორია ღირსების შესახებ

არანაკლებ საყურადღებოა, ანტიკური ხანის კოსმოცენტრული თეორია, რომელზე დაყრდნობითაც, ციცერონი თვლიდა, რომ ადამიანის ღირსება უნდა განიხილებოდეს ბუნებითი

საწყისებიდან გამომდინარე. კოსმოცენტრულ მიდგომაში ამოსავალია ღირებულების შესახებ თეორიით ხელმძღვანელობა (აქსიოლოგია). აღნიშნული გაგებით, ღირებულება შეიძლება განიხილებოდეს როგორც ადამიანის ხასიათის, ისე საზოგადოების მხრიდან მისი შეფასების მიხედვით. ამ თეორიის ფარგლებში, პირები გათანაბრებული არიან, თუმცა, ისინი ერთმანეთი-საგან ღირებულების ნიშნითაც განსხვავდებიან. ამდენად, მხედველობაშია მისაღები, რომ პირები არ არიან თანასწორნი და სამართალი მათ ჰყოფს სხვადასხვა „axia“-ს მიხედვით. ამ გაგებით, საკვანძო წერტილად აღიარებულია „dignitas humanas“-ს იდეა. ციცერონის აზრით, ღირსება პიროვნული დამსახურებების პატივისცემაა, მაგრამ ამავე დროს, ის ხაზს უსვამს სამართლიანობის იდეას, ხოლო სამართლიანობა გონების ჩვევაა, რომელიც ყველას უპირატესობას ანიჭებს დამსახურების მიხედვით. ამდენად, ადამიანის ღირსება გონების წყალობით ავალდებულებს ადამიანებს, იდგნენ მხეცებზე მაღლა და მართონ მსოფლიო, გადაინაწილონ ფაქტობრივი ძალაუფლება ღმერთებთან; აქ მნიშვნელოვანია, რომ ღმერთები და ადამიანები ინაწილებენ სამართალსა და კანონს. ამ გაგებით, კეთილდღეობა უნდა გაიყოს იმავე ფორმით, როგორც კოსმოსი და სამყარო. ბუნებაში ასევე, არსებობს უთანასწორობა, რაც გამოკვეთს სხვებთან შედარებით ზოგიერთი ადამიანის გაცილებით მეტ დამსახურებას. ამავდროულად, ღირსება კოსმოცენტრულ ფარგლებში ეხება მმართველობის პრეროგატივას, ანუ იმ პირთა სტატუსს, რომლებიც მმართველობაში არიან ან თვითონ მათ მდგომარეობას.¹² ანტიკურ რომში ღირსება უკავშირდებოდა საჯარო პირის მდგომარეობას ანუ ღირსების მატარებლის განსაკუთრებულ სტატუსს, მისი თანამდებობრივი ფუნქციიდან გამომდინარე.¹³

როგორც ჩანს, ეს თეორია ღირსების ჯერარსის ბუნებას გამოკვეთს, ვინაიდან უკავშირდება მის არარეალურ (კოსმოსურ) სამყაროში განხილვას. ეს მნიშვნელოვანია ღირსების შინაარსობრივი დატვირთვის (აღმატებულობა) ხაზგასასმელად, თუმცა, ღირსებით მოცული სფეროები მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლება, არამედ შეეხება სხვა რეალურ თუ იდეალურ ასპექტებსაც, რომლებიც ამ თეორიაში არ გვხვდება. ამიტომ მოცემული კონცეფცია მონისტური ხასიათისაა.

3.3. ქრისტოცენტრული თეორია ღირსების შესახებ

ადამიანური ღირსება ასევე, განხილულია ქრისტიანული შეხედულებების ჭრილში. სახელდობრ, შუა საუკუნეებში თომა აქვინელმა ჩამოაყალიბა ქრისტოცენტრული თეორია, რომლითაც ადამიანის ღირსება ახსნილია იესო ქრისტესთან მჭიდრო კავშირში.¹⁴ ქრისტიანებში ადამიანი, მისი განსაკუთრებული როლისა¹⁵ და ადამიანში პიროვნული საწყისის არსებობის გათვალისწინებით, ასოცირდება ქრისტეს ხატთან.¹⁶ აქ გამორჩეული ადგილი უკავია ადამიანს, როგორც ღვთაებრივი შემოქმედების გვირგვინსა და ღვთის ხატს; მას აქვს უკვდავი სული და თავისუფალი ნება. ცოდვის ჩადენით პირი, პირველ ყოვლისა, შეურაცხყოფს საკუთარ ქრისტიანულ ღირსებას. ყველას ევალება დაიცვას თავისი ღირსება უღირსობისაგან და პატივი სცეს სხვის ღირსებას.¹⁷

აღნიშნული შეხედულების მიხედვით, თომა აქვინელი პიროვნებას მიიჩნევს „ღირსებით გამორჩეულ სუბიექტად.“ ღირსება ინდივიდუალიზმის ნიშნით განსაზღვრავს სუბიექტის არსს და ინდივიდის პიროვნებად გარდაქმნისათვის წარმოადგენს უმთავრეს ელემენტს. ამდენად, ქრისტოცენტრულ თეორიაში ადამიანური ღირსება გარკვეულწილად იდეალური მოვლენაა.¹⁸ მართალია, ამ კონცეფციით გამოკვეთილია ღირსების დიდი მნიშვნელობა, ღირსების ცნებაში

კი, გარკვეულწილად აისახება რელიგიური დამოკიდებულებაც, მაგრამ ღირსების მხოლოდ რელიგიურ ტრილში განხილვა ნიშნავს მისი მხოლოდ ერთი რაკურსით წარმოჩენას. ამ გაგებით, ღირსება ზედმეტად გაიდელაზებულია და ადამიანი აყვანილია ღვთის რანგში. საქმე ისაა, რომ ღირსების მხოლოდ ჯერარსული ბუნების ჩვენებით არ აიხსნება ადამიანური ღირსების ძირითადი არსი, რის გამოც ვერ ხერხდება ღირსების ონტოლოგიური ბუნების განსაზღვრა.

3.3.1. თანამედროვე მოდღვრება ადამიანური ღირსების შესახებ

ა) ადამიანის ღირსების გონებრივ-მორალურ-ლიბერალური მიდგომა

თანამედროვეობის ლოგოცენტრული მოდელის მიხედვით, იმანუელ კანტმა და პიკო დელამ ღირსება ახსნეს ადამიანის უნარიდან გამომდინარე. ამასთან, ღირსება ასოცირდება სუბიექტის პატივისცემასთან, რაც ფაქტობრივად კანტის კატეგორიული იმპერატივის გამოხატულებაა. ადამიანს აქვს უნარი, შეიცნოს საკუთარი მოქმედებების მაქსიმუმის უნივერსალობის მნიშვნელობა.¹⁹ კატეგორიული იმპერატივის მიხედვით, გერმანელმა ფილოსოფოსმა კანტმა პიროვნების ღირებულება განიხილა თვითმიზნად: „იმოქმდე ისე, რომ შენს მოქმედებაში ადამიანი ყოველთვის იყოს მიზანი და არა უბრალოდ საშუალება.“²⁰ თუ ადამიანი დაკნინდება ობიექტის ან მიზნის მიღწევის საშუალების დონემდე, მაშინ იკვეთება ადამიანის ღირსების ხელყოფა. ამ გაგებით, ადამიანის სუბიექტურობა ძირითადად, უგულებელყოფილია, ხოლო ადამიანი განვითარებას მოკლებულია.²¹ საერთოდ, პიროვნების ღირსება უნივერსალური და ხელშეუხებელია. ყველა ადამიანს, განურჩევლად კანის ფერისა, რელიგიისა, სარწმუნოებისა და სხვა ნიშნისა, – აქვს ღირსება.²² ამ თეორიაში გაზიარებულია თანამედროვეობაში იტალიური რენესანსის (ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა) და ფილოსოფიური კვლევის ფარგლებში ღირსების განზოგადებული გაგება, რომლის თანახმად, ადამიანს აქვს ღირსება, რადგან მას შესწევს უნარი იაზროვნოს და მორალური თავისუფლებით იმოქმედოს.²³

ლოგიკურად შეიძლება წარმოიშვას კითხვა: რა არის ღირსების ფლობის საფუძველი? აღნიშნულთან დაკავშირებით, კანტი შენიშნავდა, რომ ღირსება ეკუთვნის ადამიანს, ვინაიდან მას აქვს უნარი, მორალური წესების დაცვაზე იყოს ორიენტირებული. ღირსება აქვთ ადამიანებს, ვინაიდან უნარიანობა ადამიანთა ბუნებრივი თვისებაა. ამიტომ აქ არაფერია ნორმატიული ხასიათის და ღირსების ფლობის ნორმატიული საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან ადამიანის ღირსება ნორმატიულად არ ყალიბდება. თუ განიხილავთ ღირსების ფლობის საფუძველის არსებობას, ეს არ შეეხება ღირსების ნორმატიულად გამყარებულ ძირითად მოთხოვნას. ღირსება ფუნდამენტია სხვა უფლებებისათვის თვით (სამართლებრივი) საფუძვლის გარეშე. აქ ადამიანები არიან ღირსებით აღჭურვილი არსებები მხოლოდ იმიტომ, რომ მათ აქვთ ღირსება (და არა იმიტომ, რომ მათ თვითშეფასების ან სხვა უნარი აქვთ). ამის ნორმატიული საფუძველი არ არსებობს.²⁴

კანტის მიხედვით, ადამიანურობა ღირსებაა, ადამიანური ღირსება კი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანს უნდა დაუკავშირდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის რჩება მიზნის გარეშე.²⁵ ადამიანისა და ნებისმიერი სალი აზრის საფუძველია ავტონომია.²⁶ თვით ღირსება განიხილება მორალურ მდგომარეობად, რომელსაც ავტონომია ეფუძნება. ამდენად, ადამიანებს აქვთ ავ-

ტონომიის უფლებები, ვინაიდან მათ აქვთ ღირსება, რაც ადასტურებს იმას, რომ ნორმატიული ძალაუფლება ადამიანებისათვის თავისთავად არსებობს.²⁷ ამდენად, კანტთან კაცობრიობის ღირსება ადამიანთა მორალურ ბუნებას ეფუძნება.²⁸

კანტმა განიხილა, კეთილი ნება და თვითმიზნობრიობა ეთიკაზე ფოკუსირებით და „საკუთარ თავში მორალური კანონის“ მიხედვით, თითოეულ ადამიანში გადმოიტანა მორალის წყარო. აქედან მომდინარეობს ღირსების გაგება, როგორც საფუძვლისა.²⁹ ნორმატიული თვალსაზრისით, ღირსება ერთი მხრივ, ადამიანის თანდაყოლილი მახასიათებელია, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის მორალური მოთხოვნაა, რომელიც ადამიანს ენიჭება მორალური ავტონომიისა და თვითმიზნობრიობის შესაძლებლობით. ღირსება უფრო განიხილება ადამიანის არსის განმსაზღვრელ აპრიორულ ნიშნად.³⁰ მაშასადამე, ადამიანური ღირსება არაა ბიოლოგიური და ინტელექტუალური, ანუ ადამიანის მორალური შედეგი, არამედ მოიაზრებს პატივისცემის უფლების მოთხოვნას, რომელიც თითოეულ ადამიანს თავისი უბრალო ადამიანური ყოფა-ცხოვრების საფუძველზე ეკუთვნის.³¹ შესაბამისად, ადამიანის მორალურ თავისუფლებასა და ადამიანთა ცხოვრებას თანასწორობის საფუძველზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ღირსების არსის განსასაზღვრას.³²

ამდენად, ადამიანური ღირსება, როგორც ღირებულება,³³ აუცილებლად მეტაფიზიკურად მის მატარებელ სუბიექტს ეკუთვნის.³⁴ ამასთან, ღირსებასა და რელატიურ ღირებულებებს შორის განსხვავება არის ის, რომ ღირსება აბსოლუტური ღირებულებაა.³⁵ სწორედ კანტისა (ღირსების ხელშეუხებლობის შესახებ) და ციცერონის შეხედულებები (ღირსეული საქციელი არის ღირსება – სათნო) თანამედროვეობაში პოულობს გამოძახილს.³⁶ ამ თვალსაზრისით, ღირსება ადამიანის უფლებების საფუძველია და განისაზღვრება, როგორც ა) პატივისცემა, ბ) სრულყოფილება, გ) ძალაუფლება და დ) მორალურად დასაშვები და შელახული პიროვნების ღირსება. აქ ადამიანური ღირსება პრინციპია.³⁷ ადამიანის ცალკეული უფლებები ქმნიან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოთხოვნების „კატალოგს“, რადგან ისინი შინაარსობრივად და ინსტიტუციურად ავსებენ ერთმანეთს. რამდენადაც ამ უფლებების საფუძველი ადამიანის ღირსებაშია, ადამიანის უფლებებს შორის ასევე, თვალსაჩინო ადგილი უკავია „განუყოფელ უფლებებს“. ეს გულისხმობს სამართლებრივ გარანტიებს, რომლებიც პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა დაიცვას; მეორე მხრივ, განუყოფლობის ცნება ეფუძნება ადამიანის უფლებათა მორალურ მოცულობას.³⁸ ამ გაგებით, ადამიანური ღირსება არის საფუძველი, საიდანაც სიტუაციის მიხედვით, ვითარდება ადამიანის უფლებები.³⁹

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციით, მსგავსად გერმანიისა, ადამიანის ღირსების ცნება ეფუძნება ღირებულებებს, რომლებიც მთლიანობაში ადამიანთა უფლებებითაა დაცულია. დაცვის მექანიზმია, რომ ადამიანის უფლებები საკუთარ თავში სხვათა მოვალეობებს გულისხმობს. რამდენადაც არსებობს მხოლოდ ერთადერთი ადამიანური ღირსება და ადამიანთა მრავალი უფლება, ადამიანის თითოეული უფლება იცავს ღირსების მხოლოდ ნაწილს. აქ სიტუაციით გაიგება ნაწილის მერეოლოგიური, ანუ მთელისა და ნაწილის დამოკიდებულების ლოგიკა. შესაბამისად, ადამიანური ღირსება და ადამიანთა უფლებები ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განსახილველი პრობლემები კი არა, არამედ პიროვნების მხოლოდ სხვადასხვა ასპექტია. ამიტომაც ზოგადად, უფლებისა და ადამიანთა კონკრეტული უფლებების ცნების

ანალიზთან დაკავშირებით მიღწეული წარმატება შეიძლება ადამიანური ღირსების გარკვევის მიღწევადაც ჩაითვალოს.⁴⁰

მაშასადამე, ღირსება გვარეობითი ხასიათისაა. ადამიანური ღირსების ცნება უნდა განისაზღვროს არა ეთიკის, არამედ სამართლისა და ყოველდღიური მორალის სიბრტყეზე; აქვე უნდა დადგინდეს ყოველდღიური მორალის ფუნქცია, ცნებათა სხვადასხვა კონსტრუქციის მიხედვით, ნორმატიული ძალა გაავრცელოს ადამიანური პრაქტიკის რეგულირებაზე.⁴¹ ამასთან, აქ ადამიანური ღირსების ბუნებითი ხასიათია გამოკვეთილი, თუმცა, ადამიანის ღირსების პრინციპის ჭრილში წარმოდგენა ადასტურებს მასში ჯერარსის საწყისის არსებობასაც. ეს ასპექტები განსაზღვრავს ღირსების საჯარო-სამართლებრივ გაგებას.

ბ) ღირსება უტოლდება პატივს?

გამოიყოფა პატივის ფაქტობრივ-სოციალური და ნორმატიული (ეთიკური და სამართლებრივი) გაგება.⁴² ფაქტობრივ პატივში მოიაზრება საზოგადოებრივი პატივისცემა, სახელი რეალურ ყოფა-ცხოვრებაში, გარშემომყოფთა შეფასება, – როგორიცაა საკუთარი ღირსების შეგრძნება, ადამიანის ქცევის თანხედომა ერთი მხრივ, მისთვის წაყენებული ზნეობრივი მოთხოვნებისადმი, მეორე მხრივ, ამ ადამიანთა აზრში.⁴³ ამდენად, პატივის ფართო გვარეობითი ცნების მოცემულ ასპექტს განიხილავენ, როგორც სოციალურ პრესტიჟს, პატივისცემას, რენომეს ან იმიჯს. ზოგჯერ მას უკავშირებენ გარეგან პატივს, კეთილ სახელს ან პოპულარობას.⁴⁴ შესაბამისად, პატივი გაიგება სოციალურ მოვლენად, რომელიც ეხება პირის აღიარებას საზოგადოებაში.⁴⁵ თუმცა, ნორმატიული გაგებით, პატივი პიროვნულ ღირსებაზე დაფუძნებული ადამიანის შინაგანი ღირსებაა.⁴⁶ ნორმატიული (ეთიკურ-იურიდიული) თვალსაზრისით, ადამიანს ეკუთვნის პატივი, მიუხედავად იმისა, იმსახურებს თუ არა თავის სოციალურ გარემოში პატივისცემას. პატივის ნორმატიული ცნება გამომდინარეობს აუცილებლობიდან (ჯერარსის – Sollens-ის სფეროდან), სხვა გარშემომყოფთა ურთიერთობაში პატივისცემის მოთხოვნიდან, რომელიც შეიძლება შესრულდეს ან შეილახოს და ფაქტობრივ-სოციალურ აღიარებაზეა დამოკიდებული. ეს გარკვეულწილად შეესაბამება შინაგანი პატივის ცნებას. ამასთან, სოციოლოგიური გაგებით, ბერგერმა და კელნერმა ეს დამოუკიდებელი პატივისცემის მოთხოვნის უფლება განიხილეს, როგორც ღირსება მაშინ, როცა პატივი ინსტიტუციურ როლსა და ამ როლის შესრულებას უკავშირდება. ამიტომ ღირსების ცნება ნორმატიულ, პატივი კი, ფაქტობრივ-სოციალურ მნიშვნელობას განსაზღვრავს. ის, რომ ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია, ეს არაა დესკრიფციული წინადადება.⁴⁷ ამდენად, პატივის სამართლებრივი ცნება უკავშირდება ადამიანის შინაგან და გარეგან შეფასებას, როგორიცაა საზოგადოების ფარგლებში მისი ღირსება, ანუ თვითაღიარება და საზოგადოებაში პიროვნების შეფასება.⁴⁸

აქედან გამომდინარე, ნორმატიული თვალსაზრისით, პატივსა და ღირსებას ახასიათებს მსგავსი მოთხოვნის უფლებები, რომლებიც აქვს ყველა ადამიანს, როგორც ადამიანს. ეთიკურ-იურიდიულად პატივი და ღირსება განეკუთვნება ჯერარსის სფეროს, ვინაიდან მხოლოდ პატივისცემის მოთხოვნის უფლებამ შეიძლება თანასწორად ჩათვალოს ადამიანები, რომლებიც ფაქტობრივი გაგებით, არათანაბარი არიან და არათანაბარი პატივი აქვთ. ამდენად, პიროვნების მიერ შექმნილი გარკვეული ფასეულობის საზოგადოებრივი აღიარება უკავშირდება პატივს. ამასთან, არ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანს არა აქვს ღირსება, რომელიც დაფასების ღირსია, მაგრამ სა-

მოგადობას ჯერ არ დაუფასებია. ადამიანის ღირსება უკავშირდება მისი ღირებულების შეგნებას და მისდამი პატივისცემას. სახელი განიხილება გარეგან, ხოლო ღირსება – შინაგან რაობად.⁴⁹

გ) ღირსების კონსტიტუციურსამართლებრივი ცნების მოცულობა

ადამიანის ღირსება აღიარებულია უზენაეს კონსტიტუციურ ღირებულებად.⁵⁰ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუხებელია. ეს ნორმა აბსოლუტური და კატეგორიული ბუნების მიხედვით, ეხება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, – ამ დებულების ხელყოფისას ჩაატაროს ყოველმხრივი და ეფექტიანი გამოკვლევა, რაც ემსახურება დარღვევის ფაქტის დადგენასა და სამართალდამრღვევის მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.⁵¹

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ პატივისა და ღირსების კონსტიტუციურსამართლებრივი ცნება ფაქტობრივად, მოიაზრებს ადამიანის პატივისცემის სოციალურ მოთხოვნილებას, რითაც მისი სოციოლოგიური მიდგომაა აღიარებული. სახელმწიფოს ამოცანაა, ადამიანი არ იქცეს მიზნის მიღწევის საშუალებად. ამ გაგებით, ღირსება განიხილება კონსტიტუციურ პრინციპად, რომელსაც ეფუძნება სხვა ძირითადი უფლებები. აქ მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი. ადამიანს ღირსება ეკუთვნის იმიტომ, რომ ის ადამიანია. ამასთან, ადამიანის ღირსების, როგორც აბსოლუტური უფლების, პატივისცემაში მოიაზრება მისი პიროვნული აღიარება, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა რაიმე საფუძვლით დაუშვებელია.⁵² ამიტომაც არ არსებობს კონსტიტუციური ნორმა (მე-17 და 46-ე მუხლები), რომელიც ღირსების შეზღუდვის შესაძლებლობას დაუშვებდა.⁵³ ამდენად, კონსტიტუციურსამართლებრივი გაგებით, ადამიანის ღირსება და მისი პიროვნული თავისუფლება, ძირითადად, ადამიანის თანდაყოლილი (და არა ნაწარმოები) უფლებებია.⁵⁴ ღირსება აქვს როგორც ნაყოფს, ისე რაიმე ფიზიკური ნაკლით დაბადებულსა თუ სულით ავადმყოფს. ადამიანის ღირსება ასევე, ვრცელდება გვამსა და გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნაზე.⁵⁵ მაშასადამე, ღირსების ამ გაგებაში აშკარად გამოკვეთილია ლოგოცენტრული თეორიის ნიშნები.

ამასთან საგულისხმოა, რომ ადამიანურ ღირსებასთან პერსონალური პატივის მჭიდრო კავშირი უნდა აისახოს პატივის კონსტიტუციურსამართლებრივ დეფინიციაში. პიროვნული პატივის უფლება, თავისი არსით, განიხილება პიროვნულ უფლებად, რადგან პატივი თავის საფუძვლებს პოულობს ადამიანის პიროვნებაში.⁵⁶ ასევე, ღირსება და სხვა ძირითადი უფლებები ხშირად გადაიკვეთება კიდევ. მაგალითად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება სხვა უფლებების მსგავსად, ადამიანის ღირსების გამოხატულებაა.⁵⁷ ამასთან, ადამიანის ღირსების პატივისცემა შეიძლება გამოიხატოს რწმენის თავისუფლებაში.⁵⁸ ღირსება ასევე, უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ნიშნებს, რომლებიც შეეხება ადამიანის იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორებს, ემყარება მათი ღირსების პატივისცემას და ადგენს დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძვლებს.⁵⁹

ღირსება ეთიკური და კონსტიტუციურსამართლებრივი გაგებით, პატივისცემის მოთხოვნის უფლებას, რომელიც ადამიანს მძიმე სამართალდარღვევითაც არ შეიძლება დაეკარგოს. ნორმატიული თვალსაზრისით, ღირსება პატივისცემის მოთხოვნის უფლებას, რომელიც ადამიანს აქვს გამო, რომ ის ადამიანია და არა ზოგადი ეთიკის, ქრისტიანული თუ პოზიტიური სამართ-

ლის საფუძველზე.⁶⁰ ამდენად, ადამიანის მიერ ღირსების ფლობა არაა დამოკიდებული იმაზე, ყველა პოტენციური რეალიზებულია თუ შეიძლება მხოლოდ რეალიზებულ იქნას; ადამიანური ღირსება ეკუთვნის ყველა ინდივიდს მხოლოდ ადამიანობის გამო და ის მხოლოდ თავისთავად არსებობს. ადამიანური ღირსების მატარებელი განკარგავს უფლებებს, რომლებიც მოვალეობებს წარმოშობს. ამავე დროს, საქმე შეეხება დაცვით უფლებებს ემბრიონზე, ნაყოფსა და ცხედრებზე თანხმობის გაცემასთან დაკავშირებით.⁶¹

ამიტომაც აღნიშნავენ, რომ კონსტიტუციით დაცული ღირსება, როგორც ტაბუ, უბრალოდ თავშეკავების აკრძალვა კი არაა, არამედ დოგმატურ ახსნას არც საჭიროებს და გულისხმობს აკრძალვის განსაკუთრებულ სტატუსს სამართლის სოციოლოგიაში, რაც მის ბუნებით ხასიათს გამოკვეთს.⁶² ეს კი, ფაქტობრივად, ღირსების საჯარო-სამართლებრივი ცნების მოცულობის გამოვლინებაა. ამასთან, ტერმინის „ადამიანური ღირსების“ გამოყენება გამართლებულია მხოლოდ საჯარო სამართლისათვის. თუმცა, რადგან ადამიანური ღირსება თავისთავად ადამიანს უნდა ჰქონდეს,⁶³ ის შეიძლება საჯარო სამართალშიც შეგვხვდეს მისი ფართო გაგების შემცველი ტერმინის „ღირსების“ სახით.

დ) ღირსება სამართლის სხვა სფეროებში

დ.ა.) ღირსება საერთაშორისო სამართალში

ღირსების დაცვის სამართლებრივ საშუალებათა შორის ანგარიშგასაწევია საერთაშორისო კონვენციები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. საერთაშორისო ხელშეკრულებათა ადგილი საქართველოს კანონმდებლობაში ძირითადად, განისაზღვრება რამდენიმე ნორმატიული აქტით.⁶⁴ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს ნორმატიული აქტია. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანია, თუ ასეთი გამოყენებით სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც ვერ მიიღებდა მისი გამოყენების გარეშე.⁶⁵ შესაბამისად, დასახელებული აქტები განსაზღვრავს საერთაშორისო სამართლის, როგორც საჯარო სამართლის დარგის,⁶⁶ დამოკიდებულებას ღირსებისადმი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროსასამართლოს პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, კონვენციაში ცალკე მუხლი არ ეძღვნება ღირსების დაცვას, თუმცა, ეხება სხვა უფლებას. სახელდობრ, ღირსება უზრუნველყოფილია პირადი ცხოვრების დაცვის ფარგლებში (ევროკონვენციის მე-8 მუხლი), რომელიც უკავშირდება პატივისცემის მოთხოვნას, როგორც პოზიტიურ ვალდებულებას.⁶⁷ იგივე შეიძლება ითქვას რეპუტაციის უფლებაზე, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ღირსებას და არაა კონვენციით ცალკე გარანტირებული, როგორც სპეციალური უფლება; რეპუტაციის დაცვის უფლება მხოლოდ მაშინ ექცევა კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის ფარგლებში, თუ რეპუტაციის შელახვა უკავშირდება კერძო და საოჯახო ცხოვრების სფეროს, რასაც ხშირად შეიძლება გამოეწვიოს ინდივიდის ღირსებისა და რეპუტაციის დაცვის კანონიერი

მოთხოვნის ნეიტრალიზება.⁶⁸ რაც შეეხება ტერმინს „რეპუტაცია“, იგი შეფასებითი კატეგორიაა. მასში მოიაზრება ადამიანის სტატუსი საზოგადოებაში და მის შესახებ შექმნილი წარმოდგენა.⁶⁹

დ.ბ.) ღირსება ადმინისტრაციულ სამართალში

ღირსების დამცავი ნორმები მისი კომპლექსური უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა. ღირსება წარმოადგენს რა, პირადი ცხოვრების დაცვის უფლების საფუძველს, ადმინისტრაციულ სამართალში⁷⁰ შეიძლება გამოვლინდეს პერსონალური მონაცემების დაცვაში. „მგრძნობიარობის“ კრიტერიუმის საფუძველზე განასხვავებენ „ჩვეულებრივ“, „მგრძნობიარე“ და „განსაკუთრებით“ პერსონალურ მონაცემებს.⁷¹ ღირსების დაცვას შეეხება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში – სზაკ) მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ნ“ პუნქტი, 23-ე და 31-ე მუხლები პირადი (საიდუმლო) ინფორმაციის უზრუნველყოფის სახით. პერსონალური მონაცემებია საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა (სზაკ-ის 27-ე მუხლის „თ“ პუნქტი). სზაკ-ის 271-ე მუხლიდან გამომდინარე, პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებ არსებობს ეს ინფორმაცია. ასევე შესაძლებელია, პერსონალური მონაცემები იმთავითვე საიდუმლო იყოს (მაგალითად, საჯარო მოსამსახურეთა აღმასრულებელი პრივილეგია) და მას პირდაპირ იცავს კანონი.⁷² ამავე კოდექსის 44-ე მუხლი იცავს პერსონალური მონაცემების საიდუმლოებას. სზაკ-ის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, პირს შეუძლია საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს მოსთხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვის, გავრცელებისა თუ გადაცემისას. „განსაკუთრებით მგრძნობიარე“ პერსონალური მონაცემები, თუ ისინი ეხება ჯანმრთელობის მდგომარეობას, „მგრძნობიარე“ პერსონალურ მონაცემთა წრეში კი, შედის ქონებრივი და სხვა კერძო საკითხი.⁷³

დ.გ.) ღირსება სისხლის სამართალში

საქართველოს სისხლის სამართლის⁷⁴ სხვადასხვა ნორმაში დაცულია ღირსება მისი კონკრეტული გამოვლინების სახით. სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ხელშეუხებლობა, 137-ე, 138-ე და სხვა მუხლებში ასევე, დაცულია ინტიმური თავისუფლება. ამასთან, რასობრივი თუ ეთნიკური წარმომადგენლობის, რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსის, სისხლის სამართლის კოდექსში სექსუალური თავისუფლების განმტკიცებით, საქართველოს სისხლის სამართალი იცავს „განსაკუთრებით მგრძნობიარე“ პერსონალურ მონაცემებს⁷⁵ (ამავე კოდექსის 142-ე და 1421-ე მუხლები).

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია პირადი და ოჯახური საიდუმლოების ხელყოფა (სსსკ-ის 157-ე მუხლი), კერძო საუბრების დარღვევა (158-ე მუხლი), რომლებიც, თავის მხრივ, ღირსებისა და პატივის დამცავი ნორმებია. ამასთან, ღირსებისა და პატივის დამცავ ნორმად 2004 წლამდე სისხლის სამართლის კოდექსში იყო წარმოდგენილი ცილისწამება (148-ე მუხლი), თუმცა, დღესდღეობით ის დეკრიმინალიზებულია და სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების ფარგლებშია მოქცეული.⁷⁶

ამდენად, სისხლის სამართალში სამართლებრივი დაცვის სიკეთეებს შორის უპირველეს ღირებულებად აღიარებულია პიროვნება, რის გამოც, ფაქტობრივად, მთელი სისხლის სამართლის კანონმდებლობა აგებულია პიროვნული სიკეთეების, მათ შორის, ღირსებისა და პატივის, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის, ასევე, სხვა არაქონებრივი ღირებულებების დაცვაზე.

დ.დ.) ღირსება საპროცესო სამართალში

ღირსებით დაცული სფეროები უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში, როგორც საჯარო სამართლის სფეროში.⁷⁷ პიროვნების ღირსების ხელშეუვალობა გვევლინება სისხლის სამართლის საპროცესო პრინციპებს შორის კონსტიტუციურ პრინციპად და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან ერთად არის მოხსენიებული (სსს საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი).

ამავე კოდექსის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გამოძიების პროცესში მხარეს არა აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. კერძო საკუთრების ან სხვა მფლობელობის და სხვა ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით. მოცემული კოდექსის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ პირად ჩხრეკას თან სდევს გაშიშვლება, იგი უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პირმა, მხოლოდ იმავე სქესის პირთა მონაწილეობით. საპროცესო მოქმედებები უნდა ჩატარდეს პირადი ცხოვრების დაცვით (სსსსკ-ის 125-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ღირსების დაცვას ასევე, უკავშირდება პირადი ჩხრეკის ჩატარება, ვინაიდან ეხება პირის სხეულისა და ფსიქიკის კვლევა-შესწავლას. ეს თავის მხრივ, ასოცირდება სირცხვილის გრძნობასა და პირის პატივის (ღირსების) შელახვასთან. ასევე, აღნიშნული შეიძლება შეეხო საპროცესო მოქმედებებს – სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზას.⁷⁸ პირადი ექსპერტიზისა შესაძლებელია, რომ პირის გენიტალიები იქნეს გამოკვლეული და აუცილებელი იყოს ამოღებული ბიოლოგიური ობიექტების შესწავლა, რამაც შეიძლება სირცხვილის გრძნობა და პატივის (ღირსების) შელახვა გამოიწვიოს.⁷⁹

იგივე შეიძლება ითქვას ღირსების დაცვაზე სამოქალაქო პროცესში. ამასთან, ღირსების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საადვოკატო საიდუმლოების მომწესრიგებელი ნორმები. საგულისხმოა, რომ აუცილებელია საადვოკატო ბიუროებში სათანადო პირობების შექმნა, რათა მესამე პირებს არ ჰქონდეთ კლიენტის საიდუმლო ცნობების გაცნობის საშუალება.⁸⁰ ადვოკატმა უნდა დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად და კლიენტის თანხმობის გარეშე არ უნდა გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას მისგან მიღებული ინფორმაცია („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტები). ამდენად, ღირსება შეიძლება გამოვლინდეს საადვოკატო საიდუმლოებაშიც.

დ.ე) ღირსების კერძოსამართლებრივი ცნების შესახებ

ღირსების კონსტიტუციურსამართლებრივი ცნება განსხვავდება მისი სამოქალაქოსამართლებრივი გაგებისაგან. ღირსება კონსტიტუციურ სამართალში არ განიხილება სუბიექტურ სიკეთედ, რომელიც ყოველი ადამიანისათვის განსხვავებულია. ღირსების დაცვის უფლების ასეთი გაგება წინააღმდეგობაში მოვიდოდა თვით უფლების ცნებასთან, ვინაიდან უფლებად

ვერ მიიჩნევა სიკეთე, რომლის ფარგლები სხვადასხვა ადამიანისათვის განსხვავებულია, მათი შეხედულებების მიხედვით.⁸¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ-ის) მე-18 მუხლით დადგენილია ღირსების დაცვის ფორმები. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომელიც მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას ხელყოფს, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამებოდა. დასახელებული მუხლის სწორი კვალიფიკაცია მოითხოვს პირის ღირსების სამართლებრივი დაცვის დეფინიციის განსაზღვრას. ღირსებაში მოიაზრება პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება.⁸² ეთიკური გაგებით, ღირსება თვითშეფასების მოთხოვნის უფლებაა. ამასთან, ღირსება ფულადი ფორმით ვერ გამოითვლება.⁸³ არაქონებრივი ურთიერთობები თავის მხრივ, მოკლებულია ეკონომიკურ შინაარსს და არა აქვს რაიმე ღირებულება, რის გამოც ზიანის დამტკიცებისათვის საკმარისია კანონით დაცული უფლების დარღვევაც.⁸⁴ ადამიანის ღირსებამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ადამიანის უფლებებზე, როგორცაა თანასწორობის, სისხლის სამართლის, ავტონომიის, კერძო ცხოვრებისა და გამოხატვის თავისუფლების სფეროზე. ეს გახდა გამჭვირვალობის, მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების დემოკრატიული პრინციპების დაცვაში ინსტრუმენტი.⁸⁵

მაშასადამე, ღირსება შეფასებითი კატეგორიაა და განიხილება პიროვნების ისეთ არაქონებრივ სიკეთედ, რომლის შეფასება შეუძლია იმას (უფლებამოსილ პირს), ვინც თავისი ღირსების დაცვას მოითხოვს (სსკ-ის მე-18 მუხლი). ღირსება მოიცავს საკუთარი მორალური თვისებების, საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობის, თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებას. ამასთან, გარკვეულ შემთხვევაში, შეიძლება რეპუტაციის უფლებით დაცულ სფეროებში შევიდეს ღირსების უფლებით დაცული ასპექტები.⁸⁶ პატივისა და ღირსების ზნეობრივ კატეგორიებში იგულისხმება საზოგადოების დამოკიდებულება პიროვნების მიმართ და პიროვნების მიერ საკუთარი მნიშვნელობის შეფასება, რომელიც სინამდვილის შესაბამის ფაქტებს უნდა შეესაბამებოდეს.⁸⁷

ამავე დროს, პიროვნება აქსოვს რა, თავის სულიერებას ნაწარმოებში, საავტორო სამართალიც აღიარებს მის ინდივიდუალობას. აქ საქმე ეხება ნაწარმოების ავთენტურობისა და ორიგინალობის დადგენას თუ დაცვას.⁸⁸ შესაბამისად, აქაც უზრუნველყოფილია ღირსების სხვა ასპექტი, რომელიც ნაწარმოების შექმნას უკავშირდება.

ამდენად, შინაარსობრივად ადამიანის ღირსება ნიშნავს პიროვნების ღირებულების პატივისცემას. როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში მსჯელობა მიმართულია იქითკენ, რომ გამოიკვეთოს ადამიანური ღირსების კავშირი ა) ადამიანის ინდენტობისა და თვითშეფასების, ბ) სხეულებრივი და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, გ) ინტიმის, დ) ადამიანის თვითგამორკვევის მთავარ სფეროსა და ე) სოციალური ურთიერთობების დაცვასთან.⁸⁹

4. ღირსება და ზოგადი პიროვნული უფლება ძირითადი უფლებების სფეროში

ღირსება განიხილება რა, ზოგადი პიროვნული უფლების ცენტრალურ სფეროდ, თავისი არსით უკავშირდება ზოგად პიროვნულ უფლებას. საერთოდ, ზოგადი პიროვნული უფლება მოიცავს უფლებებს, რომლებიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას აკონკრეტებს ადამიანის

ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროთა მიხედვით. ზოგადი პიროვნული უფლება იცავს იმ სფეროებს, რომლებიც სპეციალური ძირითადი უფლებებით არ არის დაცული. ამ ასპექტის საფუძველზე ზოგად პიროვნულ უფლებას „უხილავ, დაუწერელ ძირითად“, „დანარჩენ უფლებას“ უწოდებენ; მისთვის დამახასიათებელია ზოგადი ნორმის განუსაზღვრელობა, რის გამოც ის არის ჩარჩო უფლება. ამასთან, ზოგად პიროვნულ უფლებაში მოიაზრება პირის უფლებამოსილება, დამოუკიდებლად განსაზღვროს, დასაშვებია თუ არა და რა ზომით მის შესახებ ინფორმაციის მიღება-გავრცელება და რა მოცულობითაა დასაშვები პიროვნული ინტერესების შელახვა. პიროვნულ სიკეთეთა რიცხვი უსაზღვროა და პიროვნების შესაძლო უკანონო ხელყოფათა წრეც ვერასოდეს ვერ ამოიწურება; ამ ხარვეზების შევსების („განსაკუთრებული კარის“) ფუნქცია აქვს ზოგად პიროვნულ უფლებას.⁹¹

ზოგადი პიროვნული უფლება შეიძლება კონსტიტუციურსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი ხასიათის იყოს. კონსტიტუციურსამართლებრივი გაგებით, ზოგადი პიროვნული უფლება განიხილება ძირითადი უფლებების სფეროში. ძირითადი უფლებები, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მიხედვით, „უშუალოდ მოქმედი სამართალია.“ ისინი, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოსაგან დამცავი უფლებებია, რომლებშიც თავის მხრივ, შეიძლება პერსონალური სამართლებრივი პრეტენზიები (მოთხოვნები) მოიაზრებოდეს. ამასთან, ძირითადი უფლებები ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლებას და განიხილება კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილად. ღირსება თავის მხრივ, შედის თავისუფლების უფლებათა წრეში. თავისუფლების უფლებებს, როგორც ცნობილია, აქვთ „ნეგატიური სტატუსი,“ რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს რაიმე ჩარევა ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში. სახელმწიფო თავისი კანონებით უზრუნველყოფს, მესამე პირმაც პატივი სცეს თავისუფლების უფლებებს.⁹²

რაც შეეხება ძირითადი უფლებების მოქმედებას კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, ის არა თუ უშუალო, არამედ არაპირდაპირ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ძირითადი უფლებების ერთ-ერთი ადრესატი ყოველთვის სახელმწიფოა.⁹³ კონსტიტუციურსამართლებრივი პიროვნული უფლება კერძოსამართლებრივი პიროვნული უფლების საყრდენია. კონსტიტუციურსამართლებრივი პიროვნული უფლების გამოყენების სფერო არაა ისეთივე, როგორც კერძოსამართლებრივი, რადგან ცალკეული ასპექტები სპეციალური ძირითადი უფლებებითაა დაცული. სამოქალაქო სამართლის პიროვნულ უფლებაში პირიქით, შედის ეს ელემენტებიც.⁹⁴

ამასთან, ძირითადი უფლებების სფეროში არსებული ზოგადი პიროვნული უფლების დაცვა ძირითადად, განისაზღვრება ორი ფუნქციით: 1) განმარტოებისა (ნეგატიური თავდაცვის ფუნქცია) და 2) პიროვნების აქტიური განვითარების უზრუნველყოფით (პოზიტიური ფუნქცია). კონსტიტუციურსამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლება მოქმედების ზოგადი თავისუფლებისა და ადამიანის ღირსების სფეროდან გამომდინარეობს. ესაა ძირითადი უფლება ინფორმაციული, სექსუალური, სამეურნეო, ინდივიდუალური და უბრალოდ თვითგამორკვევის (ძირითადი) უფლებების თანაბრად, სადაც სახელმწიფო და მისი ორგანოების ინტერვენცია დაიშვება მხოლოდ კანონის საფუძველზე. რაც შეეხება სამოქალაქოსამართლებრივ ზოგად პიროვნულ უფლებას, ის უზრუნველყოფს მუქარის შემცველი ხელყოფისაგან მოქმედების შეუსრულებლობისა და მომხდარი ზარალის დროს მოქმედების შეწყვეტის, უარყოფის, ასევე, მატერიალური და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს.⁹⁵ სამოქალაქოსამართლებრივი ზოგადი პიროვნული

უფლება თავისუფლების ქვესფეროა, განსაზღვროს თვითგამორკვევის უფლების დამცავი სივრცე.⁹⁶ ზოგადი პიროვნული უფლება სამოქალაქოსამართლებრივ სიბრტყეზე მოიცავს საკუთარი პიროვნების თავისუფალ განვითარებასა და პატივისცემის უფლებას. კერძოსამართლებრივი გაგებით, პიროვნების დაცვაში იგულისხმება პიროვნების ორი ასპექტი: გარანტირებულია განვითარების თავისუფალი შესაძლებლობის უფლება, ასევე, აქტიური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების თავისუფლების გვერდით განმარტოების უფლება (Das Recht in Ruhe gelassen).⁹⁷ ამდენად, სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული პატივი და ღირსება განიხილება სიკეთეებად, რომლებიც ემსახურება ადამიანის ინდივიდუალიზაციას, რადგან საზოგადოებაში მის თვითგამორკვევას უკავშირდება. ისინი დამოუკიდებელ როლს ასრულებენ ადამიანის ინდივიდუალიზაციაში.⁹⁸

5. მოკლედ ღირსების ხელყოფის შედეგების შესახებ

ღირსების შელახვაში მოიაზრება პირის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც შეიცავს მტკიცებას მის მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენასთან დაკავშირებით და არა მასზე ზოგად შეფასებით მსჯელობას ან შეხედულებას, აზრს.⁹⁹ ღირსება შეიძლება შეილახოს დამცირებით, დაკნინებით, დისკრედიტებით,¹⁰⁰ ასევე, შეურაცხყოფის, ცილისწამებისა და ისეთი შეფასებითი მსჯელობის შედეგად,¹⁰¹ რომელიც მიაღწევდა შეურაცხმყოფელი გამონათქვამების ზღვარს. შესაბამისად, თუ გამონათქვამის შეურაცხმყოფელი ხასიათი გადმოინაცვლებს წინა პლანზე, მაშინ შეფასებითი აზრის გავრცელება იქნება მართლსაწინააღმდეგო და დასჯადი.¹⁰² სამოქალაქო სამართალში ღირსება გაცილებით ფართოა. სამოქალაქოსამართლებრივი შედეგებია არა თუ დასჯა,¹⁰³ არამედ ზიანის ანაზღაურება, (მორალური) დაკმაყოფილება, შემოსავლის გადახდა, უმოქმედობა, შესწორება (კორექტირება) და სხვ.¹⁰⁴

6. დასკვნა

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, ვერც ერთი წარმოდგენილი კონცეფცია ცალ-ცალკე ვერ ასახავს სრულყოფილად ღირსების არსს, თუმცა, ისინი ადამიანური ყოფიერების სხვადასხვა ნიშანს ეფუძნება. შესაბამისად, ეს თეორიები შეიძლება გარკვეულ მინიშნებებს იძლეოდეს ღირსების არსის დასადგენად. უმნიშვნელოვანესია იმის აღნიშვნა, რომ თითოეული კონცეფციით ადამიანური ღირსება აღიარებულია ძირითად ღირებულებად. ამავე დროს, ადამიანის ღირსების მფლობელი აუცილებლად ადამიანი უნდა იყოს. ადამიანური ღირსების ცნება ინდივიდუალური შეფასების კრიტერიუმი.¹⁰⁵

ღირსების იდეა ადამიანის ელემენტარული პატივისცემის მოთხოვნაა, რომელიც ყველა ნორმატიული ვალდებულების წინაპირობას ქმნის და ვრცელდება ყველა ადამიანზე თანაბრად, მიუხედავად განსხვავებებისა. ეს მოთხოვნა აყალიბებს მორალური და სამართლებრივი ურთიერთობების იმგვარ სფეროს, საიდანაც არავინ არ შეიძლება გამოირიცხოს.¹⁰⁶ ამასთან, (1) ადამიანური ღირსების ცნება ფართო მოცულობისაა, ვინაიდან ის ადამიანთა უფლებების გაგების აქსიოლოგიურ კომპონენტთა საფუძველია; (2) ღირსებაზე, როგორც უფლებათა წყაროზე მითითებით, ცხადია, რომ ადამიანის უფლებები მათ ადამიანობის საფუძველზე წმინდა ბიოლოგიური გაგებით, homo sapiens-ის სახეობას კი არ განეკუთვნებიან, არამედ ყველა ბი-

ოლოგიური, სოციალური და კულტურული ღირებულების მჭიდროდ დაკავშირებული ანსამბლია, რომლებიც კაცობრიობაში ადამიანის ღირს ცხოვრებას ქმნის. ამდენად, ადამიანთა უფლებები, უპირველესად, ადამიანური ღირსების შესახებ უფლებებია; (3) ამასთან, ღირსების ცნება გაიგება, როგორც ადამიანთა უფლებების დამცავი გარკვეული ნორმა. ადამიანის უფლებების ცნებასთან შედარებით, ღირსების ცნება გაცილებით ნათლად უსვამს ხაზს, რომ ის ინდივიდთა კეთილდღეობის განმსაზღვრელი ნორმატიული საზომია. ადამიანური ღირსება, ადამიანთა უფლებებიდან გამომდინარე მოვალეობების შესრულების მოთხოვნის წყალობით, განიხილება სხვა პირთა ნორმატიულ წყაროდ.¹⁰⁷ ამასთან, ღირსების კონსტიტუციურსამართლებრივი ცნება ფაქტობრივად, გულისხმობს მის სოციოლოგიურ გაგებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღირსება სპეციფიკური მოვლენაა, ვინაიდან მოიცავს რეალურ და იდეალურ საწყისებს, რომელთა სინთეზი იძლევა რაღაც ახალს, რაშიც ვლინდება კიდევ ღირსების განსაკუთრებული ხასიათი. სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ ღირსება უნივერსალურია ე. ი. მას შეუძლია სხვა პიროვნული უფლება მოიცვას და უზრუნველყოს, რაც კერძო სამართალში განსაკუთრებით ფართო ხასიათს ატარებს. ეს კიდევ უფრო თვალშისაცემია, თუ მხედველობაში იქნება მიღებული საჯარო და კერძო სამართალში დაცვის კონკრეტული ხერხები. შესაბამისად, განსხვავებულია ღირსების საჯარო და კერძოსამართლებრივი დაცვის სპეციფიკაც. ამ ასპექტით ღირსების კონსტიტუციურსამართლებრივი ცნების მოცულობა, სამოქალაქოსამართლებრივთან შედარებით, ვიწრო ხასიათისაა და ფაქტობრივად, ღირსების საჯაროსამართლებრივი ცნების მოცულობის გამოხატულებაა.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: Tiedemann P., Menschenwürde als Rechtsbegriff, Eine philosophische Klärung, 2. Auflage, Berlin, Berliner Wissenschafts-Verlag GmbH, 2010, 217, 221.
- ² იხ.: Lebech M., What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004, 55-56.
- ³ იხ.: ბანძელაძე გ., ადამიანური ღირსების ცნება მარქსისტულ-ლენინურ ეთიკაში, თბილისი, 1975, გვ. 10, 49, 103.
- ⁴ იხ.: ბებერაშვილი ზ., ბესელია ნ., მახაშვილი ნ. და სხვ., გზა უფლებებისკენ: მასწავლებლის წიგნი (რედ. მიქაშავიძე მ.), თბილისი, 2002, გვ. 60.
- ⁵ იხ.: საყვარელიძე ფ., ღირსება: ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები (ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა): ნაწილი I, საქართველოს სახალხო დამცველის პერიოდული გამოცემა „სოლიდარობა“, №2(29), 2009, გვ. 56-57.
- ⁶ იხ.: მხეიძე ს., ყუბუსიძე ვ., ღირსების ცნება ეთიკაში (რეცენზია), გამეთი „თბილისი“, №256 (6858), 31 ოქტომბერი, 1975, გვ. 3.
- ⁷ იხ.: Hughes A., Democracy in crisis, Equality and Human Dignity in South Africa and Ireland, 2011, 16.
- ⁸ იხ.: Lebech M., What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004, 56.
- ⁹ იხ.: რუხაძე ზ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999, გვ. 125.
- ¹⁰ იხ.: Lebech M., What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004, 56, 61.
- ¹¹ იხ.: Hughes A., Democracy in crisis, Equality and Human Dignity in South Africa and Ireland, 2011, 16.
- ¹² იხ.: Lebech M., What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004, 56-57.
- ¹³ იხ.: Dangl O., Der Begriff der Menschenwürde, in der Publikationsreihe des Kompetenzzentrums für Menschenrechtspädagogik an der Kirchlichen Pädagogischen Hochschule Wien/ Krems, 09/2012, 2.
- ¹⁴ იხ.: Lebech M., What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004, 56.
- ¹⁵ იხ.: Dangl O., Der Begriff der Menschenwürde, in der Publikationsreihe des Kompetenzzentrums für Menschenrechtspädagogik an der Kirchlichen Pädagogischen Hochschule Wien/ Krems, 09/2012, 2.
- ¹⁶ იხ.: Лосский В. Н., Очерк мистического богословия Восточной Церкви, Догматическое богословие, М., 1991, 91.
- ¹⁷ იხ.: ბერბიჭაშვილი გ., ადამიანის უფლებები – მიზანი თუ საშუალება, სამეცნიერო სემინარი თემაზე „ქრისტიანული შემწყნარებლობა და ადამიანთა უფლებები“, თბილისი, 2013, გვ. 4, 13; იხ.: Tiedemann P., Menschenwürde als Rechtsbegriff, Eine philosophische Klärung, 2. Aufl., Berlin, Berliner Wissenschafts-Verlag GmbH, 2010, 115-122.
- ¹⁸ იხ.: Lebech M., What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004, 58-59; წიქაძე ი., ადამიანის ღირსების კონსტიტუციურსამართლებრივი გარანტიები, „ალმანახი“, სისხლის სამართლის სერია (III), №18, 2003, 1; Бердяев Н. А., О достоинстве христианства и недостоинстве христиан, Париж, 1931, 1, 7 http://odinblago.ru/filosofiya/berdyaev/berdyaev_n_o_dostoinstve/ [13.09.2014]; ბერდიაევი ნ., ქრისტიანობის ღირსებისა და ქრისტიანთა უღირსობის შესახებ, პარიზი, 1931, თარგმნა ზ. იმერლიშვილმა, „ემა-ოსი“, №2(5), 2005, 1, 7.
- ¹⁹ დაწვრი. იხ.: Lebech M., What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004, 56, 60-63.

- ²⁰ Pfordten Dietmar von der, Zur Würde des Menschen bei Kant, In Fünf Untersuchungen “Menschenwürde, Recht und Staat bei Kant”, 1. Auflage, Mentis, Paderborn, Verlag C.H. Beck, 2009, 11.
- ²¹ იხ.: Martini S., Die Formulierung der Menschenwürde bei Immanuel Kant in: Vortragskript eines im WiSe 2005/06 gehaltenen Referats im Rahmen des rechtsphilosophischen Seminars “Die aktuelle Werte-Debatte” bei Prof. Klaus Adomeit (Freie Universität Berlin), 5-7.
- ²² იხ.: Aguas Jove Jim S., The Notions of the Human Person and Human Dignity in Aquinas and Wojtyla, Kritike Volume Three Number one, June 2009, 57-59.
- ²³ იხ.: Dangl O., Der Begriff der Menschenwürde, in der Publikationsreihe des Kompetenzzentrums für Menschenrechtspädagogik an der Kirchlichen Pädagogischen Hochschule Wien/ Krems, 09/2012, 2-3.
- ²⁴ იხ.: Schaber P., Menschenwürde und Selbstverfügung, Zurich, In: Byrd, Sharon B; Hruschka, Joachim; Joerden, Jan C. Themenschwerpunkt: Recht und Ethik im Werk von Jean-Jacques Rousseau. Berlin, 2012, 10, 12.
- ²⁵ იხ.: Lebech M., What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004, 61-62.
- ²⁶ იხ.: Pfordten Dietmar von der, Zur Würde des Menschen bei Kant, In Fünf Untersuchungen “Menschenwürde, Recht und Staat bei Kant”, 1. Auflage, Mentis, Paderborn, Verlag C.H. Beck, 2009, 19.
- ²⁷ იხ.: Schaber P., Menschenwürde und Selbstverfügung, Zurich, In: Byrd, Sharon B; Hruschka, Joachim; Joerden, Jan C. Themenschwerpunkt: Recht und Ethik im Werk von Jean-Jacques Rousseau. Berlin, 2012, 1.
- ²⁸ იხ.: Joas H., Würde und Menschenwürde in: “Werte und Politik”, Ein Beitrag für den Kongress der Friedrich-Ebert-Stiftung, 2012, 1.
- ²⁹ იხ.: Pfordten Dietmar von der, Zur Würde des Menschen bei Kant, In Fünf Untersuchungen “Menschenwürde, Recht und Staat bei Kant”, 1. Auflage, Mentis, Paderborn, Verlag C.H. Beck, 2009, 24; ეთიკურ და სამართლებრივ ვალდებულებათა შესახებ იხ.: ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ტრილში, ესეები, თბილისი, 2013, 23-24.
- ³⁰ იხ.: Lim Mi-Won, Der kantische Begriff der Menschenwürde in der bioethischen Perspektive, in “Nomos”, No. 20, Jun., 2007, 60-61.
- ³¹ იხ.: Bielefeldt H., Menschenwürde: Der Grund der Menschenrechte, Berlin, 2008, 15; თავისუფლების კანტისეული გაგებისა და სამართლის სუბიექტზე, როგორც ბუნებით სუბიექტზე, იხ.: ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ტრილში, ესეები, თბილისი, 2013, გვ. 57-58, 61-62.
- ³² იხ.: Lim Mi-Won, Der kantische Begriff der Menschenwürde in der bioethischen Perspektive, in “Nomos”, No. 20, Jun., 2007, 65-66.
- ³³ იხ.: Tiedemann P., Der Begriff der Menschenwürde (Eine Anfrage an die Sozialphilosophie), in E-Journal Philosophie der Psychologie, Frankfurt a. M., 2006, 8.
- ³⁴ იხ.: Dangl O., Der Begriff der Menschenwürde, in der Publikationsreihe des Kompetenzzentrums für Menschenrechtspädagogik an der Kirchlichen Pädagogischen Hochschule Wien/ Krems, 09/2012, 1.
- ³⁵ იხ.: Kant I.: Metaphysik der Sitten Tugendlehre Königsberg, 1797, 94, In: Weischedel W. (Hrsg.): Immanuel Kant. Werke in 10 Bänden Bd.7 Darmstadt [Wissenschaftliche Buchgesellschaft] 1983, 569; Tiedemann P., Der Begriff der Menschenwürde (Eine Anfrage an die Sozialphilosophie), in: E-Journal Philosophie der Psychologie, Frankfurt a. M., 2006, 11.
- ³⁶ იხ.: Hughes A., Democracy in crisis, Equality and Human Dignity in South Africa and Ireland, 2011, 16.

- ³⁷ იხ.: Dangi O., Der Begriff der Menschenwürde, in der Publikationsreihe des Kompetenzzentrums für Menschenrechtspädagogik an der Kirchlichen Pädagogischen Hochschule Wien/ Krems, 09/2012, 2; ადამიანის ღირსება პრინციპის რანგში აიყვანა ნ. თაიფკემაც. იხ.: Teifke N., Das Prinzip der Menschenwürde (Studien und Beiträge zum Öffentlichen Recht), Mohr Siebeck Tübingen, 2011, 33-169.
- ³⁸ იხ.: Bielefeldt H., Menschenwürde: Der Grund der Menschenrechte, Berlin, 2008, 34.
- ³⁹ იხ.: Bielefeldt H., Auslaufmodell Menschenwürde? Warum sie in Frage steht und warum wir sie verteidigen müssen, Freiburg, 2011, 138; Fricke E., Achtung der Menschenwürde als ständige Herausforderung: Virtualität und Inszenierung – auch ein Rechtsproblem? in E-Journal: “Communication Socials”, 44. Jahrgang, Nr. 4, 2011, 459.
- ⁴⁰ იხ.: Stepanians M., Gleiche Würde, gleiche Rechte, in: Stoecker (Hg.): Menschenwürde – Annäherungen an einen Begriff, öbv & hpt, Wien, 2003, 51, 63.
- ⁴¹ იხ.: Birnbacher D.: Menschenwürde – abwägbar oder unabwägbar? In: M. Kettner (Hrsg.): Biomedizin und Menschenwürde. Frankfurt a.M. 2004, 251.
- ⁴² იხ.: Rühl, Ulli F. H., Die Semantik der Ehre im Rechtsdiskurs, “Kritische Justiz”, Heft 2, 2002, 200.
- ⁴³ იხ.: Perger T., Ehrenschutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten, Köln, 2003, 25.
- ⁴⁴ იხ.: Rühl, Ulli F. H., Die Semantik der Ehre im Rechtsdiskurs, “Kritische Justiz”, Heft 2, 2002, 201; Niggli M. A., Riklin F., Skript Strafrecht, Besonderer Teil, (§ 9 Ehrverletzungen), 10. Auflage, 2007, 181-182.
- ⁴⁵ იხ.: Rühl, Ulli F. H., Die Semantik der Ehre im Rechtsdiskurs, “Kritische Justiz”, Heft 2, 2002, 203.
- ⁴⁶ იხ.: Perger T., Ehrenschutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten, Köln, 2003, 25.
- ⁴⁷ იხ.: Rühl, Ulli F. H., Die Semantik der Ehre im Rechtsdiskurs, “Kritische Justiz”, Heft 2, 2002, 201.
- ⁴⁸ იხ.: Perger T., Ehrenschutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten, Köln, 2003, 22.
- ⁴⁹ იხ.: მხეიძე ს., ყუბუსიძე ვ., ღირსების ცნება ეთიკაში (რეცენზია), გაზეთი „თბილისი“, №256 (6858), 31 ოქტომბერი, 1975, გვ. 3.
- ⁵⁰ იხ.: Löw K., Die Würde des Menschen und der deutschen Nation, In: “Wie geht unsere Politik mit Deutschland um? Freiheitlich, demokratisch, rechtsstaatlich?” Deutschland Journal – Sonderausgabe, Dokumentation zum Seminar am 27. Februar 2010, 15.
- ⁵¹ იხ.: ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (სამეც. რედ.: კოპალეიშვილი მ.), თბილისი, 2013, გვ. 85.
- ⁵² იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/2/-389; ადამიანის ღირსების ძირითადი უფლებით გარანტირებული დაცვა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე. იხ.: კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, მე-2 გამოცემა, თბილისი, „ჯისიაი“, 2010, გვ. 92.
- ⁵³ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1/241; ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (სამეც. რედ.: კოპალეიშვილი მ.), თბილისი, 2013, გვ. 91.

- 54 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384.
- 55 იხ.: კუბლაშვილი კ., მე-17 მუხლის კომენტარი, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბილისი, 2005, გვ. 85.
- 56 იხ.: Perger T., Ehrenschutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten, Köln, 2003, 23.
- 57 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე #1/2/519.
- 58 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #1/1/477.
- 59 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 8 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე #2/1/473; ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა (სამეც. რედ.: კოპალეიშვილი მ.), თბილისი, 2013, გვ. 88.
- 60 იხ.: Rühl, Ulli F. H., Die Semantik der Ehre im Rechtsdiskurs, “Kritische Justiz”, Heft 2, 2002, 201-202.
- 61 იხ.: Birnbacher D.: Menschenwürde – abwägbar oder unabwägbar? In: Kettner M. (Hrsg.): Biomedizin und Menschenwürde. Frankfurt a.M. 2004, 249-250.
- 62 დაწვრ. ღირსების ხელშეუხებლობის შესახებ იხ.: Poscher R., Die Würde der Menschen ist unantastbar (Die Menschenwürde, als Tabu), in: JZ, 15/16/ 2004, 756-762; პოშერი რ., ადამიანის ღირსება, როგორც ტაბუ, გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო სამართლის დოქტორმა მ. ბიჭიამ, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2014, გვ. 51-65.
- 63 აქვე საგულისხმოა, რომ მე-20 საუკუნის ბოლოს, გააქტიურდა სამართლებრივი მსჯელობები იმასთან დაკავშირებით, რომ ღირსების მფლობელთა წრე უნდა გაფართოებულიყო და მოეცვა ცოცხალი სამყაროც (ცხოველები). ეს კიდევ უფრო ცხადი გახდა გენური ტექნოლოგიის სხვადასხვა მაქინაციის გამოყენების გამო. შესაბამისად, ცხოველების ღირსების შესახებ საკანონმდებლო დებულებების გაჩენამ გამოკვეთა ცხოველთა დაცვა. თუმცა, მიუხედავად ამისა, აქვე ხაზი გაესვა, სულიერი სამყაროს სხვა არსებებთან შედარებით, ადამიანის განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც მას აქვს, ფილოსოფიური გაგებით, თავისი გონებრივი და მორალური უნარის გამო, თეოლოგიური თვალსაზრისით კი, მისი ღმერთთან მსგავსების გათვალისწინებით. ამდენად, ადამიანის ღირსებას ვერაფრით ვერ გაუტოლდება ცხოველის ღირსება. იხ.: Die Würde des Tieres, Herasusgeberinnen und Redaktion: Eidgenössische Ethikkommission für die Gentechnik im ausserhumanen Bereich (EKAH) und Eidgenössische Kommission für Tierversuche (EKTv), Niederwangen/Bern, Februar 2001, 3-11.
- 64 იხ.: კორკელია კ., სასამართლოს როლი საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენებაში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998, გვ. 103.
- 65 იხ.: კორკელია კ., ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი, ევროპის საბჭო, 2007, გვ. 26-27, 48.
- 66 საჯარო სამართლის სისტემის შესახებ იხ.: ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2000, გვ. 48-49.
- 67 იხ.: R (Bernard) v. Enfield [2002] EWHC 2282 Admin.; Human rights and equality, Runnymede’s Quarterly Bulletin March, 2006, 14; Wildbore H., The Protection of Freedom Under the Human Rights Act: What We’ve Gained, in: UCL Human Rights Review, second edition (Editor-in-Chief: Annicchino P.), London, 2009, 157; Pretty v. U nited Kingdom, 29. 7. 2002; Wildhaber L., The European Court of Human Rights in action, Ritsumeikan Law Review, No.

21, 2004, 84-85; ასევე იხ.: Maxine D. Goodman, Human Dignity in Supreme Court Constitutional Jurisprudence, 84 Neb. L. Rev. 740, 751, 753, 777, 784 (2006) (surveying the U.S. Supreme Court's application of human dignity in the context of fundamental rights); დაწვრილ. იხ.: Barosso L. R., Here, There and Everywhere: Human Dignity in Contemporary Law and in the Transnational Discourse, Vol. 35/Issue 2, 5-1-2012, 331-393.

⁶⁸ იხ.: Loukas G. Loucaides, "Freedom of Expression and the Right of Reputation". MELANGES oggerts a`silio Marcus Helmons, Bruxelles, 2003, 202.

⁶⁹ იხ.: მონიავა ბ. (თ.), პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პრობლემები (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი, 1999, გვ. 34.

⁷⁰ ადმინისტრაციული სამართალი საჯარო სამართლის დარგია. იხ.: ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2000, 48-49.

⁷¹ პერსონალური მონაცემების დაცვის საშუალებების შესახებ იხ.: Иванский В., Правовая защита информации о частной жизни граждан, М., Изд. российского ун-та дружбы народов, 1999, გვ. 40-41, 13-14; ასევე, იხ.: ცაცანაშვილი მ., ინფორმაციული სამართალი, თბილისი, 2004, გვ. 141.

⁷² იხ.: ძნელაშვილი ზ., საგადასახადო საიდუმლოების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №2, 2008, გვ. 115.

⁷³ იხ.: Иванский В., Правовая защита информации о частной жизни граждан, М., Изд. российского ун-та дружбы народов, 1999, 14.

⁷⁴ სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების პრინციპის მიხედვით, სისხლის სამართალი საჯარო სამართლის ნაწილია, ვინაიდან სახელმწიფოს სისხლის სამართლებრივი იძულების მექანიზმსა და ადამიანის შორის ურთიერთობა დაქვემდებარების პრინციპს ეფუძნება. თუმცა, თანამედროვე მეხედულების მიხედვით, სისხლის სამართალი, სამართლის სისტემაში მისი ფუნდამენტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, კერძო და საჯარო სამართლის გვერდით სამართლის სისტემის მესამე დამოუკიდებელ ნაწილადაა აღიარებული. მჭედ-ლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, I, დანაშაული, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, თბილისი, „მერიდიანი“, 2014, გვ. 7.

⁷⁵ იხ.: ცაცანაშვილი მ., ინფორმაციული სამართალი, თბილისი, 2004, გვ. 107.

⁷⁶ იხ.: კინწურაშვილი თ., მართლმსაჯულების ლოგიკა, სიტყვის თავისუფლება და ქართული სასამართლო პრაქტიკა, ჟურნ. „თავისუფლება“, №3 (39), მარტი 2005, 4.

⁷⁷ საჯარო სამართლის სისტემის შესახებ იხ.: ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2000, გვ. 48-49.

⁷⁸ იხ.: Петрухин И., Личная жизнь: пределы вмешательства, М., «Юрид. Лит-ра», 1989, გვ. 165-170; ასევე, იხ.: ღირსებისა და პატივის ხელყოფის ან საოჯახო ურთიერთობებში ექსპერტიზის როლის შესახებ იხ.: Холопова Е., Судебно-психологическая экспертиза по гражданским делам: Проблемы, возможности и тенденции развития, В ученые записки таврического национального университета им. Вернадского В. И., Серия «юридические науки», Гражданское право и процесс, т. 19 (58), 2006, 216, 218-222, 225.

⁷⁹ იხ.: Петрухин И., Личная жизнь: пределы вмешательства, М., «Юрид. Лит-ра», 1989, 176-179, 184.

⁸⁰ იხ.: Meiss R. W. von, Die persönliche Geheimsphäre und deren Schutz im prozessualen Verfahren, Diessenhofen, Rüegger Verlag, 1975, 110-111.

⁸¹ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება (№1/3/421, 422).

⁸² იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება (შემდგომში – სუსგ) (№3კ-337-02).

- ⁸³ იხ.: Fricke E., Achtung der Menschenwürde als ständige Herausforderung: Virtualität und Inszenierung _ auch ein Rechtsproblem? in E-Journal: "Communicatio Socials", 44. Jahrgang, Nr. 4, 2011, 456.
- ⁸⁴ იხ.: სუსგ, 03.04.2012 (№ას-1477-1489-2011); სუსგ, 25.02.2013 (№ას-1149-1169-2011).
- ⁸⁵ იხ.: Hughes A., Democracy in crisis, Equality and Human Dignity in South Africa and Ireland, 2011, 16.
- ⁸⁶ იხ.: სუსგ, 23.07.2009 (№ას-1174-1319-08).
- ⁸⁷ იხ.: სუსგ, 03.08.2012 (№ას-1739-1720-2011); სუსგ, 03.08.2012 (№ას-208-201-2012).
- ⁸⁸ იხ.: Peifer Karl-Nikolaus, Individualität im Zivilrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2001, 55-113.
- ⁸⁹ იხ.: Fricke E., Achtung der Menschenwürde als ständige Herausforderung: Virtualität und Inszenierung _ auch ein Rechtsproblem? in E-Journal: "Communication Socials", 44. Jahrgang, Nr. 4, 2011, 456.
- ⁹⁰ იხ.: კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, მე-2 გამოც., თბილისი, გამომც. „ჯისიი“, 2010, გვ. 104.
- ⁹¹ იხ.: Ehmann H., Zur Struktur des allgemeinen Persönlichkeitsrechts, JuS 1997, გვ. 193, 195, 196; H. Ehmann, BGB, 25; Frick Marie_theres, Persönlichkeitsrechte, Beiträge, Liechtenstein-Institut, Forschung und Lehre, Nr. 5, Liechtenstein, Fürstentum Liechtenstein, 1996, 6-7; CH. Uessler, Einwirkungen der Grundrechte auf das Schadenersatzrecht (Dissertation), Wuppertal, 2008, 73.
- ⁹² იხ.: კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, მე-2 გამოც., თბილისი, გამომც. „ჯისიი“, 2010, გვ. 39-41.
- ⁹³ იხ.: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2011, 82-84; იხ.: Phirtskhalashvili A., Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung Georgiens vom 24. August 1995, Berlin, Universitätsverlag Potsdam, 2010, 47, 49-52.
- ⁹⁴ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.: Wittern F., Das Verhältnis von Right of Privacy und Persönlichkeitsrecht zur Freiheit der Massenmedien (Eine rechtsvergleichende Darstellung des Verhältnisses von Right of Privacy und Persönlichkeitsrecht zu der Redefreiheit in den Vereinigten Staaten von Amerika und der Presse- und Rundfunkfreiheit in Deutschland), (Dissertation), Hamburg, 2004, 160-161.
- ⁹⁵ იხ.: Ehmann H., BGB, 12. Auflage, Handkommentar mit AGG, EGBGB, ErbbauRG, HausratsVO, LPartG, ProdHaftG, UKlaG, VAHRG und WEG, 2008, 25; ეჰმანი ჰ., ზოგადი პიროვნული უფლების, როგორც ძირითადი უფლებისა და აბსოლუტური უფლების ცნება, გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო სამართლის დოქტორმა მ. ბიჭიამ, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2013, გვ. 229-230.
- ⁹⁶ გსკ-ის 823-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესახებ იხ. Ehmann H., Der Begriff des Allgemeinen Persönlichkeitsrechts als Grundrecht und als absolute-subjektives Recht, in: Festschrift für Apostolos Georgiades, Athen; München, 2005, 125, 129-130; ეჰმანი ჰ., ზოგადი პიროვნული უფლების, როგორც ძირითადი უფლებისა და აბსოლუტური უფლების ცნება, გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო სამართლის დოქტორმა მ. ბიჭიამ, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2013, გვ. 240-241.
- ⁹⁷ იხ.: Münch H., Der Schutz des Einzelnen vor Presseveröffentlichungen durch den Deutschen Presserat und die britische Press Complaints Commission, Eine Untersuchung zur Spruchpraxis unter besonderer Berücksichtigung des zivilrechtlichen Rechtsschutzes der Privatsphäre (Dissertation), Konstanz, 2001, 21, 109-110; ეჰმანი ჰ., ზოგადი პიროვნული უფლების, როგორც ძირითადი უფლებისა და აბსოლუტური უფლების ცნება, გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო სამართლის დოქტორმა მ. ბიჭიამ, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2013, გვ. 238-241.

- ⁹⁸ იხ.: ნინიძე თ., ადამიანის ინდივიდუალობა – საბჭოთა სამოქალაქო სამართლის დაცვის საგანი, „საქართვე. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, N4, 1977, 88.
- ⁹⁹ იხ.: სუსგ, 25.06.2002 (N3კ-337-02); სუსგ, 03.08.2012 (Nას-208-201-2012).
- ¹⁰⁰ იხ.: Fricke E., Achtung der Menschenwürde als ständige Herausforderung: Virtualität und Inszenierung _ auch ein Rechtsproblem? in E-Journal: „Communicatio Socials“, 44. Jahrgang, Nr. 4, 2011, 456.
- ¹⁰¹ იხ.: Niggli M. A., Riklin F., Skript Strafrecht BT. 8. Auflage, 2005, 196-197.
- ¹⁰² იხ.: სუსგ, 20.02.2012 (Nას-1278-1298-2011).
- ¹⁰³ იხ.: სუსგ, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, 16.11.2005 (N2კ-162კოლ.-05); სუსგ, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, 14.12.2006 (N2კ-773აპ.-06).
- ¹⁰⁴ იხ.: Niggli M. A., Riklin F., Skript Strafrecht BT. 8. Auflage, 2005, 205; Niggli M. A., Riklin F., Skript Strafrecht, Besonderer Teil (BT.), (§ 9 Ehrverletzungen), 10. Auflage, 2007, 191.
- ¹⁰⁵ იხ.: Lebech M., What is Human Dignity? Maynooth Philosophical Papers, Maynooth, 2004, 64-66, 63.
- ¹⁰⁶ იხ.: Bielefeldt H., Menschenwürde: Der Grund der Menschenrechte, Berlin, 2008, 34.
- ¹⁰⁷ იხ.: Stepanians M., Gleiche Würde, gleiche Rechte, in: Stoecker (Hg.): Menschenwürde – Annäherungen an einen Begriff, öbv & hpt, Wien, 2003, 52.

SCOPE OF THE CONCEPT OF DIGNITY IN PUBLIC LAW

MIKHEIL BICHIA

*Doctor of law, Contracted Lecturer at the Tbilisi State University,
Associated Professor of the SDASU and Tbilisi Teaching University*

Determination of the scope of dignity as a concept in the public law is important for both – theoretical and practical purposes. The research is important from the theoretical viewpoint, as this issue is discussed separately from various theoretical problems, whereas they are tightly linked to the human dignity. Besides, the human dignity is largely understudied in the Georgian legal literature, because of which it is difficult to determine the concept of human dignity in the public law. However, critical analysis of various theories provides grounds for shaping the areas reflected in the dignity.

Correspondingly, the research aims at determining the volume of concept of human dignity, and its reference to the right to dignity protection and other personal rights. Study of this issue will clarify if the social aspects related to the dignity are reflected in legal norms, and which areas of dignity are secured by these norms. Correspondingly, due to the research objectives, the reference of dignity to the social and legal grounds should be identified. Besides, it is also crucial first of all to identify the areas of dignity secured by the public law, after which it will be possible to differentiate between the specifics of protecting the dignity by the public and private law. This is what proves the practical significance of this issue.

As made clear by the research, none of the above-mentioned concepts provides a comprehensive description of the essence of



dignity if taken separately; however, these theories may contain some indications for determining the essence of dignity. It is of utmost importance to point out that each of these concepts recognizes the human dignity to be the most fundamental value. The value, from its side, is generic, though the dignity is a specific type of the value. At the same time, the owner of human dignity should necessarily be a human being. The concept of human dignity is a criterion of individual evaluation.

The idea of dignity is a human being's demand for basic respect, which creates a precondition for the entire normative obligation and is applicable to all the individuals equally, irrespective of differences. Besides (1) the concept of human dignity is broad, as far as it is a basis of axiological components of understanding the human rights; (2) reference to the dignity as a source of rights makes it clear that the human rights do not belong to the type of homo sapiens based on the ground of humanity in a purely biological understanding, but rather it is a tightly intertwined ensemble of all the biological, social and cultural values, which creates a life worth for human being in the mankind. Thus, the human rights, first of all, are the rights about human dignity; (3) besides, the concept of dignity is understood as a certain norm that protects the human rights. Compared to the concept of human rights, the concept of dignity more clearly underscores that it is a normative measure that determines welfare of individuals. The human dignity, thanks to the requirement of meeting the obligations deriving from the human rights, is considered to be the normative source of other persons. Besides, sociological understanding is implied in the constitutional-legal concept of dignity.

It should be pointed out herein that the dignity is a specific event, as far as it consists of real and ideal origins, the synthesis of which gives something new and reveals the special nature of dignity. Thus, it is therefore concluded that the dignity is universal, i.e. it can accommodate another personal right and secure it, which is even broader reflected in the private law. This is even more evident if we take into account the particular tools of protection in the public and private law. Thus, the specifics of protection of dignity in the public and private law are different. In this respect, the scope of the concept of dignity in the constitutional law, as compared to the civil law, is narrower and in fact, it is a reflection of the scope of the concept of dignity in the public law.

იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობიდან წარმოშობილი არაქონებრივი გიანის ანაზღაურების დროს ასანაზღაურებელი გიანის ოდენობის და პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრის პრობლემა

გოგა კიკილაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

შესავალი

სამეწარმეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ განაპირობა იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მოქმედი სუბიექტების სამოქალაქო ბრუნვის უმსხვილეს მონაწილეებად გარდაქმნა, რამაც თავის მხრივ, დღის წესრიგში დააყენა ამ სუბიექტებისთვის გარკვეული უფლებების მინიჭება და ამ უფლებების დაცვის საშუალებებით აღჭურვა.

იურიდიული ფიქციის გზით მოხდა იურიდიული პირების სამართლებრივ ურთიერთობებში დამოუკიდებლად მონაწილე სუბიექტად გარდაქმნა. იურიდიულმა პირმა შეიძინა დამოუკიდებლად არსებობის, საკუთარი სახელით (წარმომადგენლის მეშვეობით) სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის,

სასამართლოში საკუთარი სახელით გამოსვლის და ა. შ. უფლებები. სხვა უფლებებთან ერთად იურიდიულმა პირმა შეიძინა პირადი არაქონებრივი უფლებებიც, ისეთი როგორიცაა მაგალითად, სახელის (სახელწოდების) უფლება და საქმიანი რეპუტაცია.

იურიდიული პირისთვის უფლებების მინიჭებასთან ერთად გაჩნდა ამ უფლებათა დაცვის საშუალებების არსებობის საჭიროება. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული ერთ-ერთი განმარტებით, სამოქალაქო უფლებების ცნება კვეთს სამოქალაქო თავისუფლებების ცნებას და დაახლოებით ამგვარად შეიძლება მისი ჩამოყალიბება: ეს არის პირადი და ბუნებითი უფლებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია და დაცულია კონსტიტუციისა და კანონის დონეზე და მოიცავს პირთა (სხვათა) თანასწორობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს.¹ „ნორმალური სამოქალაქო ბრუნვა გულისხმობს არა მხოლოდ სუბიექტების სამოქალაქო უფლებების აღიარებას, არამედ მათ საიმედო სამართლებრივ დაცვას. ცნებით – „სამოქალაქო უფლებების დაცვა“ – განისაზღვრება როგორც რიგი ზომებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამოქალაქო უფლებების დაცვის განხორციელებას. მასში იგულისხმება არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ეკონომიკური, პოლიტიკური, ორგანიზაციული და სხვა ხასიათის ღონისძიებები, რომლებიც მიმართული არიან სამოქალაქო უფლებების განხორციელების აუცილებელი პირობების შექმნისაკენ.“²

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, უფლების დაცვის/აღდგენის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა ზიანის ანაზღაურება. ამ შემთხვევაში, საუბარია არაქონებრივ ზიანზე, როგორც იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის საშუალებაზე.³ იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობის შედეგად წარმოშობილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს შეიძლება წარმოიშვას კაზუსები ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობისა და პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრასთან დაკავშირებით. პასუხისმგებლობა (ამ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა) გულისხმობს პირის ვალდებულებას, აუნაზღაუროს პირს დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანი.⁴ ზიანის ოდენობის განსაზღვრა დაკავშირებულია უამრავ პრაქტიკულ თუ სამართლებრივ სირთულესთან, რადგან ზიანის შეფასება ძირითადად, ხდება არა ობიექტური (ფაქტობრივად დამდგარი ზიანი), არამედ სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით. გარდა ამისა, იურიდიულ პირებთან მიმართებაში ხშირ შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრის საკითხი. ამ უკანასკნელში შეიძლება მოვიაზროთ ორი რამ: ვის მიერ უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურება (როგორც პირდაპირ, ისე – რეგრესის წესით) და რა ქონებიდან.

წინამდებარე სტატიის მიზანია იმის შესწავლა, თუ რა სამართლებრივი სირთულეები შეიძლება წარმოიშვას იურიდიული პირების ურთიერთობის შედეგად დამდგარი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს და რა შეიძლება იყოს ამგვარ სიტუაციებში ყველაზე სწორი გადაწყვეტილება, ასევე იმის გარკვევა, მოქმედი კანონმდებლობა იძლევა თუ არა ოპტიმალური გამოსავლის პოვნის საშუალებას.

თავი I. კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობებში წარმოშობილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველები

1.1. კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობებში არაქონებრივი ზიანის წარმოშობის დროს ხელყოფის ობიექტი

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურებების განხილვამდე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმის განხილვა, თუ რა შეიძლება გახდეს ამ მოთხოვნის უფლების წარმოშობის საფუძველი

და რას წარმოადგენს ხელყოფის ობიექტი არაქონებრივი ზიანის წარმოშობის შემთხვევაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნას მხოლოდ კანონით ბუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში – გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.⁵ სამწუხაროდ, ამ შემთხვევების ჩამონათვალს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს, მაგრამ ამავე კოდექსის მე-18 მუხლი განსაზღვრავს იმ პირად არაქონებრივ უფლებათა ჩამონათვალს, რომელთა დარღვევაც იწვევს არაქონებრივი (მორალური) ზიანის მიყენებას. ეს შეიძლება იყოს: სახელის ტარების უფლება, პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია. სსკ-ის 1017-ე მუხლის თანახმად, პირად არაქონებრივ უფლებებს ასევე, მიეკუთვნება საავტორო სამართლით მოწესრიგებული საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლება, რომელთა დაცვა ხორციელდება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იურიდიულ პირთან მიმართებაში პირადი არაქონებრივი უფლებების ჩამონათვალი ასეთი ფართო არ არის, რადგან მასზე ვრცელდება მხოლოდ ის უფლებები, რომელთა ფლობა და გამოყენებაც შეუძლია იურიდიულ პირს თავისი სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე. უფრო კონკრეტულად კი, საავტორო უფლებების გარდა, იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს სახელის უფლება, საქმიანი რეპუტაცია. სწორედ ეს უფლებები შეიძლება გახდეს ხელყოფის ობიექტი იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობის შედეგად არაქონებრივი ზიანის დადგომის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ პირის რეპუტაციის შელახვისათვის პასუხისმგებლობა მოდის ჯერ კიდევ, რომის სამართლიდან. ცნებას „საქმიანი რეპუტაცია“ არ იცნობდა რომის სამართალი, თუმცა, ცილისწამება მიეკუთვნებოდა დასჯად ქმედებათა რიცხვს და იწვევდა სამოქალაქო პასუხისმგებლობას, რომლის ზომა განისაზღვრებოდა საქმის გარემოებებისა და ზიანის მიმყენებლის ქონების მიხედვით. ცოტა მოგვიანებით, უკვე რომის იმპერიის დროს (იულიუს კეისრის მმართველობის დროს) ასეთი ქმედება უკვე სისხლის სამართლის წესითაც გახდა დასჯადი.⁶

1.2. კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობებში არაქონებრივი ზიანის წარმოშობის დროს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის სახეები

„სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში პასუხისმგებლობის სახეებად დაყოფა სხვადასხვა კრიტერიუმებით ხდება. პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლების მიხედვით ასხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (კანონისმიერ) პასუხისმგებლობას.“⁷ ქონებრივი, მაგალითად, სახელშეკრულებო ზიანისაგან განსხვავებით, არაქონებრივი ზიანისთვის დამახასიათებელია, რომ მხარეებს არა აქვთ წინასწარ განსაზღვრული ურთიერთვალდებულებები და უფლება-მოვალეობები წარმოიშობა დელიქტის შემდეგ, რომელსაც მოჰყვა ზიანი.⁸ დელიქტს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი განსაზღვრავს როგორც მართლსაწინააღმდეგო განზრახ ან გაუფრთხილებელ ქმედებას, რომელსაც მოჰყვა ზიანი. მთავარი კრიტერიუმი, რომელიც განაპირობებს დელიქტის არსებობას ან არარსებობას და ქმნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს, არის მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. დელიქტური პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელია, რომ ზიანის მიმყენებელმა პასუხი უნდა აგოს მის მიერ ჩადენილი არამართლზომიერი ქმედებისათვის და საჭიროა, არსებობდეს დელიქტის შემადგენ-

ლობა: ქმედება, მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობა, მიზეზ-შედეგობრიობა.⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში – სსკ) ასევე, განსაზღვრავს იმ მოქმედებებს, არაქონებრივი უფლებების ხელყოფის სახეებს და ხერხებს, რომელთა შედეგადაც დგება არაქონებრივი ზიანი. ასეთ ქმედებათა რიცხვს მიეკუთვნება: საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელება (სსკ მე-18 მუხლის მე-3 ნაწ.), იურიდიული პირის სახელით სარგებლობა (სსკ 27-ე მუხლის მე-4 ნაწილი), ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება (სსკ 992-ე მუხლი). ყველა ზემოაღნიშნული ფორმისათვის დამახასიათებელი ნიშანია იურიდიული პირის სახელის, იმიჯის დაკნინება, საქმიანი რეპუტაციის შელახვა. საქმიანი რეპუტაციის შელახვას საქართველოს უზენაესი სასამართლო ამგვარად განმარტავს: „საქმიანი რეპუტაციის შელახვა გულისხმობს პირის მესამე პირებთან საქმიან ურთიერთობაში გამოწვეულ მარცხს, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია მის მიმართ გავრცელებულ ცრუ ინფორმაციასთან.“¹⁰

თავი II. კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობებიდან წარმოშობილი არაქონებრივი ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ღონისძიებების დაკისრების წესი

ყველაზე ზოგადი, კლასიფიკაციით იურიდიული პირები შეიძლება დავყოთ კერძო და საჯარო სამართლის სუბიექტებად. თავის მხრივ, კერძო სამართლის იურიდიული პირები იყოფა არა-სამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიულ პირებად, ხოლო სამეწარმეო იურიდიული პირები კი, იყოფა კაპიტალურ და ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებად. შინაარსობრივად, აიპ-ის ფორმები პრაქტიკულად იდენტურია, სამეწარმეო საზოგადოებისა და მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის თვალსაზრისითაც, მათ შორის არსებითი სხვაობა არ არის, ამიტომ ვფიქრობთ, საკმარისი იქნება, თუ ამ საკითხს სამეწარმეო საზოგადოების მაგალითზე განვიხილავთ.

კერძო სამართლის იურიდიული პირის მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ღონისძიებების დაკისრებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვამდე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოკლედ ვისაუბროთ პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის საშუალებებზე.

2.1. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალებები

2.1.1. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლები

სამოქალაქო უფლებების დაცვის საშუალებები განმტკიცებულია როგორც კონსტიტუციის, ისე – კანონის დონეზე. მაგალითისათვის, შეიძლება დავასახელოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 (პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა), 21-ე (საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება), 42-ე (სასამართლოსათვის მიმართვის უფლება) მუხლები. ცხადია, ჩამოთვლილთაგან უკანასკნელი ყველაზე მნიშვნელოვანია უფლებათა დაცვის თვალსაზრისით და ყველაზე ხშირად გამოიყენება. სასამართლოსათვის მიმართვის უფლება არ უნდა გავიგოთ ვიწროდ, როგორც ერთჯერადად მიმართვის უფლება. საკასაციო სასამართლო ამ უფლებას განმარტავს, როგორც „პირის უფლებას, დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები სასამართლოს მეშვეობით.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მხარემ მართლზომიერად გამოიყენოს აღნიშნული უფლება, იდავოს ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც უზრუნველყოფს მისი დარღვეული უფლების აღდგენას და ამ მიზნით გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები ზემდგომ ინსტანციაში.“ ამასთან, „მხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისას სასამართლო თანაბრად იცავს ორივე მოდავე მხარის კანონიერ ინტერესებს. ერთი მხარის მიერ უფლების გადამეტება (ბოროტად გამოყენება) პირდაპირ ხელყოფს მეორე მხარის უფლებებს, თუნდაც დავის გაჭიანურების თვალსაზრისით.“¹¹ აღსანიშნავია, რომ თვით სასამართლოსათვის მიმართვის უფლების გამოყენებამაც არ უნდა მიიღოს უკონტროლო ხასიათი და არ უნდა იქცეს სამართლის სუბიექტის „ახირებების“ დაკმაყოფილების საშუალებად. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლი ადგენს, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. პირად არაქონებრივ უფლებებთან მიმართებაში, აღნიშნული ნორმა შეიძლება იმგვარად განიმარტოს, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით პირმა უფლების დაცვის საშუალებები უნდა გამოიყენოს მაშინ, როდესაც რეალურად ილახება მისი უფლება ან იქმნება უფლების დარღვევის საფრთხე.

2.1.2. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი საფუძვლები

უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალებების არსებობის საჭიროება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო (ამ შემთხვევაში, სამოქალაქო) სამართალში, რადგან მისთვის დამახასიათებელი პრინციპი – ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის, იძლევა სუბიექტის მიერ საკუთარი უფლებების გამოყენების ფარგლების საკმაოდ ფართოდ გაგების საშუალებას, რამაც შეიძლება სხვისი უფლებების ხელყოფა გამოიწვიოს. თუმცა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ეს პრინციპი არ არის ახალი და აქვს არსებობის საკმაოდ დიდი ისტორია. „რომის სამართალი მიუთითებდა, რომ „ის, ვინც“ სარგებლობს თავისი უფლებით, არ ხელყოფს არავის უფლებებს,“ ამ დროიდან მომდინარეობს ლათინური გამოთქმა: „*gui suo iure utitur, neminem laedit*“ (ის, ვინც სარგებლობს თავისი უფლებით, არავის უფლებებს არ არღვევს). რომის სამართლის პარალელურად, ანგლოსაქსური საერთო სამართალი ვითარდებოდა პრინციპით – „*ibi jus ibi remedium*“ (უფლებები იქ არის, სადაც არის დაცვა).“¹²

ზოგადად, უფლების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი საშუალებებისათვის დამახასიათებელია ორი ფუნქცია: დაცვითი და რეგულაციური. რეგულაციური ფუნქცია მოქმედებს მუდმივად, სამართლებრივი ურთიერთობების მიმდინარეობის პარალელურად. დაცვითი ფუნქცია ვლინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე ირღვევა უფლება და დღის წესრიგში დგება მისი დაცვის/აღდგენის საჭიროება. დაცვითი ფუნქციებიდან შეიძლება დავასახელოთ: უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა; რესტიტუცია; ზიანის ანაზღაურება და ა. შ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს მრავალ ზოგად და სპეციალურ ნორმას, რომელთა შინაარსშიც ჩადებულია უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა. „შიკანა“ იწყება იქ, სადაც უფლება იქცევა ზიანის მიყენების იარაღად, დელიქტის ჩადენის საშუალებად.¹³ სტატიის მიზანია, სწორედ ამ უკანასკნელი საშუალების ერთ-ერთ ფორმასთან, არამატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები, როდესაც დელიქტური ურთიერთობის მხარეები არიან კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით ორგანიზებული სუბიექტები.

2.2. კერძო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობა მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით

2.2.1. ამხანაგობის ტიპის და კაპიტალური საზოგადოების სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზოგადი წესი

სამეწარმეო საზოგადოების პასუხისმგებლობის თავისებურებებს განსაზღვრავს თავად ამ საზოგადოების იურიდიული ბუნება. პერსონალურ და კაპიტალურ საზოგადოებებზე სამეწარმეო საზოგადოებების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ის, რომ პერსონალურ საზოგადოებებში პარტნიორად ყოფნა, როგორც წესი, გულისხმობს უშუალო მონაწილეობას საზოგადოების საქმიანობაში, საზოგადოების საწარმოო საქმეების გაძღოლას,¹⁴ ხოლო კაპიტალურ საზოგადოებებში საზოგადოების ქონება სამართავად აქვთ გადაცემული სხვა პირებს – ხელმძღვანელებს. პარტნიორები (აქციონერები) მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, ყოველდღიურად აკონტროლონ საზოგადოების საქმიანობა. ამ დროს საზოგადოების ხელმძღვანელებს ხელეწიფებათ, განკარგონ ეს ქონება, გამოიყენონ იგი და ა. შ.¹⁵

ამხანაგობის ტიპის და კაპიტალურ სამეწარმეო საზოგადოებებს შორის განსხვავება ძირითადად, საზოგადოების ვალდებულებისათვის კრედიტორის წინაშე პარტნიორის პასუხისმგებლობის წესში გამოიხატება, კერძოდ იმაში, რომ ამხანაგობის ტიპის საზოგადოების პარტნიორი პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორია, ხოლო კაპიტალური საზოგადოების პარტნიორი შესატანის ფარგლებში აგებს პასუხს კრედიტორის წინაშე.

მოქმედი ქართული სამეწარმეო სამართალი იცნობს ამხანაგობის ტიპის ორ საზოგადოებას: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (სპს) და კომანდიტურ საზოგადოებას (კს). მათი პარტნიორების პასუხისმგებლობა მეტ-ნაკლებად იდენტურია, თუმცა, არსებობს რიგი განსხვავებებიც.

სპს-ის თავისებურება პარტნიორის სოლიდარულ პასუხისმგებლობაში გამოიხატება, სახელწოდებაც ამის შესაბამისად ჰქვია – „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება.“¹⁶ სპს-ის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ყველა პარტნიორი უფლებამოსილია, გაუძღვეს საზოგადოების საწარმოო საქმეებს და წარმოადგინოს საზოგადოება.¹⁷

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ყველაზე არსებითი ნიშანია საზოგადოების ვალდებულებებისათვის პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობა.“¹⁸ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომანდიტური საზოგადოება (კს) არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები).

კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს მიეკუთვნება: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტიპის საზოგადოებებისათვის დამახასიათებელია მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის შეზღუდვა, კერძოდ ის, რომ კრედიტორის წინაშე სამეწარმეო საზოგადოება პასუხს აგებს თავისი ქონების (კაპიტალის) ფარგლებში. საზოგადოების პარტნიორი კი, ახორციელებს შენატანს, რაც ავსებს საზოგადოების კაპიტალს.

კომანდიტურ საზოგადოებას ერთდროულად ახასიათებს როგორც კაპიტალური, ისე პერსონალური სამეწარმეო საზოგადოების ნიშნები. ზემოაღნიშნული გამოიხატება კომანდიტებისა და კომპლემენტარების პასუხისმგებლობის განსხვავებულ წესში, კერძოდ, შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი) პასუხს აგებს შესატანის ფარგლებში, სრული პარტნიორი (კომპლემენტარი) კი, მთელი თავისი ქონებით.

2.2.2. სამეწარმეო საზოგადოების სამოქალაქო პასუხისმგებლობის მოვადი წესიდან კანონით გათვალისწინებული გამონაკლისის შემთხვევები

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს გამონაკლისის შემთხვევებს, როდესაც კაპიტალური საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის წესი იცვლება და კრედიტორის წინაშე საზოგადოების ვალდებულებისათვის მოვალის როლში გამოდის თავად ამ საზოგადოების პარტნიორი. ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება პასუხისმგებლობა შესატანის შეტანამდე დამდგარი ვალდებულებისათვის და პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება.

2.2.2.1. პასუხისმგებლობა შესატანის შეტანის ვალდებულების დარღვევისათვის

„საწესდებო კაპიტალი მხოლოდ კაპიტალის გაერთიანების მქონე საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი, კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივისათვის.“¹⁹ „წესდებაზე ყოველი ხელისმომწერი იღებს ვალდებულებას, განახორციელოს გარკვეული ოდენობის შესატანი საწესდებო კაპიტალში.“²⁰ შენატანის დროულად განხორციელება, პარტნიორის კორპორაციულ-სამართლებრივი მოვალეობაა²¹ და შესატანის შეტანით პარტნიორი თავს იცავს კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობისაგან, რაც საზოგადოების პასუხისმგებლობის შეზღუდვის წინაპირობას წარმოადგენს.²² საწესდებო კაპიტალი ე. წ. „დაწყებით-სავალდებულო“ ქონებაა. ეს არის პარტნიორების ვალდებულება, შექმნან და გადასცენ საზოგადოებას მინიმალური (აუცილებელი) ქონება.²³

შესატანის შეტანის ვალდებულების დარღვევა, კერძოდ, არასრულად შეტანა ან/და დაგვიანებით შეტანა შეიძლება გახდეს კაპიტალური საზოგადოების პარტნიორის სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველი იმ შემთხვევაში, თუ სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულების შესრულების ვადა დადგა შესატანის სრულად შეტანამდე. ამგვარი პასუხისმგებლობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პარტნიორი სოლიდარული წესით აგებს პასუხს, მაგრამ ლიმიტირებულად, მხოლოდ შეუტანელი შესატანის ფარგლებში.²⁴ აღსანიშნავია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთგვაროვანი მოსაზრება ამ რეგულაციასთან დაკავშირებით. მაგალითად, არსებობს

შეხედულება, რომ არასწორია საზოგადოების ვალდებულებისათვის მოვალის როლში აღმოჩნდეს პარტნიორი. იმ შემთხვევაშიც, თუ პარტნიორის ზემოაღნიშნული ქმედებები საზოგადოების კრედიტორებისათვის ზიანის მომტანი იქნება, კრედიტორის წინაშე პასუხი უნდა აგოს საზოგადოებამ, რომელიც უფლებამოსილი იქნება, რეგრესის წესით, ზიანის ანაზღაურება პარტნიორებს მოსთხოვოს.²⁵ ამ შემთხვევაში, სასწორზე იდება ორი სამართლებრივი სიკეთე (კრედიტორისა და მოვალე სამეწარმეო საზოგადოების ინტერესი) და მათი შედარების საფუძველზე უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება. ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ცხადია, აქვს არსებობის უფლება და გარკვეულ ლოგიკას ეფუძნება, მაგრამ ვფიქრობთ, არ იქნება მართებული, პასუხისმგებლობის ტვირთის პარტნიორისაგან ჩამოშორება და სამეწარმეო საზოგადოებისათვის დაკისრება. შენატანის განხორციელება არის პარტნიორის ძირითადი ვალდებულება, რაც წარმოადგენს მატერიალური პასუხისმგებლობისაგან პარტნიორის დაცვის გარანტიას. შესაბამისად, თუ ეს ვალდებულება არ განხორციელდება, პარტნიორის მიმართაც არ უნდა მოქმედებდეს პასუხისმგებლობის შეზღუდვის წესი. გამონაკლისის დაშვება ეწინააღმდეგება თავად შესატანის ფუნქციას და მისი განხორციელების არსს, ამიტომ ვფიქრობთ, არ იქნება გამართლებული.

2.2.2.2. პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება (შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის მაგალითზე)

პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანისათვის პარტნიორის პასუხისმგებლობა ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური და რთული შემთხვევაა, რადგან თავად ნორმის შინაარსი არის საკმაოდ ბუნდოვანი და მთელ რიგ კითხვის ნიშნებს წარმოშობს.

მოდით ჯერ გავარკვიოთ რას ნიშნავს ცნება პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმა. ამ ინსტიტუტის ლეგალური დეფინიცია არ არსებობს, მაგრამ შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ამგვარად განვიმარტოთ: პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმაში იგულისხმება, რომ მეწარმე სუბიექტი არსებობს კაპიტალური საზოგადოების ფორმით და მისი პასუხისმგებლობის ფარგლები შეზღუდულია საზოგადოების კაპიტალის ოდენობით. მაგალითისათვის, თუ პირი იმითმ აფუძნებს შპს-ს, რომ შემდეგ აიღოს დიდი ოდენობით ფინანსური ვალდებულებები და პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოებას, ეს შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ განსახილველ შემთხვევად.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანისათვის პარტნიორის პასუხისმგებლობის შემთხვევები უშუალოდ პარტნიორის კეთილსინდისიერების საკითხს უკავშირდება. კეთილსინდისიერად ვერ ჩაითვლება საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც კანონის დარღვევით ცდილობს სამეწარმეო საზოგადოებისათვის სარგებლის მოტანას.²⁶ ამგვარი პასუხისმგებლობის საკითხი დღის წესრიგში დგება მაშინ, როდესაც პარტნიორი განზრახ დებს საზოგადოების სახელით გარიგებას, იმ იმედით რომ პასუხისმგებლობის ფარგლები არ გასცდება საზოგადოების კაპიტალს და შედეგად ელის რაიმე სახის სარგებელს.

სარგებლის ცნება ამ შემთხვევაში ფართოდ უნდა გავიგოთ. ის შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც პირადი, ისე საზოგადოების ინტერესებიდან და სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს,

მაგალითად: მოგების ან კაპიტალის გაზრდა, პირადი შემოსავლის გაზრდა, კონკურენტი საზოგადოების ჩამოშორება ბაზრიდან და ა. შ. კონკრეტულად რა სახის „გამორჩენას“ ელის პარტნიორი, მნიშვნელობა არა აქვს. ამოსავალი წერტილია პარტნიორის არაკეთილსინდისიერი ქმედება, რომელიც გამოიხატება პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის საშუალებით მოსალოდნელი ვალდებულებების თავიდან აცილების მცდელობაში.

აღსანიშნავია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მოქმედება (პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება) არ ვრცელდება მხოლოდ კაპიტალურ საზოგადოებებზე. ის გამოიყენება კომანდიტური საზოგადოების მიმართაც. იქიდან გამომდინარე, რომ კომანდიტური საზოგადოება არც კაპიტალური საზოგადოებაა და არც პერსონალური, კლასიკური გაგებით და ორივეს ნიშან-თვისებებს ამჟღავნებს, ზემოაღნიშნული ნორმა მის მიმართაც მოქმედებს, მაგრამ შეზღუდულად, კერძოდ, ვრცელდება მხოლოდ შეზღუდულ პარტნიორებზე – კომანდიტებზე, ვისი პასუხისმგებლობაც კაპიტალური საზოგადოების პარტნიორის მსგავსად შემოიფარგლება შესატანის ოდენობით. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, კომანდიტი პარტნიორი ფიზიკური პირია თუ იურიდიული, ორივე შემთხვევაში პარტნიორი პასუხს აგებს სოლიდარულად, მაშინაც კი, როდესაც კომანდიტი არის კაპიტალური საზოგადოება.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ბრალეული პირის პასუხისმგებლობის წესი არის ზოგადი პრინციპი და მოქმედებს ყველა შემთხვევაში, მათ შორის, იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობის შედეგად წარმოშობილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროსაც.

2.3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით ორგანიზებული სუბიექტის სამოქალაქო პასუხისმგებლობა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ისევე როგორც ნებისმიერი იურიდიული პირი, მოქმედებებს ახორციელებს წარმომადგენლის მეშვეობით. კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან განსხვავებით, სადაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს პირთა შეზღუდულ წრეს (დირექტორი, პარტნიორი, პროკურისტი), სსიპ-ის შემთხვევაში, წარმომადგენლის ფუნქცია ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება შეასრულოს ნებისმიერმა თანამშრომელმა, რომელიც ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას. სსიპ პასუხს აგებს მისი თანამშრომლის (დასაქმებული პირის) მიერ მიყენებული ზიანისათვის. ქართული კანონმდებლობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ზიანის ანაზღაურების სპეციალურ წესს არ ითვალისწინებს, ამიტომ სსიპ-ის მიერ მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს გამოიყენება სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ სზაკ-ით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე და 1005-ე მუხლები – დელიქტური სამართალი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი კი, ადგენს:

1. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.
3. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

აღსანიშნავია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით ორგანიზებული სუბიექტის მიმართ დადგენილი ზიანის ანაზღაურების წესი მოქმედებს იმ კერძო სამართლის სუბიექტების მიმართ, რომლებიც დელეგირების საფუძველზე ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს (ამ უფლებამოსილების განხორციელების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების დროს).

2.3.1. პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული არაქონებრივი ზიანისათვის

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას არეგულირებს სზაკ-ის 208 და სსკ-ის 997-ე მუხლები (პირი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე). „სამსახურებრივი მოვალეობის ცნებას უნდა მიეცეს ფუნქციური დატვირთვა, რაც გულისხმობს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესს.“²⁷ სახელმწიფო მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა კანონებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით. ხოლო მესამე პირის ცნება მოიცავს სამართლის ნებისმიერ სუბიექტს, რომელსაც შეიძლება მიადგეს ზიანი. ამასთან, მესამე პირის სამართლებრივ ფორმას და ორგანიზაციულ-სამართლებრივ სტატუსს არა აქვს მნიშვნელობა. ერთნაირად ხდება როგორც ფიზიკური პირის, ისე კერძო თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

„დელიქტური სამართალი ზიანის გამომწვევისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად ითვალისწინებს ოთხი კომპონენტის არსებობას, ესენია: ქმედება, მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობა და მიზეზ-შედეგობრიობა,²⁸ თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება მეორე კომპონენტის არსებობა არ იყოს სავალდებულო. კანონმდებელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს უკავშირებს მუშაკის ბრალს. სამოქალაქოსამართლებრივი გაგებით, ბრალი გულისხმობს განზრახვას ან გაუფრთხილებლობას, შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჯარო მოხელეს ჰქონდა რეალური შესაძლებლობა, რომ სცოდნოდა საკუთარი ქმედების მართლ-საწინააღმდეგობის შესახებ, მაგრამ არ გაითვალისწინა ეს, მას ამ შემთხვევაშიც დაეკისრება პასუხისმგებლობა.“²⁹

2.3.2. პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის დროს მიყენებული არაქონებრივი ზიანისთვის

როდესაც ზიანი დგება სახელმწიფო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის შედეგად, მოქმედებს სსკ-ის 1005-ე მუხლის, 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, სადაც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი ადგენს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც დაზარალებულს არ მიუძღვის ბრალი ზიანის დადგომაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები კი ადგენს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ხოლო სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე მოქმედი კერძო პირის საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ზემოაღნიშნული ნორმა გამოირიცხავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გამოყენებას საჯარო მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიმართ.

თავი III. კერძო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები

3.1. ზიანის ოდენობის განსაზღვრის პრობლემა

ქონებრივი ზიანისათვის დამახასიათებელია ზუსტად განსაზღვრული ან განსაზღვრადი ფულადი გამოხატულება. სამართალდარღვევის უარყოფითი შედეგი, რომელიც ღირებულებით ხასიათს ატარებს და რომლის ფულით შეფასებაც შესაძლებელია, წარმოადგენს ქონებრივ ზიანს.³⁰ ცნება „მორალური ზიანი“ უნდა გულისხმობდეს იმ ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რომელსაც სამართლის სუბიექტი განიცდის არამატერიალურ სიკეთეთა ხელყოფის შედეგად, ქონებრივი ზიანი კი, გარკვეული ფულადი ღირებულებების მქონე სიკეთის ხელყოფაა.

მართალია, ორივე შემთხვევაში ეკვივალენტს ფული წარმოადგენს, მაგრამ ერთ შემთხვევაში ხდება მატერიალური ინტერესების გამოსწორება, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს ემსახურება არამატერიალური ინტერესების დაცვას.³¹

ანაზღაურებას დაქვემდებარებული არამატერიალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა მთლიანად სასამართლოს კომპეტენციაა, შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების განხილვა უნდა მოხდეს არა მხოლოდ ნორმის განმარტების/კომენტირების, არამედ სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების კრიტიკული ანალიზის შედეგად.

პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შედეგად მიყენებული ზიანის გამოთვლა საკმაოდ რთულ პროცესთან არის დაკავშირებული, რადგან არ არსებობს კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია იურიდიული პირისათვის მიყენებული არამატერიალური ზიანის ოდენობის გამოთვლა. აღსანიშნავია, რომ ანგლო-ამერიკულ სამართალში საქმიანი რეპუტაციის შელახვის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა ცნობილია, როგორც „defamation“ (პირდაპირი თარგმანით – ცილისწამება. ქართულ სამართალში მას შეესაბამება სახელის გამტეხი ცნობების გახმაურება) და გულისხმობს არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, რის შედეგადაც ზიანი ადგება სამართლით დაცული პირის სახელს, რეპუტაციას, ხელს უწყობს საზოგადოების მხრიდან სიძულვილის გავლევას, ხდის დაცინვის, კრიტიკის ობიექტად ან/და უარყოფითად აისახება მისი საქმიანობის წარმატებაზე.³² საქმიანი რეპუტაცია შეიძლება განიმარტოს როგორც საზოგადოების, პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებები.³³ ამავე სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების თანახმად, საქმიან რეპუტაციაში იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება, რასაც ემყარება საზოგადოების დამოკიდებულება მოცემული ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიმართ. იგივე გადაწყვეტილების მიხედვით, საქმიანი რეპუტაციის შელახვის ქვეშ იგულისხმება ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც შეიცავენ მტკიცებას მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ. გარდა სუბიექტური ფაქტორებისა (როგორ აფასებს ზიანს კომპანიის პატრნიორ(ებ)ი), ზიანის ოდენობის ადეკვატური ნიშნულის გამოსათვლელად გასათვალისწინებელია მთელი რიგი ობიექტური გარემოებები. ისეთები, როგორიცაა მაგალითად: იურიდიული პირის ბრუნვა და შემოსავლები, მის მიერ წარმოებული პროდუქცია ან გაწეული მომსახურება, ბაზარზე არსებული ვითარება, ზიანის დადგომამდე იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, ზიანის მიმყენებლის ვინაობა, ზიანის მიყენების კონკრეტული გარემოებები და მრავალი სხვა. საბოლოოდ, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და მონაცემთა შეჯერების შედეგად, უნდა მოხდეს არამატერიალური ზიანის კონკრეტულ ფულად „ეკვივალენტში“ გამოხატვა. სამოქალაქო კანონმდებლობაც და სასამართლო პრაქტიკაც განსაზღვრავს მხოლოდ იმას, რა შემთხვევაში შეიძლება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. „მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია 3 ძირითადი კრიტერიუმის არსებობა, კერძოდ: 1) პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები აშკარად არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს; 2) უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ქონებრივ (მორალურ) ზიანს შორის; 3) სახეზე უნდა იყოს ხელმყოფი პირის ბრალი.“³⁴ იგივე საკითხთან დაკავშირებით

თბილისის საქალაქო სასამართლო განმარტავს, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში, ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას, თუ სახეზეა შემდეგი პირობები: ა) შელახული იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია, ბ) მოხდა საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელება, გ) გავრცელებული ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს.³⁵

ვინაიდან კანონის დონეზე არ არის ჩამოყალიბებული არაქონებრივი ზიანის გამოთვლის რაიმე წესი და არც რაიმე ინსტრუქცია არსებობს, თუ რა ოდენობით დაექვემდებარება არაქონებრივი ზიანი, დამოკიდებულია მოდავე მხარეთა არგუმენტაციასა და სასამართლოს მიერ მათ გაზიარებაზე. მოსარჩელე უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ მოითხოვოს გარკვეული თანხა, მაგრამ მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილება მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, შეჯიბრობითობის პრინციპზე³⁶ დაყრდნობით რომელი მხარე მოახერხებს, დაასაბუთოს თავისი პოზიციის სისწორე.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მთავარი სირთულე არის, რომ არ არსებობს კანონით ან კანონ მექვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული არაქონებრივი ზიანის ოდენობის გამოთვლის წესი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი სხვა ქვეყნებშიც ასე არის რეგულირებული. პრაქტიკულად შეუძლებელია, კანონმდებელმა დაადგინოს, თუ როგორ უნდა განსაზღვროს პირმა თავისთვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ოდენობა. მხარე მოთხოვნას ადგენს იმაზე დაყრდნობით, თავად როგორ აღიქვამს ზიანის ოდენობას, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს იმის მიხედვით, ობიექტურად რამდენად შეესაბამება მოთხოვნილი თანხის ოდენობა ასანაზღაურებელს. ვფიქრობთ, რომ არამატერიალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისა და ანაზღაურების საუკეთესო საშუალებაა, რომ ჩამოყალიბდეს გარკვეული კულტურა (ერთგვარი სამართლებრივი ტრადიცია), რომ მხარეებმა ინტენსიურად გამოიყენონ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება და ჩამოყალიბდეს გარკვეული სასამართლო პრაქტიკა.

3.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრის პრობლემა, როდესაც სოლიდარული მოვალის როლში გამოდის კაპიტალური საზოგადოება

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების დროს, პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრის საკითხი დამოკიდებულია იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასა და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობაზე. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება რომ წარმოიშვას, საჭიროა, არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები: მორალური ზიანის არსებობა; ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი ქმედება; არამართლზომიერ ქმედებასა და მორალურ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი; ზიანის მიმყენებლის ბრალი.³⁷

იქიდან გამომდინარე, რომ ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეზღუდვას, ამხანაგობის ტიპის საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი (ამხანაგობის ტიპის ან კაპიტალური საზოგადოება). როდესაც პარტნიორი არის ფიზიკური პირი, პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრა არ არის რთული, რადგან პირი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. მთელ ქონებაში იგულისხმება

პირის საკუთრებაში არსებული როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ამხანაგობის ტიპის საზოგადოების პარტნიორის პასუხისმგებლობის წესთან დაკავშირებით პრობლემატურია იმის განსაზღვრა, თუ ვის მიერ და რა ოდენობით უნდა ანაზღაურდეს ზიანი, როდესაც სოლიდარული მოვალის როლში გამოდის კაპიტალური საზოგადოება.

ამ შემთხვევაში, სირთულეს წარმოშობს იმის განსაზღვრა, რა ფორმით და მოცულობით გავრცელდება კაპიტალურ საზოგადოებაზე პასუხისმგებლობის პერსონალური წესი, ასევე, რომელი ქონებიდან და ვის მიერ უნდა მოხდეს მოთხოვნის უფლების მქონე პირის დაკმაყოფილება.

სამეწარმეო საზოგადოების კაპიტალის ლეგალური დეფინიცია არ არსებობს, მაგრამ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის მე-6 პუნქტი შეიცავს „საწესდებო კაპიტალის“ ლეგალურ დეფინიციას. აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინი „საწესდებო კაპიტალი“ შეიძლება გამოყენებული იყოს საზოგადოების დაფუძნებისას, მისი კაპიტალის (შენატანების ჯამი), საზოგადოების საკუთარი კაპიტალის, საზოგადოების აქციების ნომინალური ღირებულების აქციების რაოდენობაზე ნამრავლის, საწარმოს პარტნიორთა ხმების სრული რაოდენობის მნიშვნელობით. ვინაიდან ტერმინი „საწესდებო კაპიტალი“ გულისხმობს წესდებაში ასახული ქონების ერთობლიობას, ცნებაში „კაპიტალი“ უნდა მოვიაზროთ სამეწარმეო საზოგადოების ბალანსზე არსებული მთლიანი ქონება, როგორც წესდებაში ასახული, ისე ფაქტობრივად არსებული. სწორედ ეს არის ის ქონება, რომლის ფარგლებშიც აგებს პასუხს კაპიტალური საზოგადოება მესამე პირის წინაშე. ზიანის ანაზღაურების დროს შეიძლება გაჩნდეს კითხვა, იცვლება თუ არა ეს წესი, როდესაც კაპიტალური საზოგადოება გამოდის სოლიდარული მოვალის როლში.

კანონმდებელი არ ითვალისწინებს სოლიდარული პასუხისმგებლობის წესიდან გამონაკლისებს, მაგრამ ამავე დროს, კაპიტალური საზოგადოების სამართლებრივი „ბუნება“ დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ ლიმიტირებულ პასუხისმგებლობას. ერთმანეთს უპირისპირდება სოლიდარული და კაპიტალის ფარგლებში პასუხისმგებლობის პრინციპები, შესაბამისად, ისეთი გამოსავალი უნდა მოიძებნოს, რომ მაქსიმალურად დაცული იყოს როგორც პასუხისმგებლობის ორივე წესი, ისე – კრედიტორის ინტერესები. თეორიულად შეიძლება დავუშვათ იმის შესაძლებლობა, რომ დაზარალებული მხარის ინტერესებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის ტვირთის გადანაწილება მოხდეს როგორც უშუალოდ სამეწარმეო საზოგადოებაზე, ისე მის პარტნიორებზე. მაგალითად საზოგადოებამ პასუხი აგოს კაპიტალის ფარგლებში და თუ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი, დარჩენილი პასუხისმგებლობა გადანაწილდეს პარტნიორებზე. ამ მოდელის დადებითი მხარეა ის, რომ იძლევა კრედიტორის ინტერესების მაქსიმალურად დაცვის შესალებლობას, მაგრამ სამართლებრივად არასწორია და ეწინააღმდეგება თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის არსს. „არც სამართლის და არც სამართლიანობის თვალსაზრისით, სწორი არ იქნება პარტნიორმა, რომელიც შეიძლება საერთოდ არ იყოს ჩართული საწარმოს საქმიანობაში, მთელი თავისი ქონებით აგოს პასუხი ზიანისათვის, რომელიც მის უშუალო ქმედებას არ გამოუწვევია.“³⁸

მოქმედი საკანონმდებლო რეგულირებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გამართლებული იქნება შუალედური მიდგომა, რომლის თანახმად, ერთდროულად იმოქმედებს ორივე წესი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოხდება სოლიდარული პასუხისმგებლობა შეზღუდულ ფარგლებში, მიყენებული ზიანისათვის კაპიტალური ტიპის საზოგადოება პასუხს აგებს სოლიდარულად, მაგრამ მხოლოდ კაპიტალის ფარგლებში.

დასკვნა

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების დროს შეიძლება წარმოიშვას სამი ძირითადი პრობლემა, კერძოდ: 1. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრა; 2. პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრა, როდესაც სოლიდარული მოვალის როლში გამოდის კაპიტალური საზოგადოება; 3. პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრა, როდესაც ზიანი დადგა ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ბრალით ან პარტნიორის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებამდე. საკითხის კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული პრობლემების გადაჭრას შეუძლია, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს არსებული სამართლებრივი და ეკონომიკური ვითარება, კერძოდ, ხელი შეუწყოს როგორც სამართლის განვითარებას, ისე იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის უფრო ქმედითი და ეფექტიანი საშუალებების შემუშავებას ან არსებულის გაუმჯობესებას.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური გზა არის სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. შეუძლებელია, კანონმდებელმა დაადგინოს თუ როგორ უნდა მოხდეს არაქონებრივი ზიანის ოდენობის გამოთვლა და შემდგომში, რა ოდენობის ზიანი დაექვემდებარება ანაზღაურებას. ეს არის სასამართლოს პრეროგატივა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, სამართლის იმ სუბიექტებმა უნდა გამოიყენონ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება თავიანთი პირადი არაქონებრივი უფლებების დასაცავად, ვისაც მიაღდა არამატერიალური ზიანი. ამ მხრივ კი, მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა. სამწუხაროდ, ქვეყანაში სამართლებრივი თვითშეგნება არ არის განვითარებული იმ დონემდე, რომ უფლების დაცვა ხდებოდეს სასამართლოსათვის მიმართვის გზით. როგორც წესი, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით ან არ მოხდეს სასამართლოსათვის მიმართვა იმ მოტივით, რომ მხარეს უპერსპექტივოდ მიაჩნდეს ამგვარი დავის წამოწყება.

შენიშვნები:

- ¹ BLACK'S Law Dictionary 223 (5th ed. 1979), cit. Davis R. E., „What are Civil Rights,“ 19 „Cumberland Law Review,“ xiv 1988-1989, p.3.
- ² გალდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი,“ #1, 2009, გვ. 116.
- ³ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, 1986, გვ. 16.
- ⁴ Papkova Olga A., „Reparation of Moral Damages and Judicial Discretion in Russian Civil Legislation,“ 24 „Review of Central and East European Law,“ No.3/4,1998, p.269.
- ⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997, მუხლი 413, ნაწ. 1.
- ⁶ Silvano Domenico Orsi, „Defamation: Tort of Crime? A comparison of Common and Civil Jurisdictions,“ „The Dartmouth Law Journal,“ Vol. IX:3, 2011, p. 21.
- ⁷ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სახელმწიფოებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი,“ #3(30), 2011, გვ. 62.
- ⁸ ჭუჭულაშვილი ქ., მორალური ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი, 2012, გვ. 6.
- ⁹ ლუთრინგაუზი პ., დელიქტური სამართლის პრობლემატიკა, მოკლე კონსპექტების კრებული, გამომც. „სიესტა,“ 2011, გვ. 14.
- ¹⁰ სუსგ #ბს-1324-900(კ-05).
- ¹¹ სუსგ საქმე #ა-998-ა-7-2011.

- ¹² გალდავა გ., სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, #1, 2009, გვ. 117.
- ¹³ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, 2003, გვ. 110.
- ¹⁴ ლაზარაშვილი ლ., სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2003, გვ. 61-62.
- ¹⁵ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 62.
- ¹⁶ ჭანტურია ლ., ნინიძე თ., „მეწარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი, 2002, გვ. 16.
- ¹⁷ ლაზარაშვილი ლ., სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პრაქტიკული მნიშვნელობა, ჟურნალი „ცხოვრება და სამართალი“, № 1, 1998, გვ. 72;
- ¹⁸ ლაზარაშვილი ლ., სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, 2003, გვ. 32.
- ¹⁹ ლილუაშვილი გ., შპს – თეორია და პრაქტიკა, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2005, გვ. 121.
- ²⁰ Enno W. Ercklentz, Modern German Corporation Law, 1979, New Yourk, p. 51; ციტატა ნაშრომიდან ლილუაშვილი გ., შპს – თეორია და პრაქტიკა, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2005, გვ. 121.
- ²¹ Lutter in KK-AktG, 1988, §54 Rz. 14; ამონარიდი ნაშრომიდან: „შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური შეხედულება სს-იდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ“, ირაკლი ბურდული, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, #1-2, 2012, გვ. 20.
- ²² ბურდული ი., შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური შეხედულება სს-იდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, N 1-2, 2012, გვ. 19.
- ²³ ბურდული ი., „ქონების მოზიდვა სააქციო საზოგადოებაში და შესატანის განუხორციელების სამართლებრივი ბუნება (ავსტრიული სამართლის მაგალითზე)“, ჟურნ. „სამართალი“ #1-2, 2003.
- ²⁴ კიკილაშვილი გ., პასუხისმგებლობა შენატანის შეტანის ვალდებულების დარღვევისათვის (სააქციო საზოგადოების მაგალითზე), ჟურნ. „თემიდა“, #7(9), 2012, გვ. 133.
- ²⁵ სუხიაშვილი თ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #2(29), 2011, გვ. 94.
- ²⁶ დირექტორთა ვალდებულებები საკორპორაციო სამართალში, „Business Judgement Rule“, ბიზნეს სამართლის ეროვნული სიმპოზიუმი, 20-21 მარტი, 2012 წელი, თბილისი, მასალები, გვ. 19.
- ²⁷ ჯანიაშვილი მ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, გვ. 30.
- ²⁸ ლუთერინგჰაუსი პ., დელიქტური სამართალი, გამომც. „სიესტა“, 2011, გვ. 14.
- ²⁹ კიკილაშვილი გ., არარა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #4(35) 2012, გვ. 83.
- ³⁰ ბარაბაძე ნ., მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემები, 2012, გვ. 23.
- ³¹ ჭუჭულაშვილი ქ., მორალური ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი, 2012, გვ. 8.
- ³² 50 Am. JUR. 2D Libel and Slander § 6, cit. Socha Michael, „Double Standard: A Comparison of British and American Defamation Law“, Penn State International Law Review, Vol. 23:2, 2004, p.474.
- ³³ ბიზნეს სამართლის ეროვნული სიმპოზიუმი, 20-21 მარტი, 2012 წელი, თბილისი, მასალები, გვ. 19.
- ³⁴ ჯანიაშვილი მ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, გვ. 30.
- ³⁵ ლუთერინგჰაუსი პ., დელიქტური სამართალი, გამომც. „სიესტა“, 2011, გვ. 14.
- ³⁶ კიკილაშვილი გ., არარა ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #4(35) 2012, გვ. 83.
- ³⁷ ბარაბაძე ნ., მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემები, 2012, გვ. 23.
- ³⁸ ჭუჭულაშვილი ქ., მორალური ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი, 2012, გვ. 8.

PROBLEM OF DETERMINING THE COMPENSATION AMOUNT AND THE RESPONSIBLE SUBJECT WHEN COMPENSATING FOR NON-MONETARY LOSSES EMERGED FROM THE RELATIONS BETWEEN LEGAL ENTITIES

GOGA KIKILASHVILI

Doctoral Student of the Tbilisi Ivane Javakhishvili State University

In the modern world, the subject organized in a legal form of a legal entity is one of the largest participant in civil turnover, which acquires and enjoys civil rights and obligations independently, under its name (through a representative).

Assigning the rights to a legal entity created the grounds for emerging the need for effective remedies for protecting these rights, as far as the stable civil turnover necessitates not only the recognition of the rights, but also their legal and reliable protection as well. Relations in connection to the non-property rights of a legal entity are linked to special difficulties.

The article will discuss the compensation for losses inflicted as the result of breaching the non-property rights during the relations between the legal entities and the related issues, such as



the problem of determining the responsible subject and the amount of compensatory damage. The issue is difficult in some particular cases due to the organizational-legal form of the damaged legal entity, also because of culpability of the subject causing the damage. Besides, determination of the amount of compensatory damage is also quite problematic, as far as there is actually no objective measurement criterion and it totally depends on the arguments of the disputing parties and the opinion of the court.

The article discusses the issue regarding the legal entities of both public and private law. Due to the resemblance of the legal form and specifics of damage compensation, the problem of compensation of a non-material damage inflicted to the legal entity of private law and other related problems will be discussed on the example of a commercial legal entity.

დაზღვევის სამართალური თეორიის სუბიექტები და ობიექტი

ეკატერინე ქეცბაია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

დაზღვევა არის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც მყარდება გარკვეული გარემოებების დადგომისას, ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი ქონებრივი ინტერესების დასაცავად, სადაზღვევო შენატანით ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე. დაზღვევის მიზანია დამზღვევის მიერ გადახდილი პრემიებით ფორმირებული სადაზღვევო ფონდების ხარჯზე მისი ქონებისადმი მიყენებული ზარალის ან მის მიმართ უბედური შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დაზღვევის განხორციელებისათვის საჭიროა მინიმუმ, ორი მხარის არსებობა (მზღვეველი და დამზღვევი). ი. ფოგელსონის აზრით, დაზღვევა არის ადამიანებისა და ორგანიზაციების ინტერესების დაცვის ფორმა გარე მავნე ფაქტორების მოქმედებისაგან სადაზღვევო თანხის გადახდის გზით.¹ სადაზღვევო საქმიანობა კი, წარმოადგენს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც უშუალოდ მიმართულია სადაზღვევო ფონდის შექმნისა და მისი სახსრების გამოყენებისათვის, სადაზღვევო ანაზღაურების მიზნით (სადაზღვევო უზრუნველყოფა).²

სადაზღვევო ურთიერთობა დაზღვევის სამართლის ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომე-

ლიც წარმოიშობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების პროცესში.³ ამდენად, სადაზღვევო ურთიერთობა, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის ნაირსახეობა, რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით და იღებს სადაზღვევო სამართალურთიერთობის ფორმას. სადაზღვევო ურთიერთობა შეიძლება იყოს არასახელშეკრულებო (სავალდებულო მხარისათვის) და სახელშეკრულებო, რომელიც წარმოიშობა დაზღვევის ხელშეკრულების დადების თაობაზე მხარეთა მიერ ნების გამოხატვის შედეგად (სკ-ის 799-ე და 801-ე მუხლები).

სადაზღვევო სამართალურთიერთობა ვალდებულებითი სამართალურთიერთობაა, რომელიც წარმოადგენს სასყიდლიან, სახელშეკრულებო, სარისკო, ორმხრივ (ზოგ შემთხვევაში – სამმხრივ ან მრავალმხრივ), ფარდობით და ფულად ვალდებულებას სადაზღვევო ორგანიზაციასა და იურიდიულ ან ფიზიკურ პირს შორის სადაზღვევო დაცვის მიზნით. იგი ადგენს ერთი მხარის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის და მეორე მხარის მიერ სადაზღვევო შესატანის შესახებ უფლებებსა და მოვალეობებს.⁴

დამზღვევი ვალდებულია აანაზღაუროს მომსახურება, ხოლო მზღვეველი თავის თავზე იღებს ვალდებულებას გადაუხადოს სადაზღვევო თანხა დამზღვევს ან სხვა პირს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადაზღვევო ურთიერთობა ითვლება სასყიდლიან ურთიერთობად. ამ ურთიერთობის ორივე მხარე იღებს თანხის გადახდის ვალდებულებას, რაც ამ ურთიერთობას სასყიდლიანს ხდის. სადაზღვევო ურთიერთობების ფარდობითობა ნიშნავს, რომ სადაზღვევო ურთიერთობაში უფლებამოსილ პირს (დამზღვევს) უპირისპირდება მკაცრად განსაზღვრული ვალდებული პირი (მზღვეველი). ამასთან, დაზღვევაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე – მზღვეველი იღებს თავის თავზე მეორე მხარის – დამზღვევის სადაზღვევო რისკს. სადაზღვევო ურთიერთობას სარისკო ურთიერთობასაც უწოდებენ, ვინაიდან მზღვეველისა და დამზღვევის ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება დამოკიდებულია სადაზღვევო მოვლენის დადგომასთან. სადაზღვევო ვალდებულებები ორმხრივია, ამასთან, სადაზღვევო ვალდებულებები შეიძლება განხორციელდეს მესამე პირების (სარგებლის მიმღების) სასარგებლოდაც. ორმხრივია ურთიერთობა, რომელიც ორი ან მეტი მხარე ნების გამოხატვის შედეგად კისრულობს ერთმანეთის მიმართ რაიმე სახის ვალდებულებას. სადაზღვევო ურთიერთობაში მზღვეველი ვალდებულია, დამზღვევს ან მესამე პირს აუნაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული თანხა, ხოლო დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს დადგენილი შესატანი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ სადაზღვევო სამართალურთიერთობის სპეციფიკურ ნიშნებს, კერძოდ:

- სადაზღვევო სამართალურთიერთობები სამართლის დარგების მიხედვით, მიეკუთვნება სადაზღვევო სამართალს;
- ობიექტების ინდივიდუალიზაციის ხარისხის მიხედვით, სადაზღვევო სამართალურთიერთობები მიეკუთვნება შეფარდებით სამართალურთიერთობებს, რადგან მათში განსაზღვრულია ყველა მონაწილე;
- სუბიექტთა ვალდებულებების ხასიათის მიხედვით, სადაზღვევო სამართალურთიერთობები არის აქტიური სამართალურთიერთობები;
- მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით, სადაზღვევო სამართალურთიერთობები მიეკუთვნება რთულ სამართალურთიერთობებს, რადგან მათში მონაწილეობს რამდენიმე სუბიექტი;

- ხანგრძლივობის მიხედვით, სადაზღვევო სამართალურთიერთობები შეიძლება ატარებდეს ხანგრძლივ ხასიათს.

სადაზღვევო სამართალი არის სამართლის წარმონაქმნი, რომლის მიზანია სხვადასხვა საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება. სადაზღვევო სამართალურთიერთობა ხორციელდება მისი მონაწილე სუბიექტების მეშვეობით. ამდენად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ვინ არიან ამ ურთიერთობის სუბიექტები, რომლებიც ქმნიან სადაზღვევო ურთიერთობებს და გარემოს, რა სტატუსით სარგებლობს თითოეული მათგანი და რა როლი აქვთ მათ სადაზღვევო ურთიერთობაში. ასევე, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა არის სადაზღვევო ურთიერთობის ობიექტი, მით უმეტეს, ხშირ შემთხვევაში დაზღვევის ობიექტისა და საგნის ცნებების აღრევა ხდება.

მოცემული სტატიის მიზანია განვიხილოთ სადაზღვევო სამართალურთიერთობების სუბიექტები ცალ-ცალკე, კერძოდ, სახელმწიფოს როლი ამ ურთიერთობაში, ასევე, დაზღვევის, მზღველის, დაზღვეულისა და მოსარგებლის არსი და მნიშვნელობა სადაზღვევო სამართალურთიერთობაში. აგრეთვე საინტერესოა, ე.წ. ფაკულტატური სუბიექტების (სადაზღვევო აგენტებისა და სადაზღვევო ბროკერების) ფუნქცია და მონაწილეობა ამ ურთიერთობებში.

1. სახელმწიფო, როგორც სადაზღვევო სამართალურთიერთობების მონაწილე, კომპეტენტური ორგანოების სახით გამოსცემს ნორმატიულ აქტებს სადაზღვევო საქმიანობის დასარეგულირებლად, ახორციელებს ზედამხედველობას სადაზღვევო საქმიანობასა და მათ ლიცენზირებაზე.

სახელმწიფო სადაზღვევო კანონმდებლობის ნორმების მეშვეობით გამოხატავს თავის ნებას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სადაზღვევო საქმიანობა და ამ სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრავს სამართალურთიერთობის სუბიექტების ქცევას. დაზღვევის სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფით სახელმწიფო იცავს ამ ნორმებით რეგულირებულ სადაზღვევო ურთიერთობებს.

2. მზღვეველი არის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად და აქვს ლიცენზია ასეთი საქმიანობის განხორციელებისათვის. მზღვეველი, დაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად, თავის თავზე იღებს რისკს და გარკვეული საზღაურით ფორმირებული ფონდების ხარჯზე ანაზღაურებს იმ ზარალს, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით დადგა სადაზღვევო შემთხვევის დროს. მზღვეველთა უშუალო მოქმედების საგანი არ შეიძლება იყოს საწარმოო, სავაჭრო-საშუამავლო და საბანკო საქმიანობა. მზღვეველი ახორციელებს სადაზღვევო რისკის შეფასებას, იღებს სადაზღვევო პრემიებს (სადაზღვევო შესატანებს), ფორმირებას უკეთებს სადაზღვევო რეზერვებს, აქტივების ინვესტირებას, განსაზღვრავს ზარალისა და ზიანის ოდენობას და ახორციელებს სადაზღვევო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას.

მოთხოვნები სადაზღვევო ორგანიზაციების მიმართ მათი საქმიანობის ლიცენზირებისა და ამ საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ განისაზღვრება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის

შესაბამისად, მზღვეველი შეიძლება იყოს შემზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოება, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად და რომელსაც მოცემული კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია.

დღეს მოქმედი კანონით, სადაზღვევო კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეიძლება იყოს მხოლოდ შემზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება. სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიულ პირებს არ გააჩნიათ სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების უფლება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტი განიხილავს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტს, რომლის ერთ-ერთი მუხლი მზღვეველის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სახეობათა ცვლილებას ეხება. კერძოდ, როგორც აღინიშნა, დღეს არსებული კანონის თანახმად, მზღვეველი შესაძლებელია არსებობდეს ორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. კანონპროექტის თანახმად კი, მზღვეველი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების სახით. მოცემული ცვლილების აუცილებლობა განპირობებულია საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად, მოცემული სადაზღვევო საქმიანობის დაწყებისა და მისი შემდგომი განხორციელების შესახებ (2009/138) ევროპულ დირექტივასთან ჰარმონიზაციის მოთხოვნით. მსოფლიოს თითქმის ყველა მოწინავე ქვეყანაში, ფინანსური სექტორის სტაბილურობისათვის კაპიტალური საზოგადოების ამგვარი რთული ფორმა გაცილებით მეტად არის მისაღები. იგი იძლევა კონტროლის უკეთეს საშუალებას და ზოგადად, მიმართულია კორპორატიული მართვის მკაცრი მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ. ეს მოთხოვნა გავრცელდება ახლადშექმნილ მზღვეველებზე კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, ხოლო დღეს არსებული ის მზღვეველები, რომელთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შემზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, აღნიშნულ მოთხოვნას დააკმაყოფილებენ 2015 წლის 1 ივლისიდან.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ მზღვეველის შემდეგი ორგანიზაციული ნიშნები:

- უნდა იყოს იურიდიული პირი;
- უნდა იყოს დაზღვევისთვის სპეციალურად შექმნილი ორგანიზაცია;
- რეგისტრირებული უნდა იყოს როგორც სადაზღვევო ორგანიზაცია;
- უნდა ჰქონდეს სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების უფლებაზე ლიცენზია.

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, სადაზღვევო კომპანიები შეიძლება არსებობდნენ სააქციო საზოგადოებების ან ურთიერთდაზღვევის გაერთიანებების სახით. რუსეთის ფედერაციაში მზღვეველი შეიძლება იყოს ნებისმიერი კანონმდებლობით დაშვებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად და რომელსაც სათანადო წესით აქვს მიღებული ლიცენზია.

ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლებელია ინდივიდუალური მეწარმე გამოვიდეს მზღვეველად. მაგალითად, ინგლისში არსებობენ ინდივიდუალურ მზღვეველთა გაერთიანებები და თითოეული

მათგანი ახორციელებს სადაზღვევო ოპერაციას თავისი სახელით და თავისი რისკით, რის გამოც ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ინდივიდუალურ მეწარმეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გამოვიდეს მზღვეველის სახით. ქართული კანონმდებლობა, როგორც აღინიშნა, ამ მოსაზრებას არ იზიარებს, პირიქით, კორპორატიული მართვის რთულ ფორმებს ანიჭებს უპირატესობას.

დაზღვევის კანონმდებლობა თანაბრად ვრცელდება უცხოელ მოქალაქეებზე, მოქალაქეობის არქმონე პირებზე, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის კაპიტალით შექმნილ იურიდიულ პირებზე, უცხოური იურიდიული პირის ფილიალსა და წარმომადგენლობაზე, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უცხოეთის სადაზღვევო კომპანიას არა აქვს უფლება საქართველოში უშუალოდ განახორციელოს სადაზღვევო საქმიანობა. ამ კომპანიებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საქართველოში რეგისტრირებულ სადაზღვევო კომპანიების საქმიანობაში და იყვნენ ამ კომპანიების დამფუძნებლები.

3. დამზღვევი არის ის, ვინც საკუთარი სახელით მზღვეველთან დებს დაზღვევის ხელშეკრულებას.⁵ იგი არის სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილე მხარე, რომელიც აზღვევს საკუთარ ქონებრივ ინტერესს ან მესამე პირის ინტერესებს. დამზღვევმა შეიძლება დადოს სადაზღვევო ხელშეკრულება თავის ან მესამე პირის სასარგებლოდ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სარგებელს სადაზღვევო ხელშეკრულებიდან მესამე პირი იღებს, სადაზღვევო ხელშეკრულების მხარედ მაინც დამზღვევი რჩება. მხოლოდ მას აქვს სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება და მხოლოდ მას შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა ან ხელშეკრულებიდან გასვლა. თავის მხრივ, მზღვეველს მხოლოდ დამზღვევის წინაშე აქვს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებების მიცემის ვალდებულება. დამზღვევი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული პირი, ასევე, ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც იხდის სადაზღვევო შენატანებს და კანონით ან ხელშეკრულების საფუძველზე უფლება აქვს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს ფულადი სახსრები.

ანგლო-ამერიკულ პრაქტიკაში დამზღვევებს ყოფენ „ძირითად სახელობით დამზღვევად“, „დასახელებულ დამზღვევად“ და „დამატებით დამზღვევად“. „ძირითად სახელობით დამზღვევს“ ეკისრება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, მზღვეველის შეტყობინება ბარალის შესახებ და მხოლოდ მას აქვს სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება. „დასახელებულ დამზღვევს“, ანუ არაძირითად დამზღვევს აქვს საკუთარი სადაზღვევო ინტერესი დამზღვევის ობიექტისადმი. იგი არ არის უშუალო კონტაქტში მზღვეველთან, თუმცა, არის დამზღვევის ხელშეკრულების მხარე. „დამატებითი დამზღვევი“ არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის ინტერესი წარმოიშობა დამზღვევის ხელშეკრულების მოქმედების დაწყების შემდგომ. ისინი შეაქვთ უკვე მოქმედ ხელშეკრულებაში დამატების შეტანის გზით.

4. დაზღვეული არის პირი, რომლის სასარგებლოდაც იქნა დადებული სადაზღვევო ხელშეკრულება. იგი არ არის დამზღვევის ხელშეკრულების დამოუკიდებელი მხარე.⁶ დაზღვეული არის პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა, ანუ რომლის ინტერესიც იზღვევა. დაზღვეული შეიძლება იყოს თვითონ დამზღვევი, თუმცა, თუ დამზღვევი იურიდიული პირია, მაშინ დამზღვევის და დაზღვეული პირის სუბიექტი ემიჯნებიან ერთმანეთს, რადგან პირადი

დაზღვევისას იურიდიული პირი არ შეიძლება გამოვიდეს როგორც დაზღვეული პირი.⁷

პირადი დაზღვევის დროს, თუ ხელშეკრულების დადებისას არ არის აღნიშნული ის პირი, რომლის ინტერესიც იზღვევა, მაშინ ხელშეკრულება არ ითვლება დადებულად. ამავე დროს, ეს არ ნიშნავს, რომ დაზღვეული პირი დაზღვევის ხელშეკრულებაში უნდა იყოს მითითებული სახელით. საკმარისია სადაზღვევო შემთხვევისას ერთმნიშვნელოვნად შეიძლებოდეს იმის განსაზღვრა, რომ ეს შემთხვევა მოხდა ზუსტად იმ პირის მიმართ, რომელზეც საუბარია ხელშეკრულებაში. ასე რომ, იმ შემთხვევაში, როდესაც პირად დაზღვევას სავალდებულო ხასიათი აქვს, კანონმა დაზღვეული პირი შეიძლება განსაზღვროს არა პერსონალურად, არამედ როგორც გვარეობითი კატეგორია, მაგალითად, „მგზავრები“, „დაქორავებული მუშაკები.“

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, დაზღვეული ფიზიკური ან იურიდიული პირია, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას. დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყოს დაზღვეული, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეული უარს იტყვის სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე, სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება გადადის დამზღვევზე. დაზღვეული პირის გარდაცვალებისას დაზღვევის ხელშეკრულება შეწყდება თუ კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში, დაზღვეულის უფლებები და მოვალეობები იმ ქონებრივ უფლებაზე, რომლიც არის დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტი, გადადის გარდაცვლილი დაზღვეულის მემკვიდრეზე. დაზღვეული პირის გარდაცვალებისას, აუცილებელია დამზღვევის თანხმობა დაზღვეულის მემკვიდრეებზე ქონებრივი უფლება-მოვალეობის გადასვლასთან დაკავშირებით. თუ დამზღვევი არ იქნება თანახმა გარდაცვლილი დაზღვეულის შეცვლაზე ან თუ მემკვიდრეები არ არიან თანახმა მიიღონ გარდაცვლილი დაზღვეულის უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულება შეწყდება.

დაზღვეული არასრულწლოვანი პირების უფლებების რეალიზაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით („დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-7 ნაწილი), კერძოდ, არასრულწლოვან დაზღვეულთა უფლებების რეალიზაციას მათი კანონიერი წარმომადგენელი ახორციელებს. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ქმედუნარო პირებზეც, მათ უფლებებს ახორციელებენ ამ პირების კანონიერი წარმომადგენლები.

5. სარგებლის მიმღები (მოსარგებლე). „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარგებლე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას. მოსარგებლე არ არის დამზღვევი, მაგრამ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია მის სასარგებლოდ. სავალდებულო დაზღვევის შემთხვევაში, კანონი შეიძლება დამზღვევს ავალდებულებდეს მესამე პირის დაზღვევას. ნებაყოფლობითი დაზღვევისას, დამზღვევს შეუძლია დაზღვევის ხელშეკრულებაში განსაზღვროს მესამე პირი, როგორც დაზღვეული. იმ შემთხვევაში, როდესაც სადაზღვევო ურთიერთობაში მესამე პირის ჩართვა ხდება, დაზღვევის ობიექტი იქნება დაზღვეული პიროვნება ან დაზღვეულის ქონება.

სარგებლის მიმღები მესამე პირია, რომელიც არ იღებს მონაწილეობას დაზღვევის ხელშეკრულების დადებაში და რომელსაც მზღვეველმა სადაზღვევო შემთხვევის დადებისას უნდა გადაუხადოს სადაზღვევო ანაზღაურება. სარგებლის მიმღები შეიძლება მონაწილეობდეს როგორც პირად, ისე ქონებრივ დაზღვევაში. სარგებლის მიმღებ პირთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: ხელშეკრულების მიხედვით, მზღვეველია სადაზღვევო კომპანია „ი. ლ.“, ხოლო დამზღვევი – ა. მ. ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულია მოსარგებლე, ანუ პირი, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა. კერძოდ, ხელშეკრულების მიხედვით, პირველი რიგის მოსარგებლეა ბანკი, ხოლო მეორე რიგის მოსარგებლე – დამზღვევის მემკვიდრე (კანონით ან ანდერძით). სადაზღვევო ანაზღაურების თანხის მიმღები ხელშეკრულების თანახმად, არის მხოლოდ მოსარგებლე.⁸

ხელშეკრულებით, ტრადიციულად, მხოლოდ ხელშემკვრელ მხარეებს წარმოეშობათ უფლებები და ვალდებულებები.⁹ სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები ყოველთვის დამზღვევს აქვს, მაგრამ შესაძლებელია, რომ ისინი იმ მესამე პირს გადაეცეს, რომლის სასარგებლოდაც იდება სადაზღვევო ხელშეკრულება. დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დამზღვევმა დადოს სადაზღვევო კომპანიასთან თავისი სახელით, მაგრამ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ სადაზღვევო საზღაურს მის ნაცვლად მიიღებს სხვა პირი. ასეთი ხელშეკრულება სხვა პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებად ითვლება სამოქალაქო კოდექსის 836-838-ე მუხლების თანახმად. მესამე პირის სასარგებლოდ დადებულად ჩაითვლება ხელშეკრულება, რომლითაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგი დგება იმ პირის მიმართ, რომელიც არ არის ხელშეკრულების მონაწილე (მესამე პირი). იმ შემთხვევაში, როცა ორგანიზაცია ახორციელებს თანამშრომელთა დაზღვევას, დაზღვეულ თანამშრომელს შეუძლია, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნა წაუყენოს სადაზღვევო კომპანიას.

მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მესამე პირები სამოქალაქო სასამართლებრივ ურთიერთობებში ჩართულნი არიან მათი ნების გამოვლენის გარეშე.¹⁰ არც ის არის აუცილებელი, რომ მესამე პირი ქმედუნარიანი იყოს. სამოქალაქო კოდექსის 836-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებაში მესამე პირის დასახელება სავალდებულო არ არის. მართალია, ხელშეკრულების გაფორმებისას მისი თანხმობა საჭირო არაა, მაგრამ სადაზღვევო საზღაურის გაცემის დროს მესამე პირის თანხმობა აუცილებელია.

სხვა პირის სასარგებლოდ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება არ არის საკმარისი დაზღვეულის უფლებების რეალიზაციისათვის, ამის რეალურ საფუძველს მხოლოდ დაზღვევის მოწმობის გადაცემა წარმოადგენს.¹¹ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში სადაზღვევო პრემიას იხდის შესაბამისი სუბიექტი დაზღვეულის, როგორც ბენეფიციარის, სასარგებლოდ. მაგალითად, როდესაც დამსაქმებელი ყიდულობს დასაქმებულისათვის ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს.¹² სხვა პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაში, პრემიის გადახდის მოვალეობა და ხელშეკრულების ხარჯების გადახდა ეკისრება დამზღვევს. მოსარგებლის გარდაცვალებისას, თუ იგი არ არის დამზღვევი, გამოიყენება დაზღვეული პირის გარდაცვალებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი წესები.

კანონმდებლობის თანახმად, მზღვეველებმა შეიძლება განახორციელონ სადაზღვევო საქმიანობა სადაზღვევო აგენტებისა და სადაზღვევო ბროკერების მეშვეობით. ამ უკანასკნელთ, სადაზღვევო სამართალურთიერთობის ფაქტულტატურ სუბიექტებს უწოდებენ.

6. დაზღვევის აგენტი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს თავის საქმიანობას. იგი წარმოადგენს მზღვეველს დამზღვევთან ურთიერთობაში და მოქმედებს მზღვეველის სახელით და მისი დავალებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში. დაზღვევის აგენტი ასრულებს შუამავლის ფუნქციას სადაზღვევო კომპანიასა და დამზღვევს შორის. შუამავლის ფუნქციის შესრულების მიუხედავად, აგენტი არ მოქმედებს შუამავლობის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვინაიდან მაკლერისაგან განსხვავებით, მას აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.¹³

აგენტი სადაზღვევო კომპანიის სახელით სთავაზობს დაზღვევის ამა თუ იმ პროდუქტს პოტენციურ კლიენტებს, ხელს აწერს სადაზღვევო ხელშეკრულებასა და იღებს მზღვეველისაგან სააგენტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ გასამრჯელოს საკომისიოს სახელით.

სამოქალაქო კოდექსის 805-ე მუხლით განმტკიცებულია დაზღვევის აგენტის უფლებები, კერძოდ, თუ დაზღვევის აგენტი (წარმომადგენელი) უფლებამოსილია დადოს დაზღვევის ხელშეკრულება, მას ასევე, შეუძლია შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, გააგრძელოს მისი მოქმედების ვადა ან მოშალოს იგი. იმავე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია, რომ დაზღვევის აგენტს, რომელიც ასრულებს შუამავლის ფუნქციას დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას, უფლება აქვს დადოს ასეთი ხელშეკრულება.

7. სადაზღვევო ბროკერი არის კანონმდებლობით დადგენილი წესით, მეწარმის სახით რეგისტრირებული, ფიზიკური ან იურიდიული პირი. სადაზღვევო ბროკერი მოქმედებს დამზღვევის ან მზღვეველის ინტერესებში და ახორციელებს საქმიანობას მომსახურების გაწევის სფეროში დაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. სადაზღვევო ბროკერის ურთიერთობა მზღვეველთან და დამზღვევთან განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. მომსახურების გაწევისას, სადაზღვევო ბროკერს არა აქვს უფლება, იმოქმედოს ერთდროულად დამზღვევის და მზღვეველის ინტერესებში. სადაზღვევო ბროკერებს ასევე, არა აქვთ უფლება, განახორციელონ ისეთი საქმიანობა, რომელიც არ არის დაკავშირებული დაზღვევასთან.

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სადაზღვევო ბროკერი რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომ – სამსახური) და დამოუკიდებლად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას.

ზოგიერთ ქვეყანაში სადაზღვევო აქტუარებს განიხილავენ დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტად. ესენი არიან პირები, რომლებსაც აქვთ საკვალიფიკაციო ატესტატი და რომლებიც შრომით ურთიერთობაში იმყოფებიან მზღვეველთან. ისინი არიან სადაზღვევო მათემატიკის სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ აქტუარული გათვლების თეორიას. აქტუარი მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით ახდენს სადაზღვევო ტარიფების განაკვეთების გათვლას და ასევე, რეზერვების ოდენობის დადგენას.

სადაზღვევო სამართალურთიერთობის აუცილებელი ელემენტია მისი ობიექტი. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება სა-

ქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის: ა) დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის სიცოცხლისთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან (პირადი დაზღვევა); ბ) დაზღვევა, დაკავშირებული ქონების ფლობასთან, განკარგვასთან და ქონებით სარგებლობასთან (ქონების დაზღვევა); გ) დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან (პასუხისმგებლობის დაზღვევა).

აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს მოქალაქის ან იურიდიული პირის ნებისმიერი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. დაზღვევის ობიექტს განიხილავენ როგორც დაზღვევის ინტერესს, რომლის განსაზღვრაც აუცილებელია დაზღვევის ხელშეკრულების დასადასტურებლად.¹⁴ სადაზღვევო ინტერესი ეს არის დამზღვევის კანონიერი უფლება და ნიშნავს, რომ პიროვნება, რომელიც ეწევა სადაზღვევო საქმიანობას, იმყოფება იურიდიულ ურთიერთობაში დაზღვევის ობიექტთან.¹⁵

დაზღვევის ობიექტის ცნება მიეკუთვნება დაზღვევაში გამოსაყენებელ სადავო ცნებათა რიცხვს. ხშირად დაზღვევის ობიექტისა და დაზღვევის საგნის ცნებების აღრევა ხდება. დაზღვევის საგანი არის ის, რაც დაზღვეულია, ხოლო დაზღვევის ობიექტი არის ის, რაზეც მიმართულია დაზღვევა. ქონების დაზღვევისას, დაზღვევის საგანი არის შენობები, მშენებლობები, სატრანსპორტო საშუალებები, საოჯახო ქონება და სხვა მატერიალური სიკეთე. დაზღვევის ობიექტია, მაგალითად, პასუხისმგებლობა ამა თუ იმ სახით პასუხისმგებლობის დაზღვევისას. ქონებრივ დაზღვევაში დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს მატერიალური ფასეულობები, პირად დაზღვევაში კი – მოქალაქის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და შრომისუნარიანობა.¹⁶ თუ ქონებრივი დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვევის ობიექტის სახედ გამოდის დანაკარგები, რომლებიც მიყენებული აქვს ქონებას ან სხვა ქონებრივ ინტერესებს, პირადი დაზღვევის ხელშეკრულებით – ზიანდება სიცოცხლე ან ჯანმრთელობა. პირადი დაზღვევისას, ქონებრივი დაზღვევისაგან განსხვავებით, დასაშვებია ერთი და იგივე ობიექტის, ერთი და იგივე რისკის სხვადასხვა მზღვეველთან დაზღვევა და თითოეულისაგან სადაზღვევო ანაზღაურების სრული მოცულობით მიღება. რისკის შემცველი პირადი დაზღვევის ობიექტად ითვლება დაზღვეული პირის ინტერესი, რომელიც დაკავშირებულია მატერიალური მდგომარეობის უზრუნველყოფასთან ან სარგებლის მიმღების მდგომარეობასთან. ამ მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, დაზღვეული პირი იღებს სადაზღვევო თანხას სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან სხვა არამატერიალური სიკეთისათვის ზიანის მიყენების გამო.

სიცოცხლის დაზღვევის ობიექტი არის დამზღვევის (დაზღვეული პირის) ქონებრივი ინტერესი, რაც გამოიხატება მისი მატერიალური მდგომარეობის უზრუნველყოფით ან სხვა პირის (სარგებლის მიმღების) განსაზღვრულ დონეზე მდგომარეობის შენარჩუნებაში. გადაზღვევის ობიექტად კი, გამოდის გადაზღვევის ქონებრივი ინტერესი, რომელიც ძირითადი ხელშეკრულების მიხედვით დაკავშირებულია სადაზღვევო ანაზღაურების შესრულებასთან. გადაზღვევის ხელშეკრულების ძირითადი ობიექტია – რისკი, რომელსაც თავის თავზე იღებს მზღვეველი, ე.წ. ორიგინალური რისკი.

სადაზღვევო სამართალურთიერთობის მთავარი ღერძი მასში მონაწილე სუბიექტები არიან. ამ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების მეშვეობით ხორციელდება სადაზღვევო მოქმედებები და დგება სამართლებრივი შედეგები. სადაზღვევო ობიექტი კი, როგორც აღინიშნა არის ის, რაზედაც მიმართულია დაზღვევა. დაზღვევის სუბიექტებისა და ობიექტების გარეშე წარმოუდგენელია სადაზღვევო ურთიერთობების არსებობა. ამდენად, მნიშვნელოვანია ამ საკითხის სიღრმისეული განხილვა და განმარტება.

შენიშვნები:

- ¹ Фогельсон Ю., Введение в страховое право. М., 1999, стр. 2.
- ² Гуткович Е., Страховое право, Горно-Алтайск: РИО ГАГУ, 2008, стр. 9.
- ³ Тарадонов С., Страховое право, М., 2007, стр. 21.
- ⁴ Смирнова М., Страховое право, Юстицинформ, 2007, стр. 45.
- ⁵ Hofmann E., Privatversicherungsrecht 3. Auflage, Munchen, 1991, s. 42.
- ⁶ ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001, გვ. 49.
- ⁷ Тарадонов С., Страховое право, Учебное пособие., М., 2007, стр. 113.
- ⁸ სუსგ #ას-719-674-2010, 27 ივნისი, 2011.
- ⁹ Clarkson/Cross, Business Law, Text and Cases, Twelfth Edition, 2012, გვ. 304.
- ¹⁰ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014, გვ. 214.
- ¹¹ ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001, გვ. 51.
- ¹² ირემაშვილი ქ., ჯანმრთელობის დაზღვევის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი, თსუ სამართლის ჟურნალი, #2, 2011, გვ. 60.
- ¹³ ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001, გვ. 24.
- ¹⁴ ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001, გვ. 8.
- ¹⁵ გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება, თბილისი, 2002, სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 57.
- ¹⁶ Гуткович Е., Страховое право, г. Горно-Алтайск, 2008, стр. 10.

SUBJECTS AND OBJECT OF INSURANCE LEGAL RELATIONS

EKATERINE KETSBAIA

*Doctoral student of the Law Faculty of the Tbilisi
Ivane Javakhishvili State University*

Insurance is a necessary element of the economic and social system of the society, as far as it is one whole complex of protecting the property interests of citizens, organizations and the state. It is one of the important instruments of social stability of the state, which is directly linked to the national, and primarily to the economic security of the country.

The insurance law is a field of law, which aims at regulating various public relations. Insurance legal relation is implemented through its participants. Thus, it is important to know who the subjects of this relation are who create the insurance relations and setting, what status each of these subjects have, and what role they play in the insurance relation. Besides, it is important to know what an object of insurance relation is, inasmuch as the concepts of object and subject of insurance are often confused.

We think that this article will provide assistance to the insurance companies and people interested in insurance business regarding the subjects and objects of legal relationships in the insurance law, given the fact that the Georgian legal field of research does not really have much to offer in regards to insurance issues. Insurance relations can no way exist without the subjects and object of insurance. Therefore, profound review and definition of these issues are important.

ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის

თემურ ცჰიტიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-
პროფესორი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და
სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი*

შესავალი

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ევენტუალური განზრახვის საკითხი ერთ-ერთი საკამათოა. არაერთი თეორია ჩამოყალიბდა ევენტუალურ განზრახვასთან დაკავშირებით, რაც საკითხის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ევენტუალურ განზრახვაზე განსხვავებული მიდგომაა სხვადასხვა ქვეყნის სამართალშიც. მაშინ, როცა ქართული, გერმანული და მთელი რიგი ქვეყნების სისხლის სამართლის მიხედვით, ევენტუალური განზრახვა განზრახვის სახეა, ამერიკული, ინგლისური და ფრანგული სამართლის შესაბამისად, იგი არ მიიჩნევა განზრახვის სახედ და მას თვითიმედოვნებასთან ერთად განიხილავენ სუბიექტური მხარის დამოუკიდებელ ფორმად, რომელიც გაუფრთხილებლობას უფრო გამოხატავს, ვიდრე განზრახვას. გერმანულ და ქართულ ლიტერატურაში გამოითქვა შეხედულება, რომ ამერიკული და ფრანგული კანონმდებლობის და დოგმატიკის მსგავსად, ევენტუალური განზრახვა გატანილ იქნას განზრახვის ცნებიდან და

ჩამოყალიბდეს ახალი სამართლებრივი ფიგურა, რომელიც თავის თავში გააერთიანებს არაპირდაპირ განზრახვას და თვითიმედოვნებას.

მოცემულ ტექსტში კრიტიკულადაა გაშუქებული ევენტუალური განზრახვაზე არსებული ცალკეული თეორიები. გარდა ამისა, სტატიაში მსჯელობაა იმაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი ევენტუალური განზრახვით დანაშაულის ჩასადენად გადაწყვეტილების მიღება, შესაბამისად, დანაშაულის მცდელობა. არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სწორედ იმაზე, შეიძლება თუ არა განზრახვის ამ ფორმით გადაწყვეტილების მიღება და არის თუ არა განზრახვა ყოველთვის გადაწყვეტილების მიღების ანალოგი, ვინაიდან დანაშაულის მცდელობა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს და მისგან დამოუკიდებლად არ არსებობს. ვიდრე დამნაშავე დანაშაულის მცდელობას განახორციელებს, სათანადო გადაწყვეტილებას იღებს. დანაშაულის მცდელობა, შეიძლება ითქვას, რომ განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების შედეგია.

სტატიაში ასევე, ყურადღებაა გამახვილებული ევენტუალური განზრახვის დროს დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევის სურვილის არსებობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით გამოთქმულ შეხედულებებზე. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლში მოცემული დეფინიციის თანახმად, არაპირდაპირი განზრახვით მოქმედების დროს დამნაშავეს არ გააჩნია მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევის სურვილი. სწორედ ეს არის პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ერთ-ერთი ნიშანი. მაგრამ, სისხლის სამართლის ლიტერატურაში მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ გამოთქმული თვალსაზრისით, არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს არ გააჩნია დესკრიფციულ-ფსიქოლოგიურად გაგებული სურვილი, თუმცა, შეიძლება მოქმედებდეს „ნორმატიული სურვილით.“

1. ევენტუალური განზრახვის რაობა

სისხლის სამართლის მეცნიერებაში კამათის საგანს წარმოადგენს საკითხი იმის თაობაზე, ევენტუალური განზრახვის დროს არსებობს თუ არა ვოლუნტატური ელემენტი და დამნაშავე ეთანხმება (billigen) თუ არა შედეგის დადგომას.¹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.“ მოცემული დეფინიციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევენტუალური განზრახვა ორი ელემენტისაგან შედგება: კოგნიტური (ინტელექტუალური) და ვოლუნტატური (ნებელობითი) ელემენტი. ინტელექტუალური ელემენტის მიხედვით, დამნაშავე ქმედების მართლწინააღმდეგობას აცნობიერებს, ხოლო ნებელობითი (ვოლუნტატური) ელემენტის თანახმად, დამნაშავეს არ სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, თუმცა, შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას. მაშასადამე, არაპირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელია დანაშაულებრივი შედეგის დადგომის ნების, ანუ სურვილის არარსებობა. პირდაპირი განზრახვის

დროს, არაპირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, დამნაშავეს სურს შედეგის დადგომა ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. მაშასადამე, პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას შორის განსხვავება უმთავრესად, ვოლუნტატურ ელემენტშია. თუმცა, იმის თქმაც შეუძლებელია, რომ კოგნიტურ ელემენტში მათ შორის სხვაობა არ არსებობს, ვინაიდან დამნაშავეს წარმოდგენით არაპირდაპირი განზრახვის დროს არსებობს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა. ხოლო, პირდაპირი განზრახვის დროს, დამნაშავეს შეიძლება გაცნობიერებული ჰქონდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის არა მხოლოდ შესაძლებლობა, არამედ გარდაუვალობაც.

ქართულისაგან განსხვავებით, ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსი განზრახვის საკანონმდებლო დეფინიციას არ შეიცავს. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ გერმანია. თუმცა, განზრახვის განმარტება მოცემულია სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში. გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღნიშნავენ, რომ ევენტუალური განზრახვის დროს პირი „იწონებს“ იმ შედეგს, რომლის მიმართაც დამოკიდებულება ევენტუალური განზრახვის ფორმით გააჩნია. მაგრამ ვ. მაყაშვილის სწორი შეფასებით „მოწონება“ შეფასებითი მსჯელობის გამომხატველი ტერმინია და იგი გამოხატავს სუბიექტის დადებით ემოციურ განცდას ამა თუ იმ გარემოების მიმართ. თუმცა, ასეთი დამოკიდებულება ევენტუალური განზრახვის დროს თანამდევი შედეგის მიმართ არ არსებობს, პირიქით, ევენტუალური განზრახვით მოქმედი სუბიექტი ნასიამოვნებიც კი დარჩებოდა, თუ თანამდევი შედეგი არ დადგებოდა.²

მეცნიერთა ერთი ნაწილი ევენტუალური განზრახვის დროს ვოლუნტატური ელემენტის არსებობას გამორიცხავს, ხოლო მეორე ნაწილი უშვებს ვოლუნტატურ კავშირს დანაშაულებრივ შედეგთან. ავტორთა ნაწილი კი, დამნაშავეს ემოციურ დამოკიდებულებას შედეგის დადგომასთან მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ანიჭებს მნიშვნელობას. ჰ. ოტო თვლის, რომ განზრახვა გულისხმობს სამართლებრივი სიკეთისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნის ცოდნას (კოგნიტური ელემენტი) და ამ საფრთხის განხორციელების ნებელობას (Wille) (ნებელობითი ელემენტი).³ განზრახვის აღნიშნული დეფინიციის მიხედვით, ჰ. ოტო ქმედების ნებელობის ვოლუნტატურ ელემენტს საფრთხის შექმნაში ხედავს. მაშასადამე, აღნიშნული კონცეფციის თანახმად, ევენტუალური განზრახვით მოქმედ პირს გააჩნია იმ ქმედების ნებელობა, რომელიც კონკრეტულ საფრთხეს ქმნის. თუმცა, საკამათო ის არის, რამდენად შეიძლება ეს ნებელობა ამ კონკრეტული საფრთხის საბიანო შედეგში რეალიზაციაზე გავრცელდეს. რამდენადაც საფრთხის შექმნა და საბიანო შედეგის გამოწვევა სხვადასხვა სისხლისსამართლებრივ უმართლობას აფუძნებს, დამნაშავეს ნებელობა და ემოციური დამოკიდებულება კონკრეტული საფრთხის შექმნისა და საბიანო შედეგის გამოწვევის მიმართ უნდა გაიმიჯნოს. უფრო მეტიც, ქმედების ნებელობა არ შეიძლება ქმედებით შექმნილ კონკრეტულ საფრთხეზე გავრცელდეს, ვინაიდან კონკრეტული საფრთხე ქმედებისაგან შეიძლება გამოიყოს და განხილულ იქნეს როგორც დანაშაულებრივი შედეგი, თუმცა, იგი ვერ გაიგივდება ყველანაირ შედეგთან, კერძოდ, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან.

შესაძლებლობის თეორიის (Möglichkeitstheorie)⁴ სახელწოდებით ცნობილი მოძღვრების წარმომადგენლები თვლიან, რომ თუ ქმედების განხორციელების დროს მოქმედს გაცნობიერებული ჰქონდა ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობა, ქმედებით

გამოწვეული შედეგი არის სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების პროდუქტი.⁵ ქართულ სისხლის სამართალის მეცნიერებაში შესაძლებლობის თეორიას მხარს უჭერს ლ. მაღლაკელიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა გადაწყვეტილი აქვს.⁶ ევენტუალური განზრახვის დროს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გადაწყვეტილების არსებობის დასასაბუთებლად ლ. მაღლაკელიძე აღნიშნავს: „თუ პირი ვაზნებით დატენილ იარაღს ამოიღებს, მაგრამ გადაწყვეტილი არა აქვს მოპირდაპირე მხარეს მდგომ პიროვნებას ესროლოს თუ მხოლოდ დაემუქროს, ასეთი ქმედება განზრახვას არ აფუძნებს. ამ შემთხვევაში, არც მცდელობის კვალიფიკაცია შეიძლება, რადგან მას სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ან განადგურება შინაგანად გადაწყვეტილი ჯერ კიდევ, არა აქვს.“⁷ აქ უპირველესად, აღსანიშნავია, რომ ქმედება არ აფუძნებს განზრახვას, არამედ ქმედებაში განზრახვა გამოხატულებას პოულობს. განზრახვის ჩამოყალიბების პროცესი ქმედების განხორციელებას წინ უსწრებს. ქმედება არა თუ არ აფუძნებს განზრახვას, არამედ თავად განზრახვა განსაზღვრავს ქმედების მართლსაწინააღმდეგო ან მართლზომიერ ხასიათს. რაც შეეხება ლ. მაღლაკელიძის მიერ მოტანილ მაგალითს, აღნიშნული მაგალითის მიხედვით, ქმედება მართლაც არ შეიძლება შევაფასოთ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მცდელობად, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოქმედ პირს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდა (სუბიექტური მხარე), არამედ იმიტომაც, რომ ქმედებას ჯერ კიდევ, არ ჰქონდა ისეთი საფრთხე შექმნილი (ობიექტური მხარე), რომელიც მცდელობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი წინაპირობაა.

შესაძლებლობის თეორიის ნაკლი ის არის, რომ იგი არ იძლევა იმის საშუალებას, პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას შორის ზღვარი გაივლოს. ამ თეორიის მიხედვით, განზრახვის არსებობა ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობის გაცნობიერებაზეა დამოკიდებული, მაგრამ დამნაშავეს ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობა მაშინაც აქვს გაცნობიერებული, როცა პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, და მაშინაც, როცა ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა განხორციელებული. უფრო მეტიც, დამნაშავე საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას მართალია, არა კონკრეტულად, მაგრამ აბსტრაქტულად, თვითიმედოვნების დროსაც აცნობიერებს, რომელსაც გერმანულ ლიტერატურაში „შეგნებულ გაუფრთხილებლობასაც“ („bewusste Fahrlässigkeit“) უწოდებენ.⁸

დაინახა რა, განსახილველი თეორიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა იმის საშიშროება, რომ მათი კონცეფციის მიხედვით, არა მხოლოდ პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას, არამედ განზრახვას და გაუფრთხილებლობას (თვითიმედოვნება) შორისაც შეიძლება ზღვარი წაშლილიყო, უარყო „შეგნებული გაუფრთხილებლობის“ ფიგურა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გაუფრთხილებლობა არასდროს არ შეიძლება „შეგნებული“ იყოს.⁹

როგორც ჩანს, ლ. მაღლაკელიძეც გრძნობს ამ საფრთხეს და აღნიშნავს, რომ თუ ევენტუალური განზრახვის არსებობის დადგენისათვის საკმარის პირობად სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაზე გადაწყვეტილების მიღებას მივიჩნევდით, გამორიცხული არ იქნებოდა ევენტუალური განზრახვის აღრევა პირდაპირ განზრახვაში.¹⁰ ამ მსჯელობაში ისიც საინტერესოა, რომ ევენტუალური განზრახვის დროს, ავტორის შეხედულებით, დამნაშავეს გადაწყვეტილება მიღებული აქვს დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნული საკითხი საკამათოა, რაზეც უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება მსჯელობა.

თვითიმედოვნების და ევენტუალური განზრახვის გამიჯვნასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, დამნაშავეს შედეგის დადგომის საფრთხე თუ როგორ წარმოედგინა. ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავეს ჰგონია, რომ მისი ქმედება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის კონკრეტულ საფრთხეს ქმნის, ხოლო თვითიმედოვნების დროს დამნაშავეს მიერ წარმოდგენილი ქმედების საშიშროება აბსტრაქტულია.¹¹

სწორად აღნიშნავს გ. კუპერი, რომ შესაძლებლობის თეორიის გაზიარება იქამდე მიგვიყვანდა, რომ სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნისას, ყოველთვის უნდა გვეღიარებინა მკვლელობის მცდელობის განხორციელება.¹²

ალბათობის თეორიის (Wahrscheinlichkeitstheorie) მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვით მოქმედი დამნაშავე შედეგის დადგომის ალბათობას უშვებს.¹³ შეიძლება დაისვას კითხვა: რა განსხვავებაა შედეგის დადგომის შესაძლებლობას და ალბათობას შორის და რით განსხვავდება ალბათობის თეორია შესაძლებლობის თეორიისაგან? დასმულ კითხვაზე ავტორთა მხრიდან პასუხი შემდეგია: „სააღბათო“ („Wahrscheinlich“) უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ შესაძლო.¹⁴ კორიატი აღნიშნავს, რომ თუ შესაძლებლობის თეორიას გავიზიარებდით, მკვლელად უნდა ჩაგვეთვალა ის, ვინც თავის ცოლს მანქანას ჩუქნის იმ იმედით, რომ ცოლი შეიძლება ავტოავარიში მოჰყვეს და მოკლან.¹⁵ კორიატის კრიტიკა შესაძლებლობის თეორიის მიმართ არ არის სათანადოდ დასაბუთებული. ალბათობის თეორია თითქმის არაფრით განსხვავდება შესაძლებლობის თეორიისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ალბათობას და შესაძლებლობას შორის გარკვეული სხვაობა არსებობს. იმის ალბათობა შეიძლება არსებობდეს, რაც შესაძლებელია, მაგრამ ალბათობა უფრო სუბიექტური შინაარსის მქონეა,¹⁶ მაშინ, როცა შესაძლებლობა ობიექტური ხასიათისაა. რაც შეეხება ალბათობის კვანტიფიკაციის უარყოფას, ესეც მიუღებელი და არაარგუმენტირებული მოსაზრებაა. ალბათობას ხარისხები გააჩნია და შესაძლებელია ალბათობის მეტ ან ნაკლებ ხარისხზე საუბარი. ხოლო, რაც შეეხება კორიატის მიერ მოტანილ მაგალითს, იგი ვერ გამოგვადგება შესაძლებლობის თეორიის უარყოფის მართებულობის დასაბუთებლად და იმის ნათელსაყოფად, თუ რატომ არ უნდა ვცნოთ მოტანილი მაგალითის მიხედვით, ქმარი ცოლის მკვლელად. ქმედება არ სცდება სოციალური ადეკვატურობის ფარგლებს, რაც შედეგის ობიექტური შერაცხვისა და ქმრის მკვლელად შეფასების შესაძლებლობას გამორიცხავს. მანქანის ჩუქება ნებადართული და სოციალურად ადეკვატური ქმედებაა.

ალბათობის თეორიის მიხედვით, ასევე მნიშვნელოვანია გარკვევა, თუ დამნაშავე რამდენად უშვებს იმის ალბათობას, რომ შედეგის თავიდან აცილება მისი ბედისწერიდან გამომდინარე, შესაძლებელია და რამდენად ენდობა იგი საკუთარ ბედისწერას. თუ დამნაშავეს აქვს ღრმა ეჭვი შედეგის დადგომაზე, განზრახვა უნდა გამოირიცხოს.¹⁷ აღნიშნული შეხედულებით, განზრახვის და გაუფრთხილებლობის ზღვარგამყოფი საზიანო შედეგის არდადგომის რწმენა კი არ არის, არამედ ღრმა ეჭვი. თუმცა, შედეგის არდადგომის ღრმა ეჭვი მცირე ხარისხით, მაგრამ მაინც შეიცავს ალბათობას, რომ შედეგი შეიძლება დადგეს. რაც შეეხება რწმენას, თუ ადამიანი დარწმუნებულია საზიანო შედეგის თავიდან აცილებაში, ეს ნიშნავს, რომ იგი მცირე ხარისხითაც არ უშვებს შედეგის დადგომის ალბათობას. შედეგის თავიდან აცილების რწმენა შედეგის დადგომის ალბათობისათვის ადგილს არ ტოვებს. აქედან გამომდინარე შედეგის დადგომის თუ თავიდან აცილების „ღრმა ეჭვის“ ქონა არ არის მყარი და ნათელი კრიტერიუმი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის გასამიჯნად.

ქინდჰოიზერის თვალსაზრისით, განზრახვა მაშინ არსებობს, როცა ქმედების განხორციელების წინ დამნაშავე არ გადაიფიქრებს ქმედების განხორციელებას, მიუხედავად იმისა, რომ მან იცის მისი ქმედება სავარაუდოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელებას გამოიწვევს.¹⁸

შესაძლებლობის თეორიის ანალოგიურად წყვეტს განზრახვის პრობლემას ვ. ფრიშის მიერ ჩამოყალიბებული რისკის თეორიაც (Risikotheorie), რომლის მიხედვით, განზრახვა უპირატესად არის დამნაშავის გადაწყვეტილება სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ.¹⁹ რისკის თეორიის თანახმად, განზრახვის საყრდენი ნიშანია არა ქმედების ობიექტური შემადგენლობა, არამედ ქმედება, რაც ნიშნავს, რომ შედეგი არ არის განზრახვის საყრდენი მომენტი, განზრახვის საგანი (Vorsatzgegenstand).²⁰ ის ვისაც გაცნობიერებული აქვს მის ქმედებასთან დაკავშირებული, სააღბათო და არანებადართული რისკი და, მიუხედავად ამისა, იღებს მოქმედების გადაწყვეტილებას, მოქმედებს ევენტუალური განზრახვით. ფრიშის შეხედულება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, რამდენადაც თავად შედეგის გამოწვევის საფრთხე ქმედების ნიშანი ვერ იქნება. კონკრეტული საფრთხე იგივე შედეგია და ქმედებისაგან მისი გამიჯვნა შესაძლებელია. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფრიშის კონცეფციით, განზრახვის არსებობისათვის კონკრეტული და არა აბსტრაქტული საფრთხის არსებობის გაცნობიერებაა აუცილებელი.²¹ როდესაც ვსაუბრობთ საფრთხეზე, მხედველობაში გვაქვს საზიანო შედეგის გამოწვევის საფრთხე. რამდენადაც საფრთხე შედეგის გამოწვევის საფრთხეა, შედეგისადმი ქმედების მიმართებას განზრახვის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მართალია, რისკის თეორია, განზრახვის საყრდენ და განმსაზღვრელო ნიშნად არა შედეგს, არამედ ქმედებას მიიჩნევს, მაგრამ ქმედებასთან დაკავშირებული რისკის შეგნების მნიშვნელობის აღიარება გარკვეულწილად განზრახვის დასადგენად მოსალოდნელი შედეგისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებასაც გულისხმობს, თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ კონკრეტული საფრთხე, როგორც გარკვეული შედეგი არ არის იდენტური ისეთი შედეგისა, როგორიცაა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა.

ჰერცბერგის შეხედულებით, არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს ის, ვინც არა მხოლოდ არანებადართულ, არამედ ასევე, ისეთ საფრთხეს შექმნის, რომლისგან თავის დაცვა მსხვერპლს არ შეუძლია. მაშასადამე, ევენტუალური განზრახვით მოქმედების დროს ისეთი საფრთხე უნდა შეიქმნას, რომ მსხვერპლს არ შეეძლოს შედეგის თავიდან აცილება. შედეგი დადგება თუ არა, ქმედების შემადგენლობა განხორციელდება თუ არა, ამაში გარკვეული როლი შემთხვევითობამ და ბედისწერამ უნდა შეასრულოს.²² გამოდის, რომ წარმოდგენილი კონცეფციით, ევენტუალურ განზრახვად არის გამოცხადებული ის, რაც პირდაპირ განზრახვას წარმოადგენს. თუ დამნაშავის წარმოდგენით, მსხვერპლს არ შეუძლია საფრთხისაგან თავის დაცვა, ეს ნიშნავს, რომ ხელყოფის თავიდან აცილების შესაძლებლობაც თითქმის გამორიცხულია და არსებობს შედეგის დადგომის, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გარდაუვალობა. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმის, რომ შედეგი მაინც არ დადგეს შემთხვევით გარემოებათა გამო. დამნაშავის წარმოდგენით, მსხვერპლის მიერ თავის დაცვის შესაძლებლობის არქონა შედეგის დადგომის გარდაუვალობის გაცნობიერებას უტოლდება, რაც პირდაპირი განზრახვისთვისაა დამახასიათებელი და არაპირდაპირ განზრახვას გამორიცხავს.

ჰერცბერგი აღნიშნავს, რომ განზრახვის და გაუფრთხილებლობის გამიჯვნა ქმედების ობიექტური შემადგენლობის პრობლემა არის. მისი შეხედულებით, განზრახვის არსებობა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე მოითხოვს, რომ დამნაშავემ კვალიფიციური სარისკო ქმედებით განახორციელოს დელიქტისათვის სპეციფიკური უღირსობა (deliktspezifische Unwert). მისი თვალსაზრისით, თუ გაუფრთხილებლობის დროს სამართლებრივად მისატევებელი (rechtlich

tolerierete) ქმედება ხორციელდება, განზრახვის დროს საშიში და არანებადართული (unerlaubt gefährlich). ჰერცბერგის შეხედულებით, განზრახვის არსებობა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, გარკვეული საფრთხე დამნაშავემ სერიოზულად აღიქვა თუ არა, არამედ იმაზე, სერიოზულად აღსაქმელი საფრთხე მან შეიცნო თუ არა.²³

ჰერცბერგმა ფაქტობრივად, განზრახვის ობიექტივაცია მოახდინა და პრობლემის გადაჭრა ქმედების ობიექტური შემადგენლობის სიბრტყეზე სცადა, რაც არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ. განზრახვის ასეთი გაგებით, შეუძლებელია ადამიანი მკვლელობის განზრახვით მოქმედებდეს უვარგისი მცდელობის დროს, ვინაიდან ან ვარგისი ობიექტი ან დანაშაულის ჩასადენად ვარგისი საშუალება არ არსებობს, რაც ავტომატურად გამორიცხავს ქმედების საშიშროების იმ ხარისხს, რომელსაც ჰერცბერგი განზრახვის არსებობის დასასაბუთებლად ითხოვს. რასაკვირველია, ობიექტური მომენტიც მეტად მნიშვნელოვანია ევენტუალური განზრახვისა და გაუფრთხილებლობის და ზოგადად, განზრახვისა და განზრახველობის გასამიჯნად, მაგრამ ობიექტური მომენტისათვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება და განზრახვის და განზრახველობის გამიჯვნის საკითხის ქმედების ობიექტური შემადგენლობის პრობლემად გამოცხადება მიუღებელია.

ზემოთ განხილული წარმოსახვის თეორიებისაგან განსხვავებით, ვოლუნტატური თეორიების წარმომადგენლები განზრახვის დეფინიციის ჩამოყალიბებისას, ითვალისწინებენ როგორც კოგნიტურ, ისე ვოლუნტატურ ელემენტებს. ვოლუნტატური ნიშანი განზრახვის ფორმების დასადგენად მეტად მნიშვნელოვანია. იგი ასევე, განსაკუთრებულ როლს იძენს განზრახვის და განზრახველობის გასამიჯნად.

ვოლუნტატური თეორიის ზოგიერთი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ევენტუალური განზრახვით მოქმედების დროს მოქმედი არა მხოლოდ შესაძლებლად უნდა თვლიდეს შედეგის დადგომას, არამედ შინაგანადაც უნდა ეგუებოდეს მას (billigend in Kauf nehmen). ხოლო ის, ვინც შინაგანად არ ეგუება შედეგის დადგომას და იმედოვნებს, რომ შედეგი არ დადგება, მოქმედებს განზრახვის გარეშე. აღნიშნული დებულების მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს ის, ვინც 4 მეტრის სიმაღლიდან, ფანჯრიდან 70 წლის ადამიანს გადააგდებს.²⁴

შროტის თვალსაზრისით, შეფასება, რომელიც პასუხს იძლევა კითხვაზე, პიროვნება მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით, თუ გაუფრთხილებლობით, არის არა თეორიული, არამედ პრაქტიკული შეფასება. იგი ეხება საკითხს არა იმის თაობაზე, თუ როგორი ადეკვატურია სინამდვილე, არამედ საკითხს, თუ როგორ სწორად განვმარტავთ ქმედებას. ევენტუალური განზრახვა არსებობს არა სპეციფიკური რეალობისათვის, არამედ იგი არის შერაცხვის ფორმა, რომლის დახმარებითაც პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება.²⁵

შროტის შეხედულებით, ევენტუალური განზრახვის დადგენა ხდება რეალობისაგან მოწყვეტით, რაც მიუღებელია. არ შეიძლება განზრახვისა და გაუფრთხილებლობის რეალობისაგან მოწყვეტილად დადგენა. მართალია, რეალობა და ადამიანის აღქმა არსებული რეალობისა შეიძლება არ იყოს ადეკვატური, მაგრამ იმის მიხედვით, ვადგენთ განზრახ განხორციელდა ქმედება თუ განზრახველად, თუ რამდენად სწორად ჰქონდა მოქმედ პირს არსებული რეალობა აღქმული. თუ ერთმანეთს არ ემთხვევა არსებული რეალობა და მისი აღქმა, ადგილი აქვს გაუფრთხილებლობას ან უვარგისი მცდელობას. უვარგისი მცდელობის დროს, ადამიანი სწორად ვერ აფასებს რეალობას და მოქმედი პირი ცდება ან იარაღში ან ობიექტთან დაკავშირებით (ჰგონია ცოცხალს ესვრის, მაშინ, როცა იგი მკვდარია), ხოლო მაშინ, როცა განზრახველად ხორციელდება ქმედება, შეცდომის დაშვება ხდება ქმედების საშიშროებასთან (საფრთხე აბსტრაქტული ჰგონია)

ან ობიექტთან დაკავშირებით (ჰგონია დათვს ესვრის, მაგრამ ესროლა ადამიანს). რაც შეეხება პირდაპირ და ევენტუალურ განზრახვას, იგი გულისხმობს რეალობის ისე აღქმას, როგორც იგი არსებობს, თუ უვარგის მცდელობას არა აქვს ადგილი.

2. რამდენად შესაძლებელია დანაშაულის ჩასადენად გადაწყვეტილების მიღება ევენტუალური განზრახვით?

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, როცა ქმედების განხორციელების დროს მოქმედს გაცნობიერებული აქვს ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობა, ქმედებით გამოწვეული შედეგი არის სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების პროდუქტი.²⁶ მაშასადამე, ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავეს დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა გადაწყვეტილი აქვს, ვინაიდან ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავე მართლაც უშვებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღნიშნულ შეხედულებას იზიარებს ლ. მაღლაკელიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა გადაწყვეტილი აქვს, რაც მეტად საკამათოა.²⁷

ქართულ ლიტერატურაში გამოთქმული მართებული მოსაზრებით, გადაწყვეტილება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით მიიღება. ევენტუალური განზრახვით გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია.²⁸ დ. უზნაძის შეხედულებით, გადაწყვეტის მომენტში სუბიექტს უჩნდება სპეციფიკური განცდა, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად გამოითქვას: „მე მინდა... ეხლა მე ნამდვილად მინდა.“ ეს განცდა არ უნდა გავიგოთ როგორც უბრალო დადასტურება, შემეცნება თუ გაგება, უბრალო დამოწმება, რომ სუბიექტს მანამდე რაღაც არ უნდოდა და ახლა უკვე უნდა.²⁹ „ეს „მე მინდა“ ის აქტუალური ფაქტორია, რომელიც წარმართავს მომავალ მოქმედებას: მასში განიცდება, რომ სწორედ ეს უნდა მოხდეს და არა სხვა რამ, რომ ყოველი სხვაგვარი შესაძლებლობა გამორიცხებულია.“³⁰ თუ გადაწყვეტის აქტამდე ადამიანი ყოყმანობს და აღგზნებულობას განიცდის, გადაწყვეტის აქტის დროს იგი ქრება და მის ნაცვლად საბოლოოდ, გარკვეულობის, სიმყარის და სიმშვიდის განცდა ჩნდება.³¹

როცა ადამიანი გადაწყვეტილებას იღებს, განიცდის, რომ სწორედ ის უნდა მოხდეს, რასთან დაკავშირებითაც მიიღო გადაწყვეტილება. მაგრამ, ეს არ ეხება მხოლოდ ქმედებას ცალკე აღებულს, არამედ კონკრეტული შედეგის განხორციელებასაც. გადაწყვეტილება, ამ გაგებით, შეუძლებელია მიღებული იქნას იმ შედეგის განხორციელებაზე, რომლის გამოწვევისკენაც ქმედება მიმართული არ არის და რომელიც განიხილება თანამდევ შედეგად. გადაწყვეტილება მიიღება იმ შედეგის გამოწვევასთან დაკავშირებით, რომლის დადგომის მიზნით დამნაშავე მოქმედებს ან რომლის განხორციელების გარდუვალობაც მას გაცნობიერებული აქვს. ამიტომ, არასწორად მსჯელობს დ. ოელერი, როცა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება სამართლებრივად სხვა არაფერია, ვიდრე განზრახვა.³²

სავსებით მართებულად მიუთითებს ე. მეცგერი, რომ გადაწყვეტილება და განზრახვა არ არის იდენტური.³³ განზრახვა და გადაწყვეტილების მიღება ერთმანეთისაგან განსხვავდება და მათი გაიგივება ყოვლად დაუშვებელია. განზრახვა (მაშინ როცა განზრახვის სახეა არაპირდაპირი განზრ-

რახვა) უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გადაწყვეტილების მიღება, რამდენადაც განზრახი ქმედება არა მხოლოდ მიზანდასახულ, არამედ ისეთ ქმედებასაც მოიცავს, რომელიც გამიზნული არ არის. მეცნიერთა ნაწილი სწორად აღნიშნავს, რომ ქურდობის განხორციელების გადაწყვეტილება მოითხოვს არა მხოლოდ სხვისი ნივთის დაუფლების განზრახვას, არამედ ამ ნივთის მისაკუთრების მიზანსაც.³⁴ მაშასადამე, დანაშაულის განხორციელების გადაწყვეტილების მნიშვნელოვან კომპონენტს მიზანი წარმოადგენს. თანმიმდევრული არ იქნება მსჯელობა, თუ ერთი მხრივ, დანაშაულის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებასა და განზრახვას ერთმანეთისაგან გავმიჯნავთ, გადაწყვეტილების აუცილებელ კომპონენტად მიზანს განვიხილავთ და, მეორე მხრივ, შესაძლებლად ჩავთვლით დანაშაულის მცდელობას არაპირდაპირი განზრახვით. დანაშაულის მცდელობა შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე შეუძლებელია, ხოლო გადაწყვეტილება, როგორც უკვე ითქვა, არა მხოლოდ განზრახვას, არამედ მიზანსაც მოითხოვს, რაც არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობას მკვლელობის დელიქტში თავისთავად გამოირიცხავს, ვინაიდან სიცოცხლის მოსპობის მიზანი მხოლოდ მკვლელობით შეიძლება იყოს მიღწეული, განსხვავებით სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნისაგან, რომლის მიღწევა ქურდობის³⁵ გარდა სხვა დანაშაულითაც არის შესაძლებელი. ვინც მკვლელობის განხორციელებას ცდილობს, მას გადაწყვეტილი უნდა ჰქონდეს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც ნიშნავს, რომ მკვლელობის მცდელობისას, დამნაშავე მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ე. ი. უნდა სურდეს იგი ან უნდა აცნობიერებდეს ასეთი შედეგის დადგომის გარდაუვალობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მკვლელობის მცდელობისას, დამნაშავე სხვისი სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით პირდაპირი განზრახვით მოქმედებს.

თუ შესაძლებლობის თეორიას დავუჭერთ მხარს, გაუგებარია, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება მაშინ, როცა დამნაშავე ჯანმრთელობას მძიმედ დაუზიანებს სხვა ადამიანს და აცნობიერებს იმის შესაძლებლობას, რომ მის ქმედებას შეიძლება მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვეს, თუმცა, დამნაშავე არ მოქმედებდა სხვისი სიცოცხლის მოსპობის სურვილით. თუ ქმედებას მკვლელობის მცდელობით დავაკვალიფიცირებთ, მაშინ რა საჭიროა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის?!

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, „დანაშაულებრივი გადაწყვეტილების“ ცნებაში იგულისხმება, რომ დამნაშავეს დანაშაულის ჩასადენად საკმარისი დამაჯერებლობა გააჩნია.³⁶ აღნიშნული მოსაზრება მართებულია, მაგრამ აქ მთავარია, თუ როგორ გავიგებთ სიტყვებს: „დანაშაულის ჩასადენად საკმარისი დამაჯერებლობა.“ ასეთი დამაჯერებლობა მაშინ აქვს დამნაშავეს, როცა იგი დარწმუნებულია მის ქმედებაში, როცა მას წარმოდგენილი აქვს თუ რა შედეგი მოჰყვება განხორციელებულ ქმედებას და სურს კიდევაც შედეგის დადგომა. შეუძლებელია დამნაშავეს „დანაშაულის ჩასადენად საკმარისი დამაჯერებლობა“ ჰქონდეს მაშინ, როცა იგი გარკვეული შედეგის დადგომას მხოლოდ უშვებს და ამავედროულად, არც სურს მისი განხორციელება.

მართებულად არ შეიძლება ჩაითვალოს მოსაზრება, რომ ევენტუალური განზრახვის დროს, დამნაშავე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გადაწყვეტილებით მოქმედებს. ევენტუალური განზრახვის დროს, როცა მოქმედი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის თავიდან აცილების შესაძლებლობის გაცნობიერებით მოქმედებს, ვერ ვიტყვით, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა

ამ სიკეთის ხელყოფა. ხშირად ადამიანი არასასურველ გადაწყვეტილებასაც იღებს, მაგრამ განსახორციელებელი ქმედების და შესაბამისად, მოსალოდნელი შედეგის აუცილებლობის შეგნებით. ასეთ დროს მოქმედ პირს არ გააჩნია გამოკვეთილი სურვილი გარკვეული ქმედების განხორციელებისა და შედეგის დადგომის, მაგრამ ამ ქმედებას მაინც ახორციელებს და შედეგის დადგომის გარდაუვალობასაც აცნობიერებს, რამდენადაც იგი გარკვეული გარემოებიდან გამომდინარე, აუცილებლად და საჭიროდ მიაჩნია. ეს მდგომარეობა არ გამოხატავს იმ ვითარებას, როცა ადამიანი ევენტუალური განზრახვით მოქმედებს. იგი უფრო მეტად განზრახვის იმ ფორმას შეესატყვისება, რომელსაც სისხლის სამართლის მეცნიერებაში მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის სახელწოდებით მოიხსენიებენ.

3. რამდენად აქვს დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევის „სურვილი“ და „ნდომა“ ევენტუალური განზრახვით მოქმედს?

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, „ნდომა“ და „სურვილი“ არ არის ერთი და იგივე შინაარსის გამომხატველი ტერმინები. შეიძლება დამნაშავეს არ სურდეს ხელყოფის შედეგის გამოწვევა, მაგრამ უნდოდეს იგი.³⁷ ო. გამყრელიძე ხელყოფის შედეგის გამოწვევის სურვილის არარსებობის მიუხედავად, შედეგის განხორციელების ნდომას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს, როცა სურვილი პირდაპირ არ არის გამოხატული, მაგრამ დამნაშავე შედეგის განხორციელების გარდაუვალობას ითვალისწინებს. მაგალითად, თვითმფრინავს ააფეთქებს დამნაშავე იმ დროს, როცა თვითმფრინავი რამდენიმე კილომეტრით არის დაცილებული დედამიწას. მოქმედ პირს არა აქვს სხვა მგზავრების და ეკიპაჟის წევრების მოკვლის სურვილი, თუმცა, წარმოდგენილი აქვს მათი დაღუპვის გარდაუვალობა. ამ შემთხვევაში, ამფეთქებელი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით ყველას მიმართ. ო. გამყრელიძის თვალსაზრისით, ეს შემთხვევა განსხვავდება არაპირდაპირი განზრახვისაგან. არაპირდაპირი განზრახვის დროსაც, დამნაშავეს არ სურს შედეგის დადგომა, მაგრამ იგი ითვალისწინებს, რომ შედეგი შეიძლება არ განხორციელდეს. ხოლო პირდაპირი განზრახვის დროს, პირიქით, დამნაშავე შედეგის განხორციელებლობას გამორიცხავს და დარწმუნებულია, რომ იგი აუცილებლად დადგება.³⁸ როდესაც საუბარია „სურვილის“ და „ნდომის“ ურთიერთმიმართებაზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: „სურვილის“ გამოსახატავად არსებობს სხვა ტერმინიც. კერძოდ, ეს არის „ნება“. „ნება იგივეა, რაც სურვილი.“³⁹ ამიტომაც უწოდებენ დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევის სურვილს განზრახვის ნებელობით ელემენტს. თუ „ნდომა“ და „სურვილი“ არ არის ერთი და იგივე, „ნება“ და „სურვილი“ ეკვივალენტური ტერმინებია. ის, ვისაც სურს ე. ი ნებავე, მაგრამ ვისაც რაღაცა უნდა, შეიძლება ის არ სურდეს.

„სურვილისა“ და „ნდომის“ ურთიერთმიმართებაზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, დამნაშავეს ხელყოფის შედეგის განხორციელების „ნდომა“ გააჩნია ევენტუალური განზრახვის დროსაც,⁴⁰ მაშინ, როცა დამნაშავე ითვალისწინებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არ სურს ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

მ. ტურავა ერთმანეთისაგან მიჯნავს „სურვილს“ ფსიქოლოგიური და ნორმატიული გაგებით. მისი თვალსაზრისით, ევენტუალური განზრახვის დროს დამნაშავე მოქმედებს „ნორმატიული სურვილით.“⁴¹ სურვილის ნორმატივიზაცია მეტად საკამათოა. სურვილის ნორმატიულობაზე საუბრისას, ძალაუვნებურად ჩნდება კითხვა: რა აუცილებლობითაა განპირობებული, რომ სურვილი გავიგოთ ნორმატიულად და სურვილის არსებობა დავადასტუროთ მაშინ, როცა სურვილი მისი ბუნებრივი სახით არ არსებობს? დასმულ კითხვაზე მხოლოდ ერთადერთი პასუხი შეიძლება არსებობდეს. სურვილის ნორმატივიზაცია ამყარებს იმ ავტორთა არგუმენტებს, რომლებიც არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის იდეას უჭერენ მხარს, ვინაიდან, მათი თვალსაზრისით, არაპირდაპირი განზრახვის დროს, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის „დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური სურვილი“ არ არსებობს, მაგრამ „სურვილი არსებობს ნორმატიულად,“ რის გამოც ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის დადგენაში დოგმატური თვალსაზრისით, პრობლემა არ იქმნება.⁴² აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაშიშარებელი შემდეგ მიზეზთა გამო: სურვილი მხოლოდ ფსიქოლოგიური შინაარსის კატეგორიაა, რომლის დადგენას სისხლის სამართალში, ნორმატიულ დარგში გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ (ფსიქოლოგიური ბუნების, შინაარსის მქონე) სურვილს ეს ვერ აქცევს ნორმატიულ კატეგორიად. არის ცნებები, რომლებიც მხოლოდ ფსიქოლოგიურად შეიძლება აიხსნას. ესენია, მაგალითად სურვილი, მიზანი, მოტივი, გადაწყვეტილება. გარდა ამისა, სურვილი არც დესკრიფციული შეიძლება იყოს, ვინაიდან იგი ადამიანის შინაგან მხარეს წარმოაჩენს, იგი არ არის გარეგანი, რომელიც აღწერას ექვემდებარება, რომელსაც რაღაც ფორმა აქვს, რომელსაც ჩვენ გარეგნულად დავინახავთ. ადამიანს თუ რა სურდა, ეს შეიძლება მის მიერ განხორციელებული ქმედებით გამოვლინდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სურვილი ამით მაინც ვერ იძენს დესკრიფციულობას. მაშასადამე, სურვილი არც დესკრიფციულია და არც ნორმატიული. სურვილი, მიზანი და მოტივი შეიძლება შეფასებას დაექვემდებაროს და შეფასების საფუძველი გახდეს. შეიძლება აღნიშნული ნიშნები დადებით შეფასებას იმსახურებდეს ან უარყოფითს. სხვისი სიცოცხლის მოსპობის სურვილი და მიზანი, როგორც წესი, უარყოფითად ფასდება. მაგრამ თუ ადამიანი თავდაცვის მიზნით და სურვილით მოქმედებს, ასეთი სურვილი და მიზანი დადებით შეფასებას იმსახურებს. ასეთივე შეფასება ეძლევა მოტივსაც. შეიძლება იგი გასაკიცხი იყოს ან პირიქით. აღნიშნულის მიუხედავად, სურვილი, მიზანი და მოტივი ვერ იქცევა ნორმატიულ კატეგორიებად და იქ, სადაც გარკვეული შედეგის გამოწვევის სურვილი (თავისი ბუნებრივი მნიშვნელობით) არ არსებობს, მისი არსებობა ნორმატიულად ვერ დასაბუთდება.

4. რამდენად შეიძლება ევენტუალური განზრახვა განზრახვის სახე იყოს?

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, განზრახვა ორი სახისაა: პირდაპირი და არაპირდაპირი. განზრახვის ორსახოვანი კლასიფიკაციაა მოცემული ასევე, რიგი ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობასა თუ სისხლის სამართლის ლიტერატურაში. მაგრამ, არსებობს ქვეყნების მეორე ჯგუფი, სადაც ევენტუალური განზრახვა განზრახვის სახედ არ მიიჩნევა. როგორც ზემოთ აღინიშნა, გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებუ-

ლი შეხედულებით, არაპირდაპირ განზრახვას განზრახვის სახედ თვლიან, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და მას თვითიმედოვნებასთან აიგივებს. მაგალითად დ. ცილინსკი აღნიშნავს, რომ „შეგნებული გაუფრთხილებლობა“ არის არაპირდაპირი განზრახვა („Bewußte Fahrlässigkeit ist bedingter Vorsatz“).⁴³ დ. ზაუერის მოსაზრებით კი, განზრახვის ცნება უნდა შეიზღუდოს და ევენტუალური განზრახვა განზრახვის ფორმებიდან გამოირიცხოს.⁴⁴ მისი მოსაზრებით, დასჯადობასთან დაკავშირებული ის ხარვეზი, რომელიც ევენტუალური განზრახვის, როგორც განზრახვის ფორმის, უარყოფის შედეგად წარმოიშობა, შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობათა არსებობით უნდა შეიცვალს.⁴⁵

ფრანგულ, ამერიკულ და ინგლისურ სისხლის სამართალში არაპირდაპირი განზრახვა გააქვთ განზრახვის სფეროდან და მას განიხილავენ თვითიმედოვნების გვერდით. არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობით გამოწვეულ ვაკუუმს კი, საფრთხის დელიქტის შემადგენლობით ავსებენ.

ევენტუალური განზრახვა ამერიკულ სისხლის სამართალში არ განიხილება განზრახვის ფორმად და იგი განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის მდებარეობს.⁴⁶ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა, ამერიკული სისხლის სამართლის მიხედვით, შეუძლებელია. ამერიკული სისხლის სამართლის მიხედვით, დანაშაულის მცდელობისათვის ადამიანი მხოლოდ მაშინ ისჯება, როდესაც იგი მიზნად ისახავს გარკვეული შედეგის დადგომას ან დარწმუნებულია, რომ მის მოქმედებას განსაზღვრული შედეგი მოჰყვება.⁴⁷ ევენტუალური განზრახვის დროს, როგორც ვიცით, დამნაშავე დარწმუნებული კი არ არის კონკრეტული შედეგის დადგომაში, არამედ უშვებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას და რაც მთავარია, არ მოქმედებს შედეგის გამოწვევის მიზნით. მიზნით დეტერმინირებული შეიძლება იყოს არა ევენტუალური განზრახვით, არამედ პირდაპირი განზრახვით განხორციელებული ქმედება. ამერიკულ სისხლის სამართალში პირდაპირი განზრახვით განხორციელებულ მკვლელობას აღნიშნავენ სხვა ტერმინით (Mord), ხოლო არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ მკვლელობას სხვა ტერმინით (გერმანულად Totschlag).⁴⁸ როგორც მ. დუბერი აღნიშნავს, როდესაც საუბარია მკვლელობის მცდელობაზე, იგულისხმება მკვლელობის არა იმ შემადგენლობის მცდელობა, რომლის განხორციელება არაპირდაპირი განზრახვითაც შეიძლება (Totschlag), არამედ ის, რომელიც მხოლოდ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს (Mord), შესაბამისად, მკვლელობის მცდელობის აღსანიშნავად გამოიყენება სპეციალური ტერმინი (გერმანულად Mordversuch).⁴⁹

ფრანგულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში განზრახვის ელემენტებად მიიჩნევენ შედეგის გათვალისწინებას, შედეგის სურვილს და ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შეცნობას ფრანგებს არაპირდაპირი განზრახვა გადააქვთ გაუფრთხილებლობაში.⁵⁰ იბადება კითხვა, არაპირდაპირი განზრახვის გაუფრთხილებლობის სფეროში გადატანით ხომ არ იქმნება არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებული ისეთი ქმედების დასჯადობის პრობლემა, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია? ამ პრობლემას ფრანგი იურისტები წყვეტენ სისხლის სამართლის კოდექსში საფრთხის დელიქტის შემადგენლობის (223-ე მუხლი) შემოტანით.

მ. ტურავა გამოდის ინიციატივით, რომ საკანონმდებლო ცვლილების გზით, ქართულ სისხლის სამართალში მოხდეს ევენტუალური განზრახვის კატეგორიის უარყოფა, შემოტანილ იქნას ახალი სამართლებრივი ფიგურა, რომელიც თავის თავში გააერთიანებს არაპირდაპირ განზრახვას და

თვითიმედოვნებას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „დანაშაულებრივი გულგრილობა.“⁴⁵¹ აღნიშნული წინადადება მართლაც საყურადღებოა, მაგრამ იგი მოითხოვს შემდგომ სამეცნიერო დისკუსიას. აქ ერთი რამ უდავოდ აღნიშვნის ღირსია: განზრახვის ცნებიდან არაპირდაპირი განზრახვის გატანის ინიციატივა კიდევ უფრო ეჭვის ქვეშ აყენებს იმ დებულების მართებულობას, რომლის მიხედვით, დანაშაულის მცდელობა შესაძლებლად მიიჩნევა არაპირდაპირი განზრახვითაც.

დასკვნა

არაპირდაპირი განზრახვა პირდაპირი განზრახვისაგან უმთავრესად ვოლუნტატური ელემენტით განსხვავდება. კერძოდ, თუ პირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, არაპირდაპირი განზრახვის დროს ასეთი სურვილი დამნაშავეს არ გააჩნია. პირდაპირი განზრახვის დროსაც შეიძლება დამნაშავეს არ ჰქონდეს შედეგის დადგომის მკვეთრად გამოხატული სურვილი, მაგრამ იგი უნდა ითვალისწინებდეს შედეგის დადგომის გარდაუვალობას, მაშინ, როცა ევენტუალური განზრახვის დროს, შედეგის დადგომის მხოლოდ შესაძლებლობას უშვებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გასაზიარებელი ის მოსაზრება, რომ დამნაშავეს არაპირდაპირი განზრახვის დროს ნორმატიული სურვილი აქვს. ერთი მხრივ, საკითხის ასე დაყენება ეწინააღმდეგება „სურვილის“ ბუნებას, ხოლო მეორე მხრივ, ისმის კითხვა, თუ არაპირდაპირი განზრახვის დროსაც არსებობს სურვილი, მაშინ რითი განსხვავდება არაპირდაპირი განზრახვა პირდაპირი განზრახვისაგან და რა კრიტერიუმებით ვმიჯნავთ მათ ერთმანეთისაგან.

დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება დამნაშავეს მაშინ აქვს მიღებული, როცა იგი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს არა აქვს გადაწყვეტილი იმ შედეგის გამოწვევა, რომლის დადგომასთან დაკავშირებით არც სურვილი აქვს და არც მისი დადგომის გარდაუვალობას ითვალისწინებს. არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავეს სიამოვნებას უფრო ჰგვრის შედეგის თავიდან აცილება, ვიდრე შედეგის დადგომა. გადაწყვეტილების მიღების დროს კი, გადაწყვეტილების მიმღები დარწმუნებულია, რომ სწორედ ის შედეგი უნდა დადგეს და არა სხვა, რომელთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილება მიიღო. ევენტუალური განზრახვის დროს ასეთი რწმენა არ არსებობს და ეს ბუნებრივად არის, ვინაიდან შედეგი, რომლის მიმართაც დამნაშავე არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს, თანამდევი შედეგია. გადაწყვეტილება მიიღება არა თანამდევი შედეგის მიმართ, რომლის თავიდან აცილების სურვილი და იმედი დამნაშავეს აქვს, არამედ იმ შედეგის მიმართ, რომლის გამოსაწვევად იგი მთელ ძალისხმევას მიმართავს. არაპირდაპირი განზრახვით გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობა თავისთავად გამორიცხავს არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას, ვინაიდან დანაშაულის მცდელობას წინ უძღვის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. მაგალითად, მკვლელობის მცდელობა მკვლელობის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შედეგია. თუ მკვლელობის გადაწყვეტილება არაპირდაპირი განზრახვით არ მიიღება, მკვლელობის მცდელობაც განზრახვის აღნიშნული სახით ვერ განხორციელდება.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: Joecks W, MüKo, Band 1, 2. Aufl., München, 2011, S. 766, §16 Rn. 30.
- ² იხ.: მაყაშვილი ვ., ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1965, #4, გვ. 26.
- ³ იხ.: Otto H., Grundkurs, Strafrecht, Allgemeine Strafrechtslehre, 6. Aufl., Berlin, New York, 2000, S. 85, §7 Rn. 44. ევენტუალური განზრახვის ანალოგიურ დეფინიციას გვთავაზობს ქინდჰაუზერიც. იხ.: Kindhäuser U., Strafrecht, AT, 6. Aufl., Baden-Baden, 2013, S. 134, §14 Rn. 30-31.
- ⁴ აღნიშნული თეორიის ანალიზი იხ.: Joecks W, MüKo, Band 1, 2. Aufl., München, 2011, S. 767, §16 Rn. 33.
- ⁵ იხ.: Morkel D., Abgrenzung zwischen vorsätzlicher und fahrlässiger Straftat, NStZ 1981, S. 178; Hassemer W., Kennzeichen des Vorsatzes, Kaufman-FS, 1989, S. 295.
- ⁶ იხ.: მაღლაკელიძე ლ., განზრახვის ცნების ზოგიერთი პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბილისი, 2013, გვ. 314; მაღლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2013, გვ. 58.
- ⁷ იხ.: მაღლაკელიძე ლ., სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 58.
- ⁸ იხ.: Schmidhäuser E., Zum Begriff der bewußten Fahrlässigkeit, GA 1957, S. 305-314.
- ⁹ იხ.: Schröder H., Aufbau und Grenzen des Vorsatzbegriffs, Sauer-FS, Berlin, 1949, S. 245.
- ¹⁰ იხ.: მაღლაკელიძე ლ., სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 58-59.
- ¹¹ იხ.: Schmidhäuser E., Zum Begriff der bewußten Fahrlässigkeit, GA 1957, S. 312.
- ¹² იხ.: Küpper G., Zum Verhältnis von dolus eventualis, Gefährdungsvorsatz und bewußter Fahrlässigkeit, ZStW 1988, S. 758-759.
- ¹³ იხ.: Koriath H., Grundlagen Strafrechtlicher Zurechnung, Berlin, 1994, S. 651.
- ¹⁴ იხ.: Joecks W, MüKo, Band 1, 2. Aufl., München, 2011, S. 767, §16 Rn. 37.
- ¹⁵ იხ.: Koriath H., იქვე, გვ. 651.
- ¹⁶ აღბათობას სუბიექტურ ეგებისობას უწოდებს თ. წერეთელი. იხ.: წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბილისი, 2007, გვ. 198.
- ¹⁷ იხ.: Joecks W, MüKo, Band 1, 2. Aufl., München, 2011, S. 767-768, §16 Rn. 37.
- ¹⁸ იხ.: Kindhäuser U., Eser-FS., 2005, S. 354.
- ¹⁹ იხ.: Frisch W., Vorsatz und Risiko, Köln, Berlin, Bonn, München, 1983, S. 111.
- ²⁰ იხ.: Frisch W., იქვე, გვ. 68.
- ²¹ იხ.: Frisch W., იქვე, გვ. 159-160.
- ²² იხ.: Herzberg D., Das Wollen beim Vorsatzdelikt und dessen Unterscheidung vom bewußt fahrlässigen Verhalten, JZ 1988, S. 639; Herzberg D., Aids: Herausforderung und Prüfstein des Strafrechts, JZ 1989, S. 476.
- ²³ იხ.: Herzberg D., Die Abgrenzung von Vorsatz und bewußter Fahrlässigkeit-ein Problem des objektiven Tatbestandes, Jus 1986, S. 262; Herzberg D., Bedingter Vorsatz und objektive Zurechnung beim Geschlechtsverkehr des Aidsinfizierten-AG München, NJW 1987, 2314, S. 780-781.
- ²⁴ იხ.: Tröndle/Fischer, Strafgesetzbuch und Nebengesetze, 50. Aufl., München, 2001, §15 Rn. 11 a; Baumann/Weber/Mitsch, Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Bielefeld, 2003, S. 488, §20 Rn.53.
- ²⁵ იხ.: Schroth U., Die Rechtsprechung des BGH zum Tötungsvorsatz in der Form des „dolus eventualis“, NStZ 1990, S. 324.
- ²⁶ იხ.: Morkel D., Abgrenzung zwischen vorsätzlicher und fahrlässiger Straftat, NStZ 1981, S. 178; Hassemer W., Kennzeichen des Vorsatzes, Kaufman-FS, 1989, S. 295.
- ²⁷ იხ.: მაღლაკელიძე ლ., განზრახვის ცნების ზოგიერთი პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბილისი, 2013, გვ. 314; მაღლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2013, გვ. 58.

- 28 იხ.: ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, გვ. 383.
- 29 იხ.: უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 2006, გვ. 191.
- 30 იხ.: უზნაძე დ., იქვე, გვ. 191.
- 31 იხ.: უზნაძე დ., იქვე, გვ. 193.
- 32 იხ.: Oehler D., Das objektive Zweckmoment in der rechtswidrigen Handlung, Berlin, 1959, S. 119.
- 33 იხ.: Mezger E., Moderne Wege der Strafrechtsdogmatik, Berlin-München, 1950, S. 28.
- 34 იხ.: Roxin C., Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 350, §29 Rn. 61.
- 35 გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ ქურდობის განხორციელებლად ევენტუალური განზრახვაც საკმარისია, მიუხედავად იმისა, რომ ქურდობა მიზნით დაფუძნებული დელიქტია. იხ.: Fischer T., Strafgesetzbuch und Nebengesetze, 57. Aufl., München, 2010, S. 1627, §242 Rn. 31; Roxin C., Strafrecht, AT, Band II, München, 2003, S. 354, §29 Rn. 76. გამოთქმული შეხედულებით, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი ქურდობის განზრახვის შემადგენელი კომპონენტი არ არის და იგი განზრახვის მიღმაა. აღნიშნული თვალსაზრისის მართებულობის დასასაბუთებლად იშველიებენ იმ არგუმენტსაც, რომ სხვისი ნივთის დაუფლება და მისაკუთრების მიზანი შეიძლება ქურდობის გარდა სხვა დანაშაულის განხორციელების გზითაც იქნას მიღწეული. ქმედება რომ გერმანული სსკ-ის 242-ე პარაგრაფით დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია, დანაშაულები სხვისი ნივთის მისაკუთრების მიზნით მოქმედებდეს, მაგრამ აღნიშნული სუბიექტური ნიშანი შეიძლება ჰქონდეს ქურდობის (როგორც სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ერთ-ერთი ხერხის) განხორციელებასთან (და არა სხვისი ნივთის მისაკუთრებასთან) დაკავშირებით ევენტუალური განზრახვით მოქმედ პირსაც.
- 36 იხ.: ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბილისი, 2014, გვ. 162.
- 37 იხ.: გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბილისი, 2013, გვ. 188; ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, გვ. 272; მალლაკელიძე ლ., განზრახვის ცნების ზოგიერთი პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, კრებულში: ტურავა მ. (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბილისი, 2013, გვ. 318-319.
- 38 იხ.: გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბილისი, 2013, გვ. 188.
- 39 იხ.: მამარდაშვილი მ., ფილოსოფიის საფუძვლები, თბილისი, 2014, გვ. 194.
- 40 იხ.: მალლაკელიძე ლ., განზრახვის ცნების ზოგიერთი პრობლემისათვის თანამედროვე გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში, კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, თბილისი, 2013, გვ. 318.
- 41 იხ.: ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, გვ. 274.
- 42 იხ.: ტურავა მ., იქვე, გვ. 309; ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბილისი, 2014, გვ. 150.
- 43 იხ.: Zielinski D., Handlungs- und Erfolgsunwert im Unrechtsbegriff, Berlin, 1973, S. 168.
- 44 იხ.: Sauer D., Die Fahrlässigkeitsdogmatik der Strafrechtslehre und der Strafrechtsprechung, Hamburg, 2003, S. 246.
- 45 იხ.: Sauer D., იქვე, სქოლიო 733.
- 46 იხ.: წიქარიშვილი კ., ევენტუალური განზრახვა თანამედროვე დასავლეთ ევროპულ და ამერიკულ სისხლის სამართალში, „მართლმსაჯულება“, 2008, #3, გვ. 34.
- 47 იხ.: Dubber M., Einführung in das US-amerikanische Strafrecht, München, 2005, S. 125-126.
- 48 იხ.: Dubber M., იქვე, გვ. 69.
- 49 იხ.: Dubber M., იქვე, გვ. 126.
- 50 იხ.: წიქარიშვილი კ., იქვე, გვ. 42-43.
- 51 იხ.: ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011, გვ. 288-289.

FOR THE ISSUE OF EVENTUAL INTENT

TEMUR TSKITISHVILI

*Assistant-Professor of the Law Faculty of the Tbilisi
Ivane Javakhishvili State University, Researcher at the
T. Tsereteli Institute of State and Law*

Eventual intent is different from the direct intent by a voluntary element. Namely, if in case of a direct intent the offender wants to achieve an illegal result, the offender does not have such will in case of an indirect intent. Even in case of the direct intent the offender may not have clearly expressed will to achieve the result, but it should take into consideration the inevitability of having this result, whereas there is only the possibility of having the result in case of eventual intent. Hence abovementioned, we should not share the opinion that the offender has a normative will in case of an indirect intent. On one hand, it is against the nature of the 'will' to raise the issue this way, and on the other hand, there is a question: if the will exist even in case of an indirect intent, then how the indirect intent differs from the direct one, and based on what criteria do we differentiate between them?

The offender has made a decision to commit a crime when s/he acts with a direct intent. In case of an indirect intent the offender has not decided to cause the result, for which s/he has no desire, neither does s/he takes into account the inevitability of such result. In case of an indirect intent, the offender feels pleasure by avoiding the result than having the result. However, at the moment of making the decision, the decision maker is confident that this particular result should take place, which s/he has decided, and not the other one. However, there is no such belief in case of the eventual intent, and this is quite natural, as far as the result, toward which the offender is acting with an indirect intent, is a concurrent result. The decision is made not towards the concurrent result toward which the offender has a desire and hope to avoid it, but rather towards the result, for which s/he is exerting all the efforts to make it happen. Possibility to make a decision through indirect intent eliminates the possibility of an attempted crime with indirect intent, as far as even the attempted crime is preceded by making a respective decision. For example, attempted murder is a result of the decision made about committing a murder. If the decision about a murder is not made through indirect intent, then the attempted murder will not take place in this kind of intent.

ადმინისტრაციულ დავებში სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადების გამოყენება

მარინა მარინაშვილი
სამართლის დოქტორი

საქართველოში ადმინისტრაციულ მართლმსაჯულებას ხანგრძლივი ისტორია არ გააჩნია და, ბუნებრივია, წამოიჭრება სადავო საკითხები, რომლებიც განმარტებას და დაზუსტებას საჭიროებენ.

სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობის ვადის საკითხს სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში არაერთი მეცნიერი შეხება.¹ უდავოა, რომ ხანდაზმულობის ვადები როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ სამართალში ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოიყენება. ამდენად, დაუშვებელია ერთსა და იმავე ინსტიტუტს სამართლის სხვადასხვა დარგებში განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს. ამიტომ, ჩვენი განხილვის საგანია არა ხანდაზმულობის ვადის, როგორც სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტის შინაარსობრივი გაგება, არამედ სასამართლოების მიერ ხანდაზმულობის ვადების გამოყენება ადმინისტრაციულ დავებში.

ტერმინი „ხანდაზმულობა“ სამოქალაქო სამართალში გამოხატავს იმ აზრს, რომ ამა თუ იმ ურთიერთობას, მდგომარეობას, მოვლენას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინათ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული სახით გავლენას ახდენს პირთა უფლებებზე და ვალდებულებებზე. ამავე დროს, ხანდაზმულობის ვადის არსებობა აიძულებს სამართლებრივი

ურთიერთობის მონაწილეებს დროულად იზრუნონ თავიანთი უფლებების განხორციელებისა და დაცვისათვის. ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებითი განხორციელება ან დაცვა.²

ხანდაზმულობის ვადის გასვლა იწვევს სასამართლოს მეშვეობით უფლების იძულებით განხორციელების შეუძლებლობას და არა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ჩამორთმევას.³ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში, პირი კარგავს მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა, ინარჩუნებს უფლებას დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოს. ამდენად, ადამიანს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მაშინაც კი, როდესაც გასულია მოთხოვნის დაყენების ხანდაზმულობის ვადა.

ადმინისტრაციულ სამართალში ოდნავ განსხვავებული წესი მოქმედებს. კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ბიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.⁴ სარჩელი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემაზე კი, სასამართლოს უნდა წარედგინოს აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან ასევე, ერთი თვის ვადაში.⁵ დაბოლოს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს სარჩელის შეტანის ზოგად ერთწლიან ვადას, თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ ან ეცნობა კანონით დადგენილი წესის დარღვევით. ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი რიც შემთხვევაში (მაგალითად, აქტის გამოცემა), ადგენს სასამართლოსადმი მიმართვის გარკვეულ პერიოდს. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ქმედების განხორციელებასთან ან ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ სარჩელს, ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ ადგენს სარჩელის წარდგენის ვადებს, ანუ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული უფლების აღსადგენად.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს სამოქალაქო სამართალში დადგენილი ზოგადი წესი. სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ხანდაზმულობის ვადებს. კერძოდ, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.⁶ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი განსაზღვრავს სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადებს, რომელიც სამ წელს შეადგენს. ვინაიდან ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ვალდებულების შესრულებას არა ერთჯერადად, არამედ განსაზღვრული პერიოდების მიხედვით, კანონმდებელი ცალკე გამოყოფს ასეთ შემთხვევას და ადგენს აგრეთვე ხანდაზმულობის სამწლიან ვადას.⁷

ადმინისტრაციულ სამართალში სამოქალაქო კოდექსის გამოყენებას ითვალისწინებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 თავი, რომელიც ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას ეხება. შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ამის მიუხედავად, სასამართლომ

ადმინისტრაციულ დავაში, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა გაავრცელა ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით ნაკისრ ვალდებულებებზე. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (პალატის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები არ არის ერთგვაროვანი. სასამართლომ ერთსა და იგივე პერიოდში არსებულ სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე ერთსა და იმავე დროს და ერთი და იგივე დაწესებულებებიდან გათავისუფლებული სამხედრო მოსამსახურეების მიმართ რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილებები გამოიტანა. ერთ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით დანიშნული სამხედრო მოსამსახურის სასურსათო ულუფა, ხელფასისგან განსხვავებით, წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს და მასზე როგორც პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებაზე, უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. მეორე შემთხვევაში კი, სასამართლო იმავე დაწესებულებებიდან გათავისუფლებული სხვა სამხედრო მოსამსახურის სასურსათო ულუფაზე ხანდაზმულობის ვადას არ ავრცელებს.⁸

სასამართლო საქმის განხილვისას ადგენს, რომ მოქალაქესა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის შრომითი ურთიერთობა წარმოშობილია არა ხელშეკრულებით, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით – დანიშვნის ბრძანებით. თუმცა, სამოქალაქოსამართლებრივი ნორმის შეფარდებისას არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო კოდექსი ხანდაზმულობის ვადას ადგენს ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ პერიოდულ ვალდებულებებზე. ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცებით, მოპასუხე სამხედრო მოსამსახურე, მისივე თანხმობით, დანიშნული იყო თანამდებობაზე ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით. მართალია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტიც და ადმინისტრაციული ხელშეკრულებაც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმებია, მაგრამ მათ შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია, რომ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოხატვის შედეგია, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულება ორმხრივი ნების გამოვლენის აქტია.⁹ იურიდიულ ლიტერატურაში ასევე, ცალსახად არის გამიჯნული ადმინისტრაციული ხელშეკრულება ისეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტისაგან, რომელიც პირის თანხმობით გამოიცემა. განმასხვავებელ ნიშნად ასევე, მიჩნეულია, რომ ასეთი სახის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტიც ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგია. თანხმობის მოთხოვნის მიზანი არ არის ადრესატის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (რასაც ადგილი აქვს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების დროს). იგი მიზნად ისახავს, ადრესატს ააცილოს ისეთი აღმჭურველი ხასიათის ღონისძიება, რომელიც მის სურვილს არ შეესაბამება. ადრესატის მხრიდან ნების გამოხატვა ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსებობის აუცილებელი წინაპირობაა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შემთხვევაში კი, მისი კანონიერების განმსაზღვრელი კრიტერიუმი. ადრესატის ნების გარეშე არ იქნება ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, რომლის გამოცემაც დაინტერესებული პირის თანხმობას საჭიროებს, შეიძლება გამოიცეს მისი ნების გაუთვალისწინებლად. ასეთი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართ-

ლებრივი აქტი უკანონოა და შესაძლებელია მისი გასაჩივრება და გაუქმება (ამგვარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მაგალითებია თანამდებობაზე დანიშვნა, უნივერსიტეტში ჩარიცხვა და ა. შ.).¹⁰

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში თანამდებობაზე დანიშვნა ცალსახად აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტად და არა ხელშეკრულებად არის მიჩნეული. მათი გამოიყვნა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ამ ფორმებზე (აქტი და ხელშეკრულება) ვრცელდება განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი. კერძოდ, კანონიდან¹¹ გამომდინარე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით ნაკისრ პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებზე ვერ იქნება გავრცელებული სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სახელშეკრულებო მოთხოვნათა სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

ყურადსაღებია, რომ სასამართლო ხანდაზმულობის ვადას ავრცელებს მხოლოდ სასურსათო ულუფაზე და ხელფასს არ მიიჩნევს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად. კანონისმიერ ვალდებულებებზე, როგორიცაა საჯარო მოსამსახურის ხელფასი, სასურსათო ულუფა და სხვ., დაუშვებელია სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადების გავრცელება. ეს ეწინააღმდეგება ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსს. ხანდაზმულობის ვადის დადგენა იმითაა გამოწვეული, რომ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ, ზოგჯერ შეუძლებელიც კი, ხდება სადავო გარემოებების უტყუარად აღდგენა და პირები, რომლებსაც უსაფუძვლოდ წაეყენათ მოთხოვნა, აღარ ფლობენ თავის დასაცავად აუცილებელ მტკიცებულებებს. აღნიშნულს ნამდვილად ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ საქართველოში გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საჯარო მოსამსახურეების მიმართ ერთნაირად ირღვეოდა შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება. ამას თვითონ სახელმწიფოც აღიარებს „საჯარო მოსამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹-ე მუხლში.

ამ განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის ნორმები, ხოლო თუ გამოიყენა, მაშინ უნდა გაეთვალისწინებინა ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძვლებიც. კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას (სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის კომენტარში ამის მაგალითად მოტანილია შემთხვევა, როცა მოვალე მიმართავს კრედიტორს შესრულების გადავადების თხოვნით (უგზავნის წერილს და ჰპირდება ვალდებულების შესრულებას), ან ასრულებს მოთხოვნის ნაწილს და სხვ.¹²

ვალდებული პირის მიერ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ვალის აღიარების ან კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალების მიცემის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან იწყება და მოვალეს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე (სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ საქმის განხილვისას უგულებელყო სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმებიც. კერძოდ, სარჩელის წარდგენამდე მხარემ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჩივრის უფლება და დავალიანების დასაფარად თხოვნით მიმართა ადმინისტრაციულ ორ-

განოს. ადმინისტრაციულმა ორგანომ საჩივარზე პასუხში არ უარყო დავალიანება, თუმცა, მის დაფარვას დაპირდა სათანადო თანხების არსებობის შემთხვევაში. უფრო მეტიც, საქმეზე არა მარტო დაინტერესებული მხარის მიერ, არამედ სასამართლოს ინიციატივითაც მოთხოვნილი იქნა ადმინისტრაციული ორგანოსაგან ცნობა – დაინტერესებულ მხარეზე არსებული დავალიანების შესახებ. ცნობაში ადმინისტრაციული ორგანო აღიარებს გასაცემი დავალიანების ოდენობას წლების მიხედვით. თუმცა, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო მოსარჩელეზე გაცემულ ცნობას, თუ რა ოდენობის სახელფასო დავალიანება, კვების ულუფა და სანივთე კომპენსაცია ერგება მის ყოფილ მოსამსახურეს, მიიჩნევდა არა დავალიანების აღიარებად, არამედ როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა თავის გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ ცნობას დავალიანების შესახებ მიიჩნევს, როგორც ინფორმაციული სახის დოკუმენტს: „მოსარჩელეს (განმცხადებელს) მიეცა სამინისტროში დაცული საჯარო ინფორმაცია მისი მოთხოვნის შესაბამისად.“ გადაწყვეტილების ამ წინადადებით სასამართლო უარყოფს არა მარტო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის დებულებებს საჯარო ინფორმაციის შესახებ, არამედ აგრეთვე, მის მიერვე შემუშავებულ რეკომენდაციას: „...ამ დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, გააჩნია თუ არა ცნობის მომთხოვნ პირს ინტერესი, რომ მიიღოს ისეთი ცნობა, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანო აღიარებს და ადასტურებს დავალიანებას.“¹³ განსახილველ დავაში მოსარჩელე მხარეს, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს, შეუძლებელია სხვა ინტერესი ჰქონოდა.

ამრიგად, უზენაესი სასამართლოს რეკომენდაცია ფურცელზე დაწერილ იდეად დარჩა, ვინაიდან თავად რეკომენდატორი თავის გადაწყვეტილებებში საპირისპიროს ამტკიცებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მსგავს საქმეებზე¹⁴ ნორმის შეფარდება დამოკიდებულია სასამართლო კოლეგიის შემადგენლობაზე, რაც საბოლოოდ იწვევს ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს. მიგვაჩნია, რომ ასეთი ტიპის დავაში სააპელაციო საჩივარი უარყოფილი უნდა იქნას დასაშვებობის სტადიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელეს სარჩელის წარდგენიდან 2 წლისა და 11 თვის შემდეგ აუნაზღაურდა სახელფასო დავალიანების მხოლოდ მცირე ნაწილი. ამ პერიოდს თუ დაემატება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ვადაც, მაშინ გამოდის, რომ კუთვნილი თანხის მისაღებად მოსარჩელეს სულ მცირე, 3 წელი დასჭირდა. ყოველივე აღნიშნული კი, არღვევს ადამიანის ისეთ ძირითად უფლებებს, როგორიცაა შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება (საქმის სწრაფად გადაწყვეტა).

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას: უზენაესი სასამართლოს იმავე მე-8 რეკომენდაციაში გამოითქვა აზრი, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადა; მაგრამ მოსამართლეთა უმრავლესობა არ დაეთანხმა და შეთანხმება იქნა მიღწეული, რომ გამოსაყენებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სახელშეკრულებო მოთხოვნების სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაინტერესებული მხარისათვის საჩივარზე გაცემულ პასუხზე მსჯელობას თავს არიდებს. მაშინ როდესაც

დაინტერესებული მხარის მიერ წარდგენილ საჩივარზე ადმინისტრაციული ორგანო პასუხობს, რომ სათანადო თანხების არსებობის შემთხვევაში, აუცილებლად დაფარავს დავალიანებას. მაშასადამე, საჩივარზე პასუხისას ადმინისტრაციული ორგანო აღიარებს დავალიანებას, რაც სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციულ დავაში კანონიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით ნაკისრ ვალდებულებებზე დაუშვებელია სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადის გავრცელება. ამასთან, ხანდაზმულობის ვადების გავრცელების პირობებში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა დავალიანების შესახებ, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხი დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ საჩივარზე სასამართლოს უნდა ეცნო, როგორც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი.

შენიშვნები:

- ¹ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 2011; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 2002; ზ. ძლიერიშვილი, ხანდაზმულობის ვადების გავლენა სარჩელზე, თსუ, თბილისი, 1997; ვ. ლომიძე, ხანდაზმულობა (ტერმინის საკითხისათვის), კრებულში სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი 1, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2010; ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, საქართველოს მცნე, თბილისი, 2001 და სხვ.
- ² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომც. „სამართალი“, თბილისი, 2002, გვ. 316.
- ³ ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ერთიანი მიდგომა ჩამოყალიბდა: ს. ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, გვ. 17; მ. თოდუა, ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, „საია“, თბილისი, 2006, გვ. 19; ზ. ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად, ქართული სამართლის საფუძველზე), გამომც. „ბონა კაუზა“, თბილისი, 2010, გვ. 23.
- ⁴ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი მე-3 ნაწილი.
- ⁵ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი მე-3 ნაწილი.
- ⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
- ⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
- ⁸ მაგალითად, საქმეზე #ბს-496-474 პირველმა ინსტანციამ და სააპელაციო სასამართლომ სამხედრო მოსამსახურის სასურსათო ულუფაზე ხანდაზმულობის ვადა არ გაავრცელა, ხოლო უზენაესმა სასამართლომ დასაშვებობის სტადიაზე უარყო საკასაციო საჩივარი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის განჩინება (კ-08)). საქმეზე #ბს-1034-997 (2კ-08) კი, იმავე უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების არარსებობის პირობებში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით დანიშნული სამხედრო მოსამსახურის მხოლოდ სასურსათო ულუფაზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინება). იხ.: www.supremecourt.ge.
- ⁹ პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე (გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, იურისტების სამყარო, 2013, გვ. 158-159.
- ¹⁰ პ. ტურავა, ი. ხარშილაძე, ადმინისტრაციული წარმოება, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 2006, გვ. 97-98.
- ¹¹ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია და ფორმის ტანსაცმელი.
- ¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამართალი, თბილისი, 2002, გვ. 330-331.
- ¹³ რეკომენდაციები ადმინისტრაციული სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, VIII რეკომენდაცია, (www.supremecourt.ge).
- ¹⁴ სასამართლოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ სულ მცირე, ასი ერთნაირი ტიპის დავა იქნა განხილული.

APPLYING THE STATUTE OF LIMITATIONS OF CONTRACTUAL CLAIMS IN ADMINISTRATIVE DISPUTES

MARINA MARINASHVILI

Doctor of law

The article instead of discussing the understanding of the statute of limitations as one of the institutes of law, deals with the application of the statute of limitations by the Georgian courts in administrative disputes. According to the practice established in Georgia, the court expanded the statute of limitations for the contractual claims established by the Civil Code, to the obligations taken under the individual administrative-legal act, in administrative disputes. While hearing the case the court establishes that the labor relation has emerged between the citizen and an administrative body based on the individual administrative-legal act – Appointment Order, and not based on the agreement. However, while imposing a norm under the civil law, it does not take into account that the Civil Code establishes the statute of limitations for the periodic obligations emerging from the contract. The article provides many arguments that the contractual statute of limitations, as set by the Civil Code, cannot be applied to the obligations taken under the statutory individual administrative-legal act in the administrative dispute.

სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობა და მისი ადგილი სასამართლო პრაქტიკაში

დავით ათაბეგაშვილი

„ნიუ ვიუენ“ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი

1. ხანდაზმულობის ცნება და შინაარსი

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მოთხოვნის უფლების მფლობელს ისე შეუძლია დააყენოს მოთხოვნა და მოახდინოს მისი რეალიზაცია, რომ ვერავინ შეიტანს ეჭვს „მოთხოვნის ნამდვილობაში.“ ხოლო შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ, ასე რომ ვთქვათ, სამართლებრივი მოთხოვნა „ვადაგასული“ ხდება და სადავოობის შემთხვევაში, სასამართლო ცალსახად უარს ამბობს მის დაკმაყოფილებაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.“¹ ეს ნიშნავს, რომ როდესაც გვაქვს შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე სამართლებრივი მოთხოვნა ამა თუ იმ ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიმართ, სასურველია დროულად მოვახდინოთ მისი რეალიზაცია და ყურადღებით ვიყოთ დროის ათვისებასთან დაკავშირებით, რადგან შესაძლებელია ერთმა შემთხვევით ვადაგადაცილებულმა დღემ სამართლებრი-

ვი საფუძველი გამოაცალოს და გააქროს ყველანაირად არგუმენტირებული, დასაბუთებული, იურიდიული დოკუმენტაციით და მტკიცებულებებით გამყარებული, თუნდაც ნოტარიულად დამოწმებული და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, შესაბამისი წესით რეგისტრირებული უზრუნველყოფის საშუალებით განმტკიცებული მოთხოვნის უფლება.

2. სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადები

ხანდაზმულობის საერთო ვადა სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის ბოლო ნორმის შესაბამისად, შეადგენს ათ წელს.² განსხვავებული შინაარსის სამართლებრივ მოთხოვნებზე სხვადასხვა ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება და რეგულირდება სხვადასხვა სამართლის ნორმებით. წინამდებარე სტატიაში კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, განხილული იქნება ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის საკითხები. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.“³ შესაბამისად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ვალდებულების დარღვევიდან 3 (სამი) წელს. ხოლო თუ საბანკო კრედიტის ხელშეკრულება უძრავ ნივთზე კრედიტორის იპოთეკის უფლებით არის უზრუნველყოფილი, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 6 (ექვს) წელს.

3. ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყება და მოთხოვნის წარმოშობა

ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყების მომენტთან დაკავშირებით კანონმდებლობა ცალსახად მიუთითებს შესაბამის წინაპირობას. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, „ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.“⁴ ანუ ფაქტი, რომლითაც დაინტერესებულ პირს უფლება დაერღვა და მასთან დაკავშირებითაც წარმოეშვა მოთხოვნის უფლება, შეიძლება მოხდეს შედარებით ადრე, მაგრამ ხანდაზმულობის ათვლა იწყება მოგვიანებით, როდესაც პირმა შეიტყო ან გარემოებებიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ უნდა შეეტყო მისი უფლების დარღვევის შესახებ. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით, „თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დღიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.“⁵ კოდექსის ეს ნორმა ეხება მდგომარეობას, როდესაც მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კრედიტორის მხრიდან გარკვეულ მოქმედებაზე. მაგალითად, თუ ნასყიდობის ხელშეკრულებით დათქმული იყო, რომ მყიდველი ფასს გადაიხდიდა მას შემდეგ, რაც გამყიდველი გადასცემდა მას ნივთს, გამყიდველს მყიდველისაგან

ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება არ ექნებოდა მყიდველისათვის თანხის გადაცემამდე და ამ დრომდე არც მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა დაიწყებოდა.⁶

4. სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადის დენა, მისი შეჩერება და შეწყვეტა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომელიც ხელს უშლის ხანდაზმულობის ვადის მუდმივად დენას და მას სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს. კერძოდ, თუ გარკვეულ სამართლებრივ ფაქტებს ექნება ადგილი, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება ან საერთოდ შეწყდება.

4.1. სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება, თუ გამოცხადებულია მორატორიუმი, ანუ ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ და ასევე, სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა.⁷ იგივე კოდექსის 133-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება ა) ქორწინების პერიოდის განმავლობაში მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე, ბ) მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე და გ) მეურვეებსა და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე.⁸ 134-ე მუხლი ასევე, განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების პირობას, თუ მოთხოვნა მომდინარეობს ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არა ჰყავს, ანდა მიმართულია ასეთი პირებისადმი. ასეთ შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულიად ითვლება, ვიდრე პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება, ან მას არ დაენიშნება წარმომადგენელი.⁹

4.2. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა ნიშნავს, რომ სამართლებრივ მოთხოვნას ვადის გასვლის საფრთხე არ ემუქრება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით მოცემულია ის შემთხვევები, რომლებსაც თუ ადგილი ექნება ხანდაზმულობის ვადა უპირობოდ შეწყდება. კერძოდ, „ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.“¹⁰ ანუ ვალდებულების ნებისმიერი ამ ფორმით შესრულების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება და შემდეგ ხელახლა იწყებს დენას, იმ შემთხვევაშიც, თუ ვალდებულება არაერთგზის არის დარღვეული და ადგილი აქვს გადახდის ვადის დიდი ხნით გადაცილებას, მაგრამ არა უმეტეს წინა გადახდიდან კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადისა. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 03 თებერვლის Nას-1070-1337-09 გადაწყვეტილებით,¹¹ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად იქნა მიჩნეული მოვალის წერილობითი მიმართვის საფუძველზე კრედიტორის მიმართ, სადაც გამოხატული იყო დავალიანების ოდენობის დაზუსტების სურვილი გარკვეული გარემოების დადგომის შემდეგ, რაც თავისთავად გულისხმობდა მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის ფაქტს. ამავე კოდექსის 138-ე მუხლის მიხედვით, „ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა

საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება.¹² სამართლის ეს ნორმა ხაზს უსვამს და სახელშეკრულებო მოთხოვნის მფლობელს აკისრებს ვალდებულებას, რომ თუ მის მიმართ ვალდებულები პირი არ მოექცევა სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით განსაზღვრულ რეგულაციაში და ვალდებულების შესრულებით არ აღიარებს მის მიმართ ვალდებულების არსებობას, იგი ვალდებულია იმოქმედოს და იყოს სამართლებრივად აქტიური. ამ შემთხვევაში მოქმედება ნიშნავს სასამართლოში სარჩელის შეტანას, ან სხვა კომპეტენტური სახელმწიფო თუ კერძო ორგანოსათვის, მაგალითად, არბიტრაჟისათვის მიმართვას შესაბამისი ფორმით, დარღვეული სამოქალაქო უფლების დასაცავად.

5. მოთხოვნის ხანდაზმულობის რეგულირება სასამართლო/საარბიტრაჟო პრაქტიკის მიხედვით

სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ არ არის ერთგვაროვანი და სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს სხვადასხვა შინაარსის გადაწყვეტილება გამოაქვს. ასევე, მნიშვნელოვანია თუ რა შინაარსით ექნება ადგილი სამართლებრივი აქტიურობას, როგორი ფორმით და რომელი ორგანოსათვის მოხდება მიმართვა დარღვეული სამოქალაქო მოთხოვნის დასაცავად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის Nას-1586-1489-2012 გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც უცვლელად იყო დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 28 ივნისის გადაწყვეტილება.¹³ აღნიშნულ შემთხვევაში, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტად ჩაითვალა დაინტერესებული პირის მიერ კერძო არბიტრაჟისათვის მიმართვის ფაქტი და ამ მიმართულებით სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის შესაბამისად, სამართლებრივი აქტიურობა დარღვეული სამოქალაქო უფლების დასაცავად. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის დენა დაწყებულ იქნა თავიდან, არბიტრაჟის მიმართვის მომენტიდან – 2009 წლის 06 ნოემბრიდან. ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 ოქტომბრის განჩინება იმ საფუძველით, რომ მხარის მიერ არჩეული საშუალება არ იყო ვარგისი ხანდაზმულობის ვადის დენის შესაწყვეტად და კერძო არბიტრაჟი არ იყო კომპეტენტური, რადგან არ არსებობდა სათანადო წესით გაფორმებული საარბიტრაჟო შეთანხმება. უზენაესი სასამართლოს ამ მსჯელობას რა თქმა უნდა, აქვს შესაბამისი საფუძველი, მაგრამ საინტერესოა, როგორ გადაწყდებოდა დავა მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ კერძო არბიტრაჟის მიერ დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნებოდა ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, მაგრამ სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმდებოდა სხვა მიზეზით. მაგალითად, განხილვის პროცესუალური დარღვევის საფუძველზე და ამ მომენტი გავიდოდა მოთხოვნის ხანდაზმულობის შესაბამისი ვადა.

6. სასამართლო პრაქტიკის წინააღმდეგობა კანონმდებლობასთან

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლის მიხედვით, „სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება.“¹⁴ მართალია, 2012 წლის 08 მაისიდან გამარტივებული წესით დავალიანების დაკისრების თაობაზე განცხადების განხილვა სასამართლოს კომპეტენციას აღარ განეკუთვნება და ამ ფუნქციით აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამისი სამსახური არის აღჭურვილი, მაგრამ მაინც საინტერესოა, იმ ფაქტის განხილვა, თუ როგორ მოქმედებდა კანონის აღნიშნული ნორმა სასამართლო პრაქტიკაში და ხომ არ ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა.

6.1. პირადი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დავალიანების დაკისრების თაობაზე გამარტივებული წარმოების შემთხვევაში იყო უამრავი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადახდის ბრძანება სასამართლოს წარმოებაში იყო 2 (ორი) წელი, 3 (სამი) წელი და მეტი პერიოდით. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 27 დეკემბრის N2/2963-07¹⁵ და 2010 წლის 09 თებერვალის N2/1018-07¹⁶ განჩინებებით გაუქმდა შესაბამისი გადახდის ბრძანებები, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული იყო 3 (სამი) წელზე მეტი პერიოდის წინ და ასეთი ბევრი მაგალითის მოტანა არის შესაძლებელი. შესაბამისად, როდესაც გამარტივებული წარმოება მიმდინარეობს 3 (სამი) წელი და მეტი ვადით, შეუძლებელია მოთხოვნის ხანდაზმულობის 3 (სამი) წლიანი ვადის დაცვა, მით უმეტეს, რომ ასეთ შემთხვევებში, ხანდაზმულობის ვადის გასვლა განმცხადებლის ბრალით არ მომხდარა. სამართლებრივად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქმედება აღნიშნულ საქმეებზე გადახდის ბრძანების მიღების და შემდგომ გაუქმების თაობაზე დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან არაერთგზის იყო მცდელობა გადახდის ბრძანებების მოპასუხეებისათვის ჩაბარების, სასამართლოს კურიერის თუ ფოსტის მეშვეობით. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ გაუქმებულ გადახდის ბრძანებებზე და განუხილველად დატოვებულ განცხადებებზე სასამართლოსათვის ხელახლა საერთო სასარჩელო წესით მიმართვის შემთხვევაში, სასამართლო გადახდის ბრძანების წარმოებაში ყოფნის პერიოდს არ ითვალისწინებდა და მიაჩნდა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული იყო, აშკარად იქმნებოდა გაურკვეველი სიტუაცია. იმის გამო, რომ მოპასუხე თავს არიდებდა გადახდის ბრძანების ჩაბარებას და სასამართლოსთან თანამშრომლობას, დაზარალებული გამოდიოდა მოთხოვნის მფლობელი განმცხადებელი. მით უმეტეს, რომ გადახდის ბრძანების პუბლიკაციის საშუალებას კანონმდებლობა არ იძლეოდა.

6.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2012 წლის 09 ნოემბრის N2/6728-12 გადაწყვეტილებით¹⁷ არ გაითვალისწინა მხარეთა (მოსარჩელე „ა“, მოპასუხე „ბ“) შორის დავის გამარტივებული წესით სასამართლოს წარმოებაში ყოფნის პერიოდი, საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 20 დეკემბრის #2/5384-10 განჩინება¹⁸ იგივე მხარეებს შორის იგივე საფუძველით მიღებული გადახდის ბრძანების გაუქმების და განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე და საერთოდ არ აღნიშნა N2/6728-12 გადაწყვეტილებაში. ამასთან, გაურკვეველია

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 პუნქტი მოიპყრება თუ არა გამარტივებულ წარმოებას, რადგან საუბარია მხოლოდ საერთო სასარჩელო წარმოებაზე.¹⁹ ჩვენი რეკომენდაცია იქნებოდა, რომ სასამართლო მშრალად არ გამოსულიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლიდან, მას უნდა გაეთვალისწინებინა პერიოდი გამარტივებული წესით დავალიანების დაკისრების თაობაზე სასამართლოსათვის მიმართვიდან მოპასუხის მოუძიებლობის გამო მიღებული გადახდის ბრძანების გაუქმებამდე და ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად თუ არა შეჩერებულად მაინც უნდა მიეჩნია ამ პერიოდის განმავლობაში.

7. ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის შედარება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან დაკავშირებულ მოთხოვნის ხანდაზმულობასთან

საინტერესოა, ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის განხილვა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებების ხანდაზმულობასთან მიმართებაში. მოვახდინოთ იმ შემთხვევის სამართლებრივი ანალიზი, როდესაც ძირითადი მოვალის ვალდებულების შესრულების მიზნით თავდების საბანკო ანგარიშიდან, შესაბამისი თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, თავდები უფლებას აძლევს კრედიტორს ძირითადი მოვალის მიერ კონტრაქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თავდების ნებისმიერი საბანკო ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოიწეროს შესაბამისი თანხა ძირითადი მოვალის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების დასაფარად. მიგვაჩნია, რომ იმისდა მიუხედავად თავდების წერილობითი გაფრთხილება მოხდება თუ არა, აღნიშნული ან მსგავსი შინაარსის ჩანაწერის საფუძველზე, თავდების ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა უთანაბრდება გადახდას, ვალდებულების შესრულებას და წყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას. ასეთ შემთხვევაში, თავდებობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით თავდებ პირს უპირობოდ აქვს გამოხატული ნება აღნიშნულთან დაკავშირებით. როგორც წინამდებარე სტატიის 6.2. მუხლში აღვნიშნეთ, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი #2/5384-10 განჩინება იგივე მხარეებს შორის იგივე საფუძველით მიღებული გადახდის ბრძანების გაუქმებისა და განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე და საერთოდ არ აღნიშნა N2/6728-12 გადაწყვეტილებაში. აპელანტმა „ა“-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს N2/6728-12 გადაწყვეტილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 სექტემბრის N2b/131-13 გადაწყვეტილებით,²⁰ აპელანტ „ა“-ს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ მოთხოვნა იყო ნაწილობრივ ხანდაზმული. ანუ აპელაციამ ზემოაღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე, N2b/131-13 გადაწყვეტილების 4.1. მუხლის მიხედვით, თავდების საბანკო ანგარიშიდან უაქცეპტო წესით თანხის ჩამოწერა ჩათვალა გადახდად, რაც მიგვაჩნია, რომ სრულიად სწორი პოზიციაა. მაგრამ, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად ჩათვალა არა სრულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, არამედ მხოლოდ მოთხოვნის ნაწილში და საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი მოთხოვნა ნაწილობრივ ხანდაზმულად მიიჩნია. ვფიქრობთ, საფუძველიანად მიგვაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული პოზიცია უსაფუძლოა შემდეგი ფაქტების

გამო: სამართლებრივად, ნებისმიერი შესრულება თუ ვალდებულების არსებობის აღიარება ანახლებს ხანდაზმულობის ვადის დენას და ხანდაზმულობის ვადაც ამ კონკრეტული თარიღიდან აითვლება. N2b/131-13 გადაწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადახდას კი ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ საფუძვლით ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად არ მიიჩნია. სააპელაციო სასამართლომ ჩათავალა, რომ სარჩელის აღძვრამდე პერიოდზე მოქმედებდა სხვა ხანდაზმულობის ვადა და ამ პერიოდამდე თანხის დაკისრების მოთხოვნა იყო ხანდაზმული. ხოლო სარჩელის აღძვრის შემდეგ მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული. აღნიშნულს ვერ დავეთანხმებით, რადგან ერთი საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება არ შეიძლება იყოს ნაწილობრივ ხანდაზმული და აღნიშნულთან სასამართლოს მიერ მითითებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი ნაწილი კავშირში არ არის. კერძოდ, ამ შემთხვევაში სახეზე იყო არა სხვადასხვა და ცალ-ცალკე შესასრულებელი ვალდებულებები, არამედ ერთი საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება და შესაბამისად, დავალიანება ან მთლიანად ხანდაზმული იყო ან საერთოდ არ იყო ხანდაზმული. ვერ დავეთანხმებით N2b/131-13 გადაწყვეტილების 4.2. ნაწილით გათვალისწინებულ სასამართლოს პოზიციას, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით წარმოშობილ დავალიანებაზე, რომლის გადახდაც მხარეთა შორის გრაფიკით არის შეთანხმებული, გრაფიკით გათვალისწინებულ ყოველ გადახდაზე ვრცელდება ცალ-ცალკე ხანდაზმულობის ვადა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 01 დეკემბრის Nას-599-562-2010 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მიხედვით, „პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე, მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება.“²¹ შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ N2b/131-13 გადაწყვეტილების 4.2. ნაწილით გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამ შემთხვევაში არ უნდა გამოყენებულიყო, რადგან აღნიშნული ნორმა ეხება ისეთ პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებს როგორიცაა პენსია, ხელფასი და ა. შ. ცალ-სახაა, რომ ერთი საფუძვლით წარმოშობილ დავალიანებაზე ვრცელდება ერთიანი ხანდაზმულობის ვადა და უსაფუძვლოდ მიგვაჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ გრაფიკით გათვალისწინებულ ყოველ შესრულებაზე ცალ-ცალკე ხანდაზმულობის ვადის გავრცელება. სააპელაციო სასამართლოს პოზიციას რომ დავეთანხმოთ, მაშინ საკრედიტო ხელშეკრულების გრაფიკით გათვალისწინებულ ყოველ გადახდაზე ცალ-ცალკე სარჩელით უნდა მივმართოთ სასამართლოს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 სექტემბრის N2b/131-13 გადაწყვეტილება ამჟამად გასაჩივრებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

8. დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის მიხედვით, „ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით,

როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება.“ დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ კანონი ცალსახად განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საკითხს სასამართლოში სარჩელის შეტანით, რა თქმა უნდა, თუ შემდეგ მოსარჩელე სარჩელზე არ იტყვის უარს ან სხვა მიზეზით არ დარჩება სარჩელი განუხილველად. რაც შეეხება მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვა საშუალებას, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება, მნიშვნელოვანია, რომ მოთხოვნის დაცვის საშუალება უნდა იყოს სამართლებრივად ვარგისი საშუალება. მაგალითად, მოთხოვნის დაცვის მიზნით თუ მოხდა უფლებამოსილი პირის მიერ არაუფლებამოსილი ორგანოსათვის მიმართვა, არაუფლებამოსილი პირის მიერ უფლებამოსილი ორგანოსათვის მიმართვა, ან არავარგისი საშუალებით მოთხოვნის დაცვის ცდა, აღნიშნული ვერც ერთი გარემოება ვერ შეწყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას. მაგალითად, სესხის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის დასაცავად განცხადებით თუ მიმართავთ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ეს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი ვერ იქნება. ასევე, თუ სასამართლოს ცნობისათვის მიმართავთ მხოლოდ ზოგადი საინფორმაციო შინაარსის განცხადებით, რომ „X“ პიროვნებას ჩვენს მიმართ აქვს დავალიანება, მართალია, სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს კონკრეტული საკითხი, მაგრამ მოთხოვნის დაცვისათვის მიმართვის საშუალება ვერ იქნება ამ შემთხვევაში ვარგისი, რადგან განცხადება არ შეიცავს მოვალის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნას. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დენას ასევე, ვერ შეწყდება თუ მოთხოვნის დაცვის საშუალება იქნება ვარგისი, მოხდება უფლებამოსილი ორგანოსათვის მიმართვა და განცხადების ან სარჩელის ავტორი თავად არ იქნება უფლებამოსილი.²² ასევე, უნდა აღინიშნოს ის მომენტი, როდესაც ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნა უკვე ხანდაზმულია და შემდეგ ხდება სასამართლოსათვის მიმართვა. მიუხედავად მოთხოვნის ხანდაზმულობისა, თუ მოთხოვნის მფლობელი მიმართავს სასამართლოს სარჩელით და პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის განხილვისას მოპასუხე ეტყვევებოდა არ დააყენებს მის მიმართ არსებული მოთხოვნის ხანდაზმულობას, ამ შემთხვევაში, სასამართლო ჩვეულებრივ განიხილავს და გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომელიც შემდგომ შევა კანონიერ ძალაში და საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობის საფუძველზე მოხდება მისი აღსრულება. სამოქალაქო საქმის განხილვისას მოსამართლე თავისი ინიციატივით ვერ მიუთითებს, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია. მაგრამ, საკმარისია მოპასუხე მხარემ ახსენოს ტერმინი „ხანდაზმულობა“, სასამართლო ხანდაზმულობის საკითხს გამოიკვლევს და თუ აღმოჩნდება, რომ მოთხოვნა მართლაც ხანდაზმულია, ამ საფუძველით სარჩელს არ დააკმაყოფილებს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება, რადგან მსგავსი შინაარსის საქმეზე სხვადასხვა, ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოს სხვადასხვა სამართლებრივი პოზიცია არ უნდა ჰქონდეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ N2/6728-12²³ საქმეზე არ იქნა გათვალისწინებული იგივე მხარეებს შორის იგივე საფუძველით მიღებული #2/5384-10 გადახდის ბრძანების²⁴ არსებობა. ხოლო განსხვავებული პოზიცია ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს N2-5730 საქმეზე,²⁵ სადაც იგივე სამართლებრივი მდგომარეობა იყო და N2/151-09

გადახდის ბრძანების²⁶ გამოტანის ფაქტი გათვალისწინებული იქნა, როგორც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის და ხელახლა ათვლის საფუძველი. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ამჟამად დავალიანების დაკისრების საკითხის გამარტივებული წესით განხილვა სასამართლოს კომპეტენციას აღარ განეკუთვნება, სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი შინაარსის საქმეების განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები შინაარსით ერთმანეთის იდენტური თუ არა, მაქსიმალურად ერთმანეთის მსგავსი მაინც იყოს და რაც ყველაზე მთავარია, განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობდეს.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
- ² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
- ³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
- ⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი.
- ⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხლი.
- ⁶ სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 1, ავტორები – ლადო ჭანტურია, ზურაბ ახვლედიანი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002, გვ. 322.
- ⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლი.
- ⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 133-ე მუხლი.
- ⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 134-ე მუხლი.
- ¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი.
- ¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის Nას-1070-1337-09 გადაწყვეტილება, 03/02/2010.
- ¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი.
- ¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის Nას-1586-1489-2012 გადაწყვეტილება, 22/04/2013.
- ¹⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლი.
- ¹⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/2963-07 განჩინება, 27/10/2010.
- ¹⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/1018-07 განჩინება, 09/02/2010.
- ¹⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/6728-12 გადაწყვეტილება, 09/09/2012.
- ¹⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის #2/5384-10 განჩინება, 20/12/2010.
- ¹⁹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
- ²⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 სექტემბრის N2b/131-13 გადაწყვეტილება.
- ²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 01 დეკემბრის Nას-599-562-2010 გადაწყვეტილება.
- ²² სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 1, ავტორები – ლადო ჭანტურია, ზურაბ ახვლედიანი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002, გვ. 331.
- ²³ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/6728-12 გადაწყვეტილება, 09/09/2012.
- ²⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/5384-10 განჩინება, 20/12/2010.
- ²⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2-5730 განჩინება, 03/05/2012.
- ²⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/151-09 გადახდის ბრძანება, 09/06/2011.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიღების თარიღი 26/06/1997;
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი 14/11/1997;
3. სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 1, ავტორები – ლადო ჭანტურია, ზურაბ ახვლედიანი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის Nას-1586-1489-2012 გადაწყვეტილება, 22/04/2013;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის Nას-599-562-2010 გადაწყვეტილება, 01/12/2010;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის Nას-1070-1337-09 გადაწყვეტილება, 03/02/2010;
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2b/131-13 გადაწყვეტილება, 23/09/2013;
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/6728-12 გადაწყვეტილება, 09/09/2012;
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/2963-07 განჩინება, 27/10/2010;
10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/2963-07 გადახდის ბრძანება, 10/06/2007;
11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/1018-07 განჩინება, 09/02/2010;
12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/1018-07 გადახდის ბრძანება, 05/03/2010;
13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2-5730 განჩინება, 03/05/2012;
14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/5384-10 განჩინება, 20/12/2010;
15. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის N2/151-09 გადახდის ბრძანება, 09/06/2011.



STATUTE OF LIMITATIONS OF A CONTRACT CLAIM AND ITS PLACE IN JUDICIAL PRACTICE

DAVIT ATABEGASHVILI

Doctoral Student of the Law School of the New Vision University

This article discusses the concept of statute of limitations of a claim emerged on the grounds of a private law contract, its time-frames, the moments and grounds for its beginning, termination and suspension. It also analyzes the statute of limitations as the tool ensuring that a claim for performing or avoiding a certain act remains in legal force, at the stage of civil proceedings at court. The article aims at describing specific issues of applying theoretical issues that are pertinent to the emergence, suspension and termination of the statute of limitations in the judicial practice, and at analyzing the respective judicial practice. We will also discuss litigations from personal legal practice. There are recommendations offered in the article about how to resolve and regulate problematic issues on the flow, suspension and termination of the statute of limitations on the claim that has emerged on the grounds of a civil law contract.

სასამართლო პრაქტიკის ტენდენციები საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებით

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყველაზე გახმაურებული საქმის – ჰანოვერის პრინცესა კაროლინას მაგალითზე

ნათა ცომაია

ჰანოვერის ლეიბნიცის უნივერსიტეტის დოქტორანტი

შესავალი

სტატიის საგანია სასამართლო პრაქტიკის წარმოდგენა პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებით. კერძოდ კი, სასამართლო პრაქტიკის ტენდენციების ანალიზი, რომელიც უკავშირდება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შემადგენელ ნაწილს – უფლებას საკუთარ გამოსახულებაზე. სტატია მიზნად ისახავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასა და მედიის თავისუფლებას შორის წარმოქმნილი კონფლიქტის – კოლიზიის წარმოდგენას. აღნიშნულ ძირითად უფლებათა შორის წამოჭრილი კონფლიქტის განსახილველად თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს პრინცესა კაროლინას საქმე გერმანიის

წინააღმდეგ. დავა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დასრულდა. შესაბამისად, ქვემოთ მოცემული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, როგორც გერმანიის სასამართლოთა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს¹ მოიცავს.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების განსაკუთრებულ ნაწილად, როგორც მართლმსაჯულების ასევე, მეცნიერების მიერ აღიარებულია უფლება საკუთარ გამოსახულებაზე.² რადგან სწორედ გამოსახულების ხარჯზე შეიცნობა ადამიანი, მისი განსაკუთრებული ინდივიდუალობით და იდენტობით,³ ამიტომაც ადამიანი განსაკუთრებით სათუთად ეპყრობა საკუთარ გარეგნობას.⁴ სწორედ გარეგნობის წყალობით ამყარებს ის საზოგადოებასთან კავშირს. საზოგადოება კი, გარეგნობით გამოწვეული შთაბეჭდილებით იქმნის ამა თუ იმ პიროვნებაზე სუბიექტურ შთაბეჭდილებას. ამიტომაც საზოგადოების წევრად ჩამოყალიბების პროცესში, გარემოზე დატოვებული შთაბეჭდილების გამო, საკუთარი გარეგნობის სტატუსი მეტად მგრძნობიარე საკითხია. გამომდინარე იქიდან, რომ ის პიროვნებასთან მჭიდრო კავშირშია, აუცილებელია მისი დაცვა კანონმდებლობით, ამიტომაც მოიაზრება უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, როგორც საკუთარი გავითარების უფლების განსაკუთრებული ნაწილი, რომელიც დაცულია კანონით, თუმცა, მისი დაცვის ფარგლები მუდმივ ცვლილებებს განიცდის და ის მეტწილად, დამოკიდებულია მოსამართლეთა განმარტებებზე.

უფლება საკუთარ გამოსახულებაზე მოიცავს ცალკეული პიროვნების დაცვას მესამე პირთა მიერ სხვადასხვა სახის ფოტოს დამზადება-გამოყენებისაგან ანდა პიროვნების სხვადასხვა სახით ჩაწერა-ჩახატვისაგან.⁵ დაცვის აუცილებლობა განპირობებულია ორი ფაქტორით: პირველ საფუძველს წარმოადგენს ფოტოების გამრავლება-გამოქვეყნება, რომელთა წვდომაც განუსაზღვრელი რაოდენობის პირთა წრეს შეუძლია. მეორე საფუძველს კი, ტექნიკურ საშუალებათა განვითარება-დახვეწის გამო წარმოქმნილი საფრთხე წარმოადგენს, რის შედეგადაც ტექნიკური მანიპულირების და გაყალბების შესაძლებლობების განსაზღვრა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, უფლება საკუთარ გამოსახულებაზე ორიენტირებულია ორი სამართლებრივი სიკეთის დაცვაზე, პიროვნების გარდა ის იცავს ინტელექტუალურ სიკეთეს ე. ი. აქ არ მოიაზრება სურათებზე გამოსახულ ობიექტთა დაცვა ანუ საგნობრივი ნაწარმი, არამედ ინტელექტუალური ქმნილება, საზოგადოების მიერ აღქმადი ამა თუ იმ ცალკეული პიროვნების გარეგნული გამოხატულება.⁶

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – ჰანოვერის პრინცესა ქაროლინა

სამართალწარმოების პროცესში, პოპულარულ პირთა ამსახველი ფოტომასალის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ფოტომასალის, მათზე ასახულ პირთა თანხმობის გარეშე გამოქვეყნების საკითხი და დაეყრდნო მრავალწლიან პრაქტიკას – გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. მან გამოიყენა ისეთი კრიტერიუმები, როგორიც არის თანამედროვეობის ცნობადი სახე, რომელიც თავის მხრივ, ორ კატეგორიად, კერძოდ, აბსოლუტურ და რელატიურ ცნობად სახედ კონკრეტდება, ამასთან, სფეროთა თეორია, კონკრეტულად კი, ტერიტორიული განცალკევების ცნება.

თანამედროვეობის აბსოლუტური ცნობადი სახის დამახასიათებელი კრიტერიუმია ფართო საზოგადოების ინტერესი, რომელიც აბსოლუტური ცნობადი სახის მიმართ კონკრეტული მოვლენებისაგან დამოუკიდებლად არსებობს.⁷ ეს ტერმინი განიმარტება როგორც მდგომარეობა, რომლის თანახმადაც, ცნობადი სახე თანამედროვეობას აბსოლუტურად განეკუთვნება.⁸ თანამედროვეობის აბსოლუტური ცნობადი სახე ისეთი პიროვნებაა, რომელიც დაბადებით, მდგომარეობით, წარმატებებით, ქმედებებით ან მისი გადაცდომებით გამოირჩევა საზოგადოების სხვა წევრებისაგან და ამით საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა.⁹ აღნიშნულთან დაკავშირებით, გერმანიის უზენაესი სასამართლო ადგენს, რომ მსგავს პირთა მიმართ საზოგადო ინტერესი კონკრეტული მიზეზისაგან დამოუკიდებლად არსებობს.¹⁰ ამიტომაც, იმისათვის რომ თანამედროვეობის აბსოლუტურად ცნობადი სახის ამსახველი ფოტომასალა გამოქვეყნდეს, არ არის აუცილებელი განსაკუთრებული მოვლენის არსებობა, პირიქით, ისინი აღნიშნული გარემოების გარეშე, ნებისმიერ დროს, ამ პირის თანხმობის გარეშე შეიძლება გამოქვეყნდეს.¹¹

თანამედროვეობის რელატიურად ცნობად სახეს კი, ისეთი პიროვნება წარმოადგენს, რომელიც საზოგადოების ინტერესის სფეროში მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევის გამო მოხვდა.¹² რელატიური ცნობადი სახე საზოგადოების ინტერესის სფეროში როგორც წესი, თანამედროვეობისათვის აღსანიშნავ მოვლენასთან ან აბსოლუტურ ცნობად სახესთან კავშირის გამო ექცევა. სწორედ ამიტომ კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებით, დასაშვებია პირის შესახებ, როგორც ფოტომასალის, ასევე ინფორმაციის გავრცელება მისი თანხმობის გარეშე.¹³

კრიტერიუმი თანამედროვეობის ცნობადი სახე თავის თავში მორფოლოგიურად აერთიანებს კოლიზიას მასმედიის პუბლიკაციის ინტერესსა და ფოტოზე ასახული პირის დაცვის უფლებას შორის, რომელიც დამოკიდებულია დაპირისპირება-შეფასების პრინციპზე. ამ პრინციპის თანახმად, ერთი მხრივ, საზოგადოების ინფორმირების ინტერესსა და მეორე მხრივ, პირადი განვითარების უფლების დაპირისპირება-შედარების საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს პირის თანხმობის გარეშე მისი ამსახველი ფოტომასალის გამოქვეყნება.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეში გამოყენებული შემდეგი კრიტერიუმი – ტერიტორიული განცალკევების პრინციპი უკავშირდება თეორიას სფეროების მიხედვით.¹⁴ თეორია სფეროთა მიხედვით, კერძოდ კი, მისი შემადგენელი ნაწილის – საცხოვრებლის მოდიფიცირებული გაგების თანახმად, პირადი სფეროს დაცვა კონკრეტულ ტერიტორიულ ფარგლებს სცილდება, აქედან გამომდინარე, ის საკუთარი სახლის ზღურბლზე აღარ მთავრდება.¹⁵ კონკრეტულ საქმეში სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ საქმე უკავშირდება პირადი ცხოვრების სფეროს, თუ პირი ტერიტორიულად შემოფარგლულ სივრცეში იმყოფება და აშკარაა, რომ მას მართო ყოფნა სურს. სწორედ ამ პირობებში ტერიტორიული განცალკევების იმედად ის იქცევა ისე, როგორც საზოგადოების წინაშე არასდროს მოიქცეოდა.¹⁶ გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ტერიტორიულად განცალკევების ფაქტად აღიარა პირის ყოფნა რესტორანსა და სასტუმროში, ასევე, სატელეფონო ჯიხურში.¹⁷ გერმანიის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ტერიტორიული განცალკევების ფაქტი შეიძლება დადასტურდეს ღია ცის ქვეშ, ბუნებაშიც, მაშინ როდესაც პირი იქ როგორც ინდივიდი და არა მხოლოდ ფართო საზოგადოების წევრი მოიაზრება.¹⁸ ტერიტორია ამგვარ შემთხვევებში იძენს მინიშნების – ორიენტირის ფუნქციას.¹⁹

პრინციპს კაროლინას საქმეზე გერმანიის უზენაესმა სასამართლომ პრინციპს კონკრეტულ ფოტოსერიაზე (გადაღებული თანხმობა პირთან ერთად, რესტორნის ჩაბნელებულ ოთახში)

ტერიტორიული განცალკევების ფაქტი დაადგინა, რადგან მათ იქ ტერიტორიული განცალკევების იმედად თავი ისე ეჭირათ, როგორც საზოგადოების მეთვალყურეობის დროს არ მოიქცეოდნენ.²⁰ ეს თვალსაზრისი ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომაც გაიზიარა და სამ ფოტოსთან დაკავშირებით, რომლებზეც პრინცესა ლია ცის ქვეშ, საკუთარ შვილებთან ერთად იყო გამოსახული, დედის პირადი განვითარების უფლების ხელყოფა დაადგინა; აქცენტი გაკეთდა ქორწინების, ოჯახისა და შშობლის უფლების დაცვაზე (გერმანიის ძირითადი კანონის მე-1 მუხლის პირველი და მე-2 აბზაცების თანახმად).²¹

საბოლოოდ, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პრესის ინტერესს, რომელიც თავისუფალი, ინდივიდუალური და საზოგადო აზრის ჩამოყალიბებას ემსახურება, პრინცესა კაროლინას პირადი განვითარების უფლებასთან დაპირისპირებისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს.²² ამასთან, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აზუსტებს, რომ გასართობი/თავშესაქცევი ინფორმაციაც პირდაპირ თუ ირიბად, აზრის ჩამოყალიბებას ემსახურება. კონკრეტული პიროვნებების ირგვლივ ინფორმაციების აგება კი, საზოგადოების ინტერესის გაღვივების ლეგიტიმური საშუალებაა.²³

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცნებას – „პრესა“ აფართოებს და განმარტავს, რომ ძირითადი კანონის ნეიტრალიტეტის ფარგლებში, დაუშვებელია პრესის შეზღუდვა და მისი დაყვანა მხოლოდ სერიოზული შინაარსის შემცველ პუბლიკაციებზე. პრესის თავისუფლების ფარგლები გასართობი/თავშესაქცევ „ფერად ფურცლებზე“ ანალოგიურად ვრცელდება.²⁴ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი სენატი აზუსტებს, რომ პრესის თავისუფლების ფარგლებს არ სცდება არც გასართობი/თავშესაქცევი ხასიათის პუბლიკაციები, თუნდაც მხოლოდ ფოტომასალა და არც გართობა როგორც პუბლიკაციის უშუალო საგანი. რადგან გართობა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ფუნქციას ასრულებს, იმდენად რამდენადაც მას რეალური მოვლენები უკავშირდება, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ცხოვრებისეულ განწყობაზე, ფასეულობებზე და ქცევის ფორმებზე.²⁵

პრინცესა კაროლინა გერმანიის წინააღმდეგ, ადამიანი უფლებათა ევროპული სასამართლო, 2004 წელი

დავას საფუძვლად უდევს პრინცესა კაროლინას პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოსერია, გადაღებული საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. დავის საგანს არ წარმოადგენს ის ფოტოები, რომელთა პუბლიკაცია გერმანიის უზენაესი და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აიკრძალა.

საქმეზე პრინცესა კაროლინა გერმანიის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ²⁶ დაადგინა გერმანიის მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის ფაქტი და დააკისრა გერმანიას ზიანის ანაზღაურება 41-ე მუხლის თანახმად.²⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მართალია, ფოტომასალის გამოქვეყნება აზრის გამოხატვას წარმოადგენს, მაგრამ აღნიშნულ კონტექსტში ყურადსაღებია პირის პატივის დაცვის უფლება და მესამე პირთა სხვა უფლებების გათვალისწინება. ინფორმაციისა და საკუთრივ ფოტოების გავრცელებისას

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთმანეთისაგან განასხვავებს ერთი მხრივ, ისეთ პუბლიკაციებს, რომლებიც ზოგად საკითხებს ეხება და ამიტომ საზოგადოებრივი განსჯის საგანს წარმოადგენს, მეორე მხრივ კი, ისეთ პუბლიკაციებს, რომლებიც ცალკეული პირების პირად ცხოვრებას ასახავს. პირველი კატეგორიის შემთხვევაში, პრესას ეკისრება ვალდებულება იტვირთოს „დარაჯი ძაღლის“ როლი და გაავრცელოს მოსაზრებები და ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის დასაკმაყოფილებლად.²⁸

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრინცესა კაროლინას პირადი განვითარების უფლება პრესის თავისუფლებას დაუპირისპირა და შეადარა. მან დაადგინა, რომ სადავო ფოტოები თანმხლები ტექსტითურთ, პრინცესას პირადი ცხოვრების შემცველი ინფორმაციით მხოლოდ განსაზღვრული პუბლიკის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ემსახურება და მიუხედავად მისი პოპულარობის ხარისხისა, მსგავსი სახის ინფორმაცია საზოგადოების საყოველთაო ინტერესსა და განსჯის საგანს არ წარმოადგენს.²⁹ რის გამოც საქმე მეორე კატეგორიასთან გვაქვს, სწორედ ისეთთან, როდესაც საქმე არ ეხება „დარაჯი ძაღლის“ ფუნქციის შესრულებას. ზემოთქმულის დასაკონკრეტებლად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაამუშტა, რომ აზრის გამოხატვის უფლება ამ შემთხვევაში ფართო გაგებით არ უნდა იქნას მოაზრებული.³⁰ საკითხის ვიწრო გაგებით სადავო ფოტოების გამოქვეყნება დაუშვებელია.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ურთიერთსაწინააღმდეგო/კოლიზიური გადაწყვეტილებები

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსა³¹ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს³² გადაწყვეტილება ურთიერთსაპირისპიროა — კოლიზიურია. ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების დაფიქსირება ნაკლებად არის განპირობებული განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლის არსებობით, უფრო მეტად იგი განპირობებულია სუბიექტური შეფასებებით. აღნიშნული გადაწყვეტილებები ორ ძირითად საკითხში მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში: ურთიერთსაწინააღმდეგოა დავის საგნობრივი და პერსონალური მხარე. საკითხის საგნობრივი განხილვისას, სასამართლოები განსხვავებულად აფასებენ „ფერად ფურცლებს.“³³ აღნიშნული ტერმინი გულისხმობს ისეთ ჟურნალ-გაზეთებს, სადაც როგორც წესი, მხოლოდ ჭორების შემცველ პუბლიკაციებს ენიჭება უპირატესობა. მსგავსი სახის ინფორმაციის გავრცელება არა კონკრეტული ღირშესანიშნავი მოვლენით არის განპირობებული, არამედ მისი გამოქვეყნება უსაფუძვლოდ ხორციელდება და სისტემატურობის ნიშნით გამოირჩევა. რაც შეეხება საკითხის პერსონალურ მხარეს, ის თანამედროვეობის აბსოლუტურად ცნობადი სახის გაგებას გულისხმობს.³⁴

საგნობრივი კრიტერიუმი გარდა ყვითელი პრესისა, ფოტომოტივსაც უკავშირდება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის განმსაზღვრელია ფოტოს დატვირთვა, ანუ შეიძლება თუ არა კონკრეტული ფოტო გახდეს დემოკრატიული საზოგადოების მსჯელობის საგანი, თუ ის მხოლოდ პირადი ცხოვრების დეტალების ამსახველია.³⁵ მსგავსი სახის განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის

თანახმადაც, აშკარა განსხვავებაა ყვითელ პრესასა და პოლიტიკურად მოტივირებულ მედიასა-შუალედებს შორის.³⁶ მსგავსი სახის განსხვავება უცხოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. პრინცესა კაროლინას საქმეზე გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პრესის ინტერესები ემსახურება თავისუფალი და ინდვიდუალური საზოგადო აზრის ჩამოყალიბებას, რის გამოც მას პირადი ცხოვრების განვითარების უფლებასთან დაპირისპირებისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს.³⁷

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გერმანიის უზენაესი და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ გამოყენებული კრიტერიუმების — თანამედროვეობის აბსოლუტური და რელატიური ცნობადი სახის³⁸ არსი ნათელი არ არის და ცალკეული პირებისათვის შეუძლებელია მათზე სწორება/ორიენტაცია.³⁹ ჰანოვერის პრინცესას წარმომავლობა მონაკოს სამეფო ოჯახიდან არ იძლევა საკმარის საფუძველს, რომ იგი თანამედროვეობის აბსოლუტურ ცნობად სახედ იქნას აღიარებული, მით უფრო, რომ მას თანამდებობა არ უკავია.⁴⁰ გარდა ზემოთქმულისა, შეუძლებელია ტერიმინის „ტერიტორიული განცალკევების“ პრაქტიკაში დაკონკრეტება, რის გამოც, მონაწილე პირი (დაზარალებული) თავად ვერც კი განსაზღვრავს, თუ რომელია ასეთი ადგილი. ზოგიერთ ფოტოზე საერთოდ ვერ დგინდება, თუ სად მოხდა მათი გადაღება შესაბამისად, ტერიტორიული განცალკევების კრიტერიუმის განსაზღვრაც შეუძლებელი ხდება.⁴¹ აღნიშნულ კრიტერიუმთაგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აქცენტს ფოტოგადაღების პროცესზე აკეთებს. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, გასათვალისწინებელია, თუ რა პირობებში მოხდა ამა თუ იმ ფოტოს გადაღება, ფარულად ტელეობიექტივის საშუალებით თუ აშკარა მომაბეზრებელი დევნის პირობებში.⁴²

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციის თანახმად, საზოგადოებისათვის ცნობილი სახეებიც საკუთარი პირადი ცხოვრების დაცვის იგივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, როგორც ყველა სხვა დანარჩენი. პირადი ცხოვრება სასამართლოს დადგენილების თანახმად, პიროვნების იდენტიფიკაციის ელემენტების შემცველია. მასვე უკავშირდება როგორც ფიზიკური, ასევე ინტელექტუალური ხელშეუხებლობის უფლება. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი უპირველესად, სწორედ რომ ყოველი ადამიანის პირადი განვითარების უფლებას იცავს მესამე პირთა ჩარევისაგან.⁴³ დასაცავ ობიექტს წარმოადგენს აგრეთვე, ურთიერთკავშირები სუბიექტებს შორის ისევე, როგორც ურთიერთობები მესამე პირებთან მიმართებით, როდესაც ურთიერთობის დაფიქსირება საზოგადო თავშეყრის ადგილებში ხდება.⁴⁴

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ორიენტირებულია ინდივიდის დაცვის უფლებაზე ხელისუფლების ჩარევისაგან. მე-8 მუხლის თანახმად, ხელისუფლებას ეკრძალება უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევა და ეკისრება ვალდებულება ინდივიდის დაცვაზე მესამე პირთა ზეწოლისაგან ე.ი. სახელმწიფოს ევალება თავი შეიკავოს უფლებების დარღვევისაგან და უზრუნველყოს უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ფიზიკურ პირთა შორის. ზემოთქმული მოიცავს საკუთარი გამოსახულების შემცველი ფოტომასალის მათი მესამე პირთა ხელყოფისაგან დაცვის უფლებასაც.⁴⁵

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ერთი მხრივ, მიუხედავად პრინცესა კაროლინას პოპულარობის ხარისხისა, მისი პირადი ცხოვრების ამსახველ ფოტომასალას სიღრმისეული

ღირებულება ან მნიშვნელობა არ გააჩნია, რის გამოც ის საზოგადო ინტერესსა და განსჯის საგანს არ წარმოადგენს. მეორე მხრივ უნდა ითქვას, რომ პრინცესა კაროლინას პირად ცხოვრებაში ჩარევა, რომელიც ფოტომასალის შექმნისა და გავრცელების ფაქტით იყო გამოწვეული, პირადი განვითარების უფლების არამსუბუქი შელახვაა. რის გამოც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირადი ცხოვრების დაცვას ე. ი. მის ხელშეუხებლობას პრესის თავისუფლებასთან დაპირისპირებისას, უპირატესობას ანიჭებს.

მართლმსაჯულების კოლიზია

წინამდებარე განხილვამ ცხადყო, რომ გერმანიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები არა მხოლოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ ისინი ურთიერთსაწინააღმდეგოც არის. საქმე გვაქვს საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის კოლიზიასთან. დამკვიდრებული განმარტების თანახმად, კოლიზია სახეზეა მაშინ, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულება შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან მოდის წინააღმდეგობაში. რადგან საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის საფუძველზე სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი დგება, ორივე შედეგის ერთდროულად პრაქტიკაში განხორციელება კი, ლოგიკურად შეუძლებელია.⁴⁶ თუ საერთაშორისო სამართლის მოქმედებას საფრთხე ექმნება წევრ სახელმწიფოთა საერთო სასამართლოების ნორმატიული აქტის, ანუ ნორმატიულ აქტებს შორის შეუთავსებლობის საფუძველზე, საქმე ირიბ კოლიზიასთან გვაქვს. პირდაპირი კოლიზიის დროს კი, საერთაშორისო სამართალი უპირატესი კანონის ძალის მქონეა. რის შედეგადაც უპირატესობა სწორედ რომ მას ენიჭება და წევრმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო სამართალი იერარქიულად შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე მაღლა უნდა დააყენონ და მხოლოდ ის გამოიყენონ.⁴⁷ ირიბი კოლიზიისას, საერთაშორისო სამართალს არა იმპერატიული ხასიათი, არამედ გარკვეული მიმართულებებისა და ჩარჩოების განმსაზღვრელი ფუნქცია აქვს. რაც ნიშნავს, რომ კოლიზიისას სავალდებულო არ არის საერთაშორისო სამართლისათვის უპირატესობის მინიჭება, ის იძლევა შეფასების შესაძლებლობას და შეფასების შედეგად, რომელიმე სამართლისათვის უპირატესობის მინიჭების საშუალებას. ეს ის საშუალებაა, რომლის თანახმადაც, ერთმანეთს დაპირისპირებულ ინტერესთა რეგულირება ხორციელდება პრაქტიკული კონკორდატის გზით, რაც სამართლებრივი აქტების ერთმანეთთან კონკურენციის შემთხვევაში, კოლიზიის გადაწყვეტის მეთოდს წარმოადგენს. ამავე კონტექსტში აქცენტი უნდა გაკეთდეს სუბსიდიარობის პრინციპსა⁴⁸ და საერთაშორისო სამართლის ერთგულების⁴⁹ პრინციპზე.

პრინცესა კაროლინას საქმეზე სასამართლოთა შორის პირდაპირ კოლიზიას აქვს ადგილი. ცნებას პირდაპირ და ირიბ კოლიზიას და მათ შორის სხვაობას მხოლოდ ანალიტიკური მნიშვნელობა აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართალს რეალურად უპირატესი ძალა აქვს მაშინაც კი, თუ საქმე ირიბ კოლიზიას ეხება.

რაც შეეხება სასამართლოების განსხვავებული პოზიციების გამომწვევ მიზეზს, ასეთად როგორც საკონსტიტუციო, ასევე ევროსასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულების — უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნ-

ველყოფის დაცვა და საჯარო ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მიერ მათი არამართლზომიერი შეზღუდვის აკრძალვა და ფარგლები მოიაზრება. იგულისხმება გარემოება, როდესაც ზემოთხსენებული სასამართლოები საბოლოო ინსტანციას წარმოადგენს და მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ძალაში შედის, რისი საფუძველიც როგორც ეროვნულ კონსტიტუციებში, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპულ კონვენციაში და ასევე, საერთაშორისო სამართალშია გამყარებული. ე.ი. რადგან აღნიშნული სასამართლოები აღჭურვილნი არიან სამართლის ინტერპრეტაცია-განმარტებასა და გამოყენების უფლებამოსილებით, დგება მართლმსაჯულების კოლიზიის წარმოშობის შესაძლებლობა.⁵⁰ მართლმსაჯულების კოლიზია წარმოიშობა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ავტონომიურობის უფლებამოსილებისა და კონკურენციის პირობებში. რის გამოც მართლმსაჯულების კოლიზიას აგრეთვე, სამართლებრივი სისტემის კოლიზიაც შეიძლება ეწოდოს.⁵¹

პრინცესა კაროლინას საქმეზე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო საერთაშორისო სამართალს უპირატესობას არ ანიჭებს, რის გამოც ის კოლიზიას წარმოშობს.⁵² უკანასკნელი გადაწყვეტილებების შემდეგ, პრეცედენტულმა სამართალმა სახეცვლილება განიცადა. კონკრეტული ტენდენციები გამოიკვეთა ჰანოვერის პრინცესა კაროლინას მიერ წამოწყებული მორიგი სამართლებრივი დავის ფარგლებში. დავამ დასასრული კვლავ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ჰპოვა. შემდეგი ანალიზი მიმართულია უახლესი ტენდენციების გამოორკვევასა და დაზუსტებაზე, კერძოდ, ხერხდება თუ არა ზემოხსენებული მართლმსაჯულების კოლიზიის გადაჭრა სასამართლოთა ურთიერთთანამშრომლობის საშუალებით.

შეცვლილი სასამართლო პრაქტიკა კრიტიკიუმის – თანამედროვეობის აბსოლუტურ ცნობად სახესა, ასევე, პირადი განვითარების უფლებასა და ინფორმაციის თავისუფლებას შორის არსებულ კოლიზიასთან დაკავშირებით

გერმანიის უზენაესი სასამართლოს დაცვის ახალი – შრეებიანი/იერარქიული კონცეფცია, რომელიც ჰანოვერის პრინცესა კაროლინას საქმის ფარგლებში დადგინდა

გერმანიის უზენაესი სასამართლო⁵³ თავის გადაწყვეტილებაში იყენებს დაცვის ახალ კონცეფციას, რითაც კრიტიკიუმის – თანამედროვეობის აბსოლუტური ცნობადი სახის გამოყენებაზე საკუთარი განმარტებით, უარს აცხადებს. სასამართლოს აქცენტი გადააქვს სურათის ინფორმაციულ ღირებულებაზე. ცნობადი სახის სურათები თანხმობის გარეშე დასაშვებია გამოქვეყნდეს თანხმეები ტექსტით, თუ აღნიშნულს წვლილი შეაქვს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობაში. პუბლიკაციაზე, ისევე როგორც სურათის გამოქვეყნებაზე უარი უნდა ითქვას, თუ ცნობადი სახეები ყოველდღიური რუტინული საქმიანობისას არიან გადაღებული.⁵⁴

პირის სურათის გამოქვეყნებისას, პირადი განვითარების უფლების დაცვითი სფერო ფართო გაგებით უნდა იქნას განხილული, მისგან განსხვავებით წერილობითი პუბლიკაციის დაცვის მასშტაბები საგრძნობლად ვიწროა. რაც ნიშნავს, რომ ცალკე აღებული სურათის გამოქვეყნება როგორც წესი, პირადი უფლების დარღვევას იწვევს, წერილობითი პუბლიკაციის დროს კი, პირიქით, პირადი განვითარების უფლებაში ჩარევა აპრიორი მოსალოდნელი არ არის.⁵⁵

ჰანოვერის პრინცესა კაროლინას საქმეზე გერმანიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ცნობილი წყვილის კაროლინასა და ერნსტ აუგუსტოს შვებულებისას გადაღებული სურათები ცალკე აღებული, თანამედროვეობისათვის უმნიშვნელოა და ფართო საზოგადოების ინტერესი მათ მიმართ გაუმართლებელია. იმდენად რამდენადაც, სადავო ფოტოებს თან ერთვის მონაკოს მეფის ავადმყოფობის შესახებ ინფორმაციის შემცველი ტექსტი, აგრეთვე, ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენ დროს უთმობს მას უმცროსი ქალიშვილი, მაშინ, როდესაც უფროსი ქალიშვილი მორიცი შვებულებას ატარებს. ეს მოვლენა თანამედროვეობისათვის ღირშესანიშნავი ფაქტის სტატუსს იძენს, რის გამოც ის პრესისათვისაც საინტერესო ხდება.⁵⁶

შესაბამისად, ორი ძირითადი უფლების – პირადი განვითარებისა და პრესის თავისუფლების უფლებათა შორის კოლიზიის შემთხვევაში ინტერპრეტირებისა და შედარება-შეფასების პირობებში უნდა გადაწყდეს, დასაშვებია თუ არა კანონის იმ ნორმათა გამოყენება, რომელიც ნებადართვის გარეშე სურათების გამოქვეყნების უფლებას იძლევა. გერმანიის უზენაესი სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს თანამედროვეობის ცნობადი სახის კრიტერიუმის ინფორმაციის თავისუფლების სასარგებლოდ ფართო გაგებით განხილვას, რაც თავის მხრივ, საზოგადოებისათვის საინტერესო ნებისმიერი სახის მოვლენას გააერთიანებს, რადგან საზოგადოებას აქვს მოლოდინი ინფორმაციის მიღებაზე, პრესა კი, სწორედ რომ ამ მოლოდინის გამართლებას ემსახურება.⁵⁷ გერმანიის უზენაესი სასამართლოსთვის პრიორიტეტულია ლეგიტიმური ინტერესის არსებობა, ასეთ პირობებში განხორციელებული პუბლიკაცია კი, ბუნებრივია, ვიზუალიზირებული უნდა იყოს, ამიტომ ფოტომასალის გამოყენებაზე თანხმობა აუცილებელი არ არის.⁵⁸ კაროლინასთვის აღნიშნული სასამართლო განხილვის არასასურველი შედეგით დასრულების გამო, მან გადაწყვეტილება შემდეგ ინსტანციაში – გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო კრიტიკიზმზე – თანამედროვეობის ცნობადი სახე და ფართო საზოგადოების ინფორმირების ინტერესი, ასევე, წერილობითი პუბლიკაცია

გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლო⁵⁹ დაეყრდნო გერმანიის უზენაესი სასამართლოს⁶⁰ 2007 წლის გადაწყვეტილებას და ხელახლა იმსჯელა მედიის თავისუფლებასა და პირადი განვითარების უფლებას შორის არსებულ კოლიზიაზე. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და მხოლოდ ერთ საკითხში განავრცო. მან დაადგინა, რომ ინფორმაციათა ფასეულობის განსაზღვრისას, როგორც დამატებითი ფაქტორი, გათვალისწინებულ უნდა იქნას ძალუძს თუ არა პუბლიკაციას მოამზადოს ნიადაგი მკითხველის სოციალურ-კრიტიკული აზროვნებისათვის.⁶¹

გამომდინარე ზემოთქმულიდან ვასკვნიტ, რომ გერმანიის უზენაესი და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ თანხმობის გარეშე ფოტოების გამოქვეყნების საფუძვლად, პოპულარობის ფაქტორთან დამატებით, თანამედროვეობისათვის საკითხის რელევანტურობა მოიაზრება.⁶² თანამედროვეობის აბსოლუტურად ცნობადი სახის კრიტერიუმთან დაკავშირებით, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო⁶³ ძველ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ეს ტერმინი შემოკლებას წააგავს, მასში მოიაზრება ცალკეული შემთხვევის ინტერპრეტირება-შეფასების პრინციპი.⁶⁴ აღნიშნული ცნების არსებობას გერმანიის ფედერალურ-

რი საკონსტიტუციო სასამართლო გამართლებულად მიიჩნევს, რადგან ის კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში არ მოდის, სწორედ ამიტომ, ის მის შენარჩუნებას ცდილობს.⁶⁵

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დამატებით აკონკრეტებს, რომ უნდა დაზუსტდეს წარმოადგენს თუ არა ფოტოზე გამოსახული პიროვნება საზოგადოებისათვის ცნობილ პოპულარულ სახეს, რა ინფორმაციის შემცველია კონკრეტული ფოტო და ასახავს თუ არა ის თანამედროვეობის ღირშესანიშნავ მოვლენას. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო⁶⁶ ადგენს, რომ ინფორმაციის ინტერესის შეფასებისას, მასთან დაპირისპირებული პირადი ცხოვრების განვითარების უფლებასთან შედარებით, პუბლიკაციის ობიექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. სასამართლოს განმარტებით, ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი აბზაცის მე-2 წინადადებით აღნიშნული პრესის თავისუფლების უფლების დათქმა, რომლის თანახმადაც, პრესა საკუთარ კრიტერიუმებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა წარმოადგენს საზოგადოების ინტერესის საგანს.⁶⁷ სასამართლო აკონკრეტებს, რომ თუ სურათი ცალკე აღებული საზოგადოების აზრის ჩამოყალიბების პროცესში წვლილს ვერ შეიტანს, მისი ინფორმაციულობის ხარისხი თანმხლები ტექსტის კონტექსტში უნდა დადგინდეს.⁶⁸ ესე იგი სურათით გადმოცემული ინფორმაციის მიმართ არსებული ინტერესის განსაზღვრისას, მხედველობაში მიღებული უნდა იქნას ტექსტის შინაარსი.⁶⁹ თუ სურათი საზოგადოების ინტერესს ამართლებს, მის მიმართ არსებული ინტერესი ლეგიტიმურია. თუ სურათს საზოგადოებისათვის ფასეულობა არა აქვს, უპირატესობა პირადი ცხოვრების განვითარების უფლებას მიენიჭება. რაც ნიშნავს, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკისაგან განსხვავებით, უახლესი ამ უკანასკნელი გადაწყვეტილების საფუძველზე პირადი ცხოვრების დაცვის უფლება საზოგადოების თავშეყრის ადგილებზეც გავრცელდება, თუ სურათი მხოლოდ პირადი ხასიათისაა. მაგრამ როგორც კი პირადი ხასიათის სურათი კომენტირებულია წერილობით და საზოგადოებისთვის საინტერესო შინაარსს მოგვითხრობს, სურათზე უკვე პრესის თავისუფლება ვრცელდება და მათი პუბლიკაცია საცესებით ლეგიტიმური ხდება.

წინამდებარე გადაწყვეტილებაში გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო⁷⁰ ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას ცალკეულ ინდივიდთა თავისუფალი განვითარებისათვის, მაგრამ ამავედროულად, თავის პრაქტიკას არ ღალატობს და აკონკრეტებს, რომ გასართობი/თავშესაქცევი ინფორმაცია პრესის თავისუფლების დაცვის სფეროს განეკუთვნება. რადგან გასართობი ინფორმაცია რეალობის აღმბეჭდავია, რის გამოც ის დისკუსიის საგანს წარმოადგენს, რადგანაც ის შესაძლოა ცხოვრებისეული დამოკიდებულების, ფასეულობისა და ქცევის ნორმების შემცველი ინფორმაციის მატარებელი იყოს. სწორედ ამიტომ, გასართობი ინფორმაცია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფუნქციის მატარებელია.⁷¹

კომენტარი

წინამდებარე ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ საქმე ახალ სამართლებრივ ცნებასთან – დიფერენცირებულ დაცვასთან გვაქვს. რაზეც უპირველესად, მიუთითებს გერმანიის უზენაესი სასამართლო⁷² მიერ, უკანასკნელი სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლებში ჩამოყალიბებული სხვაობა პოპულარულ პიროვნებათა კომენტარის თანხლებით და უკომენტარო სურათების დაცვის სფეროს დიფერენცირებულ გაგებასთან დაკავშირებით, რომელიც ცალსახად განასხვავებს დაცვის სფეროს ფარგლებს სურათებისა და წერილობითი ფორმის მოსაზრებებთან მიმართებაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მოსაზრება სასამართლოს მიერ განვრცობილი არ არის.⁷³ სასამართლოს მიერ გაუთვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტექსტი, რომელიც სურათს ერთვის, ყოველთვის სურათზეა ორიენტირებული, ტექსტის შინაარსის ხარისხი ცალკე თემა, აღნიშნულ კონტექსტზე მას გავლენა არა აქვს. ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ სურათის თანდართულ ტექსტზე აქცენტის გაკეთება რისკის შემცველია იმდენად, რამდენადაც მედიას შეუძლია კომენტარი ნებისმიერ ფოტოს დაურთოს და ამით ის პირადი ხასიათის ფოტოების გამოსაქვეყნებელ საფუძველს თავადვე შექმნის. ანუ საქმე გვაქვს ისეთ ფაქტორთან, რომელიც ძალიან მარტივად შეიძლება იქნას ბოროტად გამოყენებული.⁷⁴ ამ გადაწყვეტილებას რედაქტორები დიდი ალბათობით მინიშნებად აღიქვამენ, თუ როგორ უნდა დაურთონ ნებისმიერი პირადი ხასიათის ფოტოს კომენტარი, რათა კონკრეტულ ფოტოს შესძინონ ესა თუ ის ეკონომიკური ან თუნდაც საზოგადოებრივი როლი, მათი გამოქვეყნების გასამართლებლად. შესაბამისად, სასამართლო დავა საზოგადოებრივი ინფორმირების ინტერესისა ანუ პირადი მოვლენების ამსახველი ფოტომასალის გამომქვეყნებელი ბეჭდური მედიის სასარგებლოდ გადაწყდება.⁷⁵

ზემოთქმულის გარდა, კრიტიკას იმსახურებს გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ პირადი ცხოვრების თავისუფლად განვითარების უფლებისა და მედიის თავისუფლების უფლებების დაპირისპირება, რასაც უზენაესი სასამართლო უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების განსაზღვრის საფეხურზე ახორციელებს. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რადგან საზოგადოების ინფორმირების ფაქტორი უწინდებურად მსჯელობის ცენტრშია, გადაწყვეტილება პრესის გამარჯვებად უნდა იქნას აღქმული.⁷⁶

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ნათელს არ ჰფენს იმ კრიტერიუმებს, რომელთა თანახმადაც, ესა თუ ის შინაარსი საზოგადოებრივი ინტერესის ღირსეულ ობიექტად და დისკუსიის საგნად უნდა იქცეს. სასამართლო უარს ამბობს კრიტერიუმების დადგენაზე, რადგან აკეთებს დათქმას, რომ მედიას თავად აქვს უფლება და როგორც აზრის შექმნის პროცესის უშუალო მონაწილეს – ვალდებულება, ჟურნალისტური ეთიკის თანახმად, გააკეთოს არჩევანი ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ მოსახლეობის ინფორმირების სასარგებლოდ.⁷⁷ ეს ის ნიადაგია, რომელსაც მედია თავად ამზადებს ცნობისმოყვარეობის გასაღვივებლად, რათა ინფორმაციის წყურვილი პრესის თავისუფლების ნილით თავადვე გაანელოს.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ კრიტერიუმების შექმნა-დაზუსტებაზე უარის თქმა იმის ნიშანია, რომ ის თავის მოვალეობას პირნათლად ვერ ასრულებს. ის პრესის თავისუფლებას პირადი ცხოვრების თავისუფლად განვითარების სასარგებლოდ არ ზღუდავს, ამის ნაცვლად ის აკეთებს დიფერენცირების დათქმას, რომლის თანახმადაც, რაც უფრო დიდია ინფორმაციის ღირებულება, მით უფრო მეტია იმ პირის თემის ვალდებულება, ვის შესახებაც ხდება ინფორმაციის გავრცელება. საზოგადოების ინფორმირების უფლების ხარჯზე ხდება ინდივიდის უფლებისა და თავისუფლების შეზღუდვა. რაც უფრო მცირეა ინდივიდის მიმართ საზოგადოების ინტერესის საფუძველი, მით უფრო დიდია მისი პირადი ცხოვრების დაცვის ვალდებულება.⁷⁸

გადამწყვეტი როლი აქვს იმ გარემოებას, ავრცელებს თუ არა პრესა საზოგადო ინტერესის მქონე ახალ და უტყუარ ინფორმაციას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მიზნით, თუ საქმე გასართობ ცნობებთან გვაქვს, კონკრეტული საზოგადოებრივი მნიშვნელობის გარეშე.⁷⁹ უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის ხარისხის მიხედვით დაყოფით ადგილი აქვს გერმანიის უზენაესი

სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს⁸⁰ მოთხოვნების გათვალისწინების მცდელობას.⁸¹ თუმცა, ის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებულ დათქმას ინფორმაციებს შორის არსებული განსხვავების თაობაზე არსებითად მაინც არ ითვალისწინებს. აღნიშნული დათქმის მიუხედავად, გერმანიის უზენაესი სასამართლო ჰანოვერის პრინცესა კაროლინასა და მისი მეუღლის ერნსტ აუგუსტის შვებულების ფოტოებს თანამედროვეობისათვის ღირშესანიშნავი მოვლენის სტატუსს ანიჭებს, რადგან როგორც აღინიშნა ფოტო კომენტირებულია მონაკოს პრინცის ავადმყოფობისა და ამავდროულად, მის მიმართ ქალიშვილების მიერ გამოჩენილი მზრუნველობის შესახებ ინფორმაციით. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გერმანიის უზენაესი სასამართლო შვებულების დროს გადაღებულ ფოტოებს არა უშუალოდ პრინც რენიე III ჯანმრთელობის მდგომარეობას, არამედ მის მიმართ მისი ქალიშვილების მიერ გამოჩენილ ყურადღებასა თუ უყურადღებობას უკავშირებს. სწორედ ამ უკანასკნელს აფასებს ის როგორც თანამედროვეობისთვის ღირშესანიშნავ ფაქტს.⁸²

ამგვარი მსჯელობა კი, ბუნებრივია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ეწინააღმდეგება,⁸³ რადგან სურათზე გამოხატული კაროლინა არათანამდებობის პირია და ფოტოებიც მხოლოდ პირადი ხასიათისაა. სურათზე დართული კომენტარიც მხოლოდ მისი პირადი ცხოვრების შემცველი ინფორმაციის გამომხატველია. შეუძლებელია იმ გარემოების გაანალიზება თუ რის საფუძველზე მივიდა გერმანიის უზენაესი სასამართლო ამგვარ დასკვნამდე, რომლის საფუძველზეც მან კავშირი ფოტოებსა და პრინც რენიე III ავადმყოფობას შორის დაინახა.⁸⁴ თუ გერმანიის უზენაესი სასამართლოს მსჯელობას გაეყვებით, დავასკვნით, რომ ავადმყოფ მამაზე მზრუნველობა არა შვილის მოვალეობა და ამით პირადი ცხოვრების შემცველი დეტალია, არამედ პრინცესაზე დაკისრებული მოვალეობა და ამიტომაც, ის საზოგადოებისთვის ღირშესანიშნავ მოვლენად შეიძლება შეფასდეს. აღნიშნული კი, რბილად რომ ვთქვათ, უბრალოდ არასწორია. პრინც რენიე III ავადმყოფობასა და სურათებს შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს.⁸⁵ მსგავს კავშირზე მინიშნება ამ ფაქტს ვერ შეცვლის, მაშინაც კი, როცა აღნიშნული კონტექსტისადმი საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის არსებობა ივარაუდება. სწორედ ამიტომ თანხმობის გარეშე სადავო ფოტომასალის გამოქვეყნება ნებადართული არ უნდა ყოფილიყო.

დამატებით უნდა ითქვას, რომ გერმანიის უზენაესი სასამართლოს სამოტივაციო ნაწილიდან ჩანს, რომ ის თანამედროვეობის აბსოლუტურად ცნობადი სახის დამკვიდრებული სამართლებრივი ცნების საფუძველზე აყალიბებს თავის არგუმენტაციას.⁸⁶ სასამართლო მსჯელობს ლეგიტიმურ ინტერესებზე და რამდენადაც ფოტოების შინაარსში თანამედროვეობის ფაქტორს ხედავს, უპირატესობას საზოგადოების ინტერესს ანიჭებს, ნაცვლად პირადი განვითარების უფლებისა და პრესის თავისუფლების უფლების ურთიერთდაპირისპირებისა და შეფასებისა. გერმანიის უზენაესი სასამართლო არგუმენტაციისას მხედველობაში არ იღებს იმ გარემოებას, რომ როგორც წესი, ფოტოგადაღება ინდივიდის უფლებების შეზღუდვის ფონზე ხორციელდება, რის გამოც პირადი განვითარების უფლება საზოგადო თავშეყრის ადგილებზე გადაღების პროცესშივე იზღუდება.⁸⁷ სასამართლოს გადაწყვეტილება მიუღებელია განსაკუთრებით მისივე, იმ არგუმენტაციის ფონზე, როდესაც ის აღნიშნავს, რომ ფოტოს გამოქვეყნებამ შეიძლება პირს უფრო მეტი ზიანი მიაყენოს, ვიდრე წერილობით ინფორმაციის გამოქვეყნებამ. საკუთარი მსჯელობის უგულებელყოფით სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილება პრესის მიმართ კეთილგანწყობის ნიშნით გამოირჩევა. რის გამოც თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო

პრაქტიკას გეზი არ შეუცვლია და დაცვის შრეებიანი კონცეფცია ბუსტ დოგმატურ დასაბუთებას არ გვთავაზობს და პრინციპში, არც არაფერს ცვლის.⁸⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – პრინცესა კაროლინა გერმანიის წინააღმდეგ, 2012 წელი

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ⁸⁹ იმსჯელა, დაირღვა თუ არა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ე. ი. მისი სახით სახელმწიფოს მიერ პრინცესა კაროლინას საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებები. სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებით განამტკიცა მისი მრავალწლიანი პრაქტიკა და აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დაცვას სახელმწიფოს ჩარევისაგან. სახელმწიფოს ეკისრება როგორც ნეგატიური ვალდებულება – თავი შეიკავოს ცხოვრების პატივისცემის უფლების ხელყოფისაგან, ასევე პოზიტიური ვალდებულება – არ დაუშვას მესამე პირთა მიერ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შელახვა. აღნიშნული ვალდებულება ითვალისწინებს ყველა იმ ღონისძიების გატარებას, რომელიც აგრეთვე მიმართულია პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვაზე კერძო პირთა შორის.⁹⁰

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა პრესის როლზე დემოკრატიულ სახელმწიფოში და დააზუსტა, რომ არსებობს ფარგლები, რომელთა გადაცდომაც დაუშვებელია, მათ შორისაა, პატივისა და ღირსების ხელყოფა და სხვისი უფლებების შელახვა. პრესას მხოლოდ აღნიშნულ ფარგლებში ეკისრება ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა. ინფორმაციისა და აზრის გავრცელება პრესის არა მხოლოდ უფლებაა, არამედ ვალდებულებაც, რომელიც მას საზოგადოებისაგან ეკისრება, რადგან საზოგადოებას თავის მხრივ, აქვს უფლება იყოს სათანადო დონეზე ინფორმირებული. ეს ის შემთხვევაა, როცა საქმე გვაქვს ისეთ კონსტრუქციასთან, როგორიცაა „დარაჯი ძაღლის“ ფუნქცია.⁹¹

განხილვის შემდეგ საგანს კონვენციის წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილების ფარგლები წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის წევრ სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებამოსილებას თავად დაამყაროს ბალანსი პირადი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას შორის. სასამართლო დასძენს, რომ თუ წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო ორგანოები და სასამართლოები მოახერხებენ საკუთარ არგუმენტაციაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებას, მხოლოდ ცალკეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება გახდეს აუცილებელი ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილების ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩანაცვლება.⁹²

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო შემდეგ საფეხურზე ამუსტებს იმ კრიტერიუმებს, რომელთა მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს პირადი განვითარების უფლებასა და პრესის თავისუფლების უფლებებს შორის შედარებისა და უპირატესობის მინიჭების პროცესი. პუბლიკაცია უნდა წარმოადგენდეს საზოგადო ინტერესის საგანს.⁹³ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მონაწილე პირის პოპულარობის ხარისხი, გასათვალისწინებელია მისი ფუნქციები, საქმიანობა, მიწოდებული ინფორმაციის საგანი და ფოტოს შინაარსი.⁹⁴ შედარება ეფექტიანი

იქნება, თუ გავითვალისწინებთ პირის ქმედებებს,⁹⁵ ასევე, პუბლიკაციის შინაარსს, ფორმასა და შედეგებს.⁹⁶ ყურადსაღებია სურათების გადაღების ფაქტორი, ანუ სახეზეა თუ არა თანხმობა როგორც თავად გადაღების ფაქტზე, მის გამოქვეყნებაზე⁹⁷ და ასევე, შეიძლება თუ არა პირს სცოდნოდა, რომ მას უღებენ, თუ მოტყუებით ან სხვა უკანონო საშუალებით განხორციელდა ფოტოგადაღება.⁹⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის დებულებების დაცვის უზრუნველყოფის ფაქტზე და დაადგინა, რომ აღნიშნულმა სასამართლომ გაითვალისწინა საერთაშორისო აქტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოხდა უფლებების სათანადო დაპირისპირება, რის შედეგადაც სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ რაც უფრო დიდია საზოგადოების ინფორმირების ინტერესი, მით უფრო უნდა შეიზღუდოს პირადი ცხოვრების სფერო. აღნიშნული პოზიცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მისაღები აღმოჩნდა.⁹⁹ აღნიშნული პოზიციით მან დიდი მნიშვნელობა მიანიჭა პრინცესა კაროლინას პოპულარობას და ამით საკუთარი პრეცედენტული სამართალი ჩაასწორა.¹⁰⁰

ამგვარად, პუბლიკაციისადმი არსებული საზოგადო ინტერესის ფარგლები გაფართოვდა.¹⁰¹ აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ განიხილა კონკრეტული გარემოებები და პუბლიკაციის შინაარსი. მან მსჯელობის გარეშე დაასკვნა საზოგადოების ინფორმირების საფუძვლიანი ინტერესის არსებობა. ამით სტრასბურგის სასამართლომ ფოტოების კომენტარით (სადაც გაკვრით არის ნახსენები პრინცის ავადმყოფობა) დაბეჭდვა აღიარა. მიუხედავად იმისა, რომ ფოტოები პირადული ხასიათისაა და ქალიშვილის შვებულებასა და მონაკოს პრინცის ავადმყოფობას შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს. რაც ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრესის თავისუფლების უფლებას, კონკრეტულ საქმეზე წარმოდგენილს ყვითელი პრესის სახით, პრინცესა კაროლინას პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაპირისპირებისას უპირატესობას ანიჭებს.¹⁰² სტრასბურგის სასამართლომ მიერ ლეგიტიმურად აღიქმება ის გარემოება, რომ პრესა პროვოცირებად და სენსაციურ ფორმებს მიმართავს საზოგადოების ინტერესის გაღვივების მიზნით.¹⁰³ სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პრესის თავისუფლების უფლების, როგორც უზენაესი დებულების შეზღუდვა მართლზომიერია უკიდურეს გამონაკლის შემთხვევებში, მხოლოდ დასაბუთებული არგუმენტების საფუძველზე.¹⁰⁴

მიუხედავად ზემოთქმულისა, სასამართლო მიუთითებს საფრთხეზეც, რომ შეიძლება ცალკეული ფოტოების გამოქვეყნების გამართლება მოხდეს. თუმცაღა დასძენს, რომ კონკრეტულ საქმეებში მსგავსი შემადგენლობის ნიშნების გამორკვევა-დასაბუთება ეროვნული სასამართლოების პრეროგატივას წარმოადგენს.¹⁰⁵ სასამართლო მიიჩნევს, რომ სურათების გამოქვეყნება თანდართული კომენტარებით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპულ კონვენციასთან წინააღმდეგობაში არ მოდის. ამას გარდა ის ეროვნულ სასამართლოებს ანიჭებს პრეროგატივას საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმსჯელონ დაპირისპირებული

უფლებებისა და თავისუფლებებისთვის უპირატესობის მინიჭებაზე.¹⁰⁶ აღნიშნული ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სასამართლო ვერ ხედავს აუცილებლობას საკუთარი პრეცედენტული სამართლით ჩაანაცვლოს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამგვარი პოზიცია რისკების შემცველია. რადგან მოსალოდნელია პირადი ხასიათის ფოტოების გამოქვეყნების გამართლების მიზნით, მიზანმიმართულად კომენტარის დართვა. მით უფრო, როცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ეროვნულ სასამართლოებს აღჭურავს აღნიშნულ დარღვევათა აღმოფხვრის უფლებამოსილებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უფლებამოსილება მისი პრეროგატივაა.¹⁰⁷

სასამართლო ტენდენციების ანალიზი

მიუხედავად გერმანიის სასამართლოების მცდელობისა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისა და კონკრეტულად, პრინცესა კაროლინას საქმეზე – მასთან დაახლოების მცდელობისა, ტენდენციები არაერთხაზოვანია. რიგი სასამართლოები უწინდებურად იყენებენ ცნობადი სახის სამართლებრივ ცნებას, ისევე როგორც ცნებას თანამედროვეობისთვის ღირშესანიშნავ მოვლენას.¹⁰⁸

უახლეს გერმანულ გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის, თუ რომელ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პუბლიკაცია, რომელიც საზოგადო ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება. ძველი სამართლებრივი ცნებების გამოყენების ტენდენციები, რომელთა საფუძველზეც საზოგადოების ინტერესი იერარქიულად ფოტოზე გამოსახული პირის ინტერესებზე მაღლა დგას, კვლავინდებურად შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო სასამართლოები¹⁰⁹ თავის გადაწყვეტილებებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპულ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე მიუთითებენ და ზოგადსაზოგადოებრივი მსჯელობის პროცესებში წვლილის შეტანის ცნებას იშველიებენ, გერმანიის უზენაესი სასამართლო ძველებურად საზოგადოების ინფორმირების ინტერესზე აკეთებს ძირითად აქცენტს,¹¹⁰ თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ისიც მოიხსენიებს.¹¹¹ აშკარა თავშეკავებით გამოირჩევა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო¹¹² ახლებური ხედვების მიმართ. მის გადაწყვეტილებაში ცენტრალური როლი საკუთარ პრაქტიკას უკავია, ის კვლავინდებურად საზოგადოების ინფორმირების ინტერესის კრიტერიუმს ეყრდნობა, თუმცა, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში¹¹³ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს მსგავს ფორმულირებას აყალიბებს, როდესაც აღნიშნავს, რომ პუბლიკაციას უნდა ჰქონდეს პოტენციური წარმოადგენდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში პროფესიული მსჯელობის საგანს.

საკითხის შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო¹¹⁴ სხვა ინსტანციის სასამართლოებს ანიჭებს უფლებამოსილების ფართო ფარგლებს, რათა საკონსტიტუციო სარჩელი/წარდგინების განხილვისას, თავადვე ისარგებლოს უფლებამოსილების ფართო მასშტაბებით.¹¹⁵ ასეთ პირობებში შეუძლებელია პროცესის შედეგებზე დამაჯერებელი პროგნოზის გაკეთება. მით უფრო, აბსტრაქტული კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, რადგანაც საკითხი, თუ რომელი ინფორმაცია შეიძლება საზოგადოებისთვის ყურადსაღებად ჩაითვალოს, სუბიექტური შეფასების საგანია.¹¹⁶ ამიტომაც კრიტერიუმების არსებობის გარეშე, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება შეუძლებელია, განსხვავებული მართლმსაჯულება კი, სამართლებრივ დისბალანსს ქმნის. აქედან გამომდინარე ჩნდება ეჭვი, რომ

პროგნოზირებადი პრაქტიკის შექმნა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიზანს არ წამოადგენს.¹¹⁷ ზემოხსენებული კი, გამოიწვევს ქვედა ინსტანციის სასამართლოებისა და მედიასაშუალებების მიერ უფლებებისა და თავისუფლებებისათვის შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმების დანერგვას, რაც უფრო რთულს გახდის პირადი განვითარების უფლების დაცვას და ერთიანი სტანდარტის შექმნას.

რაც შეეხება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ევროპული სასამართლოს პოზიციას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი გადაწყვეტილების ხარჯზე, ის აზრის გამოხატვის მიმართ ცალსახად კეთილგანწყობილი გახდა, რის გამოც პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება შეზღუდა.¹¹⁸ მიუხედავად საკუთარ პრეცედენტულ სამართალზე მითითებისა, პუბლიკაციის მიმართ საზოგადოების ინტერესზე აქცენტის გაკეთებით, სტრასბურგის სასამართლომ მიმართა ახლებურ ფორმულირებას და პოპულარულ კერძო პირთა ინტერესები არსებითად შეზღუდა. ამით დაუშვა ერთმნიშვნელოვნად პირადი ცხოვრების ამსახველი სურათების პუბლიკაციის პრეცედენტი და შედეგად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავისი 2004 წლის გადაწყვეტილება პირადი ინტერესების საზიანოდ შეცვალა.

დასკვნა

ადამიანის პირადი განვითარების, პირადი და ოჯახური პატივისცემის უფლებასა და მედიის თავისუფლებას შორის არსებული კოლიზიის თვალსაჩინოების წამოსადგენად განხილული საქმე – ჰანოვერის პრინცესა კაროლინა გერმანიის წინააღმდეგ, ნათელი მაგალითია იმისა, რომ უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, მედიის თავისუფლების უფლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. კონკრეტული მედიასაშუალების აქტუალურობა დიდწილად განპირობებულია ფოტომასალის განთავსება/გამოქვეყნებით. ფოტოების შექმნა და გავრცელება სხვადასხვა სამართლებრივ სფეროებს და სხვადასხვა შემადგენლობის გადაცდომებს უკავშირდება. კავშირი სხვადასხვა სამართლის დარგებთან ბოლო წლების მანძილზე, გაფართოვდა ინფორმაციების ვიზუალიზირების მომეტებული მოთხოვნის ფაქტორით, როგორც ტრადიციულ ბეჭდურ მედიაში, ასევე ინტერნეტში. ძირითად უფლებებსა და განსხვავებული სასამართლო პრაქტიკის ფონზე წარმოქმნილმა მართლმსაჯულების კოლიზიამ ცხადყო ფოტოს ფაქტორის, როგორც პირადი განვითარების უფლების ნაწილის, დაცვის ფარგლები და მოცულობა. კოლიზია აგრეთვე ასახავს უფლებებისა და თავისუფლებების გაუწერელი ამომწურავი კრიტერიუმების მასშტაბებს, რომელთა გამოც უფლებების დაპირისპირების აუცილებლობა დგება და რთული განმარტება-არგუმენტირების აუცილებლობის წინაშე ვდგებით. ამ პროცესებში კი, გადამწყვეტი როლი სწორედ რომ სასამართლოებს უკავიათ, რომელთა მიერაც საკითხის სირთულიდან გამომდინარე, პრობლემის გადაჭრის გზები ახალი სირთულეების წინაშე გვაყენებს.

შენიშვნები:

- ¹ სასამართლო გადაწყვეტილებებს, შესაბამისად სასამართლოთა მრავალწლიან პრაქტიკას სხვადასხვა ტერმინის საშუალებით აღნიშნავენ, კერძოდ, ისეთი როგორიც არის „პრეცედენტული სამართალი“, „სამოსამართლო სამართალი“ და „სასამართლო პრაქტიკა“. ტერმინები სინონიმური მნიშვნელობისაა. წინამდებარე ნაშრომში ძირითადად, გამოიყენება ტერმინი „პრეცედენტული სამართალი.“
- ² BVerfGE 34, 238 (246); BVerfGE 35, 202 (224); BVerfGE 54, 148 (154); JZ 1980, 719; BVerfGE 97, 228 (268); Prinz/Peters, Medienrecht – Die zivilrechtlichen Ansprüche, Rn. 781.
- ³ Keyßner, Das Recht am eigenen Bilde, S. 19 ff.
- ⁴ Eisenbarth, Das Recht am eigenen Bild von relativen und absoluten Personen der Zeitgeschichte, S. 1.
- ⁵ BVerfGE 101, 361 (381); Starck in: von Mangoldt/Klein/Starck (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Bd. 1, Art. 2 GG, Rn. 95 ff.
- ⁶ Helle, Besondere Persönlichkeitsrechte im Privatrecht, S. 47 ff.
- ⁷ BVerfGE 101, 361 (392).
- ⁸ OLG Hamburg, NJW-RR 1994, 790 (791) – Caroline von Monaco I.
- ⁹ Götting in: Schricker (Hrsg.), Urheberrecht-Kommentar, § 60/§ 23, Rn. 21.
- ¹⁰ BGH NJW 1996, 1128 (1129 m.w.N.).
- ¹¹ Schertz in: Götting/Schertz/Seitz, Handbuch des Persönlichkeitsrechts, Kap. 6, § 12, Rn. 40.
- ¹² OLG Hamburg, NJW 1996, 1151 (1152) – Nachtbild.
- ¹³ Lenski, Personenbezogene Massenkommunikation als verfassungsrechtliches Problem, S. 199.
- ¹⁴ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკის თანახმად, ადამიანის პირადი განვითარების უფლება მოიცავს რამდენიმე სფეროს, რომლებიც პრეცედენტული სამართლის თანახმად, თავმოყრილია ცალკეულ ჯგუფებში: პირველი ჯგუფი აერთიანებს, პირად, საიდუმლო და ინტიმურ მხარეს (BVerfGE 27, 1 (6); 27, 344 (350 f.); 32, 373 (379); JZ 1972, 243; 34, 238 (254 f.); 47, 46 (73); JZ 1978, 304; 49, 286 (298); JZ 1979, 65); მეორე ჯგუფი მოცავს პირად ღირსებას, უფლებას საკუთარი გამოსახულების გამოხატვაზე (BVerfGE 35, 202 (220)); მესამე ჯგუფში შედის უფლება საკუთარ სურათსა და გამოთქმულ სიტყვაზე, ზეპირი თუ წერილობითი ფორმით (BVerfGE 34, 238 (246)); მეოთხე ჯგუფი მოიცავს დაცვის უფლებას კონკრეტული გამონათქვამების დაბრალუბისაგან (BVerfGE 34, 269 (282 ფ.)); მოგვიანებით დაკონკრეტდა ინფორმაციის თავისუფლად მიღების და გავრცელების უფლება (BVerfGE 65, 1 (43)). საბოლოოდ, საუბარია ცხოვრების ინტიმურ, პირად, ოჯახურ, პირადი ინფორმაციის შემცველ სხვადასხვა მხარეზე, ასევე, საიდუმლო, სოციალურ და ტერიტორიულად შემოფარგლულ მხარეზე.
- ¹⁵ BGHZ, 131, 332 (339); BGH, NJW 1995, 1128 – Caroline von Monaco III; BVerfGE 101, 361 (384) – Caroline von Monaco I.
- ¹⁶ BGH, NJW 1996, 1128 (1129).
- ¹⁷ BGH, NJW 1996, 1128 (1129 f.).
- ¹⁸ BGH, NJW 1996, 1128 (1130).
- ¹⁹ Wanckel, Persönlichkeitsschutz in der Informationsgesellschaft, S. 122; Schmitt Glaeser, Schutz der Privatsphäre, in: Isensee/Kirchhof (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Bd. 6, § 129, Rn. 37.
- ²⁰ BGH, NJW 1996, 1128 (1129).
- ²¹ BVerfGE 101, 361; BVerfG, AfP 2000, 76; NJW 2000, 1021; ZUM 2000, 149.
- ²² Seidel, RuP, 2005, 169 (170).
- ²³ BVerfGE 101, 361 (389 f.);
- ²⁴ BVerfGE 101, 361 (389, erhoben zum 4. Leitsatz); So schon BVerfGE 34, 269 ff. (283) – Soraya; JZ 1973, 662; BVerfGE 66, 116 ff. (134); Zust. Soehring, AfP 2000, 232, unter e); Schulze-Fielitz in: Dreier (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Bd. 1, Art. 5 GG, Rn. 94; Wendt in: von Münch/Kunig (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Bd. 1, Art. 5 GG, Rn. 31; Vgl. auch Grimm, NJW 1995, 1697 (1698, unter 1.); Herzog in: Maunz/Dürig (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Bd. 1, Art. 5 GG, Rn. 14, bezogen auf die Meinungsäußerung.

- ²⁵ BVerfGE 120, 180; BVerfG AfP 2008, 163; NJW 2008, 1796.
- ²⁶ EGMR, Ur. v. 14.6.2004 – Beschw. Nr. 59320/00, NJW 2004, 2647.
- ²⁷ ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც მატერიალური, ასევე არაქონებრივი ზიანი. იხ.: Meyer-Ladewig, EMRK, Art. 41 EMRK, Rn. 5 ff.; Ohly, GRURInt 2004, 902 (911).
- ²⁸ EGMR, Ur. v. 14.6.2004 – Beschw. Nr. 59320/00, NJW 2004, 2647 (2649 Nr. 63).
- ²⁹ EGMR, Ur. v. 14.6.2004 – Beschw. Nr. 59320/00, NJW 2004, 2647 (2650 Nr. 65).
- ³⁰ EGMR, Entsch. v. 1.7.2003 – Beschw. Nr. 66910/01 und 71612/01 – Prisma Presse/Frankreich; a contrario EGMR, Entsch. v. 26. 2. 2002 – Beschw. Nr. 34315/96 Nr. 37 – Krone Verlags GmbH & Co KG/Österreich.
- ³¹ BVerfGE 101, 361; BVerfG, AfP 2000, 76; NJW 2000, 1021; ZUM 2000, 149.
- ³² EGMR, Ur. v. 14.6.2004 – Beschw. Nr. 59320/00; NJW 2004, 2647.
- ³³ იგულისხმება „ყვითელი პრესა“-ი. იხ.: ბროკჰაუს, ტომი 18: „ტერმინი უკავშირდება პირველ ამერიკულ კომიქსს „The Yellow Kid“, ყვითელპერანგიაში მოხეტილ ბიჭუნა. კომიქსი 1894 წლიდან ნიუ-იორკის გაზეთ „The World“-ში იბეჭდებოდა, რედაქტორი ჯოზეფ პულიცერი.“
- ³⁴ Messing, Das Caroline-Urteil, S. 10; ähnl. Grabenwarter, AfP 2004, 309 (309, unter II); Kaboth, ZUM, 2004, 818 (822 f., unter V.); Stürner, JZ 2004, 1015 (1018); Stürner, AfP 2005, 213 (213).
- ³⁵ EGMR, Ur. v. 14.6.2004 – Beschw. Nr. 59320/00, NJW 2004, 2647 (2649f., Rn. 60, 63, 76).
- ³⁶ Messing, Das Caroline-Urteil, S. 11.
- ³⁷ Seidel, RuP, 2005, 169 (170).
- ³⁸ ცნება უკავშირდება ავტორს: Neumann-Duesberg, JZ 1960, 114. სასამართლო პრაქტიკამ ცნება ფაქტობრივად, უცვლელად გადაიღო.
- ³⁹ EGMR, Ur. v. 14.6.2004 – Beschw. Nr. 59320/00, NJW 2004, 2647 (2650, Rn. 73).
- ⁴⁰ EGMR, Ur. v. 14.6.2004 – Beschw. Nr. 59320/00, NJW 2004, 2647 (2650, Rn. 73).
- ⁴¹ EGMR, Ur. v. 14.6.2004 – Beschw. Nr. 59320/00, NJW 2004, 2647 (2650, Rn. 73).
- ⁴² EGMR, Ur. v. 14.6.2004 – Beschw. Nr. 59320/00, NJW 2004, 2647 (2650, Rn. 73).
- ⁴³ Siehe mutatis mutandis EGMR, 1992, Serie A, Bd. 251, S. 33, NJW 1993, 718 Nr. 2 – Niemietz/Deutschland; Slg. 1998-I, S. 422 Nr. 32 – Botta/Italien in: EGMR, Ur. v. 14.6.2004 – Beschw. Nr. 59320/00, NJW 2004, 2647 (2648 Rn. 50).
- ⁴⁴ mutatis mutandis EGMR, Slg. 2000-IX Nr. 56-P.G. und J.H./Vereinigtes Königreich; Slg. 2003-I Nr. 57-Peck/Vereinigtes Königreich; EGMR, Ur. v. 14.6.2004 – Beschw. Nr. 59320/00, NJW 2004, 2647 (2648 Rn. 50).
- ⁴⁵ EGMR, Ur. v. 14.6.2004 – Beschw. Nr. 59320/00, NJW 2004, 2647 (2649 Nr. 57).
- ⁴⁶ Ehlers in: Schulze/Zuleeg/Kadelbach (Hrsg.), Europarecht, § 11, Rn. 11.
- ⁴⁷ Ehlers in: Schulze/Zuleeg/Kadelbach (Hrsg.), Europarecht, § 11, Rn. 32 ff.
- ⁴⁸ ევროკავშირის ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-3 აბზაცი: ამ ნორმის მიხედვით, ევროკავშირი ერევნის წევრ სახელმწიფოთა იმ კომპეტენციათა განხორციელებაში, რომლებიც მის უშუალო კომპეტენციას არ განეკუთვნება, მაგრამ წევრი სახელმწიფოს მიერ პრობლემის გადაჭრის მიზნით გამოყენებული ზომა უშედეგოა, როგორც ცენტრალურ და რეგიონულ, ასევე ადგილობრივ დონეზე. რის გამოც, დასახულ მიზანთა მიღწევა მათი მოცულობისა და მოქმედების გათვალისწინებით, ევროკავშირის დონეზე უფრო ეფექტიანად განხორციელდება. ევროკავშირის ორგანოები მიმართავენ სუბსიდირების პრინციპს, მის ძირითად მიმართულებათა გამოყენებას პროტოკოლის თანახმად და თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით. ეროვნული პარლამენტები აკონტროლებენ სუბსიდირირების პრინციპის დაცვას, პროტოკოლით დადგენილი ფორმით.
- ⁴⁹ ევროკავშირის ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 აბზაცი: ლოიალური თანამშრომლობის პრინციპის თანახმად, ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთმანეთს და ეწევიან ურთიერთდახმარებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების პროცესში. დამფუძნებელ ხელშეკრულებათა ან ევროკავშირის ორგანოთა ქმედებიდან გამოწვეული ვალდებულების შესასრულებლად, წევრი სახელმწიფოები მიმართავენ ზოგადი და განსაკუთრებული სახის ყველა სახის ღონისძიებას. წევრი სახელმწიფოები დახმარებას უწევენ ევროკავშირის მისი მიზნების განხორციელებაში და თავს იკავებენ ყველა სახის ქმედებისაგან, რომელიც ევროკავშირისათვის პოტენციურად, ზიანის მომტანია.
- ⁵⁰ Merli, Rechtsprechungskonkurrenz zwischen nationalen Verfassungsgerichten, Europäischem Gerichtshof und Europäischem Gerichtshof für Menschenrechte, in: VVDStRL 66. S. 392 (393).

- 51 Merli, Rechtsprechungskonkurrenz zwischen nationalen Verfassungsgerichten, Europäischem Gerichtshof und Europäischem Gerichtshof für Menschenrechte, in: VVDStRL 66. S. 392 (413).
- 52 Mayer, Kompetenzabgrenzung und Letztentscheidung, S. 98; Siehe auch Bündenbender, Das Verhältnis des Europäischen Gerichtshofs zum Bundesverfassungsgericht, S. 97 ff.
- 53 BGH, NJW 2007, 1977 ff.; ZUM 2007, 651; GRUR 2007, 527; AfP 2007, 208; EuGRZ 2007, 499.
- 54 BGH, NJW 2007, 1977; ZUM 2007, 651; GRUR 2007, 527; AfP 2007, 208; EuGRZ 2007, 499.
- 55 BVerfGE 54, 148 (154 f.); NJW 1980, 2070; BVerfGE 106, 28 (41); NJW 2002, 3619.
- 56 BGH, AfP 2007, 121 (124); Schertz in: Götting/Schertz/Seitz, Handbuch des Persönlichkeitsrechts, Kap. 6. § 12, Rn. 60.
- 57 Müller, ZRP 2012, 125 (125).
- 58 Schertz in: Götting/Schertz/Seitz, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Kap. 6. Rn. 37; Hoffmann-Riem, NJW 2009, 20 (22).
- 59 BVerfGE 120, 180.
- 60 BGH, NJW 2007, 1977; ZUM 2007, 651; GRUR 2007, 527; AfP 2007, 208; EuGRZ 2007, 499.
- 61 BVerfGE 120, 180; Müller, ZRP 2009, 189 (190).
- 62 Schertz in: Götting/Schertz/Seitz, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Kap. 6. § 12, Rn. 41; Hoffmann-Riem, NJW 2009, 20 (25).
- 63 BVerfGE 101, 361; NJW 2001, 1921 (1923 f.).
- 64 BVerfGE 101, 361 (392); BVerfGE 120, 180; JZ 2008, 627, 627 ff; Schertz in: Götting/Schertz/Seitz, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Kap. 6. § 12, Rn. 61.
- 65 BVerfG, NJW 2006, 2836 (2837).
- 66 BVerfGE 120, 180; BVerfG, AfP 2008, 163; NJW 2008, 1793 ff.
- 67 BVerfGE 120, 180; BVerfG, AfP 2008, 163; NJW 2008, 1793 ff.
- 68 BVerfGE 120, 180; BVerfG, AfP 2008, 163; NJW 2008, 1793 ff.
- 69 BVerfGE 120, 180; BVerfG, AfP 2008, 163; NJW 2008, 1793 ff.
- Schertz in: Götting/Schertz/Seitz, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Kap. 6. § 12, Rn. 62.
- 70 BVerfGE 120, 180.
- 71 BVerfGE 120, 180; BVerfG, AfP 2008, 163; NJW 2008, 1793 ff.
- 72 BGH GRUR 2011, 261; BGH GRUR 2011, 259.
- 73 Stender-Vorwachs, GRUR 2011, 265 (265); Loef, Zum Spannungsfeld zwischen Medienfreiheit und Persönlichkeitsschutz, S. 131.
- 74 Schertz in: Götting/Schertz/Seitz, Handbuch des Persönlichkeitsrecht, Kap. 6. § 12, Rn. 62.
- 75 Starck, JZ 2008, 634 (635).
- 76 Klass, ZUM 2008, 432 (433).
- 77 Götting, GRUR 2007, 530 (531).
- 78 BGH, NJW 2007, 1977 (1979); BGH, AfP 2007, 121(123); BGH, VersR 2007, 1135 (1137); BGH, VersR 2007, 1283 (1284).
- 79 BGH, NJW 2007, 1977 (1980); BGH, VersR 2007, 1135 (1137); BGH, VersR 2007, 1283 (1284).
- 80 EGMR, GRUR 2004, 1051, Rn. 61 ff.; NJW 2004, 2647 (2649). „ინფორმაციის გავრცელებისას, ძირითადი განსხვავება უნდა გაკეთდეს ისეთ თუნდაც, სადავო ფაქტებზე, რომლებსაც შეაქვთ საკუთარი წვლილი დემოკრატიულ საზოგადოებაში განხილვების პროცესებში, რომლებიც მაგალითად, ეხება პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესებში, რასაც უპირისპირდება არათანამდებობის პირების პირადი ცხოვრების ამსახველ დეტალებზე ინფორმაციის გავრცელება.“
- 81 Götting, GRUR 2007, 530 (531).
- 82 Helle, AfP 2007, 192 (193).
- 83 Götting, GRUR 2007, 530 (531); am gadawyvetilebis SeuTavseblobaze adamianis uflebaTa evropuli sasamarTlos gadawyvetilebasTan saubrobs helec, ix.: Helle, AfP 2007, 102 (193).
- 84 Helle, AfP 2007, 192 (194).
- 85 Götting, GRUR 2007, 530 (531).
- 86 Teichmann, NJW 2007, 1917 (1918); BGH, NJW 2007, 1981; NJW 2007, 1977; ebenso bereits BGH, NJW 2005, 594.
- 87 Teichmann, NJW 2007, 1917 (1920).
- 88 Götting, GRUR 2007, 530.
- 89 EGMR, Urt. v. 07.02.2012 – 40660/08 u. 60641/08.

- ⁹⁰ EGMR, Urt. v. 07.02.2012 – 40660/08 u. 60641/08; GRUR 2012, 745 (747) mit Verweis auf EGMR, 1985, Serie A, Bd. 91 Nr. 23; NJW 1985, 2075 – X u. Y/Niederlande; Urt. v. 25. 11. 2008 – 36919/02 Nr. 36 – Armoniené/Litauen).
- ⁹¹ EGMR, Urt. v. 07.02.2012 – 40660/08 u. 60641/08; GRUR 2012, 745 (747) mit Verweis auf EGMR, Slg. 1999-III Nr. 59, 62; NJW 2000, 1015 – Bladet Tromsø and Stensaas/Norwegen; Slg. 2004-XI Nr. 71; NJW 2006, 1645 – Pedersen u. Baadsgaard/Dänemark.
- ⁹² EGMR, Urt. v. 07.02.2012 – 40660/08 u. 60641/08; GRUR 2012, 745 (748) mit Verweis auf EGMR, Slg. 2011 Nr. 150, 155; NJOZ 2012, 335 – MGN Limited/Vereinigtes Königreich; Urt. v. 12.09.2011 – 28955/06 Nr. 57 – Palomo Sánchez u.a./Spanien.
- ⁹³ EGMR, Urt. v. 07.02.2012 – 40660/08 u. 60641/08; GRUR 2012, 745 (748) mit Verweis auf EGMR, Slg. 2004-VI Nr. 60; GRUR 2004, 1051 – von Hannover/Deutschland; Urt. v. 09.11.2006 – 64772/01 Nr. 68 – Leempoel & S.A.ED. Ciné Revue/Belgien; NJW 2010, 751 Nr. 46 – Standard Verlags-GmbH/Österreich Nr. 2.
- ⁹⁴ EGMR, Urt. v. 07.02.2012 – 40660/08 u. 60641/08; GRUR 2012, 745 (748).
EGMR, Urt. v. 07.02.2012 – 40660/08 u. 60641/08; GRUR 2012, 745 (748); mit Verweis auf EGMR, MR 2009, 751 Nr. 42 f. – Hachette Filipacchi Associés (ICI PARIS)/Frankreich; Urt. v. 8. 6. 2010 – 44102/04 Nr. 34 – Sapan/Türkei.
EGMR, Urt. v. 07.02.2012 – 40660/08 u. 60641/08; GRUR 2012, 745 (749); mit Verweis auf EGMR, MR 2006, 8 Nr. 47 – Wirtschafts-Trend Zeitschriften-Verlagsgesellschaft m.b.H./Österreich Nr. 3; Urt. v. 15. 1. 2009 – 1234/05 Nr. 42 – Reklos u. Davourlis/Griechenland; Urt. v. 6. 4. 2010 – 43349/05 Nr. 68 – Jokitaipale u.a./Finnland.
EGMR, Urt. v. 07.02.2012 – 40660/08 u. 60641/08; GRUR 2012, 745 (749); mit Verweis auf EGMR, Urt. v. 17. 10. 2006 – 71678/01 Nr. 56 – Gurgunidze/Georgien; Urt. v. 15. 1. 2009 – 1234/05 Nr. 38 – Reklos u. Davourlis/Griechenland.
- ⁹⁵ EGMR, Urt. v. 07.02.2012 – 40660/08 u. 60641/08; GRUR 2012, 745 (749); mit Verweis auf EGMR, MR 2009, 298 Nr. 47 – Hachette Filipacchi Associés (ICI PARIS)/Frankreich; EGMR, Urt. v. 6. 4. 2010 – 25576/04 Nr. 81 – Flinkkilä u.a./Finnland.
- ⁹⁶ Frenz, NJW 2012, 1039 (1040).
- ⁹⁷ Dörr, JuS 2012, 1046 (1049).
- ⁹⁸ Lehr, GRUR 2012, 750 (751).
- ⁹⁹ Dörr, JuS 2012, 1046 (1047).
- ¹⁰⁰ EGMR, NJW 2012, 1058 Rn. 81, 108 – Axel Springer-AG/Deutschland m.w.N.; Frenz, NJW 2012, 1039 (1040).
- ¹⁰¹ EGMR, NJW 2012, 1053 Rn. 101 – v Hannover/Deutschland Nr. 2 m.w.N.; Frenz, NJW 2012, 1039 (1040).
- ¹⁰² EGMR, NJW 2012, 1053 Rn. 119; Frenz, NJW 2012, 1039 (1040).
- ¹⁰³ Dörr, JuS 2012, 1046 (1049).
- ¹⁰⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამოწმებს უზრუნველყოფილია თუ არა ეროვნული სასამართლოების მიერ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა EGMR, NJW 2012, 1053 Rn. 105; NJW 2012, 1058 Rn. 86; Frenz, NJW 2012, 1039 (1041). Lehr, GRUR 2012, 750 (751).
- ¹⁰⁵ OLG Hamburg, AfP 2006, 173 (173); OLG Hamburg, AfP 2006, 179 (180); OLG Hamubrg, AfP 2006, 180 (181 f.); OLG Hamburg, AfP 2006, 471 (472); BGH, NJW 2005, 594 (595); BVerfG, NJW 2006, 3406 (3408); Mit Bezug auf die Sozialsphäre der BGH, AfP 2007, 44 (45); Abwägung zwischen Sozial und Privatsphäre KG Berlin, NJW 2004, 3637 (3639).
- ¹⁰⁶ LG Berlin, AfP 2006, 574 (575); KG Berlin, NJW 2005, 605 (607); KG Berlin, NJW 2005, 2320 (2331); KG Berlin, NJW 2004, 3637 (3639); KG Berlin, AfP 2006, 479 (482); KG Berlin, AfP 2006, 369 (370); KG Berlin, AfP 2007, 139 (141); OLG Frankfurt, NJW 2006, 619 (620); OLG Hamburg, AfP 2006, 417 (472).
- ¹⁰⁷ Metz, Das Recht Prominenter am eigenen Bild in Kollision mit Drittinteressen, S. 413.
- ¹⁰⁸ BGH, NJW 2005, 56 (57); BGH, NJW 2005, 594 (595).
- ¹⁰⁹ Metz, Das Recht Prominenter am eigenen Bild in Kollision mit Drittinteressen, S. 413.
- ¹¹⁰ BVerfG, NJW 2006, 3406 (3407).
- ¹¹¹ BVerfGE 120, 180; BVerfG, AfP 2008, 163; NJW 2008, 1793 ff.
- ¹¹² Starck, JZ 2008, 634 (635).
- ¹¹³ Klass, ZUM 2008, 432 (434).
- ¹¹⁴ Starck, JZ 2008, 634 (635).
- ¹¹⁵ Frenz, NJW 2012, 1039 (1042).

TRENDS OF JUDICIAL PRACTICE REGARDING THE FREE DEVELOPMENT OF ONE'S OWN PERSONALITY AND RIGHT TO RESPECT ONE'S PRIVACY AND FAMILY LIFE

BASED ON THE CASE OF CAROLINE, PRINCESS OF HANOVER – THE MOST HIGH-PROFILE CASE OF THE FEDERAL CONSTITUTIONAL COURT OF GERMANY AND THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

NATA TSOMAIA

Doctoral Student of Leibniz University of Hannover

The article describes a collision between the two fundamental rights (the right to one's personal image and the right to the free development of media). This collision has been discussed based on the example of a high-profile case – Princess Caroline von Hannover v. Germany. This case represents a case law of the European Court of Human Rights, which caused a fundamental change of the trends of the German justice regarding the right to personal development.

The article discusses two disputes of Princess Caroline of Hannover v. Germany, for which the Strasburg Court passed judgments in 2004 and in 2012. The 2004 judgment of the European Court of Human Rights caused the German courts to revise and partially



change their own case law. As the result of the 2012 judgment passed by the Strasburg Court, the ECHR changed its own case law with the support of justifying/supporting the justice of Germany.

In accordance with the international norms, the Federal Court of Germany, being a member state of the Convention, has an obligation to apply the case law of Strasburg. On these grounds, the Supreme Court of Germany developed a new different concept of protecting the person's right to personal development, thus changing the practice that has existed in Germany in this field for many years. Despite these changes, eventually, the most recent trend is still distinguished with expanding the rights of press, as far as on one hand it makes it possible to justify the attempted publication of a photo by text comment, and on the other hand, it authorizes the media to determine itself, which piece of information represents a subject of public interest. We are dealing with the process of invoking the curiosity artificially by the media, and then publishing information about it within the limit of its interest.

The article criticizes the criteria set out by the Federal Constitutional Court of Germany that protects the right to privacy, and the trends of prioritizing the right to freedom of press over the right to personal development.

At the same time, the European Court of Human Rights is to be criticized for changing its own case law for supporting the Federal Constitutional Court of Germany, which enabled the Strasburg Court to broaden the limits of freedom of press, and restrict the boundaries of the right to personal development.

ფსიქოანალიზის როლი სისხლის სამართალწარმოების პროცესში

ომარ მინდაძე

*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული
პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი*

ბადრი ფორჩხიძე

*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი*

ჯერ კიდევ 1913 წელს, კრიმინალისტთა XII საერთაშორისო კონგრესზე, კოპენჰაგენში, სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეებში ექსპერტი ფსიქოლოგების მონაწილეობისა და ფსიქონალიზური მეთოდების გამოყენების დასმის საკითხმა თავიდანვე მწვავე დისკუსია გამოიწვია სამართალმცოდნეთა ფართო წრეებში. იგივე პრობლემები განიხილებოდა ყოფილ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაშიც, სადაც რიგი ავტორებისა, არა მარტო მიზანშეწონილად, არამედ აუცილებლადაც კი, მიიჩნევდა ამგვარი ექსპერტიზის ჩატარებას. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი საბოლოოდ გადაჭრილი მაინც არ არის და კომპეტენტურ სამეცნიერო წრეებში ამრთა სხვადასხვაობას ამჟამადაც აქვს ადგილი. აღნიშნული მეთოდების გამოყენებას, იმ პრაქტიკული შედეგებიდან გამომდინარე, რომლის მეცნიერული ღირებულებაც, ცალკეულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ძალიან მაღალია, თითქმის ალტერნატივა არ გააჩნია. იმ მონაპოვართა გაცნობა, რომელიც ცოდნის ამ სფეროშია დაგროვილი, უთუოდ მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტანს ხსენებული საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს და ახალი პერიპეტიების წინაშე დააყენებს აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის გზაზე.

პირველ ყოვლისა, უნდა ამოვიდეთ იმ ძირითადი და მთავარი დებულებიდან, რომ ფსიქო-ანალიზი ორგანულ კავშირშია ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში აპრობირებულ სხვადასხვაგვარ მეთოდებთან. საერთოდ, ნებისმიერი ცალკე აღებული ასეთი მეთოდი თავის სიღრმისეულ ახსნას და გამართლებას პოვნებს არაცნობიერი ფსიქიკურის სფეროში, ამიტომაც როდესაც საქმე გვაქვს ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებთან, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ცნობიერი ფსიქიკური პროცესების დაკვირვებისა და ანალიზის საფუძვლებში იმალება ან ქვეცნობიერად იგულისხმება არაცნობიერი ფსიქიკური მოვლენებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი, რასაც საგანგებოდ შერჩეული სპეციალური ინსტრუმენტების მოშველიებით, თანმიმდევრულად იკვლევენ და ადგენენ კლასიკური და თანამედროვე ფსიქოანალიზის მეშვეობით. მაგალითად, ცნობილია, რომ ყველა ავტორი, რომელიც ეხება ჩვენების ფსიქოლოგიის პრობლემებს სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების პროცესში, ობიექტურად და სუბიექტურად მართალ ჩვენებებს მკვეთრად განასხვავებს ერთმანეთისაგან.¹ სუბიექტური, ანუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ყველა ჩვენება მოწმისა, რომელიც დარწმუნებულია საკუთარი ჩვენების სისწორეში, ითვლება ჭეშმარიტად, იმისგან დამოუკიდებლად, შეესაბამება თუ არა ეს ობიექტურ გარემოებას (მართლმსაჯულების ტერმინოლოგიით). თუმცა, გულწრფელ და არაგულწრფელ ჩვენებათა გარდა, შეიძლება არსებობდეს ჩვენების მიცემის ისეთი სახეც, როდესაც ჩვენების მიმცემი სუბიექტი არაა დარწმუნებული საკუთარი ჩვენების სისწორეში. ასეთ ჩვენებას, იურისტების ენაზე „ბრმა“ ჩვენება ეწოდება. ამ სახის ჩვენება ძალიან რთული გასარჩევია როგორც ყალბი, ისე მართალი ჩვენებებისაგან, რაც იმის ბრალია, რომ ჩვენების მიმცემი, მოცემულ შემთხვევაში ემყარება არა იმას, რაშიც უეჭველად დარწმუნებულია, არამედ გარკვეულ ვარაუდს, რაც შეიძლება აიხსნას უამრავი არაერთმნიშვნელოვანი ფაქტორით. და მაინც, ჩვენი კვლევა-ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გახლავთ ე.წ. „არაცნობიერი ჩვენება“, რომელიც წარმოადგენს მეტად სერიოზულ ინფორმაციას, რაც ნათქვამია არა პირდაპირი დანიშნულებით, არამედ მულაგნდება და იკითხება წამოცდენილ სიტყვებსა და ფრაზებში, საუბრის ინტონაციებში, ჟესტ-მიმიკებსა და სხვაგვარ ობიექტურად დაფიქსირებულ სიმპტომებში. თუმცა, აღნიშნულ სიტუაციებში, ფსიქოანალიზში გაუთვითცნობიერებელი და პროფესიონალიზმის სათანადო უნარ-ჩვევების გარეშე მოქმედი გამომძიებელი უძლურია საიმისოდ, რათა ზედმიწევნით სწორად გააანალიზოს და შეაფასოს მოცემული ფაქტები. აქედან გამომდინარე, უეჭველ აქსიომად უნდა ჩაითვალოს შემდეგი დებულება: „კარგი გამომძიებელი კარგი ფსიქოლოგიც უნდა იყოს.“ სასამართლო პრაქტიკაში, კერძოდ მოწმეთა ჩვენების შეფასებაში, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ისეთ ფსიქიკურ ფუნქციებს, როგორიცაა აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, წარმოსახვა, ემოციები, ტემპერამენტი და სხვა. ჩვენების მიცემა პრაქტიკულად წარმოუდგენელია სერიოზული ხარვეზებისა და შეცდომების გარეშე. შეცდომები, როგორც წესი, უნდა ვეძიოთ მოწმის თავდაპირველ ჩვენებაში. მაგალითად, აშშ-ის უმაღლეს სასწავლებლებსა და კოლეჯებში ცდების ჩატარებისას, ბეკი, კლაპერდი, ჰაიდლი, მიშელი და სხვა ავტორები ცდის პირებს აჩვენებდნენ რაიმე ამბის გამომხატველ სურათებს და შემდეგ ამის შესახებ სთხოვდნენ ანგარიშს ან საექსპერიმენტო ჯგუფს წარუდგენდნენ რომელიმე პიროვნებას და ავალებდნენ კარგად შეთვალთქმებინათ იგი; რამდენიმე ხნის შემდეგ, ცდის პირებს სთხოვდნენ გაეხსენებინათ ამ ადამიანის სიმაღლე, ჩაცმულობა, თმის ფერი და სხვ. ექსპერიმენტმა გამოარკვია, რომ პიროვნების გარეგნობის აღწერისას, ცდაში მონაწილე პირები დიდ შეცდომებს უშვებდნენ, ხშირად საკმაოდ კუროიზულსაც. ასე მაგალითად, ექსპერიმენტში მონაწილე ორიათასი პირიდან წარმოადგენილი ადამიანის თმის ფერი სწორად მხოლოდ ჩვიდმეტმა პროცენტმა გაიხსენა.² როგორც პრაქტიკა და მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული მასალა ამტკიცებს – აღქმა, რომელიც ყნოსვას, გემოს და

შეხებით შეგრძნებებს ემყარება, იმდენად მცირე მნიშვნელობისაა, რომ თითქმის შეუძლებელია მის სანდოობაზე საუბარი, თუ იგი განმტკიცებული არ არის მხედველობის ან სმენის შეგრძნებებით.

ერთხანს, იურიდიულ პრაქტიკაში გავრცელებული იყო ერთი, მეტად საეჭვო ღირებულების ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, თუ მოწმემ უშუალოდ შემთხვევის მოსაზღვრე მომენტში მისცა ჩვენება და ეს შემთხვევა მოწმის ძლიერ ემოციასთან იყო დაკავშირებული, ასეთ ჩვენებას უეჭველი ნდობის უმაღლესი ხარისხი ენიჭებოდა. ამას ასაბუთებდნენ იმით, რომ ძლიერ აღელვებულ მოწმეს არ შეეძლო ცრუ ჩვენების მიცემა. ერთი მხრივ, ეს მოსაზრება სწორია იმის გამო, რომ აღელვებულ მოწმეს ნაკლებად შეუძლია რაიმეს გამოგონება და შეთხზვა, თუმცა, მეორე მხრივ, აღელვებას, ზედმეტ აღგზნებას, შიშსა და გაშმაგებას შეუძლია ზუსტი დაკვირვების საპირისპიროდ, მცდარ წარმოდგენებზე გადაიტანოს მთელი ყურადღება და ძიება არასწორი მიმართულებით წარმართოს. რასაკვირველია, ემოციური ფაქტორები მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ გულწრფელ ჩვენებას და ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს ფსიქოლოგიის საკითხებში გათვითცნობიერებულმა გამომძიებელმა, თუმცა, ეს მაინც არ არის საკმარისი საბუთი, რომ საბოლოოდ ყველაფერი გაირკვა და პრობლემაც ამოიწურა. ფსიქოანალიზური ექსპერიმენტების განხილვისას, ერთობ გადამეტებულ ყურადღებას იქცევდა შთაგონების ფაქტორი, განსაკუთრებით, არაცნობიერი გავლენის პირობებში. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით საინტერესო მასალას ვხვდებით გამოჩენილი რუსი ფსიქიატრის, ვ. მ. ბახტერევის მიერ ჩატარებულ კვლევებში. ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია რელიგიური შთაგონების სფეროში. მეცნიერის დასკვნით, ასეთ დროს შთაგონების ძირითადი ღერძი ემყარება არაცნობიერი ფსიქიკური მდგომარეობის ფაქტორს, რომელსაც შეუძლია შედეგი გამოიღოს თვით სუბიექტის კონკრეტული ნების საწინააღმდეგოდ.³ დ. უზნაძის მიხედვით, ადამიანს ახასიათებს იმპულსური ან ნებისმიერი ქცევა; პირველ შემთხვევაში, სათანადო მოთხოვნილებების პირობებში, ქცევას იწვევს უშუალოდ ობიექტური გამდიდრებელი, ხოლო მეორე შემთხვევაში, ქცევის განხორციელებას წინ უძღვის მოტივების გაცნობიერება. ადამიანის ნებისმიერი ქცევის რა მომენტიც უნდა ავიღოთ, უსათუოდ ვიპოვიოთ იქ მოტივთა ფარულ, თუ აშკარა გაცნობიერებას.⁴ გარდა ამისა, უზნაძის აზრით, არის კიდევ სხვა შემთხვევებიც, როდესაც მოქმედების მზაობას სხვა ფაქტორებიც ქმნიან და ეს უპირველეს ყოვლისა, შთაგონებაა. პირველად ეს სიტყვა შეზღუდული მნიშვნელობით იხმარებოდა. ცნობილია, რომ ჰიპნოტური ძილის დროს შესაძლებელი ხდება დაძინებულმა სუბიექტმა (მედიუმმა) ჰიპნოტიზმის წინადადება ბრძანებად მიიღოს და უსათუოდ შეასრულოს იგი. შესაძლებელია ისიც, რომ ჰიპნოტურ ძილში მიღებული ბრძანება მედიუმმა შეასრულოს გაღვიძების შემდეგ (ჰიპნოტიზმის სურვილის შემთხვევაში), რასაც პოსტჰიპნოტურ შთაგონებას უწოდებენ. მოგვიანებით ისიც დადასტურდა, რომ ადამიანი არა მხოლოდ ჰიპნოტურ ძილში ღებულობს შთაგონებას, არამედ სრულიად ფხიზელ მდგომარეობაშიც. ამჟამად, ფსიქოლოგიაში შთაგონების სამ სახეს განასხვავებენ: ჰიპნოტურ შთაგონებას, პოსტჰიპნოტურ შთაგონებას და სიფხიზლეში მიღებულ შთაგონებას. ქართული ფსიქოლოგიის მამა, დ. უზნაძე დამაჯერებლად დაასკვნის, რომ შთამაგონებელ ქცევას წარმართავს სხვისი ნებისყოფა და ძალისხმევა, რაც მიმდინარეობს შთაგონებული სუბიექტისათვის ფარულად, არაცნობიერად. შთაგონების გადაცემის მთავარ პირობას შეადგენს უმთავრესი სპეციფიკური თვისება – შთამგონებლობა (სუგესტივობა). ეს გახლავთ განსაკუთრებული უნარი, რომელიც ადამიანთა მცირე ნაწილს ხელეწიფება. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული უნარი აქვთ არა მარტო ადამიანს, არამედ ზოგჯერ კოლეექტივსაც. ამის კარგი მაგალითია პანიკა, როდესაც შიშით თავზარდაცემულ ადამიანთა მასა ანგარიშიუცემლად გარბის, ან მსახიობს სხვათა გავლენით მქუხარე ტაშს უკრავენ. სხვათა შორის, შთაგონების უნარს საგნებიც ავლენენ, რისი ბრწყინვა-

ლე მაგალითიცაა რეკლამა. რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, ძლიერი შთაგონების ფაქტები გამოძიების პროცესში ვლინდება და ის ხშირად თვალსაჩინო დაღს ასვამს მოწმის ჩვენების პროცესსა და საბოლოო შედეგსაც. ამ ფაქტებს კი, უთუოდ უნდა ითვალისწინებდეს სამართლიანი და მაღალპროფესიული ღირსებებით აღჭურვილი მართლმსაჯულება.

ფსიქოანალიზის ფუძემდებელი ზ. ფროიდი, რომელმაც აღიარა არაცნობიერი ფსიქიკის სიღრმისეული ფენის, როგორც გადამწყვეტი ზემოქმედების ფაქტორის მიერ ინდივიდისა და თვით საზოგადოების ცხოვრება-მოღვაწეობის განსაზღვრება, მიიჩნევდა, რომ ადამიანი წარმოადგენს სუსტი ინტელექტის მქონე არსებას, რომელიც ექვემდებარება არაცნობიერ ლტოლვებსა და ვნებებს. არაცნობიერში ის განიხილავდა ორ ურთიერთსაპირისპირო მისწრაფებას: ლტოლვა სიცოცხლისადმი – ეროსი და ლტოლვა სიკვდილისადმი – თანატოსი. პირველი წარმოადგენს კონსტრუქციულ შემოქმედებით, გამაერთიანებელ ძალას, ხოლო მეორე, დესტრუქციულ, დამანგრეველ, ადამიანთა გამთიშველ ძალას, რომელთა შორისაც მუდმივი ჭიდილია და იმის შესაბამისად, თუ რომელ კონკრეტულ ვითარებაში რომელი მათგანი გაიმარჯვებს, საზოგადოებაც შესაბამის სახეს მიიღებს. თუ გაიმარჯვა ეროსმა, მაშინ საზოგადოებაში მყარდება წესრიგი და აღმშენებლობა, ხოლო თუ გაიმარჯვა თანატოსმა, მაშინ ნგრევა და ქაოსი დაისადგურებს.⁵

ფსიქოანალიზის მეთოდით კვლევა-ძიებისა და ექსპერიმენტის შედეგებით დგინდება, რომ არაცნობიერში დაფარული ინდივიდუალური უცნაურობანი და პათოლოგიური რეციდივები სავალალო გახლავთ იმ გახშირებულ შემთხვევებში, როდესაც მის უარყოფით გავლენას ექვემდებარებიან არა მარტო რიგითი დამნაშავეები, არამედ სტაჟიანი მოსამართლეებიც, რაც უკლებლივ აისახება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებებზე. მით უფრო დამაფიქრებელი კი ისაა, რომ აქედან არც ერთი მოსამართლე არაა დაზღვეული. საერთოდ, ადამიანი, რამდენადაც არ გახლავთ სტანდარტულად რეპროდუქციული მანქანა – ავტომატი ან კომპიუტერი, მას აქვს უამრავი სისუსტე და ნაკლოვანებანი. ასეთ თვისებათა შორის შეგვიძლია დავასახელოთ მოსამართლის მიკერძოებულობა ან ზედმეტი სიმკაცრე ბრალდებულის მიმართ. არც თუ იშვიათად, მოსამართლე ცდილობს არ დაემორჩილოს თავის სუბიექტურ ტენდენციებს, თუმცა, ისე ღრმად არის მის პიროვნულ ხასიათში, რომ მაინც თავს იჩენს ცალკეულ შემთხვევებში. ამერიკელ ფსიქოანალიტიკოსსა და კრიმინოლოგს ჰ. ბურტს მოაქვს სხვადასხვანაირი მაგალითები მოსამართლეთა ტენდენციური და მიკერძოებული საქმიანობის შესახებ; იმ დროს, როცა ისინი სხვა პირებისაგან უშუალო ჩარევასა და გავლენას სრულიადაც არ განიცდიდნენ, მაგრამ საფუძვლიანი ფსიქოანალიზური კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ ისინი, ამის მიუხედავად, მაინც დაპროგრამებული სიმკაცრით და აშკარა შეზღუდულობით ღებულობდნენ საბოლოო გადაწყვეტილებებს. მაგალითად, თუ ბრალდებული ჰგავს იმ ადამიანს, რომელიც ძალიან სძულს მოსამართლეს, ამან შეიძლება დამლუპველი გავლენა მოახდინოს მის ობიექტურობაზე – არ მისცეს ბრალდებულს თავის მართლების საშუალება და სხვ. ზოგჯერ ინდივიდის რომელიმე გარეგნული ნიშანი მოსამართლის ცნობიერებაში დაკავშირებულია უარყოფით პიროვნებასთან და ვისთანაც კი, ამ ნიშანს აღმოაჩენს, ყველას მიმართ სიძულვილს გრძნობს, ავიწყდება, რომ ასეთ ნიშანს ბევრი სხვა პიროვნებაც ატარებს. ცნობილია შემთხვევა, როცა მოსამართლე განსაკუთრებით უღმრთელი იყო ყველა ელამი ბრალდებულის მიმართ, ხოლო როგორც გამოირკვა ამის მიზეზი იყო მოსამართლის ელამი მამინაცვალი, რომელიც მას მეტისმეტად დესპოტურად ეპყრობოდა ბავშვობაში.⁶

ფსიქოანალიზის მეთოდოლოგიურ მანევრებში კარგად გათვითცნობიერებული იურისტები და გონებაგამჭრიახი გამოძიებლები პირდაპირ სასწაულებს ახდენენ თავიანთი ინტუიციითა და გულთამხილაობით, რისი უამრავი მაგალითიც გვაქვს სასამართლო მოკვლევის პრაქტიკაში,

რომელთა შორისაც განსაკუთრებით საყურადღებო და აღსანიშნავია ერთ-ერთი ფაქტი, რომელიც უკავშირდება თბილისში, დიდი ხნის წინათ ჩადენილ მეტად უცნაურ მკვლელობას, დამამძიმებელ გარემოებაში. მკვლელი იყო ჩვიდმეტი წლის მოსწავლე, რომელმაც მოკლა საკუთარი მასწავლებელი და მოაჭრა თითი, რომელიც მკვლელობიდან გარკვეული ხნის განმავლობაში უკვალოდ გაქრა. 52 წლის პოლინა ზარიძის მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა განზრახ მკვლელობის მუხლით, რომელსაც ვანო ბუკიას საგამოძიებო ჯგუფი იძიებდა. პოლინა ზარიძის მკვლელობიდან მესამე დღეს, მილიციამ 17 წლის ერნესტ ზვიაგინი დააკავა და განზრახ მკვლელობის ბრალდება წარუდგინა. ერნესტ ზვიაგინი ცხოვრობდა მამასთან და გაუთხოვარ მამიდასთან ერთად. ოპერმუშაკებმა მისი ბინიდან სისხლიანი ხანჯალი ამოიღეს, რომლითაც პოლინა ზარიძე იყო მოკლული. ერნესტ ზვიაგინი ზარიძესთან ემზადებოდა ქიმიკაში და მილიციის ყურადღების ცენტრში ამიტომ მოხვდა. ექსპერტიზამ უტყუარად დაამტკიცა, რომ ერნესტ ზვიაგინი ნამდვილად მასწავლებლის მკვლელი იყო, რასაც ბინაში და ტანსაცმელზე აღმოჩენილი სისხლის ლაქები მოწმობდა. ამის მიუხედავად, მოკლულის თითი ვერსად იპოვეს და არც ერნესტ ზვიაგინი იძლეოდა ჩვენებას. 17 წლის მოსწავლე დუმდა და ვერც მილიციამ და პროკურატურამ შეძლო მისი აღაპარაკება. ვანო ბუკია გამოცდილი გამოძიებელი იყო და მრავალი ჩახლართული საქმე ჰქონდა გახსნილი, თუმცა, ზარიძის მკვლელობის არსში გარკვევა უჭირდა. მასწავლებლის მკვლელობამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. მას გავლენიანი ნათესავები აღმოაჩნდა და გენპროკურორს პირადად დაურეკა მაშინდელმა ცეკას პირველმა მდივანმა – ვ. მუჟანაძემ და სასწრაფოდ საქმის გახსნა მოითხოვა. დაკავებული რომ გამოეტეხათ, მილიციამ განსაკუთრებულ ზომებს მიმართა – ელექტროშოკი გამოიყენა, ფეხებითაც დაკიდეს და სხვაგვარადაც აწამეს, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს. ბიჭი ყველა წამებას უძლებდა და დუმდა. მილიციის ოპერებისაგან განსხვავებით, გამოძიებელი ბუკია სხვა გზით წავიდა და ცნობილ მოსკოველ ფსიქოანალიტიკოს-კრიმინალისტს, ვალენტინ ვინერს ეწვია. მასაც იურიდიული განათლება ჰქონდა – ბუკიასთან ერთად დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ვინერმა ყურადღებით გადახედა მკვლელობის საქმის ირგვლივ შეკრებილ მასალებს და დაასკვნა: – „95 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ თითი ჯერ კიდევ არაა განადგურებული და თუ კარგად მოძებნით, აღმოაჩენთ კიდევ. მეტსაც გეტყვით, შესაძლოა, რომ ამ საქმის ბოლომდე გახსნით სხვა, უფრო საზარელი საქმეების გახსნა გახდეს შესაძლებელი. ვიმეორებ, საქმეში საკმაო სამხილებია და ის გახსნილია, თუმცა, მისი არსი უცნობია. შეკრებილი ინფორმაციით ასეთი სურათი შედგა: ერნესტ ზვიაგინი 7 წლის ასაკამდე დედ-მამასთან ერთად იზრდებოდა. მას შემდეგ კი, რაც მის ოჯახში მისი მამიდა, შინაბერა ემა ჩამოვიდა და ჩასახლდა, ცოლ-ქმრის ცხოვრება აირია. ბავშვი 8 წლის იყო, დედა სახლიდან რომ გაიქცა და რუსეთში გადასახლდა. მას შემდეგ მას დედა არ უნახავს. თუმცა, სულ მის ხსენებაში იყო, რასაც მოზარდის მეზობლებიც ადასტურებდნენ. „იგი ნორმალური ბავშვი იყო და ვიდრე მასთან დედამისი – ალა იყო, ცუდი არაფერი შემიმჩნევია, – წერდა თავის ჩვენებაში ერთ-ერთი მეზობელი, – ხოლო ალას გაქცევიდან ერთი წლის შემდეგ, ბავშვი რადიკალურად შეიცვალა. გულჩათხრობილი გახდა და მხოლოდ დედის ხსენებაზე ებადრებოდა სახე.“ ბავშვის მამისა და მამიდის თქმით კი, ალა ქმრის ერთგული არ იყო და მათი ოჯახის დანგრევის მიზეზად სწორედ ეს დასახელდა. მოპოვებულ ინფორმაციებში გაკვრით ფიგურირებდა ვინმე სტას მარკელოვი, რომელიც ერთ-ერთი მეზობლის თქმით, თურმე მამიდა ემას საქმრო იყო, – „ის კაცი ორი თვის განმავლობაში ცხოვრობდა მათ ოჯახში და შემდეგ სადღაც გაემგზავრა.“ ფსიქოანალიტიკოს-კრიმინალისტმა ვინერმა შეგროვებული ინფორმაციის მიხედვით, ერთმნიშვნელოვნად დაასკვნა: – „სტას მარკელოვი, თუ რა თქმა უნდა, ეს გვარი ნამდვილია, სწორედ ისაა ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი და არა მართო ამ საქმის, ანუ ზარიძის მკვლელობას ვგულისხმობ. სასწრაფოდ

ძებნა უნდა გამოცხადდეს მასზე და არ დაგავიწყდეთ, მისი დაწვრილებითი სიტყვიერი პორტრეტის შედგენა. დარწმუნებული ვარ, საქმე უაღრესად საშიშ ბოროტმოქმედთან გვაქვს. პროკურატურასა და მილიციასთან შეთანხმებით, ვინერმა მოზარდი მარტომ დაკითხა. იგი პირობას იძლეოდა, რომ მკვლელს უეჭველად ააღაპარაკებდა – „დაკითხვის გეგმა მაქვს შემუშავებული და ჩემმა მეთოდმა უნდა გატრას.“ დაკავებული საკნიდან გამოიყვანეს და გენპროკურორის სპეციალურ ოთახში შეიყვანეს, რომელსაც დაკითხვისთვის იყენებდნენ. ოთახს მუქი ფანჯარა ჰქონდა და მეორე ოთახიდან ყველაფერი ჩანდა. დაკითხვის პროცესში გამოყენებული ფსიქოანალიზური ტექსტით გაირკვა, რომ მკვლელს, ვისაც ძალიან ენატრებოდა ქმრის ლალატში მხილებული პეტროზავოდსკში წასული დედა, მასთან შესახვედრად ესაჭიროებოდა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება; ამ მიზნის განსახორციელებლად მან გადაწყვიტა ქიმიკაში მომზადება. მასწავლებელი ცოტა არ იყოს, უხეში ქალი იყო და სავარაუდოდ, ერნესტს მან უთხრა, რომ ასეთი ცოდნით ინსტიტუტში ვერ მოხვდებოდა და ალბათ, თითიც დაუქნია. ყოველივე ამას მოზარდის გაღიზიანებაც დაერთო და შურისძიება გადაწყვიტა. მასწავლებლის კუთვნილი ხანჯლით, რომელიც მის ოთახში კედელზე ეკიდა, ქალს 25 ჭრილობა მიაყენა. ბოლოს კი, თითიც მოჰკვეთა, რითაც თავისი უარყოფითი ემოციის საბოლოოდ წაშლა სცადა. ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ დედასთან შეხვედრის ოცნება მაინც დარჩენილიყო მის მეხსიერებაში. ორიოდვე საათის შემდეგ, ერნესტ ზვიაგინი თავის ჩვენებაში წერდა: „სტას მარკელოვი მამიდაჩემმა მოიყვანა სახლში და ის ორი თვე ჩვენთან ცხოვრობდა. ამ ხნის განმავლობაში მე სტასი დამიახლოვდა და დედასთან წაყვანას მპირდებოდა, თან მუდმივად მელაპარაკებოდა ხოლმე „ბეკატა საძმობე“, რომლის წევრებიც არაფრის წინაშე უკან არ იხევნ. ის მპირდებოდა, რომ გამაცნობდა უშიშარ ძმებს და მათთან დამაკავშირებდა. როდესაც მე მასწავლებელი მოვკალი და თითი წამოვიღე, რათა კანალიზაციაში ჩამეგდო, სტასმა გამომართვა და მითხრა, არავისთვის მომეყოლა მკვლელობის ამბავი. იმავე საღამოს სტასი გაქრა.“ სინამდვილეში, სტას მარკელოვი სამჯერ ნასამართლევი, ვინმე იური მანინი იყო. ის თაღლითობისთვის, წვრილმანი ქურდობისა და ძარცვაში თანამონაწილეობისთვის იყო ნასამართლევი. ემამ იგი როსტოვის საპყრობილეში გაიცინო და დაუახლოვდა, სადაც ქალი ზედამხედველად მუშაობდა, ხოლო სტასი იქ მესამე სასჯელს იხდიდა. სტასი უდიპლომო ექიმი იყო და ფსიქოლოგიას სწავლობდა. მან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში მოზარდებისაგან ორგანიზებული დაჯგუფებები შექმნა. მათ ის ჯერ ფსიქოლოგიურად ამუშავებდა, შემდეგ მათთან ერთად ძარცვავდა, ყაჩაღობდა და ბინიდან გამოსვლისას მსხვერპლის მოჭრილი თითი, ყური ან სხვა ნაწილი მიჰქონდა. ამ ნაწილებს მისი მცირეწლოვანი პარტნიორები აჭრიდნენ თავიანთ მსხვერპლს, ხოლო ის კი, მოჭრილ ორგანოებს ბავშვების კომპრომეტაციის მიზნით ინახავდა. ჯერ კიდევ, როსტოვის ციხეში ყოფნისას, გაიგო სტასმა, რომ ემას ინტიმური კავშირი ჰქონდა საკუთარ ძმასთან. მან ისიც შეიტყო, რომ მათ თურმე ალაშ – ერნესტის დედამ შეუსწრო ინტიმური ურთიერთობისას და ამის გამო, და-ძმამ ქალი მოკლა. შემდეგ დაანაწევრეს და ხუდადოვის ტყეში დამარხეს. ამგვარად, როდესაც სტასი, იგივე იური მანინი თბილისში ჩამოვიდა, მან ეს ყველაფერი იცოდა და თავის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაითრია ემა, მისი ძმა ბორისი და ერნესტ ზვიაგინი. იური მანინი მოსკოვში მილიციასთან შეტაკებისას მოკლეს, და-ძმა ზვიაგინები დახვრიტეს, ხოლო ერნესტი კი, დღემდე ფსიქიატრიულ კლინიკაში წევს.⁷

ნაშრომის დასასრულს უნდა ითქვას, რომ მიზეზი, რის გამოც სამწუხაროდ, სისხლის სამართლის საგამოძიებო პრაქტიკაში, ბევრჯერ უარს ამბობენ ფსიქოანალიზის მეთოდების გამოყენებაზე, არის ის, რომ მთელი რიგი ჩახლართული საქმეების ბოლომდე გახსნა მავანთ ხელს არ აძლევთ და ამისათვის მათ ესაჭიროებათ ერთგვარი ნახევრად სიმართლე, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში, ყოველგვარ სიყალბეზე უარესია.

შენიშვნები:

- ¹ გრიგოლავა ვ., გამოყენებითი ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1964 გვ. 84.
- ² Guertion W. H. and Wilhelm A. L., A statistical analysis of the electrodermal response employed in lie detection, journal of general psychology, N. Y., 1954, p. 153-160
- ³ Бехтерев В. М., Гипноз, внушение и психотерапия и их лечебное значение, СПб, 1911, стр. 263.
- ⁴ უზნაძე დ., პოსტპიპნოზური შთაგონების თეორიისათვის, ფუნქციურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1936, გვ. 187.
- ⁵ Фрейд З., Психология бессознательного., М., 1990, стр. 97.
- ⁶ Burt H. E., applied psychology; N. Y., 1959, p. 255.
- ⁷ https://www.google.ge/?tbiliselebi.ge/?mas_id=7303&rubr_id=21

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრიგოლავა ვ., გამოყენებითი ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1964.
2. უზნაძე დ., პოსტპიპნოზური შთაგონების თეორიისათვის, ფუნქციურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1936.
3. Бехтерев В. М., Гипноз, внушение и психотерапия и их лечебное значение., СПб, 1911.
4. Фрейд З., Психология бессознательного., М., 1990.
5. Burt H. E., applied psychology; N. Y., 1959.
6. Guertion W. H. and Wilhelm A. L., A statistical analysis of the electrodermal response employed in lie detection, journal of general psychology, N. Y., 1954.
7. https://www.google.ge/?tbiliselebi.ge/?mas_id=7303&rubr_id=21.

ROLE OF PSYCHOANALYSIS IN CRIMINAL PROCEEDINGS

OMAR MINDADZE

*Associated Professor at the Law Department of the Kutaisi
Akaki Tsereteli State University, Doctor of Law*

BADRI PORCHKHIDZE

*Associated Professor at the Philosophy and Psychology
Department of the Kutaisi Akaki Tsereteli State University*

The most important contribution of psychoanalysis in understanding the cognitive processes is the disclosure of unconscious mental life. This so called 'unconscious' is concurrent to all types of orders. Content of the unconscious, which lies deep in the 'conscious' system, is expressed 'irrationally'. During the continuous communication between the 'conscious' and 'unconscious', and when interfering in the uncontrolled thoughts, decisions and actions, we unexpectedly come across with such an 'irrational' contents that makes us think that an individual can more easily control himself as the result of having tried hard to do it. In the light of this research it is established that a human being cannot be in a perfectly 'rational state' for a long time. There is a special mark left on the person's face by his contemporary culture, and an impressive reflection of various influential historical personalities, also the network of tight subcultural relations. Nowadays, the impact of subconscious thoughts is gradually increasing on the conscious thoughts from various covert ways and channels. This is general and can be spread same way as the ethics of legal philosophy, volatility of social norms, or as the acquisition and transfer of new education. Subconscious impulse arouses many skills for the individual, which is functioning in the law as a free creative initiative merged with coercion, as a subject-object of legal violence focused on legal norms.

საფირმო სახელწოდების დაცვის მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი საშუალებები

თამარ ხუბაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

შესავალი

საკითხის აქტუალობა. საფირმო სახელწოდება იურიდიული პირების იდენტიფიკაციის, მათი თავისთავადობის დადგენის საშუალებაა, შეუძლებელია იურიდიული პირები არსებობდეს საფირმო სახელწოდების გარეშე,¹ ისე როგორც ფიზიკურ პირს აქვს სახელი და სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს თავისი სახელითა და გვარით, იურიდიული პირისათვის ასეთს საფირმო სახელწოდება წარმოადგენს. საფირმო სახელწოდება იურიდიული პირის არამართო პირადი არაქონებრივი უფლებაა, არამედ არამატერიალური ქონებრივი უფლებაც, რომელთანაც დაკავშირებულია ბიზნესსუბიექტის რეპუტაცია. დღევანდელი ეკონომიკის განვითარების პირობებში, როდესაც ბიზნესსუბიექტები აქტიურად არიან ჩართულნი კონკურენტულ გარემოში, საფირმო სახელწოდების, მისი როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლების როლი აქტიურად წამოიწია წინა პლანზე, აღნიშნულს განაპირობებს კონკურენტული გარემო.

მიუხედავად იმისა, რომ კონკურენცია მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა, მისი გამოვლინება კი, მრავალგვარი, კონკურენცია არსებობს ყველგან, სადაც არის გარკვეულ ინტერესთა შეჯიბრი, შესაბამისად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ცნებაც ცვალებად

ბადია, „რაც იყო სამართლიანი გუშინ, შეიძლება უსამართლო იყოს დღეს.“⁴² არაკეთილსინდისიერი კონკურენცია ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, საქმიანი ბრუნვის, გონივრულობისა და სამართლიანობის აღიარებულ ნორმებს. იმისათვის, რომ ბაზარზე შენარჩუნებული იქნას ეკონომიკური თავისუფლება, საჭიროა, გარკვეული მინიმალური წესების პატივისცემა.

კვლევას აქტუალობას სძენს ისიც, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ერთი და იმავე საფირმო სახელწოდებით იურიდიული პირების დარეგისტრირების შესაძლებლობას იძლევა. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო ბრუნვაში ორი იდენტური აღნიშვნა იქნება ჩართული, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს, რათა არ განვითარდეს არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. შესაბამისად, ქართულ კანონმდებლობაში საჭიროა დაცვის იმ მექანიზმების არსებობა, რომელთა მეშვეობითაც საფირმო სახელწოდების, როგორც არამატერიალური ქონებრივი უფლების დაცვა იქნება შესაძლებელი.

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაცია დაუშვებელია უკვე რეგისტრირებული სახელწოდებით.³ საინტერესოა, რატომ აირჩია კანონმდებელმა განსხვავებული მიდგომა კომერციულ იურიდიულ პირებთან დაკავშირებით, მაშინ როცა კომერციულ იურიდიულ პირებს შორის კონკურენცია გაცილებით მეტია, ვიდრე არასამეწარმეო იურიდიულ პირებს შორის.

ხშირ შემთხვევაში, ბაზარზე იდენტური საფირმო სახელწოდების არსებობით მოტყუებული მომხმარებელი რჩება. ეს იმიტომ გამოწვეულია, რომ საშუალო დონის მომხმარებელმა არ იცის და არც მოეთხოვება იცოდეს იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი.⁴ იგი ნდობას გარკვეული საფირმო სახელწოდების სუბიექტს უცხადებს და სურს მისი პროდუქცია. ბაზარზე ერთი და იმავე საფირმო სახელწოდების არსებობა კი, აღრევსა და შეცდომაში შეყვანის რისკს იწვევს.

ხშირად, ცნობილი საწარმოს საფირმო სახელწოდების გამოყენება ხდება კონკურენტების მიერ, იდენტურის ან მიმსგავსებულის, რათა ისარგებლოს საფირმო სახელწოდების კარგი რეპუტაციით. საფირმო სახელწოდების მიმსგავსების, (სიმულაციის) ფაქტი დგინდება, თუ აღნიშნულმა შესაძლოა საზოგადოება შეიყვანოს შეცდომაში,⁵ შესაბამისად, საფირმო სახელწოდების დაცვა მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც საინტერესოა.

კვლევის მიზანი. საფირმო სახელწოდების სამართლებრივი მოწესრიგება არ არის უნიფიცირებული და ერთგვაროვანი, შესაბამისად, მისი დაცვის მექანიზმებიც არაერთგვაროვანია. სტატიის მიზანია, გამოკვლეული იქნას რა სამართლებრივი მექანიზმები არსებობს ქართულ კანონმდებლობაში საფირმო სახელწოდების დასაცავად და რა სახის ცვლილებებია საჭირო, რათა უზრუნველყოფილი იყოს საფირმო სახელწოდების სრულყოფილი დაცვა.

სტატიის სტრუქტურა. სტატიის პირველი თავი ეხება საფირმო სახელწოდების ზოგად დახასიათებას, განხილულია საფირმო სახელწოდების როლი სამართლებრივ ურთიერთობებში, მისი როგორც პირადი არაქონებრივი, ასევე, ქონებრივი მნიშვნელობა. წამოჭრილია საკითხი თუ რა სახის პრობლემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ იურიდიული პირები ერთი და იმავე საფირმო სახელწოდების არსებობის შემთხვევაში. სტატიის მეორე თავში განხილულია საფირმო სახელწოდების დაცვის მატერიალური და საპროცესო საშუალებები, შემოთავაზებულია დაცვის ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება საფირმო სახელწოდების სრულყოფილი დაცვა.

I. საფირმო სახელწოდების ზოგადი დახასიათება

1. საფირმო სახელწოდების როლი სამართლებრივ ურთიერთობებში

სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია, როგორც სუბიექტის არსებობა, რომელიც ამყარებს ამ ურთიერთობას, ასევე ობიექტიც, რისთვისაც მყარდება ეს

ურთიერთობა. შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის ის, რისთვისაც მყარდება სამართლებრივი ურთიერთობა.⁶ ასეთი კი, შეიძლება იყოს არა მარტო მატერიალური სიკეთე, არამედ არამატერიალური სიკეთეც. არამატერიალური სიკეთიდან სამოქალაქო ურთიერთობებში ყველაზე ხშირად გამოდის შემოქმედებითი შრომის პროდუქტი. ასეთი შრომის პროდუქტი მიეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს.⁷

და მინც, რას წარმოადგენს საფირმო სახელწოდება, ეს არის სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, თუ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის ინდივიდუალიზაციის საშუალება? სახელის უფლება პირის ინდივიდუალიზაციის საშუალებაა, როგორც ფიზიკურ პირს აქვს სახელი და გვარი, იურიდიული პირისათვის ასეთს საფირმო სახელწოდება წარმოადგენს. თუმცა, ფიზიკური პირისაგან განსხვავებით, იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება წარმოადგენს არა მარტო პირად არაქონებრივ უფლებას, არამედ არამატერიალურ ქონებრივ უფლებასაც.⁸ „არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები ემორჩილებიან საკუთრების უფლების ცნებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. მათი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ისევე შესაძლებელია, როგორც სხეულებრივი საგნებისა.“⁹ შესაბამისად, საფირმო სახელწოდებას, მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის ინდივიდუალიზაციის საშუალებად ვერ განვიხილავთ, ის წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტსაც. ამასთან, სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთეებისაგან განსხვავებით, საფირმო სახელწოდების ფირმისაგან ცალკე გასხვისება არ ხდება, იგი შეიძლება გასხვისდეს ფირმასთან ერთად.

1.1. საფირმო სახელწოდება, როგორც იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლება

„პირადი არაქონებრივი უფლებები აღიარებულ იქნა სამოქალაქო სამართლით დაცულ სიკეთედ და მისი ხელყოფა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებად ჩაითვალა, რომელიც დელიქტურ ვალდებულებას წარმოშობს.“¹⁰ იურიდიული პირი ფიზიკური პირის მსგავსად, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია, როგორც ფიზიკურ პირს აქვს სახელის ქონის უფლება, იურიდიული პირისათვის ასეთს საფირმო სახელწოდება წარმოადგენს. შესაბამისად, საფირმო სახელწოდება იურიდიული პირის პირადი არაქონებრივი უფლებაა. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით: „პირადი არაქონებრივი უფლებებიდან მხოლოდ უფლებას განამტკიცებს. თუმცა, ამ უფლების ხელყოფის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სასამართლო პრაქტიკის მიერ დელიქტური სამართლის საფუძველზე კმაყოფილდება – სახელიც დელიქტური სამართლით დაცულ სიკეთეს განეკუთვნება.“¹¹ თუმცა, რამდენად არის დაცული საფირმო სახელწოდება სახელის უფლების დაცვის ნორმებით ქართული კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნულზე ქვემოთ მოცემულ თავებში გვექნება საუბარი.

1.2. საფირმო სახელწოდება, როგორც იურიდიული პირის არამატერიალური ქონებრივი უფლება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლის თანახმად, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მფლობელს შეეძმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე. „არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების ფლობა ისევეა შესაძლებელი, როგორც სხეულებრივი საგნებისა.“¹²

„არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები წარმოადგენენ როგორც ვალდებულებით, ისე სავსებითსამართლებრივ ურთიერთობათა ობიექტებს.“⁴³ მაშასადამე, სავაჭრო, კომერციული სახელი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემაც სხვა პირზე კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია.¹⁴ თუმცა, განსაკუთრებული უფლება საფირმო სახელწოდებაზე არის საწარმოსაგან განუსხვისებელი. საფირმო სახელწოდების გადაცემა საწარმოს გარეშე არ ხდება, იგი საწარმოს განუყოფელი ნაწილია, ცალკე საფირმო სახელწოდების გასხვისება არ ხდება.

1.3. საფირმო სახელწოდება, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი

ინტელექტუალური სამართალი ტრადიციულად, იყოფა ორ დიდ შტოდ: საავტოროსამართლებრივ უფლებებად და სამრეწველო საკუთრებად. შესაბამისად, სამრეწველო საკუთრების ყველა ობიექტი იმავდროულად, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტიცაა.¹⁵ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ჩამონათვალი მოცემულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის მე-2 მუხლში.¹⁶ სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მიხედვით: სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, წარმოშობის აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები, აგრეთვე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა.¹⁷ მოცემულ ჩამონათვალში, როგორც ვხედავთ შესულია საფირმო სახელწოდებაც, შესაბამისად, იგი დაცვას ექვემდებარება, არა მარტო როგორც პირადი არაქონებრივი უფლება, არამედ როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი.¹⁸

სამრეწველო საკუთრების ობიექტების შექმნა იწვევს ქონებრივი უფლებების წარმოშობას. თუმცა, მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ქონებრივი ღირებულება მას შემდეგ ვლინდება, რაც მოხდება მათი სამეწარმეო-კომერციული გამოყენება.¹⁹ აღნიშნული კიდევ ერთხელ ბადებს საფუძვლიან ვარაუდს, რომ საფირმო სახელწოდებას ქონებრივი ღირებულება გამოყენების შემდეგ ენიჭება, თუმცა, გამოყენების ფაქტის დადასტურება, მხოლოდ სასამართლო განხილვის დროს შეიძლება წამოიჭრას, რაც მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. თუ გამოყენებას დავასახელებთ საფირმო სახელწოდების ქონებრივი ღირებულების შეფასების კრიტერიუმად, მაშინ ყველა შემთხვევაში, ნებისმიერი სიმულაციის, მიმსგავსების, თუ იდენტური საფირმო სახელწოდების რეგისტრაციის შემთხვევაში, საჭიროა სასამართლოსათვის მიმართვა, რაც აპრიორი საფირმო სახელწოდების დაცვას არ გულისხმობს. პარიზის კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, საფირმო სახელწოდება კავშირის ყველა ქვეყანაში დაცულია განაცხადის შეტანის ან რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე, მიუხედავად იმისა, შეადგენს თუ არა იგი სასაქონლო ნიშნის ნაწილს. აღნიშნული ნორმა, ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რათა უზრუნველყონ საფირმო სახელწოდების სრულყოფილი დაცვა.

2. საფირმო სახელწოდებაზე უფლების მოპოვება

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საფირმო სახელწოდებაზე უფლების მოპოვება რეგისტრაციას უკავშირდება.²⁰ ამავე დროს „სახელის დარქმევის უფლება კი გვაქვს, მაგრამ სახელი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის ნორმას, ანუ არ უნდა გამოვიყენოთ ისეთი სახელი, რომელიც ქართული და საერთოდ, მსოფლიო ცივილიზაციის საკუთრებაა“²¹

მამასადამე, სავაჭრო, კომერციული სახელი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირზე გადაცემა კანონით დადგენილი წესით არის შესაძლებელი.²² ამასთან, განსაკუთრებული უფლება საფირმო სახელწოდებაზე საწარმოსაგან განუსხვისებელია. საწარმოს გარეშე საფირმო სახელწოდების გადაცემა არ ხდება, ანუ იგი საწარმოს განუყოფელი ნაწილია.

საფირმო სახელწოდებად შეიძლება განსაზღვრულ იქნას, სახელი რომელიც უთითებს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ადგილს. ასეთია აღწერილობითი საფირმო სახელწოდება. ჩვეულებრივ, საფირმო სახელწოდებაზე უფლება წარმოიშობა საწარმოს დაფუძნებასთან ერთად. საფირმო სახელწოდება, დაცულია გამოყენების საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა საფირმო სახელწოდება სასაქონლო ნიშნად. განმასხვავებლობის არქონის შემთხვევაში, მას შეუძლია მიიღოს დაცვა გამოყენების შედეგად განმასხვავებლობის შეძენის შემდეგ. განმასხვავებლობა ნიშნავს, რომ მომხმარებელი ცნობს სახელწოდებას როგორც სპეციფიკურ კომერციულ წყაროზე მითითებას.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საფირმო სახელწოდებაზე უფლების მოპოვება დაკავშირებულია რეგისტრაციასთან, რადგან სავალდებულოდ მოითხოვება საფირმო სახელწოდების რეგისტრაცია. არ იქნება სწორი, მივიჩნიოთ, თითქმის ამგვარად რეგისტრირებული საფირმო სახელწოდების მფლობელი პირი ვერ გამოიყენებს თავის განსაკუთრებულ უფლებას მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტიდან გამომდინარე და რომ ამ უფლებით სარგებლობა საფირმო სახელწოდების რეალურად გამოყენების შემდეგ შეიძლება.

საფირმო სახელწოდების მფლობელს აქვს განსაკუთრებული უფლება მის საფირმო სახელწოდებაზე. განსაკუთრებული უფლება ვრცელდება იდენტურ ან მსგავს საფირმო სახელწოდებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც იდენტური ან მსგავსი სახელწოდებით ორი, ან მეტი საწარმო ეწევა ერთგვაროვან საქმიანობას. ამასთან, საფირმო სახელწოდება დაცული არის ტერიტორიული პრინციპის თანახმად, იმ ქვეყნის ფარგლებში, სადაც რეგისტრირებულია.²³ პარიზის კონვენციის თანახმად კი, უფლება საფირმო სახელწოდებაზე მოქმედებს ნებისმიერ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც საქმიანობს მეწარმე.

II. საფირმო სახელწოდების დაცვის სამართლებრივი საშუალებები

1. საფირმო სახელწოდების დაცვის მატერიალური საშუალებები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „საფირმო სახელწოდებაზე განსაკუთრებული უფლების დაცვა ხორციელდება ამ კოდექსით, „მეწარმეთა შესახებ“ კანონითა და სამრეწველო საკუთრების შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტებით.“²⁴ თუმცა, ქართული კანონმდებლობა და პრაქტიკა, რაც საფირმო სახელწოდების მიმართ არსებობს, შეუსაბამობაში მოდის პარიზის კონვენციის მე-8 მუხლთან, რომლის თანახმადაც: საფირმო სახელწოდება კავშირის ყველა ქვეყანაში დაცულია განაცხადის შეტანის ან რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე, მიუხედავად იმისა, შეადგენს თუ არა იგი სასაქონლო ნიშნის ნაწილს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად: საფირმო სახელწოდება, ანუ ფირმა არის სახელი, რომელითაც საქმიანობს მეწარმე სუბიექტი. საფირმო სახელწოდების არსებობა აუცილებელი რეკვიზიტია, რათა მოხდეს კერძო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაცია. ამავე მუხლის თანახმად: „დაუშვებელია საფირმო სახელწოდებაში ისეთი გრაფიკული სიმბოლოების გამოყენება, რომელთაც არა აქვთ ენობრივი ნორმებით დადგენილი ბგერითი ან სიტყვიერი შესატყვისი. საფირმო

სახელწოდებას არ უნდა ერთოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან/და გაუგებრობა მეწარმე სუბიექტის ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის ან/და პარტნიორთა ურთიერთობის გამო.²⁵

ზემოაღნიშნული ნორმით, ცალსახად არის განმარტებული, რომ არ შეიძლება საფირმო სახელწოდებად ისეთი ნიშნის გამოყენება, რომელიც აღრევას იწვევს, თავად ამ დასარეგისტრირებული სუბიექტის საქმიანობის მოცულობის, ფორმის ან პარტნიორთა ურთიერთობის გამო, თუმცა, არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რამდენად მსგავსი შეიძლება იყოს სხვა საფირმო სახელწოდების. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი 1999 წლის რედაქცია კი, ითვალისწინებდა შემდეგს: „საწარმოს შემძენს შეუძლია გამოიყენოს ადრინდელი საფირმო სახელწოდება სამემკვიდრეო ურთიერთობის აღმნიშვნელი დამატების დართვით ან უამისოდ, თუ ადრინდელი მფლობელი, მისი მემკვიდრეები ან საზოგადოების კანონიერი წარმომადგენლები თანახმა არიან.“ თუმცა, 2008 წლის ცვლილებების შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობა აღნიშნულ დანაწესს აღარ ითვალისწინებს. ვინაიდან, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ნებადართულია ის, რაც აკრძალული არ არის,²⁶ აქედან გამომდინარე, სამეწარმეო რეესტრი არამართო მისმსგავსებულს, არამედ აბსოლუტურად ორი ან სამი ერთი და იმავე საფირმო სახელწოდების სუბიექტს არეგისტრირებს. აღნიშნული ცალსახად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტის კანონის დონეზე ლეგალიზებაა. მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაციის შედეგად სხვადასხვა საიდენტიფიკაციო კოდი ენიჭება თითოეულ მათგანს, ბაზარზე იარსებებს ორი ან მეტი ერთი და იგივე საფირმო სახელწოდების სუბიექტი, რომელიც შეიძლება მსგავს ან სხვადასხვა საქმიანობას ეწევიან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმიანობის სფეროს იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. შესაძლოა „არაკეთილსინდისიერმა“ სუბიექტმა, რომელსაც სურს ისარგებლოს სხვისი რეპუტაციით, დაარეგისტრიროს იდენტური საფირმო სახელწოდებით სუბიექტი. აღნიშნული საკითხის, პრაქტიკაში ამგვარი მიდგომა გაურკვევლობას წარმოშობს, რაც არაკეთილსინდისიერი კონკურენციისას, კანონის დონეზე ლეგალიზების საშუალებას იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება თავად მეწარმის ინტერესშიც არ შედიოდეს, იგივე სახელით რეგისტრაცია, ვინაიდან უფრო ადრე რეგისტრირებული იმავე საფირმო სახელწოდების სუბიექტს არ ჰქონდეს ბაზარზე კარგი რეპუტაცია და ამავე დროს პირიქითაც, შესაძლებელია გამოყენებული იქნას კარგი რეპუტაციის მქონე სუბიექტის საფირმო სახელწოდება.²⁷

ასევე, საგულისხმოა, რომ სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ეხება არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, რომლის მიხედვითაც: „პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი.“ აღნიშნული ნორმის ანალოგიის მეშვეობით გამოყენება სამეწარმეო იურიდიულ პირებთან დაკავშირებით ვერ მოხდება, ვინაიდან სამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები და წესი რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.

1.1. საფირმო სახელწოდების დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმებით

ნორმები, რომლებიც ეხება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთასა და საქმიანობის შემზღუდველი პრაქტიკის აკრძალვას (ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, იგივე ანტიტრეს-

ტული კანონმდებლობა), ურთიერთდაკავშირებულია და ორივეს მიზანია საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა არ უშვებს ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას მაშინ, როდესაც კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ იძულებულს ხდის ყველა მონაწილეს დაიცვას თამაშის ერთნაირი წესები, რითაც უზრუნველყოფს კეთილსინდისიერ ბრძოლას კონკურენტებს შორის. თუმცა, ამ უკანასკნელისაგან დაცვა სხვადასხვა სამართლებრივი ნორმებით არის შესაძლებელი. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის უზრუნველყოფას სპეციალური კანონით ახდენს, ზოგიერთის კი, ზოგად ნორმებზე დაყრდნობით. აღნიშნული არა მარტო სამართლის სისტემაზე დამოკიდებული, არამედ თითოეული ქვეყნის პრაქტიკაზე. არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად თვითრეგულირებას ასახელებენ, მაგრამ პრაქტიკით არ დასტუდება. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის კონცეფცია პირველად, საფრანგეთში გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს არ არსებობდა არაკეთილსინდისიერი საქმიანობის არანაირი კონკრეტული აკრძალვა, საფრანგეთის სასამართლოებმა შეძლეს შეექმნათ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვის ყოვლისმომცველი და ეფექტიანი სამართლებრივი სისტემა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლის ზოგადი დებულების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ზიანის სავალდებულო ანაზღაურებას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა ჩადენის შემთხვევაში. პრინციპები, რომლებიც შემუშავებული იყო სასამართლო გადაწყვეტილებებში საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლის საფუძველზე, საფრანგეთში კვლავაც რჩება არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან სასამართლო დაცვის მთავარ საფუძველად.²⁸

გერმანიაში იმის გამო, რომ სასამართლოები უარს ამბობდნენ არაკეთილსინდისიერ საქმიანობასთან დაკავშირებულ საქმეებზე სამოქალაქო კოდექსის ნორმების გავრცელებაზე, აუცილებელი გახდა ამ საკითხთან დაკავშირებული სპეციალური კანონმდებლობის ამოქმედება. შედეგად, 1909 წელს, მიღებული იქნა კანონი „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ“, რომელიც დღემდე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტების აღკვეთის საქმეში მთავარი საფუძველია. კანონი შეიცავს ორ ზოგად დებულებას უპატიოსნო და შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობის შესახებ და მათთან ერთად სპეციალურ დებულებებს, მაგალითად, კომერციული საიდუმლოების დაცვის შესახებ.²⁹ გერმანულმა სასამართლოებმა შეიმუშავა ვაჭრობაში არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აღმკვეთი ყოვლისმომცველი სისტემა, რომლის მიზანია არა მხოლოდ კონკურენტების, არამედ მომხმარებლებისა და მთლიანად საზოგადოების დაცვა. აღნიშნული აქტი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ქმედებათა სანიმუშო ჩამონათვალს ითვალისწინებს.

როგორც გაერთიანებულ სამეფოში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ განვითარდა სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, განსაკუთრებით, საერთო სამართლის იმ ნორმის საფუძველზე, რომელიც სხვისი სახელის გამოყენებით გამოწვეულ სამოქალაქო სამართალდარღვევას (Passing-off) ეხება. როგორც გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-შიც არ იყო და არც არსებობს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სამოქალაქო სამართალდარღვევათა ყოვლისმომცველი რაიმე ნორმა. მიუხედავად ამისა, შტატებს შორის ვაჭრობაში საკუთარი პროდუქტის შესახებ ცრუ განცხადებების საწინააღმდეგო შეზღუდული სამართლებრივი ნორმები მაინც იქნა გათვალისწინებული 1946 წლიდან, სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის (The Lanham Act) 43 (ა) მუხლის – სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ დებულებათა საფუძველზე.³⁰

ამ სფეროში ახალ საკანონმდებლო ინიციატივათა შორის აღსანიშნავია 1986 წელს, შვეიცარიაში მიღებული კანონი „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ“, რომელიც შეიცავს ფართო ზოგად ნორმებს და დეტალურ წესებს, რომლებიც არეგულირებენ სპეციფიკურ ურთიერთობებს ბაზარზე, მაგალითად, მონურ იმიტაციას (Slavish imitation). 1990 წელს, უნგრეთმა მიიღო კანონი „არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის აღკვეთის შესახებ“, რომლითაც რეგულირდება არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის საკითხები; ესპანეთის 1991 წლის კანონი „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ“ შეიცავს დეტალურ ნორმებს მომხმარებლებისა და კონკურენტების საზიანო პრაქტიკის მიმართ; დაბოლოს, 1991 წელს, ბელგიამაც მიიღო კანონი „კომერციული პრაქტიკისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესახებ“, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლის დაცვის პრობლემას.³¹ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის დამცავი ნორმები აქვს იორდანიასაც, რომელმაც პარიზის კონვენციის მე-10^ბ მუხლის მსგავსი დეფინიცია გაითვალისწინა თავის კანონმდებლობაში.³² არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დამცავი ნორმები კანადაში ჯერ კიდევ, 1932 წელს იქნა მიღებული.³³

როგორც ვხედავთ, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის განსხვავებული მიდგომა იქნა არჩეული სხვადასხვა ქვეყნის მიერ, თითოეულ ქვეყანაში, კანონის ეფექტიანობას განაპირობებს პრაქტიკაში მისი რეალიზება, მხოლოდ აღებული ნორმა, თუ მისი საშუალებით არ იქნება დაცული ის ინტერესები რა მიზანსაც ემსახურება, ნორმის ეფექტიანობაზე ვერ ვიმსჯელებთ.

ინტელექტუალური საკუთრების ამა თუ იმ ობიექტების დამატებითი სამართლებრივი დაცვა ინტელექტუალური საკუთრების ყველა სფეროსთვის არის დამახასიათებელი, იქნება იგი დაკავშირებული საფირმო სახელწოდებასთან, გამოგონებასთან, ლიტერატურულ ნაწარმოებთან თუ რომელიმე სხვა ობიექტთან.

პარიზის კონვენციის მე-10^ბ მუხლის შესაბამისად, პარიზის კავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, უზრუნველყონ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტიანი დაცვა. თუმცა, ისინი არ არიან ვალდებული, მიიღონ სპეციალური კანონმდებლობა, მაგრამ მათ, თუნდაც არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, უნდა უზრუნველყონ ეფექტიანი დაცვა ყველა აქტისაგან, „რომელიც ეწინააღმდეგება კომერციული საქმიანობის პატიოსან წესებს.“ ვინაიდან საქართველოც სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანას წარმოადგენს,³⁴ ეროვნულმა კანონებმა უნდა უზრუნველყოს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვა, როდესაც სახეზე იქნება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი. გარდა აღნიშნულისა, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაზე. სამოქალაქო სამართალდარღვევათა შესახებ ზოგად დებულებაში მოცემული მოკლე ფორმულირება შეიძლება იყოს საკმარისი საფუძველი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საკითხებთან დაკავშირებული ეფექტიანი სამართლებრივი სისტემის განვითარებისათვის, მაშინ, როდესაც ყველაზე შთამბეჭდავად დაწერილ საკანონმდებლო აქტს შეუძლია მიგვიყვანოს არასასურველ შედეგებამდე. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობის რეგულირების ნათელი და დეტალური წესები უსარგებლოა. მას გამაფრთხილებელი გავლენა მაინც ექნება ბაზარზე ქცევის მიმართ. მაგრამ სასამართლოების მიერ ასეთი რეგულირების წესების გამოყენების გარეშე, მათ შედეგი არ ექნებათ.

საინტერესოა, რა საჭიროა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის კანონის არსებობა, როდესაც არსებობს სპეციალური კანონები სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში?

ვინაიდან არსებობს არაკეთილსინდისიერი ქმედებათა ფართო სპექტრი, როგორიცაა, მაგალითად, შეცდომაში შემყვანი რეკლამა ან კომერციული საიდუმლოების დარღვევა, ჩვეულებრივ, არ რეგულირდება კონკრეტული კანონებით სამრეწველო საკუთრების სფეროში. ამრიგად, კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ საჭიროა სამრეწველო საკუთრების შესახებ კანონმდებლობათა შესავსებად ან ისეთი დაცვის მისანიჭებლად, რისი უზრუნველყოფაც არც ერთ ამ კანონს არ შეუძლია.

გერმანიის კანონი „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ“, ეხება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვასაც, მაგალითად, როგორიცაა საქონლისა თუ მომსახურების ნიშნები, კანონი განასხვავებს ნაწარმთან დაკავშირებულ აღრევას მიღწევებთან დაკავშირებული აღრევისაგან.³⁵ პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია დადგინდეს აღრევისა და ზიანის არსებობა. გერმანული სამართალი ასევე, აკეთებს დათქმას აღრევის მაღალი დონის არსებობაზე.

კონკურენციის შესახებ პირველი საკანონმდებლო აქტი საქართველოში მიღებულ იქნა 1996 წლის 25 ივლისს, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“,³⁶ დღეს აღნიშნული კანონი ძალადაკარგულია. მის ნაცვლად 2005 წლის 3 ივნისს, მიღებულ იქნა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი.³⁷ ეს უკნასკნელიც, ძალადაკარგულად გამოცხადდა და ბოლოდროინდელი ცვლილებების შესაბამისად, 2012 წლის 08 მაისს, მიღებულ იქნა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელშიც მთელი რიგი ცვლილებები იქნა გათვალისწინებული.³⁸

უმენაესი სასამართლოს პრაქტიკა, საკმაოდ მწირია, რომელიც არეგულირებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას. ერთ-ერთ ასეთ გადაწყვეტილებაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის არსი განმარტებულია პარიზის კონვენციის ნორმებზე დაყრდნობით, მოცემული გადაწყვეტილების დასაბუთება ემყარება შემდეგს: „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მე-10^b მუხლით (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია), კავშირის ქვეყნები შებოჭილნი არიან ვალდებულებებით უზრუნველყონ თავისი მოქალაქეებისათვის ეფექტიანი დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტს შეადგენს ნებისმიერი კონკურენციის გაწევის აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამეწარმეო თუ კონკურენციული საქმიანობის პატიოსან ჩვევებს. იკრძალება ყველა ისეთი ქმედება, რომელმაც რაიმე სახით შეიძლება გამოიწვიოს აღრევა კონკურენტის საწარმოსთან, საქონელთან ან სამრეწველო თუ კომერციულ საქმიანობასთან.“³⁹ აღნიშნული განმარტების შესაბამისად, მოცემულ საქმეზე აღრევის გამოძვევ ქმედებად სასამართლომ მიიჩნია კონკურენტის ქმედება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაუგზავნა ქვემდგომ სასამართლოს. აღნიშნული გადაწყვეტილება ნათელი მაგალითია, თუ რატომ დგება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმების ეროვნულ კანონმდებლობაში არსებობის აუცილობელობა.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის არსებობა საფირმო სახელწოდების დაცვას შეუწყობს ხელს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი დაუშვებს ერთი და იგივე საფირმო სახელწოდებით იურიდიული პირის დარეგისტრირების შესაძლებლობას.

1.2. საფირმო სახელწოდების დაცვა სახელის უფლების დაცვის ნორმებით

სახელის უფლების დაცვის ნორმებით, საფირმო სახელწოდების მატარებელ პირს, თავისი უფლებების დაცვისას, შეუძლია მოითხოვოს ღირსების დაცვა, როდესაც მას სახელს უტყვენ,

მისი სახელის გამოყენებისას – ზიანის ანაზღაურება ან ორივე ერთად. საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში, სადაც არ არსებობს სპეციალური კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ, პასუხისმგებლობა შემოიფარგლება დელიქტური ვალდებულების დამცავი ნორმებით. აშშ-ში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სინონიმადაც კი, გამოიყენება „passing-off“ (სხვისი სახელით საქმის წარმოება). ამერიკის შეერთებულ შტატებში კანონმდებლობა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ განვითარდა ძირითადად, სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე.⁴⁰ სხვისი სახელის გამოყენების („passing-off“) კონცეფცია საკმაოდ ფართოა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ყველა სახის აღნიშვნის, მითითების, პროდუქტებისა და სხვა ობიექტების დაცვა აღრევისაგან.

„passing-off“-ის შესახებ სარჩელის საფუძვლიანად მიჩნევისათვის, საჭიროა დადგინდეს, რომ სახეზეა კონკურენტის მიერ გამოყენებული საფირმო სახელწოდების თუ ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტის განსაკუთრებული უფლების მქონე პირისათვის ზიანი, ასევე, საჭიროა თავად ნიშანს მოპოვებული ჰქონდეს „გუდვილი“ და აღნიშნული ნიშნის გამოყენება იწვევდეს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას.

საქართველოშიც არ არსებობს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს. თუმცა, არც სასამართლოს ერთიანი პრაქტიკა არ არსებობს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ. ამიტომ, რამდენად შესაძლებელია სხვისი სახელის გამოყენების ნორმებზე დაყრდნობით არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა, აღნიშნული ბალებს საფუძვლიან ვარაუდს, რომ საერთო სამართლის ქვეყნებისათვის გათვალისწინებული პრაქტიკა, საქართველოსთვის მიუღებელია.

უზენაესი სასამართლოს მიერ, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტებულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომლის მიხედვითაც: „ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან ან ვისი უფლებებიც ილახება მისი სახელის უნებართვოდ სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმოკლეს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან მასზე უარის თქმა. ნორმა დარღვეული უფლების რეალიზაციას უკავშირებს ორ შემთხვევას: 1. პირს ეცილებიან მისი სახელის ტარების უფლებაში; 2. პირის უფლება ილახება მისი სახელის უნებართვო გამოყენებით.“⁴¹ სასამართლოს აღნიშნული განმარტების შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სხვისი სახელის უნებართვო გამოყენების საფუძვლით შესაძლებელია, საფირმო სახელწოდების, სასაქონლო ნიშნის თუ ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტის დაცვა, როდესაც სახეზეა უკანონო გამოყენება. ვინაიდან სასამართლო პრაქტიკა ამ კონკრეტული შემთხვევის თაობაზე არ არის, ამიტომ ზემოაღნიშნული ნორმის გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ „დასაშვებობის დონეზე“ არის შესაძლებელი. ამასთან, ბუნდოვანია იმიტაციის შემთხვევაში, რამდენად არის შესაძლებელი სამოქალაქო კოდექსის სახელის უფლების შელახვის ნორმებით დაცვა.

1.3. საფირმო სახელწოდების დაცვა სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის გზით

საფირმო სახელწოდების დაცვა ხდება სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის გზით. ჩვეულებრივ, შეიძლება როგორც სრული საფირმო სახელწოდების, ასევე, მოკლე საფირმო ნიშნის დარეგისტრირება. ასეთი რეგისტრაციის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა საფირმო სახელწოდების, როგორც სასაქონლო ნიშნის ფაქტობრივად გამოყენება. ამ პირობის შესრულებისათვის, ჩვეულებრივ, საყოველთაოდ მიღებული ხერხია შემოკლებული საფირმო ნიშნის, როგორც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. ტერიტორიული პრინციპის თანახმად, საფირმო სახელწოდება დაცული არის იმ ქვეყნის ფარგლებში, სადაც იგი არის რეგისტრირებული.⁴²

პარიზის კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, საფირმო სახელწოდება კავშირის ყველა ქვეყანაში დაცულია განაცხადის შეტანის ან რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე, მიუხედავად იმისა, შეადგენს თუ არა იგი სასაქონლო ნიშნის ნაწილს. აღნიშნული ნორმა ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რათა უზრუნველყონ საფირმო სახელწოდების დაცვა. ამავე დროს, კანონი იმპერატიულად განმარტავს, რომ ყველა საქონელი, რომელზეც უკანონოდ იქნება დატანილი სასაქონლო ნიშანი ან საფირმო სახელწოდება, ექვემდებარება ყადაღას კავშირის იმ ქვეყანებში შეტანისას, სადაც ასეთ ნიშანს ან საფირმო სახელწოდებას მინიჭებული აქვს სამართლებრივი დაცვა.⁴³

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველია თუ: სასაქონლო ნიშანი შეიცავს საფირმო სახელწოდებას, რომელზედაც უფლებები წარმოშობილია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე, რის შედეგადაც ჩნდება აღრევის შესაძლებლობა.⁴⁴ აღნიშნული ნორმა და საჯარო რეესტრის მიდგომა, როდესაც ერთი და იგივე საფირმო სახელწოდების სუბიექტებს არეგისტრირებენ, ერთმანეთთან შეუსაბამობაში მოდის, უპირველესად, საჯარო რეესტრში შემოწმება არ ხდება ამ საფირმო სახელწოდებით რეგისტრირებულია თუ არა სამეწარმეო იურიდიული პირი, მით უმეტეს იმის შეფასებას არ ახდენს, რეგისტრირებულია თუ არა სასაქონლო ნიშნად საფირმო სახელწოდება.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის საფუძველია, თუ სასაქონლო ნიშანი შეიცავს საფირმო სახელწოდებას, რომელზედაც უფლებები წარმოშობილია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე, რის შედეგადაც ჩნდება აღრევის შესაძლებლობა. თუმცა, აღნიშნული ნორმის დანაწესიდან კითხვა ჩნდება – რამდენად ეხება იმ შემთხვევას, როდესაც პირი თავის საფირმო სახელწოდების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციას ითხოვს, ხოლო იმავე საფირმო სახელწოდებით სხვა სუბიექტი უფრო ადრე იყო რეგისტრირებული? ვფიქრობთ, გემოაღნიშნული ნორმა ამ უკანასკნელ შემთხვევას არ არეგულირებს და ეხება საკითხს, როდესაც პირს სურს სხვისი საფირმო სახელწოდების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტებული აქვს, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნულია, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესაძლო საფუძველად ითვალისწინებს უკვე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან აღრევის შესაძლებლობის არსებობას. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქპატენტში სასაქონლო ნიშანი „ნ-ის წ-ი“ რეგისტრირებული არ არის. აღნიშნულის გამო, იგი ვერც ადრინდელი პრიორიტეტის მატარებელი ვერ იქნება, ვინაიდან საერთოდ არ წარმოადგენს სასაქონლო ნიშანს და შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებულ დაცვის ობიექტს „მოპასუხის საფირმო სახელწოდებისა და სს „ლ-ის“ სასაქონლო ნიშნის მსგავსების არსებობა ხსენებული ნორმის მიხედვით, არ არის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საკმარისი საფუძველი. ხსენებული ნორმის მიხედვით, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საფუძველია სამი გარემოების ერთდროულად არსებობა: სასაქონლო ნიშანი შეიცავს სხვა იურიდიული პირის საფირმო სახელწოდებას, საფირმო სახელწოდებაზე უფლებები წარმოშობილია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანამდე, ამ გარემოებების შედეგად ჩნდება მათ შორის აღრევის შესაძლებლობა. განსახილველ შემთხვევაში კი, პროდუქციის მწარმოებლების აღრევა არ ხდება.“⁴⁵ სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე საჩივარი განუხილველად დატოვა და მიიჩნია, რომ არ არსებობდა აღრევის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, ერთი და იგივე საფირმო სახელწოდების სუბიექტი გადაწყვეტს თუ არა

დაარეგისტრიროს საფირმო სახელწოდება, როგორც სასაქონლო ნიშანი, აღრევის შესაძლებლობა ბაზარზე ძალიან დიდია, რაც ეწინააღმდეგება პატიოსანი ქცევის წესებს.

საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ, „კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებურ გამოყენებას“ მიიჩნევდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებად,⁴⁶ თუმცა, დღეს აღნიშნული კანონი ძალადაკარგულია და დაცვის შესაბამის მარეგულირებელ ნორამას არ ითვალისწინებს საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“.

2. საფირმო სახელწოდების დაცვის საპროცესო საშუალებები

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ეხება პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას. სახელის უფლების, პატივისა და ღირსების, ასევე, საქმიანი რეპუტაციის დაცვა ხორციელდება მიუხედავად იმისა, ბრალი მიუძღვის თუ არა ხელმყოფს. ამასთან, როცა ხელყოფა ბრალეული მოქმედების შედეგია, პირს, ვისი უფლებებიც შეილახა, შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების სახით შეიძლება მოთხოვნილ იქნას ის მოგება, რომელიც წარმოეშვა ხელმყოფს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლიც მსგავს დანაწესს ითვალისწინებს, რომლის თანახმადაც, „თუ პირის სახელის ტარების უფლებას შეეცილება სხვა პირი ან თუ უფლებამოსილი პირის ინტერესებიც ილახება სხვა პირის მიერ იგივე სახელით უნებართვო სარგებლობით, უფლებამოსილ პირს შეუძლია მას მოსთხოვოს დარღვევის შეწყვეტა. თუ ადგილი ექნება შემდგომ დარღვევებს, მაშინ მას შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს მოქმედებისაგან თავის შეკავება.“⁴⁷

2.1. ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება

კერძო სამართლის იურიდიული პირების რეგისტრაციას ახდენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პირთა რეგისტრაციის დეპარტამენტი. თეორიულ დონეზე, საფირმო სახელწოდების უკანონოდ გამოყენების შემთხვევაში უფლებამოსილ პირს, უფლება აქვს ზემდგომ ორგანოში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაასაჩივროს მსგავსი საფირმო სახელწოდებით იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება. თუმცა, პრაქტიკულ დონეზე სამეწარმეო იურიდიულ პირებთან დაკავშირებით, აღნიშნულს არ მოჰყვება სამართლებრივი შედეგი. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია იმსჯელოს მხოლოდ არასწორად რეგისტრირებული სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმებაზე, ვინაიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ერთი და იმავე საფირმო სახელწოდებით სუბიექტის დარეგისტრირების შესაძლებლობას იძლევა, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებამოსილება არა აქვს გააუქმოს ამგვარი რეგისტრაცია. რაც შეეხება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შეფასებას, აღნიშნული შეიძლება მხოლოდ სასამართლო დავის განხილვის საგნად იქცეს.

2.2. სასამართლოში დავის განხილვა

დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად, სასამართლოსათვის მიმართვა კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებაა. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა საფირმო სახელწოდების არაკეთილსინდისიერი გამოყენება ხელმყოფს უფლება აქვს მიმართოს

სასამართლოს. იმისათვის, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა იქნას შესაძლებელი, თავდაპირველად, საჭიროა დადგინდეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი, აღნიშნული კი, სათანადო გამოკვლევას საჭიროებს.

2.2.1. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტის დადგენა

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება რომ დადგეს, აუცილებელი პირობაა, არა უკვე დამდგარი ზიანი, არამედ შესაძლო ზიანის ფაქტიც. შეფასებისას გასათვალისწინებელია არა მარტო დაზარალებულის ინტერესები, არამედ მომხმარებელის საერთო ინტერესებიც. მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება ყველა შემთხვევაში, როდესაც განზრახ ან გაუფრთხილებლად ზარალი მიაყენა სხვა პირს ან მის ქონებას.⁴⁸

იმისთვის, რომ დადგინდეს რამდენად იწვევს აღრევას საფირმო სახელწოდება ამ შემთხვევაში, შეფასება ხდება „საშუალო მომხმარებლის“ მიხედვით, ანუ საზოგადოების დიდი ნაწილისათვის რამდენად აღქმადი იქნება და რამდენადაა მიმსგავსებული გამოყენებული სასაქონლო ნიშანი სხვა ცნობილ სასაქონლო ნიშანთან. ტერმინი „საშუალო დონის მომხმარებელი“ ცნობილია გერმანული სამართლისათვის და „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ“ კანონი არაკეთილსინდისიერი აქტის შეფასებისას, დათქმას სწორედ საშუალო დონის მომხმარებელზე აკეთებს.⁴⁹

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაშიც, არეკეთილსინდისიერი კონკურენციის შეფასების კრიტერიუმად დასახელებულია სწორედ საშუალო მომხმარებელი. „იდენტიურობისაგან განსხვავებით, როდესაც სასაქონლო ნიშნის ყველა მახასიათებელი მეორდება, მიმსგავსების შემთხვევაში, უნდა შეფასდეს ის საერთო ეფექტი, რასაც კონკრეტული ნიშანი მთლიანობაში ახდენს მომხმარებელზე. საშუალო მომხმარებელი პროდუქციის შეძენისას საერთო შთაბეჭდილებით ხელმძღვანელობს და უმნიშვნელო, არაგამოკვეთილ განმასხვავებელ დეტალებს ყურადღებას არ აქცევს.“⁵⁰

კონკრეტული ქმედების შეფასებისას, სასამართლო იკვლევს დარღვევის ფაქტს, დამდგარ ზიანს, მოტივს, რაც ერთობლიობაში განსაზღვრავს პასუხისმგებლობის შინაარსსა და მოცულობას. შესაძლოა თავად ქმედებები არ იყოს მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ აღნიშნულით დაზარალებულს ზიანი ადგებოდეს. იგი ასევე, ადგენს ეფექტიანი სასჯელის ფორმასაც.

პასუხისმგებელი პირის მიერ, ზიანის ანაზღაურება ემსახურება, არა მარტო მიყენებული ზიანის კომპენსაციას, არამედ საერთო, მომხმარებელთა ინტერესების დაცვას. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოები, მაგალითად, კონკურენტის დისკრედიტაციის დროს ითვალისწინებენ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს ზიანის მიყენების ან განზრახვის არსებობის შესახებ მტკიცებულებათა წარდგენის გარეშე.⁵¹

სასამართლოს მიერ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი დგინდება, თუ საფირმო სახელწოდების უნებართვო გამოყენებით ან დისკრედიტაციით, უპირველესად, დაზარალებულს მიადგა ზიანი ან არსებობდა ზიანის არსებობის საშიშროება და მეორე, საზოგადოება შეცდომაში იქნა შეყვანილი ან შესაძლოა შეცდომაში შესულიყო.⁵²

ნიშნის მფლობელმა შეიძლება წამოაყენოს მოთხოვნა მისი განსაკუთრებული უფლებების დარღვევის თაობაზე თუ დადასტურდა, რომ უნებართვოდ გამოყენებულია იდენტური ან იმდენად მსგავსი ნიშანი, რომ მოსალოდნელია აღრევა ან მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

2.2.2. სხვების მიერ ნიშნის გამოყენების აკრძალვის უფლება

სხვების მიერ ნიშნის გამოყენების აკრძალვის უფლება მოიცავს მისი მფლობელის უფლებას, მას უნდა შეეძლოს გააპროტესტოს თავისი საფირმო სახელწოდების ნებისმიერი გამოყენება მესამე პირთა მიერ იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც არის იგი დაცული, ნიშნის მოთავსება ასეთ საქონელზე, მისი გამოყენება საქონელთან დაკავშირებით და საქონლის აღნიშნული ნიშნით გასაყიდად შეთავაზება. უფლება სასაქონლო ნიშანზე დარღვეულია, თუ იმავე ან მსგავსი ნიშნების გამოყენების შედეგად იდენტურ ან მსგავს საქონელზე არსებობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის რისკი ან ალბათობა.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არა აქვს უფლება აუკრძალოს მესამე პირს სამოქალაქო ბრუნვაში სასაქონლო ნიშნად გამოიყენოს: საკუთარი სახელი ან მისამართი, თუ ისინი ემთხვევა განსაკუთრებული უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანს და ასევე, თუ სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს საქონლის სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებს;⁵³ აღნიშნული ნორმა შესაბამისობაში მოდის პარიზის კონვენციით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებთან. თუმცა, ვინაიდან ქართული კანონმდებლობის მიხედვით, განსაკუთრებული უფლება ნიშანზე წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად, სასაქონლო ნიშნების შესახებ ქართული კანონმდებლობა დაცვას არ ითვალისწინებს არარეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების მიმართ. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში დაცვა ხდება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის ნორმებით.

ზემოთქმული მსჯელობა ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც საფირმო სახელწოდება რეგისტრირებულია, როგორც სასაქონლო ნიშანი, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია საფირმო სახელწოდებაზე უფლებამოსილ პირს მოითხოვოს ნიშნის გამოყენების აკრძალვის უფლება. მაგრამ, თუ საფირმო სახელწოდება არ არის რეგისტრირებული, როგორც სასაქონლო ნიშანი, ამ შემთხვევაში, ნიშნის გამოყენების აკრძალვის გამოყენების მოთხოვნის დაყენება საფუძველს მოკლებულია. ვინაიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი იდენტური საფირმო სახელწოდებით სუბიექტების რეგისტრაციის საშუალებას იძლევა, ამდენად სასამართლო პირს ვერ აუკრძალავს გამოიყენოს სამართლებრივ ურთიერთობებში თავის საფირმო სახელწოდება, მხოლოდ იმ მოტივით, რომ სხვა იურიდიული პირი უფრო ადრეა რეგისტრირებული იმავე საფირმო სახელწოდებით.

დასკვნა

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ერთი და იგივე საფირმო სახელწოდებით იურიდიული პირების დარეგისტრირებაა შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში, ორი იდენტური აღნიშვნა იქნება ჩართული სამოქალაქო ბრუნვაში, რაც ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, რათა არ განვითარდეს არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, რამაც შეიძლება ორივე მხარესა და მთლიანად საზოგადოებას მოუტანოს ზიანი.

პარიზის კონვენციის თანახმად, მონაწილე ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ საფირმო სახელწოდების დაცვა სპეციალური რეგისტრაციის შემოღების გარეშე – ფირმის რეგისტრაციის

საფუძველზე. მიუხედავად აღნიშნულისა, საფირმო სახელწოდება იმავდროულად, თუ არ იქნება დარეგისტრირებული, როგორც სასაქონლო ნიშანი, მაშინ ვერ ხდება საფირმო სახელწოდების, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტისა და ქონებრივი უფლების დაცვა. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, ნიშნად არ რეგისტრირდება მხოლოდ ისეთი აღნიშვნა, რომელიც შეიცავს აღრევის გამომწვევ საფირმო სახელწოდებას, თუმცა, არ არეგულირებს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი ითხოვს სასაქონლო ნიშნად თავის საფირმო სახელწოდების რეგისტრაციას, მაშინ როდესაც იდენტური საფირმო სახელწოდებაზე უფლება მანამდე არის წარმოშობილი, მაგრამ არ მომხდარა მასზე, როგორც სასაქონლო ნიშანზე უფლების რეგისტრაცია.

კანონმდებლობით საფირმო სახელწოდების დაცვა გარანტირებული უნდა იყოს მისი სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის გარეშე და საფირმო სახელწოდებაზე უფლებამოსილ სუბიექტს უნდა შეეძლოს თავის იდენტური საფირმო სახელწოდების ყოველგვარი გამოყენების აკრძალვა, თუ მისი უფლება საფირმო სახელწოდებაზე უფრო ადრე წარმოიშვა. ამასთან, ბაზარზე იდენტური საფირმო სახელწოდებით ხშირ შემთხვევაში, მომხმარებელი რჩება მოტყუებული, ვინაიდან საშუალო დონის მომხმარებელმა არ იცის და არც მოეთხოვება იცოდეს იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი. იგი ნდობას უცხადებს გარკვეული საფირმო სახელწოდების სუბიექტს და სურს მისი პროდუქცია, ხოლო ბაზარზე ერთი და იგივე საფირმო სახელწოდების არსებობით ჩნდება აღრევისა და შეცდომაში შეყვანის რისკი.

აქვე საგულისხმოა, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაცია დაუშვებელია უკვე რეგისტრირებული სახელწოდებით. საინტერესოა, რატომ აირჩია კანონმდებელმა განსხვავებული მიდგომა კომერციულ იურიდიულ პირებთან დაკავშირებით, მაშინ როცა კომერციულ იურიდიულ პირებს შორის კონკურენცია გაცილებით მეტია, ვიდრე არასამეწარმეო იურიდიულ პირებს შორის.

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფირმო სახელწოდების დაცვის თვალსაზრისით, შესაძლებელია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატოს დამცავი ნორმა, რაც ერთი და იგივე საფირმო სახელწოდების სუბიექტის დარეგისტრირებას აკრძალავს. ისიც საგულისხმოა, რომ აღნიშნულის რეგულირება სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. ვინაიდან, ყოველდღიურად ასობით სამეწარმეო კერძო სამართლის იურიდიული პირი რეგისტრირდება, შესაბამისად, თითოეული სუბიექტის რეგისტრაციის დროს, იურიდიული პირების საფირმო სახელწოდების გადამოწმება დიდ დროს მოითხოვს, რაც გაართულებს ერთ დღეში იურიდიული პირების რეგისტრაციას. გამომდინარე აქედან, უმჯობესია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონმდებლობა შეიცავდეს იდენტური ან მსგავსი საფირმო სახელწოდების გამოყენების აკრძალვას, პროდუქციის რეალიზაციის მიზნით. აღნიშნული ემსახურება არა მარტო საზოგადოების ინტერესებს, არამედ თავისუფალ კონკურენტულ გარემოსაც.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის კანონმდებლობა დაარეგულირებს ყველა ისეთ შემთხვევას, რომელთა წინასწარ პროგნოზირება შეუძლებელია და იგი იქნება დამატებითი დაცვის გარანტია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დასაცავად. მრავალი ქვეყნის გამოცდილებამ აჩვენა, რომ შესაძლებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის მოქნილი სისტემის შექმნა, რაც საქართველოსთვისაც ეფექტიანი იქნება.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 5.
- ² Handlert I., Unfair Competition, Iowa Law Review, 1936, 175. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://heinonline.org/>
- ³ იხ.: სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 27, მესამე ნაწილი.
- ⁴ საიდენტიფიკაციო კოდი თითოეული იურიდიული პირისთვის უნიკალურია და არ მეორდება.
- ⁵ Handlert I., Unfair Competition, Iowa Law Review, 1936, 175. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://heinonline.org/>
- ⁶ კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, წიგნი I, ზოგადი ნაწილი, თბილისი, გვ. 231.
- ⁷ იქვე, გვ. 259.
- ⁸ შეადარეთ. კობახიძე ა., გვ. 262. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელი სამოქალაქო ურთიერთობის ობიექტია, რომელსაც მატერიალური ხასიათი არ გააჩნია. აღნიშნული ფიზიკური პირისა და იურიდიული პირის შემთხვევაში ერთნაირი არ არის.
- ⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, გამომცემლობა „სამართალი“, 1999.
- ¹⁰ თუმანიშვილი გ., შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, გვ. 63.
- ¹¹ თუმანიშვილი გ., შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, გვ. 68; იხ.: ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გვ. 191.
- ¹² ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 47.
- ¹³ იქვე, გვ. 48.
- ¹⁴ ქორქაშვილი ქ., სამეწარმეო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 74. იხ.: ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 169.
- ¹⁵ ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2006, გვ. 20.
- ¹⁶ იხ.: The Convention Establishing the World Intellectual Property Organization, (WIPO), Stockholm, July 14, 1967; ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.wipo.int/treaties/en/convention/trtdocs_wo029.html
- ¹⁷ იხ.: The Paris Convention for the Protection of Industrial Property, Paris, 1883, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/trtdocs_wo020.html
- ¹⁸ საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მიხედვით, ინტელექტუალური საკუთრება დაკავშირებულია პიროვნულ შემოქმედებასთან და ხელშეუვალი უფლებად არის აღიარებული.
- ¹⁹ გუგეშაშვილი გ., გუდვილი, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი და მისი კავშირი სასაქონლო ნიშნებთან, ჟურ. „მართლმსაჯულება“ #2, 2009, გვ. 112; იხ.: Lowenheim U., European Court and Intellectual Property, IIC Vol. 26, Heft 6, 1995, 841.
- ²⁰ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 5.
- ²¹ ლილუაშვილი გ., შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2005, გვ. 34.
- ²² ქორქაშვილი ქ., სამეწარმეო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 74. იხ.: ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 169.
- ²³ ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, მეორე გამოცემა, 2002, გვ. 322.
- ²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1104.
- ²⁵ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 6.
- ²⁶ იხ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 10, მეორე ნაწილი.
- ²⁷ ლილუაშვილი გ., თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, გვ. 157.
- ²⁸ The French civil code, Translated by Georges Rouhette, Professor of Law, with the assistance of Dr Anne Rouhette-Berton, Assistant Professor of English., 2006.
- ²⁹ „Gesetz gegen den unlauteren Wettbewerb,“ Translated by Duffett B., Saarbrücken, Duffett B., Saarbrücken, 2010; ხელმისაწვდომია შემდეგ

- მისამართზე: http://www.gesetze-im-internet.de/englisch_uwvg/index.html
- 30 Wolf B. D., Effective protection against unfair competition under section 44 of the Lanham Act, 1992, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://heinonline.org/>
- 31 ინტელექტუალური საკუთრება, წიგნი I, თარგმანი ინგლისურიდან (გაბუნია დ., კვიმსაძე მ. და მელითაური ზ.), თბილისი, 2001, გვ. 410.
- 32 Haitham A. Haloush, Legal Framework of Unfair Competition in Jordan: Scope of Application and Legal Protection, 2009, 54.
- 33 Freer, E. R., SOME CONCEPTS OF UNFAIR COMPETITION AT HOME AND ABROAD, 1941, 55. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://heinonline.org/>
- 34 საქართველო შეუერთდა პარიზის კონვენციის სტოკჰოლმის აქტს სსრ კავშირის (სსრ კავშირი პარიზის კონვენციის მონაწილე გახდა 1965 წელს) დროს აღებული ვალდებულებების გაგრძელების შესახებ დეკლარაციის საფუძველზე. ეს მოხდა კონვენციის არსებობის 111 წლის თავზე – 1994 წლის 18 იანვარს.
- 35 იხ.: Gesetz gegen den unlauteren Wettbewerb, Translated by Duffett B., Saarbrücken, 2010. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.gesetze-im-internet.de/englisch_uwvg/index.html
- 36 საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, 1996 წლის 25 ივნისი, პარლამენტის უწყებანი, 22–23, 30/07/1996, რეგისტრაციის N288–Is.
- 37 საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, 2005 წლის 3 ივნისი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N 31, 27/06/2005, რეგისტრაციის N 1550–Is.
- 38 საქართველოს „კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, 2012 წლის 8 მაისი, ვებგვერდი, 25/05/2012, რეგისტრაციის N 6148–Is
- 39 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება, N 3კ/589.
- 40 ინტელექტუალური საკუთრება, წიგნი I, თარგმანი ინგლისურიდან (გაბუნია დ., კვიმსაძე მ. და მელითაური ზ.), თბილისი, 2001, გვ. 409.
- 41 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება, #ას–152–146–2011
- 42 ძამუკაშვილი დ., სამრეწველო საკუთრება, კომერციული აღნიშვნები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა, თბილისი, 1998, გვ. 149.
- 43 იხ.: The Paris Convention for the Protection of Industrial Property, Paris, 1883, Article 9, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.wipo.int/treaties/en/ip/paris/trtdocs_wo020.html
- 44 საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, 28–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.
- 45 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, ას–1296–1316–2011.
- 46 საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, 1996 წლის 25 ივნისი, პარლამენტის უწყებანი, 22–23, 30/07/1996, რეგისტრაციის #288–Is.
- 47 გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, GTZ, თბილისი, 2010, გამომც. „სიესტა.“
- 48 Walter J.Derenberg, The Influence of the French Code Civil on the Modern Law of Unfair Competition, 1955, 1. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://heinonline.org/>
- 49 Gesetz gegen den unlauteren Wettbewerb, Translated by Duffett B., Saarbrücken, 2010. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.gesetze-im-internet.de/englisch_uwvg/index.html
- 50 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება, #ას–471–445–2011.
- 51 The Lanham Act, Section 43(a), 6 ივლისი, 1946. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.law.cornell.edu/uscode/text/15/1125>
- 52 Mitchell, R. O., Unfair competition, 1896–1897, 296, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://heinonline.org/>
- 53 საქართველოს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, მუხლი 7.

MATERIAL AND PROCEDURAL LEGAL MEANS FOR PROTECTING THE TRADE NAME

TAMAR KHUBASHVILI

*Doctoral Student of the Law Faculty of the Tbilisi
Ivane Javakhishvili State University*

In accordance with the Law of Georgia on Entrepreneurs, it is possible to register legal entities under one and the same trade name. In this case there will be two identical entries in the civil turnover, which requires special attention in order to avoid competition in bad faith, which may cause harm to both sides and to the whole community as well.

In accordance with the Paris Convention, the member states should ensure the protection of a trade name without introducing any special registration – based on the company registration. Despite this, if the trade name is not registered as a trademark at the same time, then it will be impossible to protect the trade name as a subject of intellectual property and the right to property. In accordance with the ‘f’ paragraph of the Article 5 of the Law of Georgia on Trademarks, a trademark shall not be registered only if it contains the trade name that may cause confusion; however, the law does not regulate the cases when the person requests the registration of a trade name as a trademark when the right to this identical trade name have emerged before this, although without having any right to trademark ever registered on it.

Pursuant to the law, protection of a trade name should be secured without having it registered as a trademark, and a person

entitled to get a trade name should be able to prohibit any usage of its identical trade name, if its right to the trade name has emerged earlier. Besides, in most cases, it is the consumer who is misled by the identical trade name, as far as a average consumer does not know and is not obliged to know the ID code of the legal entity. S/he declares trust to a subject with a certain trade name and wants to get its product. However, there appears a risk of being confused and misled if there is one and the same trade name on the market.

It is also noteworthy that registration of non-commercial legal entities is not allowed under the name that has already been registered. It is interesting why the legislator decided to have a different approaches regarding the commercial legal entities, whereas there is much more competition among the commercial legal entities than the non-commercial ones.

Hence abovementioned, in regards to the protection of a trade name, one more protective norm can be added to the Law of Georgia on Entrepreneurs, prohibiting the registration of the subject with one and the same trade name. It should be taken into account as well that this regulation will be connected to some difficulties, as far as there are hundreds of commercial legal entities of public law registered every day, and thus it takes much time to double-check the trade names of legal entities when registering every single subject, making it complicated to register legal entities in one day. Hence above-mentioned, it is better for the legislation on unfair competition to include the prohibition of the usage of identical or similar trade name with the purpose of sales. This serves the interests of not only the public, but also the free competitive environment as well.

Legislation on prohibiting the unfair completion will regulate all the cases, which could not have been forecasted in advance, and it will be an additional safeguard for protecting the objects of intellectual property. Experience of many countries has shown that it is possible to create an effective and flexible system about unfair competition, which will prove to be effective in Georgia as well.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 292 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
tel-faxsi/Tel-Fax: (+995 32) 299 70 01